

114
1939



მნათობი

9

თბილისი

1939



მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სასკოლო და საბავშვო-სამოლიტუო
ქურნალი

წელიწადი მეთექვსმეტი

9

19

საქართველო
საბჭოთა კავშირი

39

109839

3550

საქართველოს
საბჭოთა კავშირის
ენციკლოპედია

რედაქცია:
ტფილისი, შინაბლოს 13,
მწერალთა სასახლე
ტ. 3-71-84

კანტორა:
ტფილისი, კამოს ქ. № 40
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მზ. რედაქტორი — ალიო ზაზაშვილი

პ/მზ. მდივანი — კონ. ლორთქიფანიძე

გადეცა წარმოებას 27/X — 39 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
8/XII — 39 წ. მთავლიტის რწმუნებული № ხ — 3875. შეკვე-
თა № 2478. ტირაჟი 5000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი, უორცისი ქ. № 5.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე



მსოფლიო რევოლუციური ახალგაზრდობა წელს მეოცდახუთედ ზეიმობს თავის ტრადიციულ დღესასწაულს. მაგრამ არასოდეს არ ყოფილა ისეთი მდიდარი და მრავალფეროვანი თავისი საბრძოლო ამოცანებითა და მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევებით ახალგაზრდობის ეს დღე, როგორც არის წელს. იგი ტარდება უაღრესად თავისებურ, უაღრესად მძაფრ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში. მაშინ, როცა მეორე იმპერიალისტური ომი ბურჟუაზიულ მსოფლიოში განმანადგურებელი ძალით გუზგუზებს, და თითქმის ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფო, განურჩევლად მათი „დემოკრატიული“ ხასიათისა, აშკარად თუ ფარულად ჩაბმულია ამ შტაცებულ და სისხლისმღვრელ ომში, მხოლოდ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა დევსებური ნაბიჯებით მიდის წინ, აღწევს ახალ ახალ წარმატებებს, თანმიმდევრულად იცავს და ავითარებს სამშვიდობო პოლიტიკას. საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ნამდვილი მშვიდობიანობის ბაზას მსოფლიოში.

კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისების გამოველ რკალშია მოქცეული, იქ დღითიდღე უარესდება მშრომელთა მატერიალური და პოლიტიკური მდგომარეობა, სასტიკად იღვენება თავისუფალი აზრი და მოწინავე საკაცობრიო იდეები. უფრო შიშვე და აუტანელია იქ ახალგაზრდობის მდგომარეობა. კაპიტალის დიქტატურის პირობებში ახალგაზრდობებს არა აქვთ პერსპექტივა, ამთავრებენ ისინი საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს და ქუჩაში რჩებიან უმუშევრად. სამუშაოსა და ლუკმა პურის დაუსრულებელ ძებნაში, შიმშილსა და გაჭირვებაში ლაფავენ სულს. კაპიტალისტურ ქვეყნებში ახალგაზრდობა მოკლებულია თავისუფალ პოლიტიკურ ცხოვრებას, იგი სდგას სახელმწიფოსა და გაბატონებული საზოგადოებრივი რეჟიმის ყურადღებისა და ზრუნვის გარეშე, მოკლებულია თავისუფალი შრომისა და დასვენების ელემენტარულ ადამიანურ უფლებას.

საზღვარგარეთელი რევოლუციური ახალგაზრდობა, დარაზმული ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ კომუნისტური პარტიის დიადი დროშის ქვეშ, შეიარაღებული მარქსის — ენგელსის — ლენინისა და სტალინის მებრძოლი თეორიით, მუშათა კლასთან და მთელ მოწინავე კაცობრიობასთან ერთად გამირულად იბრძვის თავისუფლებისთვის, ადამიანური ცხოვრების უფლებისათვის. ახალგაზრდობა, რომელიც ყოველთვის სარგებლობდა და სარგებლობს ლენინ-სტალინის პარტიის ყურადღებით, მამაკურად მიჰყავს წინ კომკავშირს ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ხალხის ყველა ჯურის აშკარა და შენიღბული ბტრების წინააღმდეგ გამირულ ბრძოლაში გამარჯვების დიადი ლოზუნგით.

უკვე მესამე წელია, რაც ჩინეთის გამირული ახალგაზრდობა მთელ ჩინელ ხალხთან ერთად აწარმოებს სამართლიან ომს იაპონელ დამპყრობლებთან. ამ ახალგაზრდობის გამირობა და სამშობლოსთვის თავდადება ბრწყინვალე ასოებით ჩიწერება ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. ეს-

პანელი ახალგაზრდობის თავგანწირვა და მამაცური ბრძოლა გარეშე და შინა-ური მტრების წინააღმდეგ სამშობლოს გადარჩენისთვის, ყოველთვის აღაფრთოვანებს თავისუფლებისთვის მებრძოლის სულს და მრავალწლოვანი წლის განმავლობაში დარჩება სპეტაკი პატრიოტიზმისა და წაბაძვის მაგალითად. ესპანელ ხალხთან ერთად ესპანელი ახალგაზრდობა მხნედ და გაბედულად მიდიოდა მტერთან უთანასწორო ბრძოლაში ლოზუნგით — „სჯობს დავიხოცოთ ფეხზე მდგომნი, ვინემ ვცოცხლობდეთ დაჩოქილნი“. მრავალი იყო მსხვერპლისა და თავგანწირვის მაგალითი, უკან დახვეისა და ფრონტიდან გაქცევის შემთხვევა კი არც ერთი.

ესპანეთისა და ჩინეთის ახალგაზრდობის გმირული ბრძოლა ყოველთვის იწვევდა და იწვევს უდიდეს თანაგრძნობას საბჭოთა კავშირისა და ყველა სახლეთაგანეთელ რევოლუციურ ახალგაზრდობაში. კომკავშირი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რაზმავს მშრომელ ახალგაზრდობას ერთიანი ფრონტით კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად. მშრომელი ახალგაზრდობის ძალა მოქმედების ერთიანობასა და საერთაშორისო სოლიდარობაშია. ეს კარგად ესმით ხალხისა და ახალგაზრდობის შეუთოვებელ მტრებს, მათ ყალბ „მეგობრებს“. მეორე და ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის ბელადები ყოველნაირად ცდილობენ მოატყუონ ახალგაზრდობა ყალბი, შოვინისტური და ოპორტუნისტული ლოზუნგებით, ჩაშალონ მისი საერთაშორისო სოლიდარობა. მაგრამ ამ მტრულ მახინციებს ააშკარავენ და გზადაგზა ანადგურებს კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელსაც ლენინის-სტალინის დიადი დროშით ძღვეამოსილად მიჰყავს ყველა ქვეყნის მშრომელები ახალ-ახალ შეტევებზე კაპიტალისა და მისი მოსყიდული ლაჭიების წინააღმდეგ საბრძოლველად. და, სანამ ცოცხლობს და დღეგრძელობს ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალი, იცოცხლებს და განმტკიცდება ახალგაზრდობის საერთაშორისო სოლიდარობაც. დღეს ყველა ქვეყნის რევოლუციური ახალგაზრდობა ახდენს თავის ძალთა საბრძოლო დათვალიერებას, იგი გამოდის მშვიდობიანობის, სოციალიზმისა და ომის გამჩალებელ პროვოკატორთა წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით. ეს ლოზუნგები აფრთოვანებს მათ მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად.

საბჭოთა ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობა კი, სრულიად სხვა პირობებში ატარებს თავის დღესასწაულს. იგი ამ დღესასწაულს ხვდება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მიღწევებით ყველა ფრონტზე.

ახალგაზრდათა მეოცდახუთე საერთაშორისო დღე საბჭოთა კავშირში ტარდება იმ პერიოდში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ირაზმება საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის დადგენილებათა და ბრძენი ბელადის-დიდი სტალინის მიერ ამ ყრილობაზე მოცემულ ისტორიულ მითითებათა განხორციელებისთვის, როცა იგი ჩაბმულია მესამე ხუთწლედის განხორციელებისათვის ბრძოლაში და იმყოფება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ისტორიულ სტადიაში.

საბჭოთა ახალგაზრდობა მთელი საბჭოთა ხალხის განუყრელი ნაწილია. იგი ამ ხალხთან ერთად იბრძვის და თანაბრად იზიარებს ყველა უდიდეს მონაპოვარს. საბჭოთა ახალგაზრდობა ყველაზე ბედნიერი ახალგაზრდობაა მსოფ-

ლიოში, იგი ერთადერთი ახალგაზრდობაა მსოფლიოში, რომელსაც ჰქვია შრომის, განათლებისა და დასვენების უფლება. ეს არის ის დიადი კავშირებით უფლება, რომლისთვისაც იბრძოდნენ პროგრესიული კაცობრიობის წარმომადგენლები და მნიშვნელოვანი საუკუნის მანძილზე, მაგრამ, რომლის მოპოვებაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით სოციალიზმის გამარჯვების შედეგად.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე საბჭოთა კავშირში ჩვენი ახალგაზრდობის მიღწეათა დემონსტრაციის დღეა. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს უფრო შეგნებული, უფრო კულტურული და უფრო პატრიოტული, თავისი სამშობლოს უფრო მოსიყვარულე, უფრო გმირული ახალგაზრდობა, ვინემ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ახალგაზრდობაა. სტალინური სიბრძნით აღზრდილი ახალგაზრდობა გვიჩვენებს მიზნის გასაოცარ სიცხადეს, ხასიათის სიმტკიცეს, კომუნიზმის დიადი ამოცანების ნათელ გაგებას და შეუდრეკელობას დასახული მიზნის განხორციელებისთვის. არ არსებობს არც ერთი სფერო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, რომელშიც ახალგაზრდობა მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდეს. ჩვენი ახალგაზრდობა და მისი ხელმძღვანელი ლენინურ-სტალინური კომკავშირი თავისი მოღვაწეობის ყოველ წერილშიაში ამჟღავნებენ უდიდეს ერთგულებას და სიყვარულს დედასამშობლოსა და მშობლიური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი. ისინი არ ზოგავენ თავიანთ ძალასა და ენერჯიას ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმიანათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობა გვერდში უდგას მშობლიურ პარტიას მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში, მას არ უნდა ომი, მაგრამ მან იცის თუ როგორ იბრძოლოს და თავზარი დასცეს მტერს, როცა ჩვენს სამშობლოს ძალით ახვევენ თავზე ომს. ბრძოლაში იგი ააშკარავებს ზღაპრულ გმირობას და თავზარდამცემ ცეცხლს აჩაღებს თვით მტრის ტერიტორიაზე. ძღვევამოსილი წითელი არმიის რიგებში დარაზმული ახალგაზრდობა შეუვალ ციხე-სიმაგრედ არტყია სოციალისტური სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვრებს. ჩვენმა ახალგაზრდობამ გმირობის იშვიათი მაგალითი უჩვენა მსოფლიოს ხასანის ტბასთან სამურაების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში მას დროშად მიჰქონდა დიდი სტალინის სახელი.

დიდი სტალინის სახელი აფრთოვანებს და რაზმავს ახალგაზრდობას აგრეთვე საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. ჩვენი ახალგაზრდა ქალები და ვაჟები სამშობლოს ნამდვილი პატრიოტები არიან. მათ თავიანთი პრაქტიკული მოღვაწეობით გააფართოვეს პატრიოტიზმის ცნების მნიშვნელობა, ისინი არა მარტო იარაღით ხელში იცავენ სამშობლოს, არამედ პარტიის ხელმძღვანელობით საკუთარი ხელით აშენებენ კიდევ მას. საბჭოთა ახალგაზრდობა ყველგან — მაღაროებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სოციალისტური სოფლის მეურნეობის თვალუწვდენელ მინდვრებზე ამყარებენ შრომის რეკორდებს, ეუფლებიან საწარმოო ტექნიკას და აფართოვებენ სტახანოვურ მოძრაობას. საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში იპყრობენ მეცნიერების მწვერვალებს, ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და დიდი

ბელადის დაუცხრომელი ზრუნვით აღზნებულნი ყოველნაირად ცდილობენ იყენენ ჩვენი დიდი სამშობლოს ღირსეული შვილები. იმ უხე პროდუქციასა და მოსავალს, რომელსაც იძლევიან ჩვენი ქარხნები და მინდვრები, ღირსა მშობ-
 გაზრდობის წელიწადი. ამასთან, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობა დაუშრეტელი წყაროა ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ და საქმის მკოდნე კადრებისა. თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში ახალგაზრდობა მოკ-
 ლებულა პერსპექტივას, ხვალინდელი დღის იმედს, საბჭოთა ახალგაზრდობა ფართოდ არის ჩამბული პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მოღვაწიობაში. ათასობით და ათეულ ათასობით აღიზარდნენ მშრომელთა წრიდან ახალგაზრდა ექიმები, ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები, სტალინური შევარდნები და ადამიანის სულის ინჟინრები.

საბჭოთა მწერლობა დღეს ამაყობს არა მარტო იდეური და მხატვრული მიღწევებით, არამედ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლებითაც, რომლებიც ჰქმნიან მხატვრული სიტყვის ნიმუშებს. სოციალიზმის გამარჯვებამ ხალხში და კერძოდ ახალგაზრდობაში გააცოცხლა უჩვეულო ენერჯია და შეუქმნა ინტელექტუალური ძალის გაფურჩქნის ფართო შესაძლებლობა. ჩვენი ქვეყნისა და ახალგაზრდობის მიღწევები დღეს იპყრობს მთელი მსოფლიოს ყურადღებას. საბჭოთა ახალგაზრდობა უჩვენებს ყველა ქვეყნის მშრომელ ახალგაზრდობას ლენინ-სტალინის საქმის, ხალხის და სამშობლოს სიყვარულის მავალითს, იგი უჩვენებს კლასობრივი შეურთებლობისა და შტრის უსაზღვრო სიძულვილის მავალითს. საბჭოთა ახალგაზრდობა თანმიმდევრულია მთელ თავის ცხოვრებაში, იგი პარტიის მეთაურობითა და ლენინ-სტალინური კომკავშირის ხელმძღვანელობით დაუნდობლად ანადგურებდა და მომავალშიაც გაანადგურებს ხალხის დაუძინებელ შტრებს, ტროცკისტულ-ბუხარინელ არამზადებს და მათ ნაბოლარებს.

ლენინურ-სტალინური კომკავშირი, მშობელი პარტიის საიმედო რეზერვი, ენერჯიულად ზრდის საბჭოთა ახალგაზრდობაში კომუნისტურ მორალს, ინტერნაციონალისტურ შეგნებას. ლენინურ-სტალინურ კომკავშირს არასოდეს არ დაავიწყდება დიდი სტალინის მითითება, რომ კომკავშირს ყოველთვის თავს უნდა დასტრიალებდეს ინტერნაციონალიზმის სული. ინტერნაციონალისტური სულით შეიარაღებული იგი ანმტკიცებს და აძლიერებს ახალგაზრდათა საერთაშორისო სოლიდარობას და მაღლა სწევს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დროშას.

ახალგაზრდათა მეოცდახუთე საერთაშორისო დღე კიდევ უფრო განამტკიცებს ახალგაზრდობის საერთაშორისო სოლიდარობას, დარაზმავს მას კომუნისტური ინტერნაციონალის ძლევამოსილი დროშის ქვეშ და წაიყვანს წინ კაპიტალისტური დიქტატურისა და ომის გამწაღებლების წინააღმდეგ ბრძოლაში მშვიდობიანობისა და სოციალიზმისათვის.

გაუმარჯოს ახალგაზრდათა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ბელადს და ხელმძღვანელს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს ჩვენს უდიდეს გამარჯვებათა თავედებსა და წინსვლის ლამპარს — მარქსიზმ-ლენინიზმს!

გაუმარჯოს ახალგაზრდობის მეგობარსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

აპოკრიფი

მეგობარს. ჩენს ცხოვრებაში, მეგობარო, ცოტა რამ უცნაური ურევია და ამით თუა საინტერესოა ჩემი ბიოგრაფია.

მინცდამაინც ვასრულებ შენს სურვილს.

მე თუ ამჟამად რასმე წარმოვადგენ, ეს იმდენად ჩემი ბრალი არ არის, რამდენადაც ჩემი წინაპრებისა.

მე თითქო მემართა, ვალდებული ვიყავ, თუ რჩეულთაგანი არა, აუცილებლად სასარგებლო მოქალაქე მაინც ვყოფილიყავ.

ჩენი ოჯახი იყო ბრწყინვალე.

იმიტომ კი არა, რომ ოჯახებს ოდესღაც ჰქონდათ ხარისხი თავადობისა და დადიანობისა.

არამედ ბრწყინვალე...

თავის დროის შესაფერი კულტუროსნობით.

ასე რომ ეს ტრადიცია, მოწინავე რიგებში ღირსეულად დგომისა, საუკუნოებით მოდის...

ეს არც ისეთი სახუმარო ამბავია.

და ესეთი მძიმე ტვირთი აგერ ჩემამდიც ჩამოგორდა.

რა არის ბასაკვირი? მაშასადამე ვასაკვირი ის კი არ არის, რაცა ვარ, არამედ ის — რატომ უკეთესი არა ვარ.

ამიტომ არის, რომ ჩემს გულს სიხარული ეფინება ხოლმე, როდესაც აღამიანსა ვხედავ უწინაპროს, რომელიც თვით არის თავის თავის წინაპარი, რომელმაც შექმნა თავის თავი.

და რამდენადაც ნაკლებია აღზრდა ესეთი პიროვნებისა, რამდენადაც დაბალ-ხარისხოვანია ის წრე, სადაც იგი ვაჟკაცდებოდა, იმდენი მეტი ღიღების ღირსია, მეტი განცვიფრებისა და აღტაცების.

აქ გამოსჩანს აღამიანის გონების მართლა სიდიდე, რის წინაშეც მე მულამ ქელს ვიღრეკ.

თვითშეაქმნილი. ამ ბოლო ხანებში ბევრი გაჩნდა ესეთი.

იმიტომ არის, თუ კი შეამჩნევ, ჩემო მეგობარო, უფრო ხშირად ქედ-დადრეკილი დავდივარ.

აი, ესეთების ბიოგრაფიაა საინტერესო: როგორ გამოჰკვეთეს თავის თავი.

მხოლოდ აქ კი მეც მეთქმის ცოტა რამ — თავის თავის შექმნაზე.

აქ მეც ცოტა წილი მიძევს.

განათლება. შენ კარგად იცი, ჩემო კარგო, რომ მე არავითარი ოფიციალი განათლება არ მიმიღია.

არსად, არავითარს სასწავლებელში არა ვყოფილვარ და ამ გვარად სრულიად „უსწავლელი“ კაცი ვარ.

პირველი ანბანიც კი სახლში თამაშ-თამაშით ვისწავლე. სტუდენტსა და შინაურებს ვაწუხებდი 3—4 წლის ბავშვი: „ამიხსენით ეს რა ანბანი-მეთქი“. არითმეტიკაც ასე და სულ ამგვარ ლიტერატურად წავიკვნი. ჩემი ნაქმე. ეს ყველას აკვირვებდა და უკვირთ ეხლაც.

„**მცირედი**“. ამას წინათ ერთ დაწესებულებაში, საჭირო იყო და შემეკითხნენ — რა განათლების პატრონი ხარო? მიეუფე — „არავითარის“-მეთქი. სიცილი აუტყდათ. არ დამოჯერეს.

„წერა-კითხვა მაინც ხომ იცითო?“

მაშინ დიდის პათოსით განვაცხადე, რომ პრეტენზია მაქვს ქართველ მწერლად ვითვლებოდე-მეთქი.

სათანადო რუბრიკაში ჩასწერეს: „მცირედი“.

რა არის ეს? შეიძლება ქართველი მწერალი მცირედი განათლების იყოს?

მამა. ეს ჩემი „მცირედი“ კი მამი ჩემის ბრალია.

მოგეხსენება, თავის დროზე მამა ჩემი თვალსაჩინო მოღვაწე იყო და აკი მის სიციცბლეში უძრახავდნენ, რომ მე განათლება არ მომცა, მაშინ, როდესაც მრავალი ახალგაზრდა, საზოგადოდ, მისი დახმარებით და ზოგჯერ მის ხარჯზედაც უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიაც კი სწავლობდა.

მას არ სწამდა მაშინდელი გამარუსებელი სკოლა, მაშინდელი პედაგოგიური პრინციპები და.. არსად არ მიმცა.

ბარამო. სამაგიეროდ ისეთი ატმოსფერო იყო ჩემს გარშემო — შეცნიერებასა და ხელოვნებაზე, პოლიტიკასა და სოციოლოგიაზე მესმოდა სულ საუბარი.

ჩვენს ოჯახში იკრიბებოდნენ მაშინდელი რჩეული ქართველი საზოგადოებრივი, უცხოელებიც, განუარჩევლად მსოფლმხედველობისა და მეც ადრე მივეჩვიე საზოგადოებრივ საგნებზე ჩაფიქრებას და, როგორც ეხლა იტყვიან, თვით-კამორკვევას.

ჩას დავაღმე. მაგრამ ამ თვით-გამორკვევამ შორს არ წამიყვანა.

ჩამსვა მწერლისა და არტისტის კალაპოტში.

არტისტობამ კი ბევრი შემძინა, რადგან მართლა უშუალოდ დამაახლოვა ხალხს.

მე ხომ, კარგად იცი, შემოვლილი მაქვს არტისტულ მოგზაურობით საქართველოს თითქმის ყოველი კუთხე და ჩემი აუდიტორიაც მუდამ ეამ მართლა ხალხი იყო, მშრომელი ლიანგი.

ამის მოწმეა ბაქოს, ბალახანის მუშათა თეატრის კედლები, ნოვოროსიის გადამზიდველ და მტეირთავთა მაშინდელი არტელი, ბათუმელი მუშები, სოხუმის მაშინდელი მოწინავე ნოქრობა, ქიათურის მღაღაროელები და ჩვენი ქვეყნის სოფლის გლეხობა.

ყველა ამათგან ეხლაც მაქვს შენახული გასამხნევებელი წერილები და მოსალმებანი.

ესე ვიყავ აუდიტორიასთან.

არტისტულ წრეში კი მუდამ ვიყავ ბოგემა და ეს ანსოვს იმ სეზონებს, რომლებიც ვაკიმულან ჩემი ცხოვრების მთელი ოცდაათი წლის მანძილზე.

მწერლობაც და არტისტობაც აღრე დავიწყე.

წვერ-ულვაში მიმწვანდებოდა, როდესაც სცენაზე შევედგი ფეხი, 18-19 წლისამ.

და თითქმის ამავე დროს დაისტამბა პირველად, გაზს ჩაუწვინა „მისი“ ჩემი პაწია მოთხრობა: „წმინდა ცრემლები“.

თუმცა წერაში უკვე გაჩვეული ვიყავ, რადგანაც ჯერ კიდევ 14 წლისას საკუთარი ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ შეკონდა და ძალიან „დახელოვნებული რედაქტორიც“ გახლდით: მეთაური წერილები, ფელეტონები, მოთხრობები, პატარ-პატარა სასცენო პიესები და ლექსებიც კი, სულს ჩემს კალამს ეკუთვნოდა.

არ იფიქრო, რომ, მიუხედავად ასეთი სიუხვისა, სხვები არა მყვანდნენ თანამშრომლებად.

როგორ არა.

ზოგი მათგანი დღეს თვალსაჩინო მწერალია და საზოგადო მოღვაწე. მათ შორის მიხა ცხაკაია, რომელიც, ერთი ჩემი ბიოგრაფის არ იყოს, ამ ჟურნალში თავისებურ რევილუციურ „დინამიტებს აწყობდა“.

რევოლუსიონერობა. ეხლა ამაზედაც ვთქვათ, მაგრამ...

რევოლუციონერობაზე კი, კარგად იცი, დღეს ბევრი ლაპარაკობს. გამოაქვს რალაც ძველი თამასუქები.

მე მგონია რევოლუციას არავითარი მოფერება არა სჭირდება.

და მეც რათ უნდა გავშაბლონდე?!

ჩემი სიმდიდრე. ნამდვილი ცხოვრება დავიწყე მას შემდეგ, რაც ქალებს ვავეცანი და ქალებს ვავეცანი მას შემდეგ, რაც ცოლი შევიერთე...

მაგრამ მე მგონი ეს კი ზედმეტია... გადავაჭარბე!

ჩემი ცოლ-ქმრული ამბები ვისთვის რა საინტერესო უნდა იყოს.

რომელი ხელოვანია ისეთი, რომ მრავალი ცოლი არა ყოლოდეს. მრავალი რომანები არა ჰქონოდეს.

ვის გავაკვირებ?

მხოლოდ ერთშია განსხვავება: სხვები შეიძლება მალულად ახერხებდნენ თავიანთ რომანების თხზვას, რადგანაც მათ, ეტყობა, სწამდათ, რომ „სიყვარულსა მალვა უნდა“ (ხალხური).

მე კი ამ ფრაზას თითქო მეორე ლექსს ვაგებებდი:

„...სიყვარული, რას მიქვიან დაფარული“ (აკაკი).

აკი ამიტომაც ჩემი საქმეები თავს არ იმალავდნენ, თითქო თავის თავად ვაჰყვიროდნენ ყოველ მხრივ.

მაინცდამაინც ერთი შემიძლია ვთქვა: ეს ჩემი სიმდიდრეა, ქალებმა ბევრი რამ მასწავლეს..

ნამსახურობა. სხვა კიდევ რალა უნდა მოგახსენო, მეგობარო? ჩემი ნამსახურობა?

93-დან სულ მსახიობობა და რეჟისორობა ქართულს სცენაზე.

შემდეგში მონაქცევზე: თავმჯდომარეობა მსახიობთა კავშირისა, თავმჯდომარის ამხანაგობა მწერალთა კავშირში, ხელოვანთა ცენტრში და 1921 წლიდან კი განათლების კომისარიატში ხელოვნების განყოფილებაში თითქმის ათი წლის მანძილზე განუწყვეტელი სამსახური: „თეო-ს“ (სათეატრო განყ.) გამ-

გედ, ხან მოსკოვის კულტურის სახლის გამგედ, ხან ხელოვნების განყოფილების გამგის ამხანაგად და სხვ.

ასეთია მშრალი სია, მაგრამ შენ უთუოდ სხვა მხარეც გაიტყუებოდა ჩემი სულდგმისა და აი, გადავდივარ ჩემს ნაწერებზე.

ნაწიკები. ჩემს ნაწერებში ამბობენ კარგიაო:

„უბედური რუსი“, რომანი (ვაშლი. „ქართული წიგნი“-ს მიერ).

„გუშინდელი“ და „კაკალ გულში“ (პიესები).

ამ უკანასკნელს მაინც ძალიან სახელი ვაუფარდა. ერთმა უცხოეთიდან ჩამოსულმა ამხანაგმა გადმომცა, რომ „კაკალ გულში“-ს ევროპასა და ამერიკაშიც იცნობენო.

დღემდე არ ვიცი — დამცინა, შემომწივლა, თუ უხაროდა?

ასეთი გულუბრყვილო კაცი ვარ.

მაინცდამაინც ამ სამზე დიდი უმრავლესობა ამბობს და ზოგი სწერს კიდეც — კარგიაო.

ისე, ბლომათა მაქვს ნაწერები.

ჯერ კიდევ გამოცემას მოეღის.

გამომცემლობანი აქამდე ნუგეშს მაძლევდნენ მუდამ. მეც ამ ნუგეშით ვცხოვრობდი.

ისე კი გამოცემულია სახელგამის მიერ ჩემი პიესების კრებული 23 წ., მაგრამ, რაღა თქმა უნდა, არ არის სრული.

ბელეტრისტული ნაწარმოებები კი თითქმის ყველა დასტამებულია თავის დროზე და გაბნეულია სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში.

მათ შორის მოთხრობები: „სამსონის თმები“, „შვილი“, „ტყვე“, „ლელა“, „ზორცი“, „ჯადო“, „ათე“ და სხვ. აგრეთვე მინიატურები 80-მდე.

ყველა ამათ, მე მგონი, ამჟამადაც აქვთ უფლება ცხოვრებისა და „გადისაგდებლად“ არც ერთი არ მიმანჩია.

ისე სხვაცა მაქვს ნაწერი. პუბლიცისტური ხასიათისა, რომელთა შინაარსი უფრო ხელოვნების გარშემო ტრიალებს საერთოდ და კერძოდ კი უფრო ქართულ თეატრზე. ესეებიც თავ-თავის დროზე იბეჭდებოდა.

პატარა აღსარება. არის კიდევ ერთი უცნაურობაც.

კაცი ვერ შემატყობს თუ მწერალი ვარ. განსაკუთრებით ჩონა-აბალონით თუ ვარ გამოწყობილი.

არ მახლავს ის კაბინეტური ელფერი, რომელიც თითქო მწერალს უნდა შესდგამდეს.

ვერასოდეს ჩემს თითს მელნით მოსვრილს ვერ ნახავთ და...

გამოგიტყდები... ეს მიხარია.

მერე სად არის მთელს ამ ამბებში უცნაური რამ?

მე მეუცნაურება:

კაცს მწერლად მომაქვს თავი და ოფიციალი განათლება კი არ მიმიღია. შეძლებულსა და მოწინავე ოჯახიდან ვარ გამოსული და ჩემისთანა ხალხოსანი და იმავე დროს ბოგემა თავის დროზე იშვიათი მოსაძებნი იყო.

ჯერ ცოცხალი ვარ, ჩემზე უკვე სხვადასხვა ლეგენდები მიმოქრის.

მაგრამ დაეანებოთ ამას თავი. შორს წაგვიყვანს.

თარიღები მოვიხსენიოთ:

თარიღები. დაბადებული ვარ ქ. ზესტაფონს, 1874 წ. მაისის (მ) ოცდართს. სცენაზე მუშაობა დაიწყო 1893 წ. თებერვლის (2) თხუთმეტს. ჩემი პირველი ნაწერი დაისტამბა ცალკე ლექსების კრებულში „საპატრუკალი“-ს სახელწოდებით და „ქუჯის“ ფსევდონიმით 1893 წ.

დიდ პრესაში გამოველ პაწია მოთხრობით 1896 წ. („წმინდა ცრემლები“). იუბილე გადამიხადეს 30 წლის მოღვაწეობისა 1923 წ.

და არ შემძლია ერთხელ კიდევ გულთბილი მადლობით არ მოვიხსენიო ჩემი მშობელი მხარე, რომლის ყველა თვალსაჩინო კუთხეში გაწვეულ ვიქმენ სახეიმოდ.

ეს დღეები სამუდამოდ დაუფიწარია და ამტკიცებს ჩვენი ხალხის დიდ-სულოვნობას, რომ ჩემისთანა მუშაიკ ვაიხსენა.

მოსკოვშიაც ვიყავ ვაბედნიერებული ჩემ თანამემამულეთაგან, რომ ჩემი სახეიმო საღამო მოეწყოთ, სადაც მონაწილეობა მიიღეს და მომესალმენ იქაური თეატრალური ორგანიზაციები და მათ შორის სამხატვრო — ნემიროვიჩ-დანჩენკოს და მცირე თეატრი — სუმბათაშვილი-იუტენის მეთაურობით.

ასე რომ ამჟამად პანაშვიდის გარდა, მგონი, არაფერი მაკლია. მინდა, რასაკვირველია, შორს იყოს ეს თარიღი, რადგან ჯერჯერობით... ჯანზედაც ვარ და დასაწერიც კიდევ კარგა ძალი მაქვს. იმდენი მინახავს და იმდენი განმიცდია.

თანაც არ დამისრულებია განზრახული ჩემი კვინკლოსი.

გული დამწყდება, რომ ვერ გამოვაიმეღავენო...

ასე რომ, როდის იქნება ეს თარიღი აღნიშნული, საყვარელო მეგობარო, ამას, რაც უნდა მოვიწოდო, ვერ ვიტყვი.

დასტალუღი. ამის დაწერის შემდეგ (1929 წ.), როგორც ხედავ, მეგობარო, კარგმა ხანმა განვლო.

მას შემდეგ ჩემი ცხოვრებაცა და შემოქმედებაცა შემდიდრდა ბევრი საგულისხმოთი.

ბევრი ტკბილი წუთები განვიცადე.

ასეთი იყო 1934 წ. მოსკოვში, საცა მეც ვიყავ ერთ-ერთი დელეგატთაგანი საერთაშორისო მწერალთა ყრილობაზე და წილად მხედა ამ საპატიო კრებულში სიტყვით გამოვსულიყავ.

სიბარულს განვიციდი იმ საღამოებზედაც, რომელზედაც ჩემის მეოხებით, დრამატულის გზით, ქართულს თეატრში სცენიდან აღაპარაკდნენ ჩვენი კლასიკოსები: ილია ჭავჭავაძე („ჩატეხილი ხილით“) და ნინოშვილი („ნინოშვილის გურიით“).

უკანასკნელად კი წილად მხედა ის ბედნიერება, რომ კვლავ სცენიდან პიესით „ნაპერწყლიდან“ მემამნა მსმენელ-მაყურებლისათვის მუშათა კლასის აღმაფრთოვანებელი ისტორიის ერთ-ერთი დიადი ეპიზოდი ბოლშევიკურ პარტიის ჩამოყალიბებისა საქართველოში დიდი სტალინის ხელმძღვანელობით და იმავე დროს დიდის მოკრძალებით მტყენებინა სახე ამ მაშინ ახალგაზრდა „მგზნებარე კოლხიდელისა“ და უკვდავი „მთის არწივის“, დიდი ლენინისა.

შევესწარ დიდ თარიღების ზემოთ აღნიშნასაც საქართველოში: ილია ჭავჭავაძისა და უკვდავ რუსთაველის იუბილეებს. ორთავ იყო გულის მასალა-

ბუნებელი, ხოლო უკანასკნელი გადაიქცა დიდ საკავშირო დღესასწაულად, ხალხთა ძმობის განმამტკიცებლად.

დასასრულ ყველა ასეთ საერთო დიდ გახარებას დაემტკიცა ^{ერეკლე} მეფე, საბერძნოდ, გვირგვინი ჩემის ცხოვრებისა: ის დიდი ნდობა, რომლითაც აღმჭურვა მშრომელმა მოსახლეობამ, პარტიამ და ხელისუფლებამ და გამზადა საკავშირო უმაღლეს საბჭოს დეპუტატად.

ყველა ეს უდიდესი სიხარულით გულს მიძგერებს, მღვდროვანებს და მაძლევს ძალას, რაც ხანი დამრჩა სასიცოცხლოდ, მეტის ზალისითა და ენერჯით შევწირო ხალხის სამსახურს: წერით, სიტყვით, მოქმედებით.

გამიმტკიცებია: სიბერე ტყბილი დამიდგა.

და უნდა იცოდეს ახალგაზრდამ, რომ ასე სკოდნია მოუწყინარს და, ეტყობა, სასარგებლო მუშაობას. ხალხი მას არ ივიწყებს.

ამის მაგალითი მე გახლავარ.

ქონსტანტინე ზიზინაძე

ბარაკონი

ჩემს ქვეშ ისევე მშობლიური ჰყვავიან მთები,
 და კვლავ ნაცნობი ეუფლება სულს მღელვარება.
 აღმოსავლეთით წამოშლილი საღამოს ფრთები
 დასავლეთისკენ მიიჩხვება ოქროს ღვარჯობად.

თითქოს წამდგარა საკიდაოდ ქედის წინ ქედი.
 ჩრდილში მიძვრება ძირს რიონი, როგორც დრაკონი.
 კლდეზე სხივები კანკალებენ, — და ბარაკონი
 თეთრად ქათქათებს, ვით ჯეჯილში ჩამჯდარი გედი.

უკვე წუთხარო წარბშეკრული ჩაბალახს იხვევს,
 თრთიან უღონოდ შორეული ელვის რკალები.
 გუნდი გაფრინდა მტრედებესა, და ნამგალები
 დაფეთებული გარს უვლიან შხუილით ციხეს.

მეჩხლავი

ყოველ გაზაფხულს მოფრინდებიან
 (ასე ვრძელდება მეექვსე წელი),
 კიბეს ფარფატი ამოჰყვებიან,
 სადაც ბუდეა იმათი ძველი.
 შემოუვლიან კიბის თავს ფრთხილად,
 საყვარელ ქერქვეშ ტკბილად ეივიან,
 დაიძინებენ საღამოს წყვილად,
 მობუზულეები, თუ სიცივეა;
 ხოლო, როდესაც გარშემო თბილა,
 სთვლემენ მწყაზრულის ყელმოღერებით,
 ვიდრე არ მოვა თბილისის დილა
 საცხე გემრიელ, მსუქან მწერებით.
 ერთი მათგანი დღითაც იძინებს,
 ღრმად ჩაყუჩული ბუდეში ცალად.
 ბოლოს ხომ ბუდეს ააწრიბინებს
 გასაოცარი ბუნების ძალა!



მშობლების გულიც რამ გაახაროს
 ამაზე უფრო მეტი სიამით:
 მათ მიუმატეს არსთა სამყაროს
 ოთხი არსება ბუსუსიანი.
 შემოფრინდება დედა თუ მამა,
 შეირხევიან ერთად ყველანი;
 ჯერ მათ სიყვარულს შეადგენს ჭამა,
 და პირს აღებენ პირყვითელანი.
 დაიზრდებიან მშობელთა ზრუნვით,
 და აღარ უჩანს საზღვარი ლხენას,
 კიბის თავზე რომ საშიშარ ბრუნვით
 შეიჭყევიან თანდათან ფრენას...
 წავა ზაფხული ისე ვით წამი,
 მოვა სიგრილე შემოდგომისა —
 საგვარეულო თათბირის ეამი,
 დრო მავთულეებზე დინჯად სხდომისა.
 წაელენ. წინ უდევთ გზა უღვეელი —
 უცხო ველები, უცნობი მთები...
 ფიქრი მოიცავთ გაურკვეველი,
 ცას გასერავენ ცახცახით ფრთები.
 წამოეშლებათ გრძნობები უტყვი
 ცნობიერების ქვეშ დაფარული —
 შორს დარჩენილი მშრომელი კუთხის
 მოგონებანი და სიყვარული.
 მათ ჩემი კიბე ოცნებით დაღლის
 და, პაწაწინა თავებში მდგარი,
 არაბეთსა და მზურვალე მალრიბს
 გადაუჭროლებს ისე ვით ქარი.

კონსტანტინე გამსახურდია

ბ ე ლ ე დ ი¹

ბრილოვია

წიგნი პირველი

10. „წ ა რ მ ა რ თ ი“

კვირა დილას უცნობი ხმა შემოესმა სოსოს. საბანი თავზე მოიხვია, გვერდი იცვალა, ჭრიალებდა სახლი, დაიღმუვლებდა ქარი, ისევ მიწყნარდებოდა, წივოდა სამოვრის ორთქლი, სათითაოდ ეწვეთებოდა სოსოს სმენას გაუგებარი სიტყვები და იძალებდა ძილი.

გამოღებულ კარიდან შემოსულმა სინათლემ მოქნეულ ლეკურსავით გაივლვა, შუქი შეუჩნდა ქუთუთოებს, თვალი გაახილა მთვლემარემ.

დედა და ვილაც უცნობი დევკაცი სუფრას შემოსხდომოდნენ, შიშინებდა სამოვარი, წრიბინებდა ისე საწყალობლად, როგორც როჭოს მართვე დეკაში, როცა ხმელის პირზე გამდგარია ზეატი და მოწყურებული ძერები ცას აწყდებიან სასოწარკვეთილნი.

გვიმრისფერი, მწყემსური ფაფახი ეხურა მოხუცს, წილამურები ყბებამდის სწვდებოდა, პირუტყუნაკერი ტყაბუქი ეცვა მგლისფერი, ტუჩპირთან ოდნავ შეყვითლებული, მატყლივით თეთრი წვერი სატევრის ვადაზე სცემდა, ხოლო სატევარი, სატევარი ისეთი გრძელი იყო, კოჭებამდის უწევდა ტაბურეტზე წამომჯდარს.

სწორედ ამ სატევარისადმი ინტერესმა გამოაფხიზლა სოსო. სატევარი ცალ მხარეს ვერცხლით შეკედელი იყო, ლაპარაკის დროს ხელებს ამოძრავებდა ბერიკაცი, ჭანაობდა სატევარი და სოსომ შენიშნა მეორე მხარეს, ხანჯლის ვადის ქვემოთ რაღაც წარწერა მოსჩანდა. ამაოდ ეცადა, მიანიც ვერ ამოიკითხა იგი.

ცნობისწადილმა შეიპყრო ყმაწვილი. ვინ უნდა ყოფილიყო ეს მოხუცი, რომელსაც თავისი ახმაზი გარეგნობის მიუხედავად ასეთი ამო ხმა ამოსდიოდა გულის არედან? დედის ნანასავით მოესმა იგი ჯერ კიდევ მთვლემარეს.

საუბრის დროს თავი გააქნია ბერიკაცმა, ერთბაშად ეკატერინესაკენ კისერი მიიდრიკა და სწორედ ამ დროს ბებერი ხარის ქედევით დანაოქებულ, ფაფუკი ჭინჩი გამოუჩნდა მზვარეში დამწვარი, მერმე დახარა თავი მოხუცმა და იღუმალი გამომეტყველებით, თითქმის ჩურჩულით ეუბნება ეკატერინეს:

¹ დასაწყისი იხილე „მნათობი“, № 8

„დამიქციეს, დამიქციეს ოჯახი, კეკე ჩემო, ჩვენს ჯავახეთში ყოფნის დროს ჩაფრები მისციენიან დედაკაცებსა, მამუკაი მალეთხამთ, ცხენდაცხენ ეკითხე-ზიან თურმე ჩემს დიაცსა, მამუკაის სახლი სად არისო აქა? ეჩქინენუა!“

დედაკაცს შაჰშინებია, ე მანდ არისო მამუკაის სახლამ, მიწებებშია ხელი გომურზე, გომურისთვის ცეცხლი მიუციათ, დაჰქადნებიან, თუ მამუკაი ვათოკილი არ მოგვიყვანიათ, მეორედ მოვალთო, დედაბუღიანად ამავბუგავთო.

რაც ხეესურეთიდან გამავსახლდით, სუ აგეთ ყოფაჩი ვართ, ბუჭურაული წამოგვჩენია, აიყარენითო, ნაყმეგები უნდა დავასახლოვო თქვენს ნასახლარზე. ამილახორი გვპირდება, სამთაეისში დავასახლებთო, არც ამილახორი გვაძლევს სამოსახლოსა, არც ბუჭურაული გვოყენებს, ბუჭურაულის ცოლი ძმაა თქვენი ვეზნაჩანიკი ცოვიანოვი. ესენი მიწყობენ ამ საქმესა, როგორც კი ცხორჩი გასულს შეგვიგულებენ, დიაცებს დაგვიწოკებენ, საქონელს გეტაცებენ“.

„მერმე მამუკაი სადღაა ამდენ ხანს?“

ჩურჩულით შეეკითხა ეკატერინე.

„მერვე წელია ამილახორიანთ ქარის წისქვილს ადგია მამუკაი ჰალაჩი თავსა.“

„ღენერალ ამილახორს მეპრიანა, პაპისეულ ციხეზე გაემართნა ქარის წისქვილი. ამილახორის კოშკთან თუ გაგივლია, სოფლის გადაღმა დიდი გოდოლი დგას ერთი. იმ გოდოლზე მოაწყო სწორედ ამილახორმა ქარის წისქვილი. ამილახორის მეზვრება ჩემი ნათლიმამაი, ნახევსურალი ვაჩეი, მანდ დარჩა და დარჩა მამუკაი. ახლა ამილახორის მოურავი ატეხია ი ჩემი ცოდვით სამსე: ი მწითური მეწისქვილე არ მამწონსო, რა კაცია ის კაცი, უნდა დაეთხოვოო აქათითა.“

ვაჩეს უთქვამს: თუ შიავ, ერთი უსახლკარო.

„თუ თუ შიავ, თუ შეთს წავიდესო, საამილახორიჩი რა დაჰკარგვიაო თუ შიავ?“

სოსოს ადგომა მოუნდა, რათა კარგად დაეთვალიერებინა ბერიკაცი და მისი სატევარი, მაგრამ დაცდილი ჰქონდა: როცა უფროსები დაბალი ხმით უამბობდნენ ხოლმე ურთიერთს რასმეს, მის მოახლოვებისას ხმას გაჰკმინდავდნენ, თუ ყმაწვილი დაყოვნდებოდა, წადი ითამაშეო, ეტყოდნენ.

ამ საუბარმა განსაკუთრებით დაინტერესა სოსო. ამიტომაც საბანი წაიფარა სახეზე, სულის გაკმენდა არჩია კიდევაც.

„ჩიტესა და ვამეზი სადღა არიან?“

შეეკითხა ეკატერინე.

„ჯავახეთში დავტოვე, ვავაი უნდა წამემეყვანა, ამიტომაც წამავედი, თუ გვიან არ არის; ისემც შეგეწევა ლომისაის მადლი, მიმბარო ეგების სკოლაჩი“.

მცირე ხანს დადუმდა მოხუცი, ყალიონი დაიფერთხა პაჭიჭზე, შემდეგ ამისა ეკითხება ეკატერინეს:

„თქვენი საქმეები როგორღაა, კეკეჯან“.

„ვერც ჩვენი საქმეებია, ძია ჩემო, წალმართად, ბესოს მთელი ღამეები არა სძინავს ჯავარისაგან, აჩემა სახელოსნო უნდა გავადიდოვო, სამი შეგირდი აიყვანა, ვალებში ჩასტოპა, ახლა ტფილისის ქარხნებმა დიდძალი საქონელი მოაყარეს გორს, შავირდები არა სდგებიან, ჰალაქს ვარბიან, ქარხანაში არ ჩევენ მუშაობას. დღე და ღამეს ვასწორებთ, ორთავეს მონავარს ის სახელოსნო ნთქავს. საქონელის შოვნა აღარაა, გადასახადი მოგვიმართეს“.



კარმა დაიღრიქინა, ბესო შემოვიდა, შამფურზე აცმული მწვადები/ეპირა ხელში, ცალშიაც სველი, ტუნომტერეული ხელადა.

ოთახში საამური სუნი დადგა, მცერიანი მწვადის სუნმა ასევე მწვადი მოადგა პირზე, თევშების, დანების, კოვზების ჩხრიალი მოესმის. ლუკმის ღეჭვა, ხელადიდან გადმოღვრილი ღვინის ლიკლიკი საოცრად ახელებს შიმშილს, მაგრამ მაინც იკავებს თავს, საუბრის გაგრძელებას უცდის.

სწორედ ამ დროს ვაილო კარი, თავშიშველა, ქერა ყმაწვილი შემოვიდა, ვადაჯეროიანი, უფასური ხმალი ეკიდა, ხეცსურული ჩოხა ეცვა და წითელი, სამკერდე მოჭარგული პერანგი მძივებითა და ჯვრებით დამშვენებული, პაჭიქები წითელ-ყვითელი შიბებით დაბლანდული. იღლიაში ფარი გამოეჩრა.

შემოვიდა, გაიღიმა და ბერიკაცს მიაშურა.

„ვაგაიცი მევიდა“, სთქვა ბერიკაცმა, აუღვომვლად გადასჩოჩა სკამი, შემდეგ ყმაწვილს მიუბრუნდა:

„ცხენ თუ დააბინავე?“

გაგასა და ცხენის გავონებაზე გული აუფრთხილდა სოსოს. აბლა ყოველივე ნათელი ვახდა მისთვის, დიდი ხანია, რაც ესმოდა, ვაგა არაბული უნდა ჩამოეყვანათ სკოლაში მისაბარებლად. ვაგა მოჰყავთო, ესმოდა ყოველ სექტემბერს, მოჰყავთო. ამბობდნენ ხეცსურეთიდან ხან ჯავახეთიდან ჩამოსულნი. ვაგაი კი აღარსად სჩანდა.

ამ წელს ბინაც მოუმზადა ეკატერინემ.

მიხა ქილიფთარი ამბობდა: მაინც მარტოხელანი ვართ მე და ჩემი ცოლი, სიამოვნებით ავიყვანთო ყმაწვილს.

ზღაპრული ამბები მოჰქონდათ ვაგა არაბულის მამაცობის გამო.

ვაგამ ძერა მოჰკლაო მშვილდ-ისრით.

ვაგამ ფოცხვერი დასჭრაო ტყვიით.

ამილახერიანთ ჯოგს მგლები დასხმოდნენ თმოგვის ციხესთან. უფროსები ხერთვისს ყოფილიყვნენ წასული. ვაგას შაშხანა გამოუტანია, ძაღლები მიუშველებია, მგელი მოუკლავსო კაციანი თოფით.

სოსო და მისი ტოლები ალტაცებულნი იყვნენ ვაგას ვაჟკაცობით, გარდა ამისა ეს იყო სწორედ ის ამბავი, რომელიც მათ ენატრებოდათ იმ დროს, ბნელ ხეობებში ღამის თევა, მთებში ხეტიალი, მგლებთან, დათვებთან შებრძოლება, ხიფათი, რაც შეიძლება მეტი ხიფათი და ასეთ დროს თავის გამოჩენა. ველარ გაუძლო სოსოს გულმა ვაგას დანახვაზე და საბნიდან წამოჰყო თავი.

„აღექი, შვილო, სტუმარი გეწვია“.

ეუბნება დედა.

სოსომ საჩქაროდ ტანთაიცვა და როცა ყმაწვილს ხელი გაუწოდა, დედამ მიაძახა:

„აკოცე, შვილო!“

სოსომ ყერიმალში აკოცა ვაგას. მოხუცებულს ხელი ჩამოართვა, მერმე უკუდგა მოკრძალებულად და სკამზე ჩამოჯდა სტუმარივით.

თავქაჩორა, თვალმშვენიერი, გრძელყველა და ბეჭკრტყველა ყმაწვილი იდგა მის წინაშე, ფერად-ფერადი შიბებით მოხატული პაჭიქები უცნაურად შვენოდა ლამიყლაპისებრ მაღალ კანჭებს.

ს ა შ ა რ თ შ ე ლ ო ს
კ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს
ე რ ო შ ე ლ ო ს

3550

109839

ოდნაე დარცხვენილი, ლურჯი თვალები ცისფერ ნაპერწკლებს აფრქვევდნენ. ხორბლისფერ თმების ფონზე სახე უზომოდ დამწვანებული ყმაწვილს, ქარისა და მზისაგან აქერცლოდა ცხვირი და შუბლი.

„ამოტოლა ყმაწვილს როგორ მიიღებენო უმცროს განყოფილებაში?“

ეს გაიფიქრა სოსომ და ტყაპუკიან მოხუცზე გადაიტანა მზერა. ბერიკაცს ფაფახი მოეხადა, არაყისაგან შექარხლოდა ისედაც მწითური სახე. დაფანჩული, დიდრონი წარბები თვალის გუგებზე ჩამოფხატოდა, დაბერილი ძარღვები ემჩნეოდა ღაწვებსა და შუბლის კოპებზე ისეთი, როგორც მუხის ფოთლებს ატყვია ხოლმე წალმართ მხარეზე.

„მოდი ჩემთან, იოსებ, რამოტენა გაზრდილხარ.“

ამბობს ბერიკაცი. სოსო მივიდა, მოხუცმა თავისი უშველებელი, წითელი ხელი დაადო თავზე და ახლოს მოსწია. ცხერისა და თუთუნის სუნი ასდიოდა მოხუცის მკერდს.

„ქარგი უქნია ნათლია მიხაკას, იოსები რო დაუქვინებია.“*

სოსომ იღროვა ამასობაში, სატევარი გადააბრუნა და ზედწარწერილი ამოიკითხა:

„უფლისა არაბულისა ვარ“.

„სუყველია ყისმათია და შემთხვევის საქმე. სახელიც ეგრეა, განაგრძო უფლისამ, ბეჩაფი ჩემი დედაი, როცა ჩემზე ფეხმძიმეთა ყოფილა, არხვატში ყველი მიქონდა თურმე გუდაითა, მუცელი აპტკიებოდა, მენადირეთა გამოქობულში შასულა, იჭუე მოულოგინებია თურმე. გამოუვლიათ ხევსურებსა, ზედაც არ შეუხედიათ, ან როგორ გაეკარება მელოგინესა ხევსური. გამოუვლია მემრა ვილაც მახევესა, მოხუცებულ მემცხვორესა. საზრდო დაუტოვებია თურმე: უფლისაი დაარქვითაო ბატარაი ბალასა.“

„მოდი, გაგასთან დაჯე.“

ეუბნება ბესო სოსოს და ორივეს ჩამოუტრიგა მწვადი.

ეკატერინემ ჩაი დაუდგა ყმაწვილებს.

„სად ჩაი და სად მემცხვორის ვოე!“

ამბობს უფლისა და იცინის.

გაგა ჯერ გაბუტულივით შესცქეროდა მის წინაშე დადგმულ ჭიქას, როცა ეკატერინემ კიდევ შეიპატოვა, ხელი შეახო, სწრაფად მოეშვა და ბარძაყზე გაისვა თითები.

ეკატერინემ საშაქრე მიაწოდა.

„თეთრ შაქარ, თეთრ შაქარ!“

ამბობს ალტაცებული გაგა, თანაც შაქარზე უთეთრეს კბილებს აჩენს და პირში იყრის ბლუჯას. სოსომ სიცილი შეიკავა, ეკატერინემ ტბილად განუმარტა: ჭიქაში უნდა ჩაგეყარაო, შევილო.

გაგამ არც აცივა, არც აცხელა, პირში ჩაყრილი შაქარი პეშვში გადმონერწყვა და ჭიქაში ჩაუშვა არხენინად. ბესომ არაყი შეაძლია უფლისას, თანაც ეკითხება: წრეულს თუ არ მიიღეს გაგა, მაშინ რა ვილონოთო?

* დაუქვინებია — მოხუცად: დაურქმევია.

„კეცე დამპირდა მიველებინებო, თუ არ მიიღეს, აღარ ვიცი, რა წყალს მივეცე თავი, ისრივა წავიყვან ცხვორჩი, ან ხეესურებში გავგებეჩქინე და დედულეთში.“

ახლა ყმაწვილებს მოუბრუნდა ბესო:

ბიჭებო, წადით, ცხენს დახედეთო.

ვიდრე ყმაწვილები კარიდან გასვლას მოასწრებდნენ, ბესომ მხარზე ხელი დაადო უფლისას, ჩურჩულით ეუბნება:

„რას აბრალებენ მაინც მამუკასა, ძია უფლისა?“

„ყაჩაღობსო მამუკაი, დუშეთი ბოქაული შატკლამთ, მამუკაის მოკლულიაო, სტეფან-წმინდაჩი ებრაელები გაუძარცვიათ, ესეც მამუკაის ხელის საქმეაო. რვა წელიწადია რაც იმ მხარეებში არ გაუვლია მამუკასა, ან ვინ გავიგონა მამუკაისაგან კაციკვლა და ავკაცობა, ათი წელი ცხვორჩი მყვანდა, თოხლი არ დაუკლამს თავის ხელითა“.

„რაო, შენი ნათლიმამა რას ამბობს, სანამდისინ შევინახავო მამუკასა?“

შეეკითხა ბესო და ისეც მიამალა არაყი უფლისას.

„ამილაბორს ჩასწვებებია ყურჩი, ხომ იცი, რაგვარი ქოფაკია ამილაბორი... მამუკაი აღარ სცხრება, სოფელში უნდა ჩავიპაროო, ცოლშვილი ვნახოვო, ვაგაის ნახვა ენატრება ძრიელა.“

„რა გაემტყუნება ბედშავს, რვა წელიწადია ცოლშვილი არ უნახამს“.

„იცი, რა ვითხრა, ძია უფლისა, გორში ჩამომგვარე მამუკაი, აქ მტკერის პირად ნახშირისა სწვავენ ოქუაშვილები, შევეხვეწები ამუშაონ ვინძლო მამუკაი.“

ესა სთქვა და გველნაკბენივით წამოიჭრა ბესო. გაღებული კარიდან თვალი მოეკრა, ყმაწვილებს ცხენი მოეხსნათ და ვიდრემდის ბესო გარედ გამოხტომას მოასწრობდა, სოსო ცხენს მიაჯიროთებდა ციხისაკენ, გაგა ფეხდაფეხ მისდევდა მხედარს.

ეკატერინე თავშიშველი გამოვარდა გარედ, ბავშვი არ გადმოაგდოსო ცხენმა.

ქარი დაგვავდა თუნუქის სახურავზე, ლეწავდა კარ-ფანჯრებს, მტკერის კორიანტელში თვალი მოჰკრა სოსოს თუშურ ქუდს ეკატერინემ და შერმე ცადამიწა გააერთიანა ქუჩიდან ამდგარმა ბულმა.

* *

გაგა არაბულის გორში ჩამოსვლამ დიდად გაახალისა სოსო და მისი ტოლები. ალტაცებას ჰგვირდა შეგობრებს მისი ჩოხა და პაჭიკები, მისი ხეესურული კილო, უფრო მეტად ხმალი და ფარი.

სოსომ და პეტამ მთელი გორი შემოატარეს, კვერნაქისა და ბურეთის მთები, გორისჯვარი და ატენის ტაძარი აჩვენეს.

გვიც ყბაყურა სჭირდა, ასე რომ გაგამ შეიავსო სასიქადულო სამეული. შურდულისა და ისრის სროლაში მხოლოდ სოსო უძლებდა გაგას მეტოქეობას.

ჩუმჩუმად დასცინოდნენ კვიმატები გაგას ხეესურულ ადათებს, რადგან გზაში შეხვედრილ უცნობებს გამარჯვებას ეუბნებოდა, კარში პირველი არ შევიდოდა, მომეტებულად გულფიცხი იყო და თავმოყვარე. ქუჩის ბიჭებთან

არც სწავლა უნდა გაგა არაბულს, არც წიგნები, აღარც „კონსტიტუცია“.
 ცხვარში წავა ისევ, პაპა არაბულთან, ან ხევსურეთს გადავა დედის მშებთან,
 ჯიხვზე სანადიროდ წაპყვება გავნიას და აღუსა.

პატარა ხირჩლა სად ნადირობს ნეტავ შაშვებზე, ძველ შაკიკი თუ აწუხებს დიდება მზიას?

ფიქრობს, ფიქრობს გაგა არაბული და გორიდან გაპარვას ნატრულობს იდუმალ.

11. ხ ი შ ა თ ი

დიდი მზადება ჰქონდათ ამ ზამთარს სასულიერო სკოლის მოწაფეებს, ეპისკოპოსს ელოდნენ ტფილისიდან საშობოდ. მოსვენება არ ჰქონდათ მგალობლებს. შობის დღეები მოთავდა და ეპისკოპოსი ჩამოვიდა დიდის ამალით. ნათლისღებას სტუმარმა სწირა, ნაწირვეს გორის მთელი მოსახლეობა მიაწყდა მტკვარს, დეკანოზმა ჯვარი ჩაუშვა მდინარეში. ჯველებმა ტანზე გაიხადეს, წყალში გადაეშენენ.

ბაყალმა ბიწაქემ ამოიღო ჯვარი.

ატყდა თოფების გრაილი. მგალობელთა ზორომ დაიგუგუნა:

„რა ჟამს იორიდანეს ნათელს იღე შენ უფალო.“

საზეიმოდ ჩაცმული სამღვდელოება პათეთიური ღაღადისით წინ გაუძღვა ბრბოს. მთელი მაზრის თავად-აზნაურობა, გორელი ვაჭრები, მოხელეები, ორივე სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები, ხელოსანთა ამქრები თავთავიანთი დროშებით უკან მოპყვებოდნენ ეპისკოპოსსა და მის ამალას.

ხუცები აკმევენენ, ღაღადებდნენ და ლოცავდნენ გზად შემოყრილ ხალხს. სახლების ბანები და აივნები ადამიანებით იყო დაბუნძლული. მგალობელთა გუნდი წინ მიუძღოდა პროცესიას.

უსიამო ქარი ჰქროდა. მთლად კალისფერი ციდან თოვლის ნამქერი ფიფქავდა. ბლუნჯისამარა გამოსულ შეგირდებს სიწითლე წაჰკიდებოდათ ყინვისაგან დამზრალ ლოყებზე.

მზე უნიათოდ ატფობდა დითოვლილ მიწას.

სასეებით მოულოდნელად გამოვიდა მოსახვევიდან ეტლი და პროცესიას გაუსწორდა. ფერად-ფერადი ბაირაღების რხევამ ცხენები დააფრთხო. მეეტლემ აღვირები აკრიფა და დატუქსა ისინი. მარცხენას ფეხი დაუტურდა დაღმართში, მარჯვენა წინ გაჰქანდა, მეეტლე კოფოზე წამოდგა, ისევ გადაუჭირა გაოწნებულ ცხოველებს კნუტი, მარცხენამ მუხლი გაისწორა და ორივემ საშინელის სისწრაფით დასძრეს ეკიპაგი. მეეტლემ ვეღარ შეიკავა ცხენები და თვლის დახამხამებაზე ბრბოში შეიჭრა ეტლი.

სოსომ ყველაზე ადრე შენიშნა ეს ამბავი, მარჯვნივ გაიხედა და მის გვერდით მიმავალი გაგა არაბული გააფრთხილა: უკუდექო. გაგა განზე გადახტა, ხოლო თავით ადგილიდან დაძვრას ვიდრე შესძლებდა, მარჯვენა დაწვის თავზე ეძვრა ეტლის ტიმონი.

თავბრუ დაესხა, ანაზღულად წაიჭა ყმაწვილი.

მოზღვავებული ხალხი ამობოქრდა, კოფოდან ჩამოათრიეს მეეტლე.

ექვსმა ვაჟაკმა ზეასწიეს ეტლი. ვაჟა არაბული მივიარდა და ბორბლები-საგან ვადათქერილი სოსო გამოიყვანა.

ერთბაშად ბრბო გაირღვა, ქართულ კაბაში მორთულსა და მარჯვენა მიეჭრა ვონებაშიხილ სოსოს.

ბორბლებს მარჯვენა ბარძაყი და მკლავი დაებეჭა.

ეკატერინე სტიროდა, კოცნიდა გულშემოყრილ ვაჟს.

სოსომ დედის ქეითინი შეიცნო. თვალი გაახილა და ამბობს:

„ნუ გეშინია, მე არ მოგვკვდები, დედი.“

ამბობს მკრებელი ხალხი ჩაქოლვას უბირებდა მეეტლეს. ეკატერინემ ცოქალას ჩააბარა ყმაწვილი, გამოეჭომაგა მეეტლეს:

ნურას ერჩითო, შეევედრა ხალხს.

ჟენაურად გაგრძელდა ის ზამთარი.

ციხის ქონგურებზე ჩამომსხდარი ყორნები ყვიოდნენ დღისით, დამლამობით ქარი ღმუოდა.

სახურავიდან წვეთავდა. კოშმარულ ღამეებს ავი სიზმრები მოსდევდა. შეღამებისას სახედრების ღრიალი ესმოდა ავადმყოფს, შინ მობრუნებული ხბორების ბღავილი, კარების უხიაგი რაჯგუნი და მატარებლების რაზრაზი მტკერის ხიდიდან. ისევე როგორც ბალობაში, მაჯლაჯუნა ღანდები დალასლასებდნენ კედლებზე, მამა ოზრავდა, დედა ლოცულობდა, თოვლის ფანტელე-ბი დედის ცრემლებსავით ჩუმად სცვიოდნენ ფანჯრების რაფებზე.

ერთ საღამოს პეტა, გივი და ვაჟა ეწვიენ ავადმყოფს. მოიტანეს სკოლის ამბები, გაახარეს სოსო.

„როდის ეიჭიდავებთ, სოსოჯან, კელავ?“

ეკითხება გივი.

„მალე, სულ მალე, გივი, დედა არ მიჯერებს, თორემ მე ასკინკილადაც ვიელიდი სკოლაში.“

მკლავი თუ ვტყვიავო კიდეც?

შეეკითხა ვაჟა.

„ცოტა, სულ ცოტა.“

დედა მივიდა, მკლავი გაამართვინა, ისევ მოახრევინა.

ამბობს: „მე შეშინია, შევილო, როცა მიტროპოლიტი გახდები, ბარძიმ-ფეშხუმი ველარ ასწიო ამ ზელით.“

„არაფერია, დედი, მანამდის ისე გამიმაგრდება მკლავი, ეკლესიასაც ცალი ზელით იოლად ავწევ.“

12. „ფ მ ნ ღ რ ი ხ ა ნ“

მიზა ქილიფთარი მაგიდას მისჯდომოდა, გულმოდგინედ იწერდა ქამთ-ალმწერლის ციტატას:

„ქორონიკონსა. ნდ. ჟუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდა. დიდი სიკუდილი იყო და მოკვდა დედოფალი, ცოლი ბაგრატ მეფისა.“

მზე დაბნელდა და მოკვდა უფლისწული.

გამოჩნდა თემურ-ლენგ და მოკვდა კათალიკოზი.

შავი ქირი გაჩნდა და მოსწყვიტა ტფილისი, დმანისი და ვორი. დაცხრილდნენ ციხენი, ჭალაჭნი და აგარანი. იქმნა სიყმილი დიდი".

ამის შემდეგ მიხას უნდოდა წერილად აღეწერა თუ როგორ დასრულდა ქატი მთებში გახიზნულ ხალხს და სწორედ ამ დროს თავზე წაადგა შემფოთებული ცოქალა.

ჯიქურ მიხალა: უცნაური რამ სახადი დამართნიაო გაგას, სახე აერია, თვალეზი წამოეგარკლა, საოცრად ბოდაესო ყმაწვილი.

მიხა ქილიფთარი ისე ღრმად შესულიყო ბაგრატ მეფის ებოქაში, ასე ეგონა იმდროინდელი ქაშიანობა ჯერაც არ გადასულა და გაგა არაბულსაც შეჭყრიაო ქირი.

წამოიჭრა მიხა, ყმაწვილის სანახავად გაეშურა დაფეთებული.

თავით ქილიფთარი, მაინცდამაინც ცრუმორწმუნე არ იყო, ხოლო ცოქალა, ცოქალას ავი თვალთა სჯეროდა, კვიმატი ფეხიცა, აუგი თქმისგან წარმომდგარი საფრთხეც, მის წარმოდგენაში უსასტიკესი ტაბუ უნდა სდებოდა ზოგიერთ ცხოველთა, საგანთა და სნეულეზათა სახელებს.

მუდამ შავი ქამის, სიკვდილის და ყოველივე უბედურების ამბებს კითხულობ, ამიტომაც გაგვიხდაო ყმაწვილი ავად, უსაყვედურა მიხას, გულში კი იმის გამო ჰქონდა შიში, რად დაეაწვინეო გაგა გარდაცვლილი ბავშვების საწოლზე.

მიხა ქილიფთარი შეაძრწუნა ამ ამბავმა, ხოლო ცოქალას მომეტებულად უდაგავდა გულს სხვისი შვილის ავად გახდომა, ნანობდა რად ავიყვანეო ზევსური ყმაწვილი? ჩემი შვილები არ მაჩუქაო ღმერთმა და სხვისას როგორღა შემარჩენდო.

დაკვირვების უნარი მეოცნებე მიხას მასზე მეტი აღმოაჩნდა, როგორც კი დახედა, მყისვე გაიხმო ცოქალა და უჩუროულა: ეს არც ქირიაო და არც სხვა რომელიმე სახადი, არამედ ყვაველი დამართნიაო ყმაწვილს.

ცოქალა დაეკვდა, ხაბაზი დარია მოიხმეს.

„უპი ჭა, ბატონები მობრძანებულა, ვენაცვალე მის სახელსა!“ დაამოწმა დარიამ, გაბრუნდა, თონეში ჩააქრო ცეცხლი, მიხამ საყვედური შეჰკადრა ცოლს:

„გეუბნებოდი, ყვაველი აუცრათ მეთქი, არ დამიჯერე, ამიტომაც შეეყარა ყმაწვილს ეს სენი“.

„როგორ თუ სენი!“ აყვირა ცოქალა, ბატონები მობრძანებულან ჩვენსას, აცრა რა სისულელეა, ეჭიმებს რა გაეგებათო და მოჰყვა ჩვეულებისამებრ ცოქალა „მატყუარა“ ეჭიმების ხობტას.

იმ დღეს ინდოური უნდა დაეკლათ, თავით წაფიდა და გაუშვა ძარიდან.

სამი კაკალი დაამტერია, კეცხედ შესწვა სამივეს ნებალი.

დარიამ და ცოქალამ ავადმყოფი წამოაყენეს, ლოგინი დაუშაქრეს.

სილამოს სიციხემ უმატა გაგას. ისევ დაშაქრა ცოქალამ ლოგინი და შაქარი მიაბნია საწოლიდან კარის ზღურბლამდის.

კეცხე დაწყობილი ნებალები აანთო, კისერზე დაიდო და გარს შემოუარა ყმაწვილის საწოლს ჩოქვით. გაგას ჯერაც არ წართმეოდა ცნობიერება. ზევსუ-

რეთში ამის მინაგვარიც არა ენახა რა, ამიტომაც ვერ გავგონებოდა ხედავდა ამას თუ სიზმარი იყო ეს ყოველივე?

შავი გაიხადა იმ დღესვე ცოქალამ, მუხლმოდრეკილმა დასაშინებლმა საწოლის გარშემო, ცრემლმორეული იხვეწებოდა: „ბატონებო, მათქმენსა მადლსა, მომიტყევთ, ბატონებო“.

მესამე ღამეს უარესად ვახდა ვაგაი. ცოქალამ სინათლე დააქრო მთელს სახლში, ესაო და სანთლისანი არიანო ყვევილბატონები.

მიხა ქილიფთარი ბუზღუნებდა, რადგანაც ჯერაც არ მოეთავებინა თავისი ნარკვევი „შავი ჭირი საქართველოში ბაგრატ V-ის დროს“.

„სანთლისანი არიან, დედაკაცო, მაგ შენი ბატონები, ნავთისანი ხომ არ არიან, ლამპა დამინთე, ჩემი დიდი ლამპა, საწერი მაქვს, ქალო, საწერი.“

„ეჰ, მაგ წერიდან მაინც არაფერი გამოდის, ბარემ იჯექი ბნელში“.

მიხა დადუმდა, უსიტყვოდ დემორჩილა ცოლის განაჩენს. ცოქალამ კარგად იცოდა, მიხა რომ დასცინოდა მის ლოცვებს და შელოცვებს, ამიტომაც ზალაში ჩაჰკეტა ჭმარი. ტანზე გაიხადა და ვაგას საწოლ ოთახში შევიდა.

ვაგა ვაჟაკურად ებრძოდა სენს, ორმოცი გრადუსი ჰქონდა სიცხე, მაინც ამჩნევდა, თუ როგორ ცვევავდა ბნელში შიშველი ცოქალა.

ახლა კი საცხებით დარწმუნდა ხევსური, ვაგივებულაო დეიდა ცოქალაი.

მთელი ღამე იჯდა თავის სავარძელში მიხა ქილიფთარი. ხან ბაგრატ V ელანდებოდა, ხან ლანგ ფემური, ხოლო სიზმარში ხედავდა მწყრივად ქართველ ლაშქარს, ერთბაშად შავდებოდნენ თორიანი რაინდები სახეზე, შოცვლილივით ეცემოდნენ მიწაზე. დაბორილობს მიხა ქილიფთარი გორის ციხის ბნელი თაღების ქვეშ.

სხედან მშვილდმოღერილი მეომრები სათაფურებთან, არ იძვრიან სულგანაბულნი.

დაიხრება მიხა, სახეში ჩააცქერდება მუზარადიან რაინდებს, შავი სიკვდილით დადალულ მეომრებს.

ცრემლსა ღერის მიხა ქილიფთარი ნახშირადტყვეულ ლაშქრის შემყურე.

სული ყელში ებჯინება! უნდა შეჰყვიროს: „პარაი“, მაგრამ სდუმან გორის ციხის ბნელი თაღები, მოზიდული ისრები შერჩენიათ რაინდებს ხელში.

სიზმარმა დაალონა მიხა. რაინდები, თორი, ფარხმალი და ხევსური? ეუცნაურა შმანებისა და სიცხადის უცნაური დამთხვევა.

მეორე დღეს დაქინებით მოითხოვა, ექიმი მოეუყვანოთო ავადმყოფს.

ცოქალამ გაოცებულად შეხედა სახეში ჭმარს, ხომ არ შერყეულაო ბედ-შავი, წინა ღამით ბნელში ჯდომისას? ენიშნა: ყვირილი რომ მოესმა ერთ ორჯერ.

ვის ვაუგონია ბატონებისათვის ექიმის მოყვანა? ხატები გაჯავრდებიან და მერმე შენ აგეო პასუხი სხვისი შვილის სიცოცხლისათვის.

ცილისსავან გაკეთებული „თვალის კაკლები“ შეუთქვა ცოქალამ ავადმყოფს, რათა თვალი არ დაეზიანებინათ ვაგასთვის ბატონებს.

მიხა თუმცა გამხდარი იყო, სახეც უნაბივით ჰქონდა მას დამპყნარი, მაინც დიდად ეწეოდა მუცელმერთობას. ცოქალამ ხელი აიღო სადილისა და ვახშმის მზადებაზე, ფრინველის ან ცხოველის გაპრტყვნა განარისებესო ბატო-

ნებს, მაწენისა და ხაჭოს ამარა დარჩენილი მიხა ქანცმიღებული დაწორილებ-
და სახლში.

მშია, მშიაო, გაიძახოდა ბაღლივით.

მთელი დღე იჯდა გავას საწოლთან ცოქალა, უნივერსალური წყნება
ფანდურს:

„იავნანა, ვარდოვ ნანა, იავნანანაო,
აქ ბატონები მობრძანდნენ, იავნანანაო,
შვიდნი და-ძმანი დადიან
შვიდ სოფელს მოეფინენო,
შვიდი კარავი დასცესო,
ბატონები ბაღშია, მუხას ვაშლი ასხია,
ზედ ბულბულები სხედანო, დასძახიან ნანასაო“.

ველარ აიტანა მიხამ „სასტიკი რეკიმი“, მთელი დღე დაყიალებდა გორის
დუქნებში. სტუმრებსა და მოკეთებებს თავს არიდებდა. განათლებული კაცის
სახელი მაქვს, ცრუმორწმუნე ცოლის აბდაუბდამ არ გამიტეხოსო სახელი.

ცოქალა ისეთ დროს შეირთო მიხამ, როცა იგი უზომოდ გაბრუებულ
იყო ხალხოსნურ იდეების ეშვისაგან.

გამოხდა ხანი, ამ იდეებზე, ასეთუისე გული აეყარა მიხას, ცოქალაც შე-
მოაბერდა, და ხელში შერჩა უაღრესად ცრუმორწმუნე და ბნელი დედაკაცი.
მიხას უკვე რცხვენოდა ამ შეუღლებისა, მაგრამ მასთან მაინც აკავშირებ-
და განუსაზღვრელი სიყვარული უბრალო ხალხისადმი და თავისი ოთხი შვი-
ლის დაღუპვისაგან შერჩენილი სიმძიმელი.

ბავშვების ავადმყოფობის დროს ორივენი ახალგაზრდანი იყვნენ, მაშინ
არც ისე ცნობილი იყო მიხა ქილიფთარი, ამის შემდეგ მან საშიოდე ნარკვე-
ვის დაბეჭდვა მაინც შესძლო, ამიტომაც ეჩოთირებოდა ცოქალას უთავებო
ლოცვები და შელოცვები, თავი მომეჭრებაო, იფიქრა მიხამ, ამ ბნელი მისტე-
რიების შესრულებისას თუ შინ დავრჩიო, ამიტომაც მოიმიზეზა „ისტორიული
მოამბის“ სასწრაფო დავალებანი და ეს შეათუჯერ გაემგზავრა დმანისს, რათა
კვლავ ეხილა, როგორც თავათ იტყოდა ხოლმე, „ეს მკედარი ქალაქი, მუნჯი
მოწამე საქართველოს ვადასული დიდებისაი“ და თვალნი თვისნი დაენამა ჩა-
ნაცრული პალატებისა, დაქცეული ბასტიონების და შელეწილ ბქეთა პი-
რისპირ.

გული მოეოხნა და ეფრქვია ცრემლნი, ვითარცა ძველ ისრაელს. იავარ-
ქმნილი სიონის ნაზგრევეებზე მოტირალს.

შინ ასე დაიბარა: ერთი კვირა დმანისში ვიქნები, ბოლნისებს მოვინახუ-
ლებ, მერმე ტფილისს ჩავალ და ორ კვირასაც მანდ დავრჩებიო.

თავისი დაფრეწილი ჩემოდანი შეჰკრა, ნაბადი და ჭრელი ხურჯინი თან
წაიღო წმ. ადგილებზე ღარიბობის უცილობელი ხელსაწყონი.

* *

ოდნავ გამოკეთდა გავა, ცოქალამ „ბატონების ჯვარი“ ამოსჭრა კაკლის
ტანზე და ყელზე შეაბა ავადმყოფს. ოთხი კვირის შემდეგ გამოჯობინდა
სნეული. უმძრახად ჩავიდა ცოქალა მტკერის პირად, ქვა აიღო რიყიდან, წნე-

ლის რკალი შეება, კისერზე გადაიცივა რკალი, საღამომდის ატრია იგი შემდეგ გაგას დაჰკადა კისერზე.

ხევსურს ვაეცინა, როცა ეს ჩაიღინა ცოქალამ. როგორც ჩემს შემთხვევაში ვაეციდოდა, იწვა პირაღმა გაგა, ჰაერში ისროდა და ისევ სიყვარულს სწავლის რკალს.

სწორედ ამ დროს სოსო შემოპარულიყო ოთახში, ისხდნენ მეგობრები, ერთმანეთს ესროდნენ რკალს და ხარხარებდნენ თანაც.

სამი დღის შემდეგ „ბატონები გაისტუმრა“ ოჯახიდან ცოქალამ. უბნის ქალები მოიწვია, ყველამ ფეხთ გაიხადა. „ბატონების კაკლის“ ჭვეშ დასხდნენ, სუფრა გაშალეს, ბატონები ადღეგრძელეს.

სუფრა სავსე იყო სანოვაგით, ხევსურს თვალში მოხვდა ერთი უცნაურობა: წითლად მოსილი დედოფლები დაესვა ცოქალას სუფრის თავსა და ბოლოში.

ცოქალა გახარებული იყო, „სხვისი შვილი რომ აგრე შეიწყნარეს ბატონებმა“, მეორე დღესვე ბაზმა კალმასის მოსაგროვებლად წაიყვანა გაგა.

გაგას უხაროდა კიდევაც ბატონების წყალობით სამი კვირის შევბუღება რომ მისცეს სკოლიდან. გარდა ამისა ყოველ სურვილს უყოყმანოდ უსრულებდა დეიდა ცოქალაი.

წინად ხევსურული ჩოხის ჩაცმას არ ანებებდნენ, საღ მოწაფე და საღ ჩოხაო, ეუბნებოდნენ. ახლა ხევსურული ჩოხაც ჩაიცივა, ფარხმალიც თან წაიღო. დადიოდნენ სოფელ-სოფელ თავშალით პირშებურვილი ცოქალა და ფარხმალიანი ხევსური.

ეს იყო უცნაური სანახაობა უსაქმური გოგოპიჭების საღაცობდ გამხდარი. ჭიშკართან შესდგებოდნენ, მასპინძელს გამოიხმობდნენ: „ბაზმა კალმასი გვიბოძეთ ბატონების ბედზედა“, ევედრებოდა ცოქალა.

ფარხმალიან ხევსურს, მაინცდამაინც არ მოსწონდა ვაეცაცის ტალავარს რომ აკადრეს ფქვილით მოსვრილი ხურჯინი (ხევსურს ხომ ასე სწვევიათ, როცა ვაეცაცი და დიაცი მგზავრობენ ერთად, ტვირთი დიაცმა უნდა ზიდოს). ცოქალა ხალისიანად ჰყრიდა შემოწირულ ფქვილს გაგას ხურჯინში.

ცოქალას ეშინოდა, მიხას არ ჩამოესწრო დმანისიდან შინ მობრუნებულს, რადგან იცოდა, ხატში წასვლას არ დაანებებდა ქმარი, ამიტომაც ატენში შესწყვიტა კალმასობა. იმ დამესვე დააცბო ჩამოთხოვილი ფქვილისაგან ქადები, წითელი ხალათი შეუყვრა ყმაწვილს და ადრე დააწვინა იგი.

შავად გაუთენდა ცოქალას ის ღამე. თავის შვილების შესავედრებლად ხატში გამგზავრება მოაგონდა. პირქვე დამხობილი იწვა და გულამოსკენილი სტიროდა, თითქოს გუშინ მოკვდომოდა ოთხივე ბავშვი.

გაგამ აიჩემა, სოსო სამი დღის დათხოვნილიაო სკოლიდან და თან წაიყვანათო ხატში.

მეორე დღეს უთენია გაუდგნენ გზას ცოქალა, სოსო და გაგა. მოჩარდახული ურემი ჭრილით მიყვებოდა გაწყაბულ ქარაევანს ურმებისას. კოფოზე გაგა იჯდა. ხელში მამალი ეჭირა.

არ ილეოდნენ სოფლები, ვაშლის ბაღები, ხედაბუნები და ველები, სოსო და გაგა ალტაცებული შესცქეროდნენ ქარაფებიდან ვადმომდგარ ციხეებს, შევიდოდნენ სოფელში, ატყდებოდნენ ძაღლები, გამოენთებოდნენ ურმებს, ყმაწვილები სახრით ახელებდნენ ქოფაკებს.

მოყვებოდნენ ნერგების ჩრდილებს, ყივოდნენ მამლები, ყოყინებდნენ სერ-ზე გადმომდგარი სახედრები, ჩაივლიდნენ ცხენოსნები, მტერის ზურასს დაყენებდნენ თემშარაზე და ჩხევე გაისმოდა ძაღლების წკაცწკავი, გაქვინების ურმების კრიალი და მეურმის შეძახილი: ჰამო...

უცხო სოფლებითა და სანახებით აღტაცებული სოსო გამალებული შესცქეროდა დახეულ ფარაგებში გამოწყობილ ქართლელ გლეხებს, უკვირდა: რად არიანო ასე ჩამოწეწილი, რად ჩამოსტირისო ცხვირპირი გლეხკაცს?

სიცოცხლე რომ ასეთი მშვენიერი იყო, ბაღები ხილით დახუნძლული, პურეულის ოქროსფერ ქოჩორზე ცხენივით კოტრიალობდა ველის ნიავი და მწვანე გორაკები ისე საამოდ მოეჩითა მწვანის გამჩენელს, ხელის გადასმა მოუნდებოდა მათ შემხედვარს.

კავკასიონი კაშკაშებდა ყინვის მუზარადებით თხემდამშვენიებული, ლამაალებდა სხივი მთიბაგების ცელებზე, სთვლემდნენ ცარგვალს მიბჯენილი ჯაგარაშლილი ნაძვნარები შორეულ მთებისა.

ისევ გაიღვებდა თეთრი ეკლესია გორაკის თხემზე, ხევში მიყუჟულ სოფლებში სიზმარს წამოყოლილივით აყუფებოდნენ ძაღლები, მერმე ისევ ყანები იწყებოდა, ხილით სავსე ბაღები და გუფულის ძახილი ისმოდა ველიდან, ხოლო მარტოხელა მუხის მწვანეიდან დაწყვილებული ქედნების ლულუნი.

მობობლავდნენ სერზე ურმებისა და ცხენოსნების ფანტასტიურად გაზრდილი ლანდები.

ნასამზრალზე უკვე მოწყენილი ჰქონდათ ყმაწვილებს კრიალა ურმის უსიამო ჯაყუჯაყი. რული ელამუნება წამწამებზე ორივეს.

სხედან კოფოზე სოსო და გაგა, ჩასთვლემენ უეტრად, ისევ გაახელენ თვალს, თავს აკანტურებენ, სალამს აძლევენო ურთიერთს თითქოს.

ჰამო, შესძახებს მკაზე ხმით მეურმე, დაიყუფენ ძაღლები, ან სახედარი აღრიალდება. თვალს გაახელენ.

ახლა სხვა სოფელში მოსულან.

ისევე ალვები, ორლობები, ნერგები, თხრილები, ბოსტნები და ბაღები. ნაკელის სუნი, ცხერის სუნი, ღორის სუნი შემოვეგებებათ ვიწრო უტყებიდან, კრიალებენ გაწყაბული ურმები და უსაზნოდ ყუფენ სოფლის ქოფაკები.

მთები შემოეგებნენ კვლავ. ჯერ პატარა, მრგვალი გორაკები, (დევებს ბალიშები დავიწყნით ეელზე) ისეთი ხავერდოვანი და საყვარელი, თავის დადება მოგინდება ზედ. მათ უკან აღმართულან ნახანჯლარივით დაჩხილი ქარაფები, შაქრის თავივით წოწოლა ქიმები, ბექთარშელეწილი, რუხი ფლატები.

რუხ ბასტიონებს მოაგონებენ შორიდან მაცქერალს ისინი, მათ გადაღმა აზვინულან შურებით დადაღული მწვანე კორდები, ღრუბლების თაჯით თავწაკრული მყინვარწვერები.

ძერასფერ მთაზე თეთრი ეკლესია იდგა. კალმუხის ქუდივით წოწოლა მთას გუმბათიანი ქართული ტაძარი დასდგომოდა თავზე.

შეაზახლოხიანი მნათე გუმბათმორღვეულ სამრეკლოზე შემდგარიყო.

ნელა, სულ ნელა წკრიალებდნენ ზარები, ჩაბნელებული ზევის უბეში სცივიოდნენ კრიალა ხმები.

ქანგურებშელეწილი ციხის გაღავანს მიეახლნენ თუ არა, ცოქალა ჩამოვიდა და ყმაწვილები გადმოსხა ურმიდან. თეთრი ხილბანდით წაიკრა თავი, „თვა-

ლის კაკლები“ და ნიგვზის ჯვარი დაჰკიდა კისერზე გავას, თეთრი ირქა და მამალი მისცა ხელში.

თეთრებით მოსილი დედაკაცები და ყმაწვილები ჩაქვიტნენ კელისიას გარს.

ცოქალამ უბრძანა გავას: დაიჩოქე, პირჯვარი დაიწერეო.

ეუსტანურა ხეესურს, გაიღიმა, მავრამ დადუმდა, ხათრი ვერ გაუტეხა დელობილს.

სოსო კაკლის ქვეშ იდგა, ხედავდა, თუ როგორ დაჩოჩავდნენ ცოქალა და გავა თეთრებიან ქალების და ყმაწვილების ბრბოში.

ძლივს მიფორთხავდა ფარხმალისანი ხეესური ცოქალას გვერდით, ჩოხის კალითებით ხვეტავდა მტვერს.

ცალ ხელში მამალი ეჭირა, ცალითაც მკერდზე მიეკრა თავისი საყვარელი ფარი.

თავმოდრეკილი ცოქალა მისტიროდა თავის ბალღების ადრედავისილ მზეს, მადლობას სწირავდა ხატს „სხვისი შვილის გადარჩენისათვის.“

გაიხარა გავამ, როცა სამი წრე მოათავა. გალავანზე შეხტა. მამალი გააფრინა და მიადახა:

„თუ ჩემია, ჩემი იყოს, თუ შენია, შენი იყოს“. თანაც ეშმაკურად თვალი უყო სოსოს.

ზღვა ხალხი შემოდისა გაპარტახებულ ჭიშკარში. ზიმშიმებდა ბრბო. ბლაონდენ ბატენები, ბორხოცობდნენ გაფრენილი მამლები, დიაკონი და მისი სამი ვაჟი ჭოლოკით დასდევდნენ შემოწირულ ფრინველებს. ჭიჭინებდა ცაცხვის ქვეშ ზურნა.

ღრიალებდნენ გიგები, სტიროდნენ ბნედიანები, გიჟთავანი ზოგი, შეგოკილი მოეყვანა ჭირისუფალთ ხატში.

გავას და სოსოს აროდეს ენახათ ამდენი გიჟი ერთად თავმოყრილი.

ზოგი უსაზნოდ ხარხარებდა, ზოგიც ენას უყოფდა გამვლელებს, სხვანი უწმაწურ სიტყვებს როშავდნენ, ლანძღავდნენ მომვლელებს, ხატებს და სწყევლიდნენ გაჩენის დღეს.

ორს ჩოხიანს ერთი მოხუცი მოჰყავდათ, ახოვანი, ჩაქურატებული დეკაკი.

ჩოხა და ახალახი შემოხეოდა უჭედოდ, უქამროდ და უშარვლოდ წამოსულს.

წელამდის სცემდა სულით ავადმყოფს ნახამთრალ მატყლივით ყვითელი, პატრიარქალური წვერი.

მხარში ამოდგომოდნენ შვილები, ასე მოჰყავდათ, კი არ მოჰყავდათ, ძალით მოათრევდნენ ბედშავს.

შვილებთან ბრძოლისაგან ღონემიზილი, ბერიკაცი ძლივს მოათრევდა ფეხებს, ერთს გაიტრუნებოდა, ნებას დაჰყვებოდა მომვლელებს, მერმე გაიბრძოლებდა სასოწარკვეთილი. კბილებს დააღრქენდა, იდაყვს ჰკრავდა ორივეს ვაჟს ერთად, ერთ ერთს უთუოდ წაჩოქებდა, ცალ ხელს გაითავისუფლებდა, ბლუჯაბლუჯად იგლეჯდა თმა-წვერს.

შეჩოხიანი, მელიოტი მნათე უკან მისდევდა, ჩასციებოდა სულით ავადმყოფს:

თქვიო სახელი შენი ეშმაკის ცოლისა!

სოსო და გაგა შეაძრწუნა ამ მშვენიერი დეკაციის დრტვნივამ.

ბერიკაცი შესდგებოდა, კბილებს დაუკრაკუნებდა მნათეს, მუშტებს ეკუმ-
შავდა ამაოდ, გამიშვითო, ევედრებოდა შვილებს, მნათესაჲს ეწვეოდა
საცემრად.

როცა ოთხივენი საყდრის გალავანს მიეახლნენ, ბერიკაცი უეცრად გაჯიქდა.
ვაეებმა ჩოხის სახელოებში წაავლეს ხელი და გასწიეს, მნათე უკანიდან მიაწვა
ავადმყოფს.

ვაიმე დამკლესო, დაიღრიალა მოხუცმა. ქრისტიანებო, მიშველეთო, ივედ-
რებოდა. გაგა არაბულს გული აუღღლა ამ საზარელმა სანახაობამ, ერთბაშად
გაუძვრა ცოქალას ხელიდან, გულდაგულ მიეკრა ჩოხიანებს, თვალები დაუბ-
რიალა, შესძახა, ხელი უშვითო ავადმყოფს.

„შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ, მეტიჩარავ,“ შეუღრინა გაგას უფროსმა ვაემმა.

„გეუბნებით ხელი უშვით,“ დაიღრიალა ხეესურმა და ხმაღზე გაისვა ხელი.
მნათე და ცოქალა მივარდნენ გაგას.

სად გაგონილა ხატის საქმეში ჩარევა?

„რაისთვის სტანჯავენ მაგ მწერელთ ტყვესა?“ წაიბუტბუტა გაგამ და თავ-
მოდრეკილად მოისმინა დედობილის შეგონებანი. ცოქალამ ხელი წაავლო სო-
სოს და გაგას, სამივენი შეკყენენ თეთრადმოსილ მლოცველებს საყდარში.

გაგა არაბული აქეთიქით თვალს აცეცებდა. იგი უხალისოდ შედიოდა ქარ-
თულ სალოცავში.

ლიცილიცებდნენ კანკელის წინ ანთებული სანთლები, ყვითელ სინაფლეს ეს-
როდნენ კედლებზე დაბატულ ფარ-ხმალიან რაინდებს.

ეს ქართლის ერისთავები და მეფეები უნდა იყვნენო, უჩუჩრულა სოსომ
არაბულს. ხეესურს ვერ გაეგო რა უნდოდა ერის კაცებს ამ ეკლესიაში?

მერმე შარაყანდიანი წმინდანები უჩვენა ცოქალამ გაგას, სათითაოდ ჩამო-
უთვალა მას კედლებსა და გუმბათებზე დაბატულნი. უამბობდა, თუ რომელი
წმინდანი რისთვის, ან როდის უწამებიათ არაბებს, მონღოლებს, სპარსებსა
და თურქებს.

მუდამ ეცინებოდა ხეესურს ქართველი მღვდლის დანახვისას, ხუცესი მას
სრულიადაც არ აგონებდა ჩოხიან, ხანჯლიან ხევისბერს, ეს მღვდელი შინც,
რომელიც იმ წუთში გაჩაღებული კანკელის წინ დაბოროილებდა და სქელ წიგ-
ნებს კითხულობდა, გაცილებით უფრო სასაცილო ეჩვენა გაგას. უზომოდ გრძე-
ლი წვერი ჰქონდა ამ ხუცესს, თეთრ ჩებჩისა ჰგავდა იგი, პაპა არაბულას
ცხერისფარის წინამძღოლ ვაცს.

ხელი წაავლო ცოქალამ გაგას, კანკელთან მიიყვანა იგი, ბაზმის სანთლე-
ბით აენთო.

მოხსნა კისრიდან „თვალის კაკლები“, „კაკლის ჯვარი“ და თეთრი ღროშა
და დაჰკიდა ეკლესიის კედელზე.

იმ ღამეს ჩარდახიან ურემზე ეძინათ სამივეს. ცოქალამ ორივე ყმაწვილი
მკერდში ჩაიხუტა. თავათ არ ეძინა და სდარაჯობდა ყმაწვილების ძილს.

უთენია ზურნის კიჭკინმა და გიეების ბლავილმა გამოაღვიძა გაგა და სოსო.
სოსომ ურმიდან დაინახა უფრო უცნაური სანახაობა:

უზარმაზარ ჯაჭვთან მორიგობით მიდიოდნენ ხატიონები, კისერზე გადაიგდებდნენ და ათრევდნენ ეკლესიის გარშემო.

თეთრად მოსილი ყმაწვილების და დედაკაცების ბრბო ღრუცებდა ქუჩილით გარს უვლიდა ეკლესიას ჩოქვით. ცაცხვის ქვეშ შეზარბოშებული მლოცველები ისხდნენ და ღრვობდნენ.

იქვე ხატის ნიშთან ბატონებს ჰკვლავდნენ ხელწაკარწახებული მამაკაცები. ჩოხიანებს მაგრად გაეთოკათ ბრგე ბერიკაცი, მწითლური მნათე ისევ მისდევდა კვალდაკვალ, ჩასციებოდა:

თქვიო სახელი შენი ეშმაკის ცოლისა!

მერმე უფრო შემადრწუნებელი ამბავი დაინახეს ყმაწვილებმა:

ჩოხიანებმა გალაქანზე აიყვანეს სავსებით შეკოჭილი გიჟი მოხუცი. სამი ვაკეკაცი მიეშველა მათ, ფეხზე თოკი მოაბეს, წამოაქციეს და თავდაღმა დაჭიდეს გალაქანიდან.

უფსკრულის პირად დაკიდულ ბერიკაცს მწითლური მნათე თავს დასჩხაოდა: „მითხარ სახელი შენი ეშმაკის ცოლისა!“

სულითავადმყოფი ბლაოდა საწყალობელად, პირიდან დუქს აფრქვევდა აქელებული.

ცოქალას შეებრალა ყმაწვილები, რადგან ორივეს თვალი დანამოდა ზედმომდგარ ცრემლებსაგან. სოსო მთლად გაფითრებული წამოიჭრა ურმიდან.

ცოქალამ დაამშვიდა, ურმიდან ჩამოიყვანა ორივენი და ეკლესიაში შეიყვანა. როცა საყდრიდან გამოვიდნენ სამივენი, გიჟი უკვე ამოიყვანათ.

ცაცხვის ქვეშ მლოცველებს მოეყარათ თავი. ნამორზე შემდგარიყო ქადაგი. ხატის დუღუქი გაერქო პირში და უსტვენდა.

როცა დუღუქის დაკვრა მოათავა ქადაგმა, ცოქალა დაინტერესდა, რას უქადისო ქვეყანას მისანი?

თავმოტვლებილი, სახედამქნარი ჩია კაცი თვალებს აბრიალებს, უხამსოდ იჯლანება, სიმინდის მარცვალივით ყვითელ კბილებს აჩენს და როშავს:

თამარ მეფემ ცალი თვალი აახილა, სთქვა, ეს რა ამბავიაო ჩემს ქვეყანაში; კოდი პური სამი მანეთი რომ გამხდარაო?

გომბეშობის ხელმწიფე და მისი მურიები გავდევნეთო წუხელ, ეშმაკებს სიკვდილის ღვინი წაამწარაო ხატმა.

თანაც თავის როშვას ასე ათაებდა:

„მაღალილა, ხალაღილა.“

მერმე დატუქტა ქადაგი ლოდზე. მუნვე დებული ყუთი გახსნა და უშველებელი მწვანე გომბეშო ამოიყვანა.

მლოცველები დიდის მოწიწებით შესცქეროდნენ ამ მლოცველს, ხოლო სოსოსა და გაგას ღიმი მოჰგვარა მან.

ცოქალამ მკლავში უჩქმიტა ყმაწვილებს, ნუ დასცინითო მეფის მზეთუნახავს, წმ. გიორგის მსახურიო გომბეშო.

ქადაგი ამწყალობებდა მორიგეობით მასთან მისულ ხატიონებს, როშავდა გაუგებარ სიტყვებს და ტარტალებდა, „მაღალილა, ხალაღილათი“ ათაებდა ყოველ ქადაგებას.

ისევ ყუთში ჩასვა ქადაგმა გომბეშო, ადგა, კავიანი რკინაწილი ხელში, ორი წავე ქათამი, ნაცრიანი პური, წიწაკა და ხახვი დაჰკიდა ზედ. მეორე ხელში ხურდა ფული და ლაყე კვერცხები აიღო.

ეს ეშმაკების საგზალიაო, სთქვა, ეშმაკები თქვენ ჰამეთო წავე ქათამი და ლაყე კვერცხები მიირთვითო. და გადაჰყარა ისინი. შემდეგ ამისა აღვილიდან მოსწყდა, ეკლესიის გალავანზე შეხტა, პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნა და დუღუკი დაუკრა.

ცაცხვის ქვეშ დაესვათ ნაგვემი მოხუცი.

სახე ოდნავ დამწვინდებოდა, თვალები სისხლით ავსებოდა, იჯდა თავჩაქინრული, წელში მოხრილი დეკვტკი, დაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები ღაწვებზე. მწითურ მნათეს მარჯვენაში ჩაეელო ხელი, ზედ ყურის ბიბილოსთან მიეტანა პირი, რალაცას ერთრჩულებოდა იღუმალ.

„ფენდრიხან, გულისხან, ფენდრიხან,“ იზეპირებდა მოხუცი. ელალი ჩოხა მთლად შემოფხრეწოდა ტანზე, ღაწვის თავები და მაჯები დალურჯებოდა შეილებთან ნაბრძოლს, სისხლი გამოსვლოდა შუბლზე და კეფაზე, გაპუტულ თმების ძირიდან ნაჟურს, ინით ნალევივით გაეხადა თმა-წვერი.

მნათემ ხელი შეუშვა ავადმყოფს, ეაქებმა ისევ წაუპირეს მამას ჭანგებივით ბასრი თითები, უკუდგა მწითური მნათე, თვალები დაუბრიალა მოხუცს:

„აბა სთქვი ახლავე, სახელი რა გიქვია შენი ეშმაკის ცოლსა?“

„ფენდრიხან, გულისხან, ფენდრიხან.“

ამბობს გაუბედავად მოხუცი, მოუსვენრად აცეცებს სისხლიან თვალებს.

„ფენდრიხან თუ გულისხან?“

შეუბღვირა მნათემ.

მოხუცმა თავი დახარა.

„აბა შეჰკოქეთ; გალანნიდან გადმოჰკიდეთ ისევე!“ დაიღრიალა მნათემ.

„ფენდრიხან“, წაიბუტბუტა ბერიკაცმა და ისევ იწვიმა მის თვალთავან ცრემლმა.

13. მარსკვლავები ცრემლიან თვალიდან...

სალამო ხანს ქილიფთარიანთ ბალში ისვენებდნენ სოსო, გაგა და პეტა.

გაგას ბალახებში ჩაეყო თავი, პირქვე დამზობილი სდუმდა და ფიქრობდა.

სოსო ამჩნევდა: დარდობდა გაგა, გამოიცვალა ყმაწვილი, ცვილივით ჩამოდნა. ესმოდა მისი გულის ტკივილი, ამიტომ ხევსურულ ამბებს მოაყოლებდა წარბაზარა.

ტოლები დასცინოდნენ გაგას ხევსურულად სიტყვის მოქცევისათვის, სოსო პირიქით, სწუხდა. დღითიღვე რომ ჰკარგავდა ხევსურულ ელფერს გაგაის ქცევა და ლაპარაკი.

„გაგაი, პაუ, გაგაი“, ეძახის სოსო.

თავი წამოჰყო გაგამ.

„რას იძახ?“

„როდის იციან ხევსურეთში მგელთ უქმე“, განზრახ ეკითხება სოსო.

გაგამ თვალი მოიფშენიდა.

„მგელთ უქმ ჩვენ არხვატში დიდ მარხვაში ას.“

„ნუ თუ არცერთი კაცი მუშაობს ამ დღეს?“

იკითხა პეტამ.

„მგელთ უქმის გატეხა არ იქნების. ვინც არ დაიჭერს ვინაჲს უქმეს, იმ წულს მგელნი მით რას მალეკლენ, ან ხარს, ან ფურსს...“
 რომ შამავს, წინა დღესაჲ, მზე გადენის ხან, დაიუქმებს მავას საქმეზეით; ხალხმ ერთთროც დაუწყებს საქმეზე ძაბილს: „ხალხნო დავუქმათ, ხან ასე მგელთ უქმ შამაჲიდ“.

სთქვა გაგამ და ხელებზე დაემხო პირქვე.

„აა, გაგა, გაგა!“

ეძახის პეტა.

„ახლა ეს მითხარი ოჩონბინტეს რას ეძახიან თქვენში?“

„ოჩონბინტი? ამბობს გაგა, ოჩონბინტი ნადიროთ უფალი ას.“

მენადირეები როსად ჯიხეთ სანადიროდ წავლენ, წინ წინ ნადიროთ მწყემსს არ შეხვეწენ, მენადირე ნადირს ვერ მახკლამს. ეს ოჩონბინტი საფარველ დადებულ ას, მენადირე თვალით ვერ ნახავს, რასაც ნადირს მიეპარების, მაშინ ეს ოჩონბინტი ეტყვის ჯიხეთ: აბა მიიქცენით, მენადირე გეპარებისთ და მაშინ ჯიხენ მიიქცევიან“.

ხევსურეთის მოგონებამ გაახალისა გაგა. კუდიანთ წუხრა გაახსენდა, ბინდითმოცული მთები ელანდება, მაღალ ქარაფების უბეში შეკუფული სოფელი, არაბულების ძველთაძველი ციხე. დამე ეპარება სოფელს, ძალღები ყმუიან, მძაბურა დადის სოფელ-სოფელ.

სულგაკმენდილი მასპინძლები ქერხოში გატრუნულან. დუმილი მოიცავს სოფელს. ყოველდღე სულს განაბავს და მღვრიე კვამლში მიიმართება ვარსკვლავებით მოჭიქულ ცისკენ.

წამოდგა გაგა არაბული და თავისით უამბობს მეგობრებს, თუ როგორ შეემთხვათ მეცხვარეებს წრეულს სნოს ხეობაში ქუხილი.

ქარი ღმუოდა თურმე ხევეჭში, ნიაღვარი ვადმოსკდა ჭოუხების მეკრდიდან. ქუხილი დაგვლავდა ღრუბლების გადაღმა, გრივალი ლეწავდა ორასწლიან წაბლნარს.

„დათვებ ეშმაკებ იას!“

ამბობს გაგა და სახე უბრწყინავს. ასეთ დარში ვადმოსცვივიანო დათვები, წაბლნარებს შეესევინ თურმე.

„ჩვენ ძალღებ სულ დაიყარეს, ააყმუვლეს... ცხვარს ველარ აკავებენ მეცხვარეები თურმე, კომბლებით გარს უდგანან, ხევეში არ ვადაიჭრასო ფარა.“

დაიღენ, დაიგრუხუნ, ისევ...“

ელვის ლეკურები სხვავენ ცას, ყურისწამლები გრუხუნით ვადასტობაო ლომისას წმ. გიორგიმ ამღვრეულ ღრუბლების ზღვა.

(„ესემც გწყალობდესთ ლომისაის მადლი!“ დასძენს გაგა არაბული).

ქარიშხალი ღმუის, დათვები ღრიალებენ, წაბლის შტოების ლიწინლიწინი გაისმის, ძალღები ყმუიან, კუტი პურივით აკოტრიალებს თურმე გრივალი მთვარეს. ლელივით იკეცებიან ორასწლიანი წაბლები და მუხები.

ამას ყოველივეს გაცილებით უკეთ ყვებოდა გაგა არაბული, ამიტომაც ეკალი დააყარა ტანზე სოსოს და პეტას მისმა ნათხრობმა.

მართლაც და ერეოლის მომგვრელია ქუხილისა და ელვათატების წარმოდგენა ისეთ დროს, როცა არცა წვიმს და არც ქარი იძვრის სადმე. სულგანაბული

სთელემენ ნაყოფით დახუნძული ვაშლის ხეები, მზე ალერსიანად ეთბრებოდა ციხის ქონგურებსა და კორდების თხემებს, საღამო მშვიდად ეშვება ხეობაში, იხევი ლიახვისკენ მიფრინავენ მწკრივად და მტკვარი ძილისპირულს, მწვერის მთების გადაღმა ამოსულ მთვარეს.

სოსომ თავი წამოჰყო.

„შენ როგორ გვინია, პეტა, ლომისაი უფრო ძლიერია, თუ გორისუგვარი?“

„სად ლომისაი, სად გორისუგვარი?“ ცხარობს გაგა არაბული.

პაპა უფლოსას უჩვენებია მისთვის წრეულს ერთი მთა ხერთვისის ახლოს, ნახშირით დაუფქვავს თურმე ლომისაის. გაგას უნახავს თურმე ლუღღშაურის ციხესთან ვეება ვეშაბის ძვლები.

„ისიც ლომისამ მახლაო“.

„გაგა, ჰაუ გაგა“.

ეძახის სოსო ოცნებით მთებში გაპარულ გაგას.

„მამაშენი სადღაა ახლა? მამუკაი?“

„ჩემ მამა ყაჩაღად ას გაეარდნილ, მწყემსებ ამბობენ: ბოჭაულებს ხოცამსო დუშეთი“.

„გაგა, მალაოა, მამაშენი?“ ეკითხება პეტა.

„მე არ მინახამ მამაი, არ ვინიც როგორი ას.“

„რად არ გინახამს მერმე?“ დაჰკითხავს ისევ პეტა.

„მამად რო დედულთა ვიყავ ხევსურეთი.“

„თოფი თუ აქვს მამაშენს და ცხენი თუ ჰყავს?“

„ამბობენ თოფიც აქვავ, ცხენიც ჰყავავ.“

* *

იმ ღამეს ქილიფთარიანთ ბაღში მამდ გაიფიცნენ ხევსურული წესით სოსო, პეტა და გაგა. ფიც-ვერცხლი სკამეს და დასაქვეს: როგორმე იზოვნონ თოფი და ცხენი, ტყეში გაიჭრნენ ყაჩაღად. მამუკა არაბულს მიეშველონ და ხოცონ მერმე არხეინად ბოჭაულები.

ბინდი დაეშვა ხილნარში, ურთიერთზე გადახლართული ტოტები ისე მოსჩანდნენ ცაზე, როგორც მთიულური ბანდულის თასმები. ტოტებსა და ტოტებს შორის, ფოთლებსა და ფოთლებს შორის აყვავდნენ ვარსკვლავები, ხახახახებს გუთნის შვიდეული გორის ციხის გადაღმა, იისფერ სბივებს უგზავნის ბაღში მეოცნებე ჭაბუკებს.

„გაგა, ჰაუ გაგა, ვარსკვლავებზე გზის შეტყობა თუ იცი ღამით?“ ეკითხება სოსო.

„რად არ მეცოდინების? დღესღამე გაგიყვან თუ გინდ თრუსოს ხეობაში“.

სოსო პირადმა წამოწოლილა, შესცქერის ვარსკვლავიან ცას და თავის გუნებაში უკვე მიემგზავრება თრუსოს ხეობაში ბოჭაულების სახოცად.

პეტა და გაგა ცხენებს კაზმავენ.

სოსო თოფებს სწმენდს, სატყვერებს ლესავს, აბა გამომშვიდობების საათ-მაც დაჰკრა.

არავინ ისე არ ეცოდება სოსოს ამქვეყნად, არავინ, როგორც დედა. მიხეილი და გიორგი ადრე დაელუპა დედას.

ახლა სოსოც დასტოვებს, გადაიკარგება სოსოც. ცრემლები ზერწყება დედას და უძილო ღამეები...

არა, ტყუილია, არაეინ ამ ქვეყნად, არაეინ ისე არ ვცხადებ სოსოს, როგორც დედა.

სოსო თვალს ხუჭავს. კიდევ კარგი, ბნელა ამ ბაღში. და ვერაეინ ხედავს თუ როგორ მოწანწკარებენ ცრემლები სოსოს ღაწვებზე.

ისევე გუთანს გაჰხედა სოსომ, იისფერ შუქით მოციმციმე ვარსკვლავთა შვიდეულს.

არასოდეს, არასოდეს ისე ღამაში არ ყოფილან ეს ვარსკვლავები, როგორც იმ საღამოს, ცრემლიან თვალთაგან ნახულნი.

14. სარდათის ძრივი

რუსულის მასწავლებელს ფილტვების ანთება შეჰყროდა, მას ვერ უშველა ვერც ყელიანმა კალოშებმა, ვერც ბამბების ყურში გაკვეთებამ, ველარც ვატინიანმა პალტომ, ლოგინად ჩავარდა და ამიტომაც მესამე გაკვეთილის შემდეგ დაითხოვეს იმ დღეს მოწაფეები.

ყმაწვილები ცას ეწიენ სიხარულისაგან, გასული კვირის მძაფრმა ქარებმა რომ წააქციეს ლავროვი.

მუდამ ქარს უჩივოდა იგი, ველური ქარიო გორში.

და „ველურს“ უწოდებდა ლავროვი არა მარტო ქარს, თავის მოწაფეებს, მთელ საქართველოს და ქართველ ხალხს.

ველურ ქვეყანაში, ქარიც ველურიო.

„ძილღისმწერი“ ვარაუდი უფრო შორს მიდიოდა: ჯერ წინააო სუფსარქისი; ლეთის მადლით, ისეთ ქარებს მორეკავს იგი, ველარც გადაურჩებო ამ „ველურ ქარებს“ ლავროვი.

ყველას უხაროდა ეს ამბავი. მაგრამ ყველაზე მეტად გაგა არაბულს.

არ იქნა და ვერ გადააჩეია იგი ქართულად ლაპარაკს ლავროვმა.

გაგამ, გივიმ და პეტამ სათევეზაოდ გასწიეს, ბევრი ემუდარნენ სოსოს, მაგრამ იგი უგუნებოდ იყო იმ დღეს და შინ წავიდა.

სახლის კარზე ბოქლომი დაუხვდა.

სოსო აივანზე წამოჯდა, ათვალეიერებდა სახვალეო გაკვეთილებს.

ცოქალამ გამოიარა ბაზრიდან გამობრუნებულმა.

ამილახვარიანთ კნეინამ საჩქაროდ იხმოვო დედა.

სოსოს არაფრად აინტერესებდა, მაინც ასეთი წერილმანიც დასძინა ცოქალამ: დისწულს ათხოვებსო გენერალ ამილახვარი, სახვალეო ქორწინის მზადება აქეთო.

ამილახვარიანთ სასახლე თითქმის ქალაქს გარედ იყო.

მზე ატფობდა ნაზამთრალ მიწას. თოვლი მხოლოდ ჩრდილის მხარეზე შერჩენოდა კორდებს. ხეებისა და ტაფობის ლილოპრელო ისე მოსჩანდა, შორიდან, როგორც თეთრი ტალები ხვესურული ძროხების ფერდებზე.

ბაღებში, ხედაბუნებში რუები აჩქამებულებენ. კვირტები დაებერა პირველ სიტკოს, ალისფერ მანულებს შეწითლებოდა ლერწები, ნერგებსა და ვაზებს ჩასდგომოდა თებერელის ნოტიო.

სერზე ასვლისას სოსოს თვალში ეცა მოზღვავებული სინათლის სიჭარბე (ასეთი საცხება ნათლისა სჩვევია ხოლმე ქართლის ზევანს ადრეან ზაზაძესულს-ზე). საოცრად მოეხატა უჩინარ მზატვარს თეთრი, ლურჯი და ყვითელი მკამ-ლებით ცარგვალი.

ვაშლის და ატმის ყვავილები ჯერ კიდევ სთვლემდნენ კვირტებში. სამა-გიეროდ ცა მოეხატა ატმისა და ვაშლის ყვავილის ფერებს.

ლაევარდის კუნძულებს გარს მოვლემოდა თეთრი, ბამბის პოპოკივით კი-დედაფანჩული, თეთრი ქულები. დასავლეთისაკენ მთლად დაეხუტუქებინა ღრუბლები ვილაცას. ისე ნაზად, როგორც დედის მუცლიდან გამოყვანილი ბატ-კნების კრაველი, ხოლო ჩრდილოეთისაკენ, კავკასიონის ქედებზე ქარს მიეყარა ოცნებასავეით მსუბუქი ღრუბლების ქარვასლები.

კარგად ვერ გაარჩევდი: ქარვასლები იყო ეს, თუ თვალუწვდენელი ქარაე-ნები, ყელმოღერილი აქლემების ქარაენები?

მარმარის ქალაქებს ჰგავდა იგი, ქაბუჯის სიზმრებისა და ქარის მიერ ცა-ში აზვინულს.

შთაბეჭდილება ასეთი რჩებოდა სოსოს: ოცნება მიწიდან გაეძევებინათ და ცაზე აუვიაო მას თავისი სამკვიდრებელი. მერმე ის იყო ცა გაეცხო ზმანე-ბასა და საცხებას შუქისას.

ამას ხედავდნენ მიწიდან ქალწულის ძუძუს კერტებივით გათქვირული კვირტები ვაზებისა, ატმებისა და ვაშლის ხეებისა. ისრუტავდნენ ძარღვებში მიწის სილამეს და უღიმოდენ მზეს, ოცნებისაგან გარინდებულნი.

ფიქრში გართული სოსო შეუმჩნევლად მიახლოებოდა ამილახერიანთ სა-სახლეს.

მტკვრიდან ამდგარმა იხვებმა გამოიშხულიეს ჰაერში, ლანდებმა გადაიბ-ბინეს მიწაზე, სოსომ თვალი გააყოლა მათ. გადაიარეს ამილახერიანთ კოშკი და გალაენი, თვალს მიეფარნენ.

მუხის ჭიშკართან შესდგა სოსო, რადგან განავონი ჰქონდა:

ავი ნაგაზები ჰყავსო ამილახეარს.

ქუჭრუტანიდან შეიხედა ეზოში.

თუთების ხეივნის გადაღმა პატარა ვენახში რუხფარაჯიანი მოხუცი ვაზსა სხლავდა. ნაბდის ქუდი ეხურა, განიერი შარვალი ეცვა. ახალციხური ქრელი წინდები და გლეხური ქალამანი. სესია შეიცნო სოსომ, ამილახერიანთ მებაღე-დაძახება დააპირა, მაგრამ გაახსენდა: ყრუ იყო სესია. იდგა ჭიშკართან და უცდიდა, ეზოში მოფუსფუსე მსახურთაგანი გამოივლისო ჭიშკარისაკენ ეინმე.

ჭიშკრის მახლობლად, თუთის ქვეშ შინაური შველი ჰკორტნიდა ნეკერს. ქარს უკან მიჩქმალულის სიახლოვე რა შეიცნო, წარამარა ასწევდა თავს, შე-მოაშტერებდა სოსოს თავის მშვენიერ, მოლურჯო თვალებს.

ისევ მოკვენტდა ნეკერს, ისევ აიხედავდა.

«თფუჩი, თფუჩი» დაუძახა სოსომ შველს და ხელი გაყო ჭიშკრის არეში.

შველმა ისევ აიღო თავი, რაღაც უცნაური, ზაქის ყროყინისებური ხმა გაი-ლო. ადგილიდან მოსწყდა, ჭიშკართან მივიდა, შვად გალაკული, სველი ღრუნ-ჩით შეეხო სასიყვარულოდ გამოწვდილ ხელს, ზედ დახედა.

რა შენიშნა ცარიელი იყო, დაიფრუტუნა, დააკანტურა კვიციერთ თავი, დააპაქუნა თავის კრიალა ჭლიკები, ყელი მოიღერა და შეკუნტურშდა. ყურები დასცქვიტა, კიდე შეზედა უცხო სტუმარს და უჯოქცა.

„თფუჩი, თფუჩი“ კვლავ დაუძახა სოსომ, ახლა უფრო ხმაშია! ჩქამზე აყფდნენ ძაღლები, ლეღების გადაღმა, პაწია ხუხულებიდან გამოცვენილნი, აეღრიალდნენ ჯაჭვები.

დაიფრუტუნა დამფრთხალმა შეეღმა და გაქანდა მუხნარისაკენ. სოსომ მარნის წინ ხარიხაზე დამსხდარ ფარშევანგებზე გადაიტანა მხერა.

კრიახობდა დედალი, ვაოცდა სოსო ასეთ ლამაზსა და ბოლომოხატულ არსებას როგორ ამოსდისო ასეთი საზიზღარი ხმა?

ინდოურებთან ერთად ციცარები დაგოგავდნენ ეზოში, საამოდ ჭუკჭუკებდნენ, როზროხობდნენ გაფუყული ინდოურები, ლეკურებივით წამახულ ფრთებს უსვამდნენ მიწას და უელიდნენ დედლების გარშემო წრეს.

ძაღლებმა მშველის ატროკება რა შენიშნეს, უარესად გაბელდნენ, უკანა ფეხებზე დგებოდნენ და ყეფდნენ.

გაავებული აყფდა სასახლის უკანა კიბესთან მახლობლად დაბმული, ყურებწაჭრილი თეთრი მურა. იგი გაკაპასებული ყმუოდა, ღრიალებდა, იჭაქებოდა.

რაკი სხვა მსახურების სახელი არ იცოდა სოსომ, სესიას დაუძახა ისევ. სესია განაგრძობდა ეაზის სხვლას.

სოსომ თვალი მოჰკრა. ცისფერკაბიანი, ქერა ქალი ჩამოვიდა უკანა კიბიდან, სოსოს ასე ეგონა: ჭიშკრისაკენ წამოვავ, კიდე დაიძახა მის გასაგონად: „სესია,“ (ახლა უკვე ხმამალა).

ქალმა მიიძახა რალაცა სესიას, სჩანდა ვერც მან გააგონა. შრამელიან¹ სახლში შევიდა. ფლიუგელიდან გამოვიდა თორმეტიოდე წლის ვაჟი, თითფერის ქამრისთავი ელავდა მზვარეში, კადეტის ქული ეხურა ყვითელკანტიანი. მათრახს ატაკუნებდა გაკრიალებულ წალების ყელზე და უსტვენდა. მან რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა ჭიშკრისაკენ, მერმე ლეღების ქვეშ დაბმულ შავ ძაღლს მიუაღერსა.

სოსომ იცნო თამაზ ამილახვარი. ძაღლმა ხმა გაკმინდა, თავი ძირს დახარა, (ისე როგორც ძაღლებსა და მონებს სჩვევიათ ბოლმე პატრონის დანახვაზე), წინა ფეხები მიწაზე დააწყო წყვილად, ყურებწაჭრილი, მორგვივით მრგვალი თავი ზედ დაადო და გაიტრუნა. თამაზი დაუცქვდა, თავზე ხელს უცაცუნებდა განაბულ ცხოველს.

ახლა თავლისაკენ გაემართა თამაზი, თავლის სვეტზე ფაფარგაკრეპილი ულაცი მიება მეჯინიბეს, სამურველით სწმენდდა ოჭროსფერ ცხენს.

თამაზი თხემისრქებზე მიეაღერსა ულაცს, მერმე რალაც ამოიღო ჯიბიდან და შეაძლია.

ცხენმა კისერი მოიღრია, ყურები დასცქვიტა, აკანტურებდა თავს, იღებოდა თანაც.

„სესია“ კიდე დაიძახა სოსომ.

¹ შრამელი — ფლაველია.

ამასობაში ფლიუგელიდან კვლავ გამოვიდა ცისფერკაბიანი. სესიასთან მივიდა, რაღაც უთხრა. სესიამ ჭიშკრისაკენ გაიხედა, სასხლავი დაჯდომის და როგორც იქნა დაიძრა ადგილიდან.

ვიდრე სესია ჭიშკართან მიაღწევდა, შევიდე თუ არაო? ფიქრობდა სოსო. მას ასე ჰქონდა ვაგონილი: თამაზი ტფილისშიაო. ახლა როცა იგი თავით დაინახა, შეეყოყმანდა.

ბავშვობიდანვე არ უყვარდა სოსოს ეს თავისთავზე უზომოდ შეყვარებულნი, გაბრეხილი თავადის ვაჟი.

სესიამ იცნო სოსო. დედაშენი აქ არის, შემოდიო, შეიპატოე.

სოსო მაინც ამას ამბობდა: გამოიხედოს დედამ, ვასაღები მომცეს და შინ წავალო.

არა, შემოდი, შენ თვითონ უთხარი. დედაშენს ჯერ საქმე არ მოუთავებია, არ გამოუშვებსო კნენია.

გაჯიქდა სესია.

როცა უკანაკიბემდის მიაღწიეს, მანდ დაბმული თეთრი ძალი აყუფდა ისევ. ფლიუგელიდან ახლა ორი ქალი გამოვიდა: ერთი ის ცისფერკაბიანი, მეორეც ოდნავ უფრო მალალი, ლურჯკაბიანი.

„რუსიკო, ეუბნება სესია ცისფერკაბიანს, კეკეს უთხარი შენი ვაჟი მოვიდა, გამოიხედეთქო“.

* რუსიკომ მარდად აიარბინა კიბე.

ლურჯკაბიანი და სოსო კიბესთან დარჩნენ. ქალი ამაოდ აშოშმინებდა თეთრ ძალს. იგი ყალბზე დგებოდა, სტუმრისკენ მიიწევდა. ამასობაში თაველიდან გამოვიდა თამაზი. უსტვენდა, მათრახს ატაკუნებდა გაკრიალებულ ჩექმის ყელზე.

„ელენ, ეუბნება იგი ლურჯკაბიანს, მტრედები თუ დააპტრე ამ დილას?“ ქალმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

თამაზმაც იცნო სოსო, მიუსალმებლად მიუახლოვდა სტუმარს და საკმაოდ აგდებული ტონით ეკითხება:

„პეტა გორშია?“

„პო“.

მიუგო სოსომ.

„აეად ხომ არაა?“

„არა“.

„კიდევ ვერ მოახერხა კადეტთა კორპუსში გადასვლა?“

„არ ვიცი“.

„მამა ხომ არ ჩამოსვლია?“

„არა“.

„რა დარჩენია პეტას ამ დამპალ სკოლაში? მაინცდამაინც მღვდლობა უნდა? რა ყრია მღვდლობაში? „უფალო შეგვიწყალო, უფალო შეგვიწყალო“, უნდა იძახო მთელი სიცოცხლე. მერმე გამოგიდგებიან ბიჭები, მოვახლიან: მღვდლო წვერცამეტა.“

ჩვენი კორპუსიდან პირდაპირ კადრის ოფიცერი გამოვალთ, დავაყენებთ სალდათებს და სიქას ვავართმევთ, მთელი დღე ვაძახებთ: Раз, два, раз, два, смотри в затылок, мать твою“...

როცა ამას ამბობდა თამაზი, თავათაც ალაჯებდა და ოფიციალურად იმან-
ქებოდა.

ამასობაში რუსიკო გამობრუნდა.

ერკინულნი

„დედათქვენს არა სცალია, ასე შემოგითვალა, აქ ამოვბრუნდით“
ელენე და თამაზი სამტრედიესკენ წავიდნენ, რუსიკო უკანა კიბისაკენ გა-
უძღვა სოსოს. თეთრი ძაღლი უარესად გაავდა, მისკენ მიმავალი სტუმარი რა
შენიშნა.

ჯაჭვი კიბემდის უწევდა. რუსიკომ ბევრი უყვირა ძაღლს მაინც ვერ დააც-
ხრო მყეფარი. მერმე იდაყვზე ოდნავ მიაკარა ხელი სტუმარს, ეუბნებო: წინი-
დან ავიდეთო.

ტალახიანი ფეხები საფეხურის ლინგზე გაიწმინდა სოსომ, მერმე შესავალ-
თან დადებულ დათვის ტყავზე გაუსვა და მოკრძალებულად შეჰყავა რუსიკოს
ვრცელ შუშაბანდში.

ღერეფნები ფარდაგებით იყო მოგებული.

ირგვლივ დაკიდულ სარკეებში ვარვარებდა მოოქროვილი სურათების ჩარ-
ჩოები.

სოსო პირველად ხედავდა ასე უხადოდ გაკრიალებულ იატაკებს, ხვევრდ-
გადაკრულ სავარძლებსა და გაპრიალებულ როიალებს. მოოქროვილი ჯაზაი-
რებით, დამბაჩებით, მუზარადებით დამშვენებულ კედლებს, მისი ყურადღება
მიიქცია დიდი დარბაზის მოჭიქულმა ჭერმა.

სინათლე ვარვარებდა ირგვლივ, უზარმაზარი ჩქვრალი შუქისა ელავდა
ურთხელის ავეჯის ლინგებსა და განიერ სარკეებში.

ამ დარბაზში მთელი კედლები ირანული პანოთი იყო მოხატული. მშვილდ-
ისრიანი, უწვევრული ვაეები მისდევდნენ გაქცეულ ჯეირნებს, ინახით დამსხ-
დარი გრძელწამწამა ირანელი ქალწულები სვამდნენ შარბათს.

შემდეგ დარბაზში თვალი მოხვდა ალექსანდრე მესამის გრძელ წვერებს.
მურა ძაღლივით დაღრენილ გენერლების შავ ბაკენბარდებს, მოოქროვილ
ხმლებზე დადებულ ფუნთუშა ხელებს. ეპოლეტიან მუნდიორებს, ყვითელფო-
ჩიან პორტუბეებს. თეთრ აქსელბანტებსა და ალმასებიან შიტრას შევანაფო-
რიან ექსარხოსისას.

ამ დარბაზში ათზე მეტი თავმოდრეკილი დედაკაცი სწმენდდა ავეჯს,
მკლავებწაკარწახებული ქალები ქოშებზე შემდგარიყვნენ. ასავსავებდნენ ფე-
ხებს (ლეკურს თამაშობენო თითქოს). პარაფინის სუნი ეცა სოსოს და სახე
აარიდა.

შემდეგ დარბაზში ვილაც ქულაჯიანი, რუხმუნდირიანი და ჩინოსანი ბერი-
კაცები ისხდნენ გაშლილი ნარდის გარშემო, ზედ კართან მთლად დამკენარი,
ლურჯსათვლიანი მოხუცი იჯდა საქანელაში, გაზეთს კითხულობდა, უნიათოდ
აკანტურებდა მოტვლეპილ თავს.

„Кавказ“ ამოიკითხა სოსომ და მიჰყვა თავის მხლებელს.

ახლა ფარჩებში მორთული ქალები შემოხვდა მათ. კაბების შარიშური ის-
მოდა და ნელსურნელების საამო სუნი.

ღია კართან ლენერლის მუნდირიანი იღვა ერთი და ერთი ჩოხიანი დეე-
კაცი.

სოსომ მხოლოდ ასეთ ფრაზას მოჰკრა ყური მუნდირიანის მიერ დიმილით წარმოთქმულს:

„შენ რა გგონია, ტყუილად როდი ეწერა ჩვენს ღერბზე: არქანჯელი
გინჯლიქოსეა

„მეფისა მტრისა ლახვარი,
ვამტყიცებ ამილახვარი!“

ეს გაიგონა სოსომ, წინ გაიხედა, რუსიკო აღარსად იყო. მოულოდნელად ისევ გამოჩნდა რუსიკო, იდაყვთან ხელი წაავლო და ეუბნება:

„პირდაპირ“.

უკანა აივნის შუშბანდში გრძელი მაგიდა იდგა. ოთხი თავწაკრული ქალი ოთხივე კიდით გარს უჯდა მაგიდას, თავჩაქინდრულნი ჰქარგავდნენ.

ერთი მათგანი ადგა. ოფლი მოიწმინდა და სოსოსკენ გადმოდგა ფეხი.

აკოცა და ეუბნება:

„ხომ არ მოგშივდა, გენაცვალოს დედა?“

სოსოს ოფლის გემო დარჩა პირში.

განუზომელად ეტკინა გული, ოფლში გაწურული, დაქანცული დედის შეხედვისას. მას შიოდა ჯერ კიდევ ქიშკართან მოსვლამდის, მაგრამ შიმშილი გაუჭრო ბრაზმა, თავმოყვარეობამ და ბრაზმა. გვერდის კარი ღრიჭინით გაიღო.

ახოვანი ქალი შემოვიდა. შავი მუსლინის კაბა ეცვა მას. მაღალი მკერდი თეთრი რუშით ჰქონდა დამშვენებული. ელაედა ბრილიანტების დიდი მანიაკი. მთლად მტუტის ფერი ჰქონდა ამ ქალს, ხშირი ქალარა ძლიერ ჰშვეწონდა სავსებით უნაოჭო, ახალგაზრდა სახეს.

„ეს შენი ვაჟია?“

ეკითხება ეკატერინეს.

„ღიახ, კნენინა, ჩემი ვაჟია“.

„გაგიზარდოს, გაგიზარდოს, კეკე ჩემო“.

ღიასახლისმა თხემიდან ტერფამდის ახედა სოსოს. მერმე რუსიკოს მიუბრუნდა, ფრანგულად ეუბნება ხმადაბლა:

რად შემოიყვანეთ ფეხებდასვრილი უმაწეილი წინიდან?

რუსიკომ თავი იმართლა: თეთრმა ძალღმა არ ამოუშვაო უკანაკიბიდან სტუმარი.

„Apportez un peu de gatau“.¹

ეს უთხრა ხმამაღლა რუსიკოს.

რუსიკომ თეფშით მოიტანა ნამცხვარი, ზედ ჩანგალი იდგა, შავკაბიანი ეკატერინეს მიუბრუნდა.

„იკო, კეკე ჩემო, ბავშვი დანაყრდეს და აქ ითამაშოს, სადილსაც ჩვენ ვაჭმევთ, შენ საღამომდის ვერ გაგიშვებ, ჩემო კეკე“.

რუსიკოს თეფში გამოართვა, ჩანგალი აიღო და ხელში მისცა სოსოს, შემდეგ ნამცხვარი მიაწოდა.

სოსომ ჩანგალი გამოართვა. მიძალებულ ნამცხვარს ზედაც არ დახედა. ნამცხვარის საამო სუნნი ეცა, მაგრამ ანაზღად დაიოჯა შიმშილი.

¹ კოტა ნამცხვარი მოიტა.

დიასახლისმა იფიქრა: ალბათ ჩანგლით ჭამას არააო ჩვეული. ამიტომაც ჩანგალი გამოართვა, კვლავ მიაძლია ნამცხვარი, ხელით აიღოსო¹ გვეჭახს და როცა ამაზედაც უარი სთქვა ყმაწვილმა, რუსიკოს მიუბრუნდა: „Il est trop orgueilleux“.¹

რუსიკო, წადი, თამაზი მომგვარეო, უბრძანა დიასახლისმა გოგონას. ეკატერინემ ჭარგვა მიატოვა, თავით შეაძლია ნამცხვარი სოსოს, ველარც ამან გასჭრა. თამაზ, ეუბნება შავკაბიანი ქალი თავის ვაჟს ფრანგულად, წაიყვანე შენი სტუქნარი, ათამაშეო სადილობამდის ბაღში..

თამაზმა თავმოდრეკილად მოისმინა დედის ბრძანება, სოსოს მიუბლოვდა, მკლავზე წაავლო ხელი.

სოსომ მკლავი გაითავისუფლა, უხალისოდ თან გაჰყვა თამაზსა და რუსიკოს უკანა კიბისკენ მიმავალთ.

თამაზი დაწინაურდა, მათრახები უთავაზა აქოჩრილ, თეთრ ძაღლს, დატუქსა და დაადუმა იგი.

რუსიკოს ვაჟებთან თამაში არ უყვარდა, მაგრამ თამაზის უხეშობის ამბავი რომ იცოდა, უკან მიყვებოდა სტუმარს, არაფერი აწყენინოსო ყმაწვილს.

თამაზი სამტრედეს წინ შესდგა. ჯიბეებში ხელი ჩაიყო, ნელა დაუსტვინა.

ფერად-ფერადი მტრედები დაჰჭროდნენ პაერში, ზოგი სამტრედეს გარს ევლებოდა, ზოგნიც თამაზსა და რუსიკოს ასხდებოდნენ მხრებზე, ზოგსაც თავი გამოიყო ჭუჭურუტანებიდან, მშვიდად შესცქეროდნენ ახალმოსულებს, გრუტუნებდნენ, ლულუნებდნენ დაუცხრომელად და ატფობდნენ კვერცხებს.

სამტრედესთან ელენე შემოეყარა მათ, მხოლოდ ახლა შენიშნა სოსომ, მას წაპლისფერი თვალები ჰქონდა და ოდნავ, ოდნავ ჭორფლიანი სახე.

იგი მდუმარედ შესცქეროდა სტუმარს, ქედმაღლურად ეჭყეოდა რუსიკოს, არა ისე, როგორც დაი მოეპყრობა ხოლმე საკუთარ დას უცხოსთან.

მაგალითად ასეთი რამე აკადრა რუსიკოს, საკმაოდ უხეში ტონით:

ეს ჩემი მტრედებია, შენ ვინ მოგცაო ნება, ჩემი მტრედები აჩვენო სტუმარს?

„მტრედები არც ჩემია და არც შენი, ღვთის ფრინველებია მტრედები“.

მიუგო რუსიკომ და გაუღიმა ელენეს.

სოსომ ამ ღიმილში დაიჭირა თავშეგავებული სიძულვილი, რომელსაც გრძნობდა რუსიკო ჭორფლიან ელენეს მიმართ.

„ახლა ჩემი მაჩვი უნდა გაჩვენო“.

ეუბნება თამაზი სოსოს.

ხის ვალიაში იჯდა მარტოხელა მაჩვი. სტუმრის დანახვაზე მან თავისი წერილი და სველი ღინგი გამოჰყო, მძივებივით წვრილი თვალები დააპაჭუნა და გაიტრუნა.

„ეს მაჩვი, ამბობს თამაზი, ერთმა ოსმა მომიყვანა, პაპიჩემის ნაყმემა“.

მაჩვის გვერდით, წნელის ძარებში სამიოდე მელია დაწრიალებდა. მათ ზეწვი გასცვენოდათ, მუნთან ძალღსავით აქეცოდათ ტყავი. სოსომ ველარ გაუძლო მათ აქოთებულ სუნს და უზარმაზარ ვალიებს მიაშურა. დედალ-მამალი არწივი სთვლემდა ვალიაში.

¹ იგი ნამეტნავად ამაყი ყოფილა.

მამალს საცხებით გადატვლებოდა თავი, გალიის მავთულზე ბურჯა-ბლუჯად ეკიდა ბურტყლი. მოფუყული იჯდა ხარბახზე, მელანქოლიურად ყვინთავდა. ისეთი ბედშავი გამომეტყველება ჰქონდა მას, სოსოს შეეცუდა ქსრვატურძენილი, ნაკრტენ-შემოკლილი ფრინველთა მეფე.

დედალი არწივი ფრთების ქვეშ იქექებოდა ნისკარტით. თამაზმა მათრახი შეუყო გალიაში, დედალი არწივი გაკაპასდა, ქარვისფერ თვალებს უბრაილებდა, ციებით შეპყრობილსავით აკაწკაწებდა ნისკარტს.

„აი, ესაა ჩემი ზოოპარკის სიამაყე!“

სთქვა თამაზმა და მარნის წინ დაბმულ ხუთიოდე თვის დათვის ბელზე მიუთითა სოსოს.

თაფლისფერი ბელი მოუსვენრად დაწრიალებდა მარგილის გარშემო. დაცუტვლებოდა ხანდახან, ბრანზორეული ღრნიდა ჯაჭვს, გამოაგდებდა ლორწოში მოსვრილს, ისევე აიღებდა წინა ტორებით, ჩურჩხელასავით ჩაიდებდა პირში. ამაოდ ღეჭავდა ფოლადის რგოლებს.

თავი განზე გადახარა დათვის ბელმა, ამოხედა ახალმოსულებს და სოსომ შენიშნა: მის ლორისებრ თვალებში რაღაც უცნაურმა ნაპერწყალმა იელვა.

ასე გამოდიოდა: დათვის ბელი ეუბნებოდა ყმაწვილებს მზერით: მე არც ისე სულელი ვარ, ეს არ მესმოდეს, ჩემი ნორჩი კბილებით რომ ვერ დავღრნიო ჯაჭვს, თავს ვიჭყევო მხოლოდ, გულშემოყრილი.

თაფლისფერი იყო ბელი, სუფთა თაფლისფერი, მას საყვარელი დინგი ჰქონდა, მოუხეშავი, ფუნთუშა თათები, წარამარა ამჩენდა პირს. ენას უყოფდა სტუმრებს და ენა ჰქონდა ისეთი, იისფერი მელანი უტლექიაო თითქოს.

თეთრსა და წამბულ კბილებს აკნაწუნებდა ხანდიხან და ჰკვიანურ გამომეტყველებას მიიღებდა ხოლმე, ასე იტყოდით: სადაცაა წამოცდებოა კაცური სიტყვა.

ხოლო თვალები, მისი თვალები ამცნობდა მნახველს: უთქვენოდაც ყველი-ფერი ვიცო.

საერთოდ მიხვრა-მოხვრა და საქციელი ისეთი ჰქონდა ამ ბელს, როგორც თერამეტი წლის მზარბეჭიან და უზომოდ ჩასუტებულ ყმაწვილებს სჩვევია ხოლმე, გაურანდავ, ოდნავ ხეპრე ყმაწვილებს.

„ეს ბელი, ეუბნება თამაზი სოსოს, ერთმა ხევსურმა მოჰგვარა მამას. დედამისი მოუკლავს იმ ხევსურს. დათვის ტყავი წინა დერეფანში აგდია, ხოლო ბელი მე ვაგზარდე.“

ეს სთქვა თამაზმა, ჯიქურ მიეჭრა სოსოს და ღიმილით ეუბნება:

„შენზე ამბობენ გორში, სარდათის კრივი იციო კარგი.“

სოსო ვერ მიხვდა რას ნიშნავდა ეს გამომწვევი ტონი? ოდნავ აელეწა სახე და ეუბნება:

„სარდათის კრივი? რატომ არა? თუ გინდა ღონე სინჯო, მოდი“.

„ახლავე ავეუშვებ ამ ხევსურს და თუ ვაჟაკი ხარ, გაუძელი“.

სოსო აილეწა, ჯერ ასე ეგონა ხუმრობსო თამაზი, რა დაინახა, დათვისკენ გაეშურა იგი და ჯაჭვს მივარდა, სოსო ჰქვას დასწევდა, მუშტში ჩაიბლუჯა იგი.

რუსიკომ იკივლა, სახელოში ეცა თამაზს, თამაზმა ხელი ჰკრა რუსიკოს და სოსოსკენ მიაგდო ქალი. ელენე განზე გადგა, მის სახეზე ცბიერმა ღიმილმა იელვა. გულზე ხელდაკრეფილი უცქეროდა სეირს.

აშვებული დათვი ბაჯბაჯით მიდიოდა ჯერ, სრული თავისუფლებითაა შეიწო, დაიღრიალა სიამით აღესილმა. წინა ტორები დაჰკრა მიწას, თამაზსა და ელენეს ჩაუარა და რუსიკოსკენ გამოჰქანდა ზეწამომდგარი. *მარქანდელი*
 რუსიკო გაფითრდა, სოსომ ისკუბა, დათვსა და რუსიკოს შორის ჩადგა ელვის უსწრაფესად, ქვიანი მუშტი გაარტყა ყვრიმალში ბელს.

ბელმა დაიღრიალა და დაენარცხა მიწაზე, ისევ წამოიჭრა, უკანა თათებზე შემდგარმა წინა თათი ჩამოუსვა ბარძაყზე სოსოს და კოჭამდის ჩამოაფხრიწა შარვალი.

სოსო არ დაიბნა, წიხლი ჰკრა შიგ გულმუცელში დათვს, დასწვდა იქვე გდებულ სარქველს ჭურისას და პირში შესწარა კვლავ მისკენ მიეარდნის.

გაავებული ბელი მცირე ხანს ღრნიდა ბრტყელ ქვას, მერმე დუქისაგან გაქაფული გადმონერწყვა პირიდან იგი, უკანა ტორები დაჰკრა მიწაზე და ისევ მიეჭრა სოსოს.

სოსომ თუშური ქუდი მოიხადა და შიგ დაღრენილ პირში ჩასწარა ბელს.

თამაზ ამილახვარი შორი ახლო იდგა, იქედნურად ხარხარებდა.

რუსიკო სესიას დასაძახებლად გაქცეულიყო. როცა ბელმა სოსოს ნაბდის ქუდი დაფხრიწა ტორებითა და კბილებით, იგი კვლავ წამოდგა. სწორედ ასეთ დროს აქმინებულმა სესიამ უთავაზა შოლტი და ისევ დააბა ჯაჭვით.

ამილახვარის ცოლი, მოურავი და ეკატერინე მოცვიდნენ მარანთან. შავკაბინამა დატუქსა თამაზი.

ბევრი ემუდარა დიასახლისი ეკატერინეს, მაგრამ მან აღარ ინდომა დარჩენა. სესიამ ჭიშკრამდის მიაკილა დედა-შვილი და მხოლოდ ამის თქმა გაბედა ჩურჩულით:

„მზეციშვილია, რას უზამ, კეკე ჩემო“.

ერთი რაშე გარკვევით ვერა სთქვა სესიამ, ვის გულისხმობდა ამ შემთხვევაში: ხევსურული დათვის ბელს, თუ გენერალ ამილახვარის ვაჟს, თამაზს?

15. კეტირმანი

ერთ საღამოს, შინ მიბრუნებულს ერთი უცნაური გარეგნობის კაცი დაუხვდა სოსოს. სახე ნახშირითა ჰქონდა გამურული, სპილენძისფერ თმებზე ჩიტისბუდესავით დატყებებოდა დაფხრეწილი თუშური ქუდი.

გვიმრისფერი, დაფანჩული წარბები უწესრიგოდ ჩამოფხატვოდა, გაბურძგნილი, მწითური წვერი ბლუჯა-ბლუჯა გამოსვლოდა, ასეთივე თმის ლერები მოუჩანდა ყურებიდან, ჭორის ნისკარტივით მოდრეკილ ცხვირის ნესტოებიდან.

ორივე იდაყვი მუხლისთავეებზე დაეყრდნო, ხელის გულები ყბებზე შემოედო, ბესოს გვერდით დაცუცქულიყო, იდუმალი გამომეტყველებით ეჩურჩულებოდა რალაცას.

სოსოს ფეხისხმაზე ზეწამოიჭრა და წასვლა დააპირა.

არა ნაკლებად ეუცნაურა სოსოს მისი ჩაცმულობაც.

დაბებკილი ჩოხა ეცვა მთიულური, აგურისფერი, ბედანთან და ფეშთან ჭრელი ნაჭრებით დაკონკილი. მტვერი ჩალექოდა ცარიელ საქილეებში, დახეული ქალაშნებიდან ცერები მოუჩანდა მამლის დეზებივით გაკაქებული და უზომოდ წაზრდილი ფრჩხილებით.

ბირკით შემოსოდა არა მარტო ჩოხის კალთები, ახალბუნს გულსპირსა და პაჭიჭებზედაც მოსდებოდა გამზმარი ბირკი, კაცს ეგონებოდა: ყვირფერი ხოჭოები დასევიო ჯერაც ცოცხალსა. ბირკი გასულიყო თმწვერზე ნიჭის ქუდაც მიწედნოდა ბირკი.

თავაზიანად გაულიმა მწითურმა, თეთრი, თეთრი კბილებიდან გამომკრთალმა სათნოებამ სიმშვიდე მოჰფინა მის გაველურებულ სახეს.

წამოიღო შავი გამურული ხელი, თავზე მოუტაცუნა ყმაწვილს.

„გეგეზარდოს ბატარაი“. ეუბნება მასპინძელს. ისევ ყმაწვილს მიაჩერდა, კვლავ გაულიმა სოსოს.

„დაჯე ცოტახანს, შეიპატოე ბესომ, კეკეც მოვა სადაცაა, თავთ გაგიკერამს ჩოხასა, შენ რა უნდა ნახო მაგ ბნელეთში?“

„ნუ, ნუ, ნემსაი მოიტალა, თავად დავლარავ როგორმე.“

სკიერი გაალო ბესომ, დიდხანს ურია ხელები შიგ. მერმე ნემსიანი ძაფი ამოიღო და გამოწვდილ მკლავზე გადაუდო სტუმარს.

„მშვიდობითამც იქნები!“

ჩაილაპარაკა მწითურმა, გაბზარული, დაბეჭილი ხმით და ისევ მოანათა სოსოს თავისი მშვენიერი თეთრი კბილები. კარისაკენ გაემართა ოდნავ მოდრეკილი წელში.

სოსო ცნობისწადილმა შეიპყრო, როგორც კი სტუმარი გავიდა, მამას მიუჯდა და ჰკითხავდა: ვინ არის ეს უცნაური, მწითური კაცი?

„ეგ ერთი საწყალი მენახზირეა, შვილო, გულდამაყრელი ხიზანი, ჩვენი ძველი მოკეთე. მის სოფელში კეთრი გაჩენილა, ცოლშვილი ამოსწყვეტია ბედშავს, სამი დღე და ღამე ფეხით უვლია ძეძვებში, ჩოხა შემოხვევია, ნემსის სათხოვრად ნოვიდა კეკესთან.“

„სად ცხოვრობს მერე ეგ კაცი?“

„გიორგაანთ მიწურში, შვილო.“

„ზაზაანთ გიორგას?“

„არა, გოდერძიანთ გიორგასი, სახადმა რომ მოჰკლა გასულ კვირას: გიორგას შვილები ქალაქს გაქცეულან, მაგ საწყალისათვის მიუგდიათ მიწური“.

სოსო დაფიქრდა, მცირე ხნის დღემილის შემდეგ ამბობს:

„იცი მამიკო, ი მწითური კაცი ძლიერ მომეწონა, თანაც შემეცოდა რატომღაც, მინდა წავიდე ერთი გამოველაპარაკო, თავვადსავეალი გამოვკითხო, მამი“.

„არა, შვილო, მასთან სიახლოვე საშიშია; შენ ხომ იცი, კეთრი ყვაელივით იოლი მოსახდელი როდია, კეთრი თუ ვისმეს შეეყარა, მორჩა და გათავდა მერე. შენ ხომ ნახე, მე ხელიც არ ჩამომირთმევია მისთვის“.

მცირე ხნის შემდეგ ბესომ ქამარი შემოირტყა, ქუდი დაიხურა, სახელოსნოში მიედევარო დაიბარა და კარი გაიგღო.

სოსომ მიხა ქილიფთარის ნაჩუქარი „ვეფხის ტყაოსანი“ ამოიღო და ფურცვლა დაიწყო.

ფურცლავს გახუნებულ, ჩალისფერ გვერდებს, მაგრამ გული არ უძევს საგულეს. ბუდედაფუშული ჭინჭველებივით რიალებენ ასოები მის თვალწინ. ის მწითური მენახზირე ებლანდება თვალში, მისი დაბეჭილი ჩოხა, გაბურძგვნილი წვერულვაში და ცრემლიანი თვალი.

მაინც რა მშვენიერი ღიმილი ჰქონდა, სიკეთით სავსე ღიმილი! საოცარი თანაგრძნობით აივსო ყმაწვილის გული, ამ უპატრონო მარტოებულ კაცის მიმართ.

ზის სოსო, წიგნს დასრულებია, თანაც იგონებს ყოველ წერილმანს მისი აღნაგობისას.

რა უცნაური გამომეტყველება ჰქონდა იმ მწითურ კაცს! როცა წამოდგა, ტუჩები ისე მოკუმბა, თითქოს მთელი მისი სხეული იღუმალეებით გაივსოვო კედელის.

მერმე ლანდივით წალასლასდა, წელში მოდრეკილი გავიდა კარიდან.

ყმაწვილის სმენაში გაიფრიალა მენახშირის დაბეჭილმა, სედიანმა ხმამ.

სოსოს დაცდილი ჰქონდა: მშობლები ხშირად ბოლომდის არ უმხელდნენ მას ამ ცხოვრების უკანასკნელ სიმართლეს. უფარავდნენ მას ისეთ ამბებს, რაც მათის აზრით, ყმაწვილს შეაწუხებდა, დაალონებდა, ან შეზარავდა; ყოველივეს, „რაც ბავშვების საქმე არაა“.

ჯერ ადრეაო, შეილო, როცა წამოიზრდები მაშინაც გეყოფაო ამ ცხოვრების უუკუღმართობის შეცნობა.

სოსო თავათ ჰგრძნობდა რომ ბალღი აღარ იყო, უკვე, მაგრამ შინაურებს ეს არ ესმოდათ.

უზომოდ იტანჯებოდა სოსო, რომ მას უკვე შეღერებულ ყმაწვილს, სკოლაში სახელმოხვეცილ მოწაფეს, სარდათის კრეისისა და სიმღერის ოსტატს, ჯერაც ბალღად სთვლიდნენ შინაურები.

ცნობისწადილმა კიდემღის აავსო მისი სული. გადასწყვიტა: დედის მოსვლისათვის არ დაეცადა, (დღეს მაინც გვიან მობრუნდებოდა იგი).

აღმა, კარი გამოიგდო და გახედა მთვარეს.

მთვარე ღრუბლების ზემოდ ჩალიჩობდა, ბენგალის შუქივით ანთებულყენენ ბურბუშელასავით დაგრაგნილი ღრუბლის ფანტელები, მტკვრის ხეობიდან დაძრული ქარი გრგვინვით გადადიოდა ქალაქზე, ატოკებდა ღრუბლებს თამიდანეამზე, ზანზარებდა ზეცის თევანი, ღამის სიბნელით მოცულნი მშვიდად სთვლემდნენ ბაღებში, ჯერაც უმწევანო ხეების ჩონჩხები.

ბნელ ქუჩებში კოკლი მეფანრე დაფათურობდა, ხან ერთი ფანრის სვეტზე მიიდგამდა კიბეს, ხან მეორეზე აბობლდებოდა, ანათებდა ფანრებს, მიჩლახუნობდა ოღროჩოღრო ქუჩებში, ამაოდ ებრძოდა ღამეს.

გოდერძიანთ გიორგას მიწური გვიმრიან ნაკვეთზე იყო, ბანზე ამოსული გვიმრები და შიშველი შტოები, ქიმერებივით იხატებოდნენ მთვარის სინათლეში.

სოსომ მიწურის კიბე ჩაირბინა, ხარის თვალის ოდენა ქუქრუტანიდან გამოკრთოდა მიწურში მხრჩოლავე ქრაქის სინათლე.

მენახშირე კერასთან იჯდა, ცალ მუხლზე ჩოხა დაედო, ზედ კვირისთავამდის დაედრიკა თავი, ცალი თვალით დასჩერებოდა საკერავს, როგორც მოწყურებულნი ქათამი წყალს. ვაიეავლახით ბლანდავდა ჩახეულ კალთას.

აეცხება ცრემლებით მარცხენა თვალი, წამოიღებს სახელოს, თვალს მოიწმენდს, დააჩრდება მარჯვენა თვალით, ისევ დასწვდება საკერავს და მოუხეშავად გამართავს ნემსს.

შესტკერის ამ სურათს სოსო ყოყმანობს: შევიდეს თუ არა, რომ შევიდეს, რა უთხრას, რა მოიმიზეზოს, ხომ არ ეტყვის შენი ნახვა მომენტარაო?

ახლა აქ მოსვლა ინანა, სჯობდა დედის მოსვლამდის მოეცადა! შერჩეულ თავს გამოაგზავნიებდა დედას, რაიმეს სათქმელად ან საკითხავად.

შინ დაბრუნებას აპირებდა და სწორედ ასეთ დროს დაინახა ცალი თვალით სოსომ: მენახშირემ ხელი გააკრა უცაბედად ძაფს, გაუწყდა და ზედ კრაქთან მიიტანა ნემსი, მარჯვენა თვალით მისჩერებოდა, კიდევ არ სჯერა უძაფო ნემსი რომ შერჩა ხელში.

ჩოხა იმავე ჯირკვზე დააგდო, რომელზედაც თავით იჯდა წელან, სამფეხაზე დადგმული კრაქის წინ დაიხოქა. ცალ ხელში ნემსი უჭირავს, ცალშიაც ძაფი. პირში ივლებს ძაფის წვეტს, ხელის კანკალით მიაქვს ყუნწამდის, მარჯვენა თვალით უტკერის ნემსს, ისევ დანერწყვავს ძაფს, წვალობს საცხებით ამოდ.

შეებრალა მენახშირე სოსოს. აპირებს მიწურში შესვლას, ეტყვის მოვედი გიშველოვო, მაგრამ ეს რაღაც ქალაქნობად ეჩვენება რატომღაც, ვეღარც ეს გაუბედნია.

ისევ წამოდგა მენახშირე, ჩოხა საწოლზე დააგდო, ფაფახი დაიხურა.

სოსო მიუხვდა: გარედ გამოსვლას რომ აპირებდა იგი. როგორც კი შემოესმა ფეხის ხმა, კუჭრუტანას მოსცილდა მყისვე და გაუჩინარდა ღამეში.

შინმობრუნებულს დაგმანული დაუხვდა კარი.

შესაძლოა, ცოქალაანთ იყოსო დედა, გაიფიქრა და ქილიფთარიანთ ეზოსაკენ გაემართა.

ცას ახედა, მთვარეს გაუმართა თვალი. ჭარს ჩრდილოეთისაკენ მიერიყა დადანილი ღრუბლის ფანტელები, კავკასიონის თხემებს მოსდგომოდნენ ისინი ისე გახუნებული და შეყვითლებული, როგორც მატყლი ზამთარგავლილი ცხვრისა, ოქროცურვილი და ყომრალი ფერებით ალაგალაგ დამშვევებული.

ალარც ის დიდი, ლეგა ღრუბელი სჩანდა სადმე, ზედ ციხის თავზე რომ გაწოლილიყო წელან და უშველებელ ჩრდილსა პფენდა ბნელში მთვლემარეს. ჩრდილოეთისაკენ ელაგდა ხანდახან, ირყეოდა ზეცის თავანი. გააკვეთდა ელვის ლეკური ღრუბლებსა და მწვერვალებს, დაინთქებოდა ანაზდად ღამეში.

ქილიფთარიანთ ვენახთან მოსულს, ვიღაც ახმახი კაცი შეეხეჩა სოსოს.

„შენ რითვი ხარ აქა?“

ეკითხება ღანდი.

სოსო შეერთა, მაგრამ დაბეჭილი ხმა ეცნაურა, შეხედა კიდევ, მენახშირე იცნო, ჩოხის ნაცვლად ტყავაკაბა გადაეცვა, ახოვნება შემატებოდა.

„დედაი შინაა?“

ეკითხება იგი სოსოს.

„არა.“

„მამაი?“

„არა.“

„ერთ წუთი წამოდი ლა ჩემთანა, აგრემც გაიზრდები, ვიწვი, ვიდაგვი, ძაფი ვერ გაუღე ნემსი. სინათლიან თოლები გაქუ, მომეშველე, აგრემც გაიზრდები.“

გიორგაანთ მიწურში შესვლის უმაღ ჯდანის სუნი, თავის სუნი და ნესტის სუნი ეცა სოსოს, აშშორებული სუნი, რომელიც მიწურში ასდის ხოლმე საგნებსა და ადამიანებს.

ხარიხაზე ძონძები ეკიდა, ერთადერთ ტახტზე დახეული ჩოხა ეგლო, კაცმა რომ სთქვას, ტახტი როდი იყო ეს, არამედ სოხანეში ჩარჭობილ მწკრივებს შორის გადებული ფიცრები.

სოსომ შეხედა მენახშირეს, მგლისფერ ტყავებას დევეკად ექცია იგი. ბალთები კოჭებამდის სცემდა, სახელოებიდან თითებიც აღარ უჩანდა, ბეჭებში უზომოდ შემატროდა სისქე და სივანე.

ყმაწვილმა ჭრაქთან მიიტანა ნემსი და ძაფი. გაუყარა და ხელში მისცა მას-პინძელს ღიმილით. თავათ კერასთან დაჯდა და ცეცხლს მიეფიცხა, რადგან მიწურში შესვლისას სიცივე მოეკიდა ანაზდად.

იწვოდა ნეკერჩხლის ნამორი, ტყიციწებდა ნედლი შტოების მოლურჯო კანი.

„რაგვარად სწავლობ?“

შეეკითხა მენახშირე, თავჩალუნულმა განავრძო ბლანდა.

არა უშავსო, მოკრძალებულად მიუგო სოსომ.

„კარგი სწორები გყავსა?“

ღიხაეც კარგიო, მიუგო პასუხი.

„ენებია შენი სწორები?“

გაგა, პეტა, გივი და მრავალნი სხვანიო.

„რა გვარია გაგაი?“

„არაბული“.

„სადაველია?“

„სნოს ხეობიდან, ნახევსურალი“.

„რა გვარ სწავლობენ გაგაი და პეტაი?“

„კარვად, კარვად“.

„ისწავლეთ, შეილებო, ისწავლეთ, იქნება უშველოთა ჩვენს ბეჩავს ხალხსა“.

სოსო გაათამამა მენახშირის შეკითხვებმა. ახლა თავათაც დაინტერესდა:

„რამ ჩამოგიყვანა, ძია კაცო, გორში?“

„ჭირმა ჩამომიყვანა, შეილო, ჭირმა და ვასაჭირმა“.

„ახლაც კეთრია, ძია კაცო, თქვენს მხარეში?“

„კეთრია, შეილო, კეთრი“.

„აქ საესებით მარტო ხარ, ძია?“

„მარტაი დავრჩი, შეილო, რაკი კეთრი მაუციდა უბედურ ქვეყანასა“.

ერთ ოჯახს რომ შეაყრება კეთრი, ცხოს ასე ჰგონია, ჩემთან არ მოვალისო.

ცხო გულზელდახვეულ უყურებს ცხოთა ჭირს, მანამდე თავათ არ შეაყრება, ესრე გადაედება ქვეყანას კეთრი, გამკითხავი აღარავინ არი.“

„ღმერთი თუ გწამს, ძია კაცო?“

„მენა? ღმერთი? ღმერთი არი, მაგრამ ცხოისათვისაა ღმერთი. მდიდრი-სათვი, თავადისათვი, მღვდლისათვი... ჩუენისთანა საწყალისათვი არც ღმერთია სადმე, არც სამართალი“.

„მაგ თვალზე რა მოგსვლია, ძია კაცო?“

„გაბარაი ვამიჩნდა, ცხორჩი რო ვიყავ“.

„ერთი ეს მითხარი, ძია კაცო, ავი სახალაი კეთრი?“

„ძნელია, აბა რა იქნების, რომ ვაიზრდები თავათ ვაიგებ“.

სოსომ ფანდური შენიშნა სვეტზე დაკიდული.

„ფანდურს თუ უკრავ, ძია კაცო?“

„ფანდურსა, რაისთვის არა, ფანდურია ჩემი გამახარებელი უბედურ ქვეყანაში.“

„უბედური რათაა, ძია კაცო, ეს ქვეყანა?“

„ქვეყანა რაისთვისა უბედური? კაცნი ვართ უბედური.“

ნადირს სოროს აქუ, თევზს დარანი, არწივს ჭივუხი აქუ, ჩუენისთანა ბეჩავსა თავის ქოხნიც არ გვოყენებენ“.

მენახშირემ გაათავა ჩოხის კალთის ბლანდვა, საწოლზე დაავლო ჩოხა, ფანდური ჩამოხსნა, გაულიმა სოსოს, ისევ მიანათა თავისი მშვენიერი, თეთრი კბილები, კერასთან დაჯდა, დაბეჭილი ხმით დაამღერა:

„ომია ბახტრის ქალასა,
თოფის ხმა გამამღისაო,
მარტო მგზავრს შამახვევია
ჯარები ყაზახისაო“.

სოსო გატრუნული უსმენდა ფანდურის ჩხაკუნს. ცეკვავდნენ გამურული თითები სიმებზე... ჯერ მონოტონურად ჩხაკუნებდა ფანდური, შემდეგ უფრო-დაუფრო შეემატა ელასტიურობა შავ თითებს, თვალი გაუბრწყინდა მომღერალს:

„ვოჟაკსა გული რკინისა,
აბჯარი უნდა ხისაო.“

ახლა ისე მოეჩვენა სოსოს, გალამაზდაო თითქოს გლესურად გამოჩორავილი ფანდური.

აფრიალდა ჩხაკუნა სიმები, აღულუნდა ჰანგი.

„ავაი ჩემო გორდაო,
ეებლა საქმე ჭირსაო,
გადაერია ჯარჩია,
ფერი დაიღო მგლისაო,
ვოჟაკსა გული რკინისა,
აბჯარი უნდა ხისაო“.

დაბეჭილი ხმაც ანაზღად გადიდდა, გაძლიერდა, ასე რომ ტყავაკბიანი მეფანდურე უკვე აღარა ჰგავდა ძმებში ნაველ, ჩოხა შემოფხრეწილ მენახშირეს, არამედ ვეება დევეკაცს, ომაზიანი ხმით მობუბუნეს:

სახეც შეეცვალა ამ წუთში მასპინძელს, იგი უკვე აღარ იყო „საწყალი გუდამაყრელი ხიზანი“, არამედ შურისგების მაცნე ვაჟკაცი, ერთ ციდა ფანდურზე გადახრილი. იგი წელში ვადრეკილის შთაბეჭდილებას როდი სტოვებდა, არამედ რომელიღაც მშვენიერ მწითურ ნადირსა ჰგავდა ისეთ მომენტში, როცა ლიქიანში განაბული ტყიური ნახტომისათვის ეშვადება და ცეცხლებ აღგზნებული თვალებით შესცქერის მიზანში ამოღებულ მსხვერპლს.

გატრუნული იჯდა სოსო, ყურს უგდებდა მომღერალ მენახშირეს, უცნაურად ფერნაცვალი ეჩვენებოდა იგი.

ერთ წუთში ასე ეგონა სოსოს: ეს კაცი სადღაც მინახავსო კიდეც და ფიქრდა. კიდეც შეხედა.

არა, ასეთი მწითლური კაცი ჯერ არსად შეხვედროდა მას. ეს იყო მხოლოდ, ეჭვიმუტანელი გრძნობა აღეძრა ყმაწვილს: ვილაც ენახა ისეთი, რომელსაც ჰგავდა ეს კაცი. სისხლისმიერი, ხორცისმიერი მსგავსებით.

ზომ არის ასეთი შემთხვევა, ორი ადამიანი დეტალებში არა ჰგავს ერთი მეორეს. მაგრამ რაღაც უხილავი შესატყვისებით წააგავენ ისინი ერთმანეთს.

შესცქერის მეფანდურეს სოსო, შესცქერის, მაგრამ ვერ მიუგვია ვინ უნდა ყოფილიყო იგი, ვისაც ასე ძლიერ აგონებდა ეს ტყავაკაბიანი მეფანდურე?

„ვოჟაკცა გული რკინისა.

ამჯარი უნდა ხისაო“.

მიწურის კარი აჭრიალდა.

ვილაც ფარაჯიანი მიუახლოვდა კერასთან მჯდართა.

მენახშირემ ფანდური განზე გადასდო. სოსომ სესია შეიცნო, ამილახვირინათ მებღო.

„სოსო შენა?“

ამბობს ლიმილით სესია, მასპინძელს მიუბრუნდა შემდეგ ამისა.

„ლაზათიანად მიბეჯა სოსომან წინა დღით ამილახვირინათ დათვი“.

„დათვი რაილაა, ნეტა ისეთი ვინმე გამოჩნდებოდეს, ღენერალ ამილახორსა და მის მეფესაც რო მიეცევადეს, ეს იქნებოდა ჩემო სესიავ მადლი“.

უღუნება მენახშირე სესიას ხმამალლა.

„გული ნუ გაიტეხე, კაცო, გამოჩნდებიან, ასეთებიც გამოჩნდებიან.“

ესა სთქვა სესიამ, მენახშირეს მხარზე ხელი დაადო და წასტურტულა:

ერთი კვირის შემდეგ უფლისაი ამოვაო გორში.

„ვინა თქო?“

იკითხა მენახშირემ ოდნავ შემკრთალმა.

„ციციანთ მეცხვარე ჩამოსულა ერთი. ხერთვისში შეხვედრია უფლისაი.“

პებელი გასჩენია ცხეარსა, სამასი სული გაუწყვეტია დოლობაზედა, ამილახორს უხმიაო უფლისაი, მოურავი შაუნთებდა ალბათ ცეცხლსა, გაცეცხლებულა კნიაზი“.

ფიქრში გართულმა მენახშირემ ცეცხლს დაუწყო მზერა. მცირე ხნის შემდეგ სესიას მიუბრუნდა:

„ჭარი დადგა?“

სესიამ ვერ გაიგონა.

„ჭარი დადგა.“ გაუმეორა ყვირილით.

„ჭარი ჩადგა, მაგრამ ისეთი პირი უჩანს ღრუბლებსა, ძალემი ჭარი ამოვარდება ხელები“.

სდუმდნენ სამივენი. წრიბინებდა ცეცხლი, ცეცხლი კი არა,

ნეკერჩხლის ნარტოალიდან ვადმოვონილი ცრემლი, ნელლი ხის ცრემლი...

15. სიტყვა მანასაც ჰვავს...

მარტის მზე ატფობდა ძველ სასაფლაოს, გაზაფხულის სუნთქვა შესდგომოდა ვარდის ბუჩქებს მივიწყებულ ლოდების კიდეებში ამოსულთ. ნეკერი შესწითლებოდა აქა-იქ ლერწმებს. ცეცხლისფრად ლივლივებდნენ მანულის კლერ-

ტოები. კიდევ ცრტა სიტფო და ნერგების შტოებზე თავს ამოჰყოფდნენ სატირის ყურებივით კიდევწვეტიანი ფოთლები.

ყველგან ისმოდა გაზაფხულის ჩქაში, ღრუბლის სითეთრეში, წინს უჭრების სილურჯეში, ციხის ბანებზე ამოსულ ჩირგვებში, ყველგან, ყველგან იყო გაზაფხული, მაგრამ არსად სჩანდა.

კვირტები იცდიდნენ, ყორეების, მესრების, ვალანების კიდებთან, საკმარისი იყო ცოცხა, სულ ცოცხა და ფოთლები გამოსცვივებოდნენ ბუჩქებიდან, შტოებიდან, ნარტოკლებიდან და გაულიმებდა ქვეყანას გაზაფხული. მაგრამ ჯერ არა. ჯერ კიდევ ყველას ეშინოდა მატყუარა მარტის სუსხისა.

ამ სასაფლაოდან მოსჩანდა ცარცისფერი კავკასიონი, საესებით ვალურჯებულ ცაზე.

მოხუცი დარაჯი ჭადრის ქვეშ აქუჩებდა შარშანდელ ფოთლებს, ახლებს მოლოდინში სასაფლაოზედაც არ აყენებდა ძვლებს. საფლავის ლოდზე ამოჭრილი იყო:

„პოლკომენიკ კნიჰ აშილახოროვ“

ჩყვე

ამ ლოდს ჭირისფლებივით გარს მოსხდომოდნენ: სოსო, პეტა, ვაგა, პრაქუნა, კურკა და ძალის მწერი, ვეზირიანობას თამაშობდნენ.

ლოდი ჩინებულად იყო პოლირებული, ამიტომაც ამოერჩიათ ყმაწვილებს ერგენის დაპყრობაში მონაწილე თავადის სამარხი. გრანიტი სლიპი იყო და კრიალა, ჯობის ნაპობები საუცხოვოდ სხდებოდნენ მასზედ.

შესაძლოა, თქვენთავანს რომელიმეს არც ეთამაშოს ვეზირიანობა ოდესმე. სრულიად მარტივი, მაგრამ ფრიად აზარტული თამაშია იგი და ჩემმა ნათხრობმა თავი თუ არ შეგაწყინათ, თქვენ დინახავთ, რამდენი ამბავი მოჰყვება მას, ჯერ კიდევ ამ წიგნში.

აილებენ ნეკის სისხო წნელს, გოჯის ოდენას მოსჭრიან, თანაბარ ნაწილად გააპობენ მერმე ამ რიკს.

შეატყუებენ და კამათელივით ზეაადებენ ორივეს. ფიზიკური კანონის ძალით რიკის ნაპირები პირქვე დასამშობად მოისწრაფიან ძირს, მაგრამ როგორც ყველაფერში, აქაც ხელმარჯვეობაა საჭირო, ხელმარჯვეობა და ოსტატობა.

ხელმარჯვეობა ვარჯიშობით უნდა მოიპოვოს კაცმა, ხოლო ოსტატობა?... ოსტატობის გამო, რა მოგახსენოთ...

პო,

თუ ორივეს ნაპობი გულადმა დასვა მოთამაშემ, მაშინ იგი ვახდება ბრძანებელი. ხოლო უკეთეს ნაპობთავანი პირქვე დაემხო ერთი, მაშინ ამის ჩამდენი „მორჩილი“ ვახდება. მას უბრძანებენ და ყოველივე უნდა შეასრულოს.

ყველაზე ადრე ძალის მწერმა ააგდო რიკები.

ცალი პირქვე დაემხო, ცალი პირადმა.

ახლა სოსომ ააგდო, ორივე გულაღმა დასვა.

სოსო დაჯდა „მბრძანებელად“.

სამართალი გააჩინა.

ძაღლის მწერი ოთურმის წესით გადაახტესო გაგა არაბუქს...

ცალი მკლავი მუხლის თავზე დაიყრდნო გაგამ, ოდნავ მოიდრიკა წელში. წამოტუნტუნულდა ძაღლის მწერი. მბრძანებელზე შეახტა, მაგრამ ნახტომი ვერ მოუვიდა მარჯვენა და ზედ შერჩა არაბულს.

იჯღანებოდა, თავში უშენდა წელში მოდრეკილს.

გაგას თავის ბრუალი დაუტოვა ყვავილმა, ტოლები გაფრთხილებული ჰყავდა: კრივისა და ბლლაძუნის დროს სადაც გინდათ იქ დამკართ, თავში ნუო.

ეს იცოდა ვაშალომიძემ, მაინც დაუშინა კეფაზე.

გაგა, როგორც ყოველი ძალოსანი, ამტანი იყო. დიდხანს უთმინა ძაღლის მწერს, მერმე ისე, როგორც ოჩანი ცხენი დაიბღერტება ხოლმე უსიამო უნაგირის მოსაშორებლად, შეინჯღრა და მიწაზე დასცა ვაშალომიძე.

ძაღლის მწერი აჯიჯღინდა, გაგა გალანძლა, მერმე დაშოშმინდა და გვერდით მოუჯდა მასვე.

ახლა არაბულმა აისროლა რიკები.

ერთი პირქვე დაემხო, მეორე პირაღმა.

მბრძანებელმა“ მიუსაჯა: ხეესურული ლექსი გვითხრასო გაგა არაბულმა ერთი.

გაგა შეჰკოჭმანდა, ბიჭები ჩააცივდნენ და მერმე ის იყო დაიწყო:

ცაი — ნამსაო,

ნამი — მთასაო,

მთაი — თივასაო,

თივაი — ფურსაო,

ჭარი — ბზესაო,

ბუსკვერცხები — აშლოყინესაო.

აშლოყინესაო?

— ვაჰა, ჰა...“ ასტეხეს ბიჭებმა ხარხარი.

სიტყვა უცნაურია, ბგერების შერჩევითაც ზოგი, ხანდახან სიტყვა არც სახიანია, არც აზრიანი, არც სარწმუნო და არც არსებული. მაინც გაგვახარებს, გვაწყენინებს, ან გაგვაცინებს.

მართლაც და რას არ ჰგავს სიტყვა? ყველა საგანს ამ ხმელის პირზე, ყველას, რასაც კი თავათ მისწვდება ხოლმე.

სიტყვა ქეიშასა ჰგავს ხანდახან, აიღებ და თითებს შორის შემოგადნება.

ხან მიწას ჰგავს სიტყვა, ანულის ორნატგავლებულს. თავდაპირველად მქისია, უსახო და უფერული, მაგრამ მის წიაღში ათასი ფერი სთვლემს და ათასი სახე რიალებს.

ხანაც ელვასა ჰგავს სიტყვა.

მთებში თუ დაგსწრებით ელვათა ტეხა. მიდისარ, მიფათურობ ბილიკზე, ასე გგონია არც მთაა სადმე, არც ქარაფი, არც მწვერვალები, ცა და ხმელეთი სიბნელეში ადღებებილანო.

ღრუბლების თავანზე გაპკრავენ ტალკვესს, ცა გამოჩნდება აღმოდებული და გამოდგება ბროლებზე ნაკვეთ მყინვარ წვერებზე ლანდის სისწრაფით დაღვრულ ბოკრული ერისიონი.

სიტყვა ზღვასა ჰგავს და წყლის ნამცვრევსაც. წვეთავს და ეინელლავს, წვეთავს და ეინელლავს, სულ სათითაოდ ეცემა კლდეზე.

როშას მწვერვალის ფერთხით თუ ოდესმე გამოვივლია, იქ თუ გინახავს წყლის წვეთისაგან დაღწილი ქარაფები, რუხი კლდეები, დევების ნაპარტახალივით დაფშენილი ირგვლივ ხრამებსა და ლარტაფებში გადაცენილი. ასე იტყვი უთუოდ: ქაროსს მიბრუნებიაო კვლავ, მწვერვალების, მტკიცე ბექთარი. (ასეთია ხანდახან სიტყვა, როცა იგი უკავშიროდ ჰყრია ხოლმე ლექსიკონებში).

ზოგი სიტყვა სპეტაკია და პატიოსანი როგორც ლოფოტის მარმარილო, მოქანდაკის სატეხის მონატრული, ნებისდამყოლი.

ზოგი რომანტიულია და ცისფერი, როგორც თეძამის ქვა, ზოგი გელათის გრანიტით ყრუა და უსახო, ზოგსაც ისეთი ხატოვანება დაყოლია გაჩენის დღიდან, როგორც ბოლნისის ტუფს ატყვია ხოლმე.

ნაზი, ნაზი ძარღვები, ბეწვზე წვრილი შტრიხები. ხან ველის პირის სწორი ხაზები, ხანაც მღელვარე ტეხილები, მობიზინე ჯეჯილებისა, ზღვისა და ღრუბლების მოხატულობაში რომ მოუცია ბუნებას.

სწორეთ ასეთი.

ზოგი ლალივით გამსჭვირვალეა, ზოგიც ეშმას ქვასავით მრუმე და ვაბიდნული, ზოგი კუმტია და ფშუტე, როგორც ის თიხაფიქალი, რომლითაც ქოხებს იშენებენ ხოლმე ჩვენი ელი მეცხვარეები.

ზოგიც ჯიშმაგარია და მტკიცე როგორც ის ალისფერი ქვა, რომელიც წულრულაშენის აფურიან ჩუქურთმებისთვის უხმარია ამ ტაძრის ოსტატს.

ზოგიც... ზოგიც კაეთის ნამსხვრევევით გლისპია, გარეგნულად, სლიბი და ცივი, მაგრამ ხანძრებით ორსულია იგიც და მასშიაც ცეცხლი სთვლემს გაუმხელელი.

ასეთი სიტყვა უცდის ხოლმე თავათ დაკვესავს.

და ასე.

როცა ხარხარი შესწყდა, სიტყვა „აშლოყინემ“ ააფორიაქა ყმაწვილების ფანტაზია.

„ვის დავარქვით აშლოყინე?“

იკითხა პრაკუნამ.

„გლურჯიძეს?“

„არა“.

„კაპანაძეს?“

„არა“.

„კეცხოველს?“

„არა და არა“.

სოსომ მიმოიხედა სწორებში.

„ჩვენ ყველასა გვაქვს თითო“

ამბობს პრაკუნა.



ქვემოთაშენი

ქვემოთაშენი

„ვაშალომიძეს ერთის ნაცვლად, ორი“.

(ხითხითებს კურკა).

„მაშ ვის აკლია სახელი?“ იჯღანება ძაღლის მწერიკენი: „მამაშაურია-
ლებს „აშლოყინე“.

„იციო, ბიჭებო, ვის დავარქვით?“

„ვის?“

„ვის?“

„ვის?“

დაიხრიალეს ბიჭებმა.

„ლავროვს დავარქვით „აშლოყინე“.

ამბობს სოსო და იცინის.

„ვაშა“.

შეპყვირეს კვიმატებმა.

„ზედგამოჭრილია.“

ამბობს არაბული.

„სწორია“.

კვერი დაუკრა ძაღლის მწერმა.

გადასწყდა: ლავროვს დარქმეოდა აშლოყინე. დასთქვს: არაეის გაემზი-
ლა თუ ვინ შეარქვა ეს სახელი მას.

„იციო, ბიჭებო, სთქვა პრაკუნამ, გუშინ „სლოვო პოლკუ იგოროვე“ აუბს-
ნია ლავროვს, ჩვეულებისამებრ საგანს გადასცდენია და ასეთი რამეც მოურო-
შავს: მე ბევრი მიელიაო ამ ქვეყნად, ბევრიც მინახავსო, მაგრამ ორი რამ არ-
სად შემხვედრიაო, რქიანი ვირი და ჭკვიანი ქართველი“.

ესა სთქვა პრაკუნამ და რიკები ჯერისამებრ ვაგას გადასცა.

არაბულმა ისეე ააგდო რიკები.

ერთი პირადმა დასეა, მეორე პირქვე.

ვაგა არაბულმა კოკარდიანი ჭუდი მოპაროსო როგორმე ლავროვს, სახე-
დარს დაახუროს და სკოლასთან ჩამოატაროსო.

ასე განსაჯა ბრძანებელმა.

მე აქ არ გამოუდგები თბრობას იმისა, თუ რამდენს ეცადა ვაგა არაბულ-
ლავროვის კოკარდიანი, ლურჯი ჭუდი როგორმე ჩაეგდო ხელში. იმ დამეს
თოვლი მოვიდა და სამი დღე სთოვდა ზედიზედ.

ნაავადმყოფარ ლავროვს მომეტებულად ეშინოდა გაციებისა. სასწაელე-
ბელშიაც არ იშორებდა ჭულს, საპირფარეშოშიაც ჭუდიანად დადიოდა. შემო-
ვარდებოდა კლასში, ეურნალს გვერდით დაიდებდა კათედრაზე, როგორც კი
მოათავებდა შევრაზმულ ჭადაგებას, ერთების წერას და მოწაფეების ლანძღვას,
მყისვე დერეფანში ჭუდიანად გავარდებოდა.

(ვაგრძელება შემდეგ ნომერში)

სიძლერა უსახელო გმირებზე

ეხედავ ვარსკვლავი, ვით ბატარძალი,
 ინათებს ცაზე და ისევ ჰჭრება...
 ალბათ მიჯნურმა დაჰკარგა ცალი,
 ვაი, სიკვდილი თუ ემუჭრება!...
 გავყვები ღამეს... ქერის წამწამებს,
 როცა ცრემლები დაეკიდება,
 იღუმალ კარებს გამიღებს ღამე,
 მიმღერებს ქართველ გმირთა დიდებას.
 თურმე ყველაფერს ენა ჰქონია,
 ხან გამაზარეს, ხან დამალონეს;
 ბევრი ამბავი გამიგონია,
 ეს კი ნამდვილად მათ შთამაგონეს:
 ... ადგა თავადი ამილახვარი,
 ადგა და ბრძოლის ნიშანი მისცა,
 სტყორცნეს გულდაგულ ასი ლახვარი,
 ერთი მათგანიც არ ასცდა მიზანს.
 მოაწენენ ერთად ღამე და მტერი,
 წყვილიდმაც შავი მახვილი ჩაჰკრა,
 იბრძოლეს ბევრი, დახოცეს ბევრი,
 და ბევრი, — ბედის ვარსკვლავიც ჩაჭრა.
 დააგუგუნეს შემდეგ ლაშქრული,
 იმ უსახელო გმირთ სადიდებლად.
 ქართველებს მუდამ შავი წარსული
 და გამარჯვება ჰქონიათ ბედად...
 გაფრინდა მაცნე და შარავზაზე,
 დარჩა ნალების ელვა და კვალი.
 არც ვარსკვლავები ჩამქრალან ცაზე,
 არც სიყვარული იყო ჩამქრალი...
 და ჰლაღადებდა ეტრატის ენა:
 „კვლავ გამარჯვება და გადაარჩენა.

მეფისა მტრისა ლახვარი,
 ვამტკიცებ: ამილახვარი“..

ო, ხალხი იყო მოწამე მისი,
 და უსახელო გმირთა მნახველიც,
 ამილახვართა ცისფერი სისტილით,
 სურდათ მოესრათ მათი სახელი.



იბადებოდა გმირი ახალი,
 გმირი და ლექსი იბადებოდა,
 თუმც ბეჭედს ერქვა ამილახვარი,
 სახელი შიინც გმირებს რჩებოდა.
 იცოდა ხაღბმა... და შეიბრაღა,
 და იმ ვაჟკაცებს მიუძღვნა გული,
 მათ უმღეროდა ქართული ნანა,
 ავთანდილების აკვანთან თქმული;
 მღეროდა ხალხი გამარჯვებული,
 და ყველა გმირი ლექსით კვდებოდა.
 ტირილი იყო სიმღერით თქმული
 და ნაღვლიანად იმღერებოდა:
 „—თურმე სიხარულს ნულარ მოველით,
 პირველად ცრემლი ჩაისახება.
 დაბადებული ბავშვი ყოველი,
 ტირილით იწყებს თვალის გახელას.
 ატირდა ყველა, ყველა ჩონგური,
 და ეს დარდები აამეტყველა,
 რა სიხარულით არ იყოს თქმული,
 ნაღვლიანია სიმღერა ყველა“...
 მღეროდა ხალხი გამარჯვებული,
 და ყველა გმირი ლექსით კვდებოდა.
 ტირილი იყო სიმღერით თქმული,
 და ნაღვლიანად იმღერებოდა.

ვადიდოთ უნდა ის ვაჟკაცური
 სისხლი, რომელსაც სიცოცხლე სდევდა...
 შავი ყოფილა ზოგჯერ წარსული?..
 სიხარულიც ხომ გვექონია ბედად.
 ეს, ამ დღეების ერთი თქმულება,
 ჩემი ალაღი გულის ზიარი,—
 გიმღერეთ, ძმებო...
 ნუ გეგულებათ
 აქ ერთი სიტყვაც კაეშნიანი.
 იმ ვარსკვლავების ანთებულ თვალებს,
 ცას რომ გვიხატავს ელვისფერებად,
 ქართული ზეცის ლამაზ ვარსკვლავებს,
 თქვენი სახელი შეეფერება.
 მოვჯრით, დაეცავთ ყველა ჩვენს კარებს,
 თქვენი სახელის კვალზე დავდგებით.
 იმ ძველ კაეშანს ნურც მიიკარებთ,
 ჩვენში არასდროს დაიკარგებით.

რიჩარდ ოლდინგტონი

ს ა ლ გ უ რ ი

თეთრი სადგური, მშვიდი და მცირე,
დგას, მოწყვეტილი ქვეყნიერებას.
მის კედლებს შუა შეხიზნულ მწირებს
მოწყენილობის რული ერევა.
არც ქვების გმინვა ბარბაროსული,
არც მზის დუმილი, არც ჩრდილის მალვა.
და მხოლოდ ქარი შორით მოსული
არხევს ხანდახან სადგურის ალვას.
მოწყენილობის რული ერევა,
დგას ავსებული სიჩუმით თასი,
და მისი ვიწრო ქვეყნიერება
თავდება მთებით და ლურჯი ხაზით.
მოხუჭული აქვს დღისით თვალები
და ეფარება საღამოს ზეცას,
როცა ცა აქცევს მას მოკრძალებით
ანთებულ, მაგრამ უვნებელ მხეცად.
დგას წყნარ ღამეში ბნელი სადგური,
ვით გულუბრყვილო სოფლის ზღაპარი,
ხეთა ერეოლაში თბილად ჩადგმული
ნარად მთვლემარე თავშესაფარი.
და წყვილი ხაზი მარჯვნივ და მარცხნივ
ქვეყნის ბოლოდან შემოთრეული,
როგორც ფოლადის მავთული ბასრი
გაბმულა მიწის ბურთზე ხვეული.
სხვა ცხოვრებიდან შემოპარულა
და კვლავ წასულა უცხო მხარეში,
რომ გზა გაუგნოს უცნობს ფარულად,
შემოკლავს გველურ აღერსით...

დაღამებისას ღრუბლის ნაჭრები
ამოღებული მზის კოკონიდან
გაეფინება დასავლის ცაზე.
მიწა და სიციხე მაშინ დაცხრება;
გრძნობს: იდუმალი ახლოს მოვიდა
და ვიღაც მოჰქრის ხაზების გზაზე.



დაღამებისას მიწა მღუმარი
 დაიწყებს გუგუნს, გმინვას და რევვას
 და ცეცხლის მხეცის ხმა იღუმალი
 გამოფხიზლებულ სადგურში შევა.
 დაღამებისას მხეცის ღრიალი
 ისმის. მხეცს უნდა ჰყავდეს დამხედური.
 მოჰქრის შორიდან. მიწა გრიალებს
 და დაძაბული იცდის სადგური.
 გამოქცეული მოსვლას ესწრაფვის,
 შორეთში წასვლას — შორითმოსული.
 შემოვარდება ზღაპრის ვეშაბი,
 ვით ცეცხლის სუნთქვა ბარბაროსული.
 მოვა, დადგება ქშენით, ვაებით
 და მიწა ორთქლით დაითოვლება,
 ჩამწკრივებული მღვრიე თვალებით
 გადმოიხედავს სულ სხვა ცხოვრება.
 დგას წინდამშული, მოუსვენარი,
 ქვეყნად წუთიერ ყოფნად მოსული,
 ფაფარ-აყრილი, როგორც მერანი,
 ქვესკნელის კუბრით გარემოცული.
 თვალეში წარმტაც, უცხო სახეთა
 ეკითხებიან: რისათვის გვიხმე?
 და აღელვებულ სადგურს ჩახედავს
 განათებული ქვეყნების სიღრმე.
 სწვავენ თვალეში დასადაგონი,
 და მბეჭეტაე სანთლებს სადგური ნაბავს
 როგორც დაწყველილს, ჯერ არგაგონილს
 ბრიყვი სადგური შესცქერის ზღაპარს.
 რომ იმ ცხოვრების ჯერ არ ყოფილა
 და არც ვახდება ის მონაწილე,
 ვისმა სხივებმაც იგი მოჰფინეს
 და ეს ნადირი გამოაცილეს.
 მიზდილი გონით მას შეადარა
 სადგურმა სევედა მისი მხლებელი
 და მოინდომა, არ გაატაროს
 მერანი, ცეცხლის მატარებელი...
 მაგრამ, ვით ლომი ჯაჰვანწყვეტილი,
 და ვით აბჯარი ბარბაროსული,
 ეღვარე, მოძრავ ჩრდილთა კედელი
 გაცურდა სწრაფად გონზემოსული.
 ერთი შეჰკივლა სიტყვა საზარი,
 უკანასკნელი გამოთხოვება
 და ყველაფერი, მშვიდად რაც არი,
 აღელდა და მის ბორბლებს მოება.



მათ შორის რეკდა ენა ადგმული,
მომწოდებელი ზარი ომისა.
და დარჩა ისევ ბნელი სადგური
თავშესაფარად მარტოობისა.
დარჩა ლამეში ბნელი სადგური,
ვით გულუბრყვილო ძველი ზღაპარი,
ხეთა შრიალში ჟრჯოლით ჩადგმული,
მოუსაფარი თავშესაფარი.

თარგმანი ინგლისურიდან **გივი ბაჩანილაძისა**

ი. ლისაშვილი

ქახილი მთაში¹

ქარხნის მუშათა კლუბში წარმოდგენა მიდიოდა.

გულიანად იცინოდა მთელი დარბაზი.

დირექტორი პაველ შერვაშიძე, რომელიც სხვა დროს თითქმის არასოდეს არ დასწრებია მუშათა კლუბში გამართულ წარმოდგენას (ის მხოლოდ კრებებზე დადიოდა აქ), ახლა წინა რიგში მუშებთან ერთად დამჯდარიყო და სხვების ხარხარზე, თითქოს ისიც კი იცინოდა.

ნოდარსა და მაროს ყველაზე მეტად რევაზის უხერხული თამაში აცინებდათ, რომელიც თითქმის ყოველი წინადადების მობრუნებაზე თავის საყვარელ „ძმობილოს“ უმატებდა....

სწორედ ამდროს თავის კაბინეტში იჯდა ტექნოლოგი თომა ურბილაძე და მაგიდაზე გაშლილ რალაც ქაღალდს დასჩერებოდა.

კარგახანს გრძელდებოდა თომას დუმილი, თითქოს მას ფიქრიც კი ვაეყინაო, იჯდა გაუნძრევლად სახემოღრუბლული და საკუთარი სუნთქვა ესმოდა.

კარი გაიღო.

ვილაც ოთახში ქურდულად შემოვიდა.

თომამ მხოლოდ ცალი თვალით ახედა შემოსულს.

მან კარგად იცოდა, ვინც შემოვიდა ოთახში. ის ფეხის ხმაზედაც სცნობდა მას.

— დაიგვიანე! — იღუმალი ხმით უთხრა თომამ შემოსულს და როგორც იყო, თავი ასწია.

— დერეფანში დიდხანს დადიოდნენ ვილაკები და ვერ შეეძელი, — მიუგო საშუალო ხნის წერწეტმა კაცმა, რომელსაც თავისი ბანჯგვლიანი თითები ძაღლის თათებივით დაელაგებია თომას მაგიდაზე და პირი დაეღო.

— ახნაურიშვილი მაინც არ იყო! — მიუმატა თომამ და უფრო სერიოზული გამომეტყველება მიიღო, — რას მეტყვი, სევასტი? ხომ მზად ხარ უკვე?

— ამალამ! დარდი არ არის! — მტკიცედ სთქვა სევასტიმ და ნიკაპზე შერჩენილ, შავ წვერზე ხელი მოისვა. — ისე შევალ, კაცმა ვერ მიცნოს. მოკემულ სიტყვას, თუ გსურთ ახლავე გავიმეორებ: თუ მოხდა მარცხი და მე გამიგეს, — მოკედეს მაშინ ახნაური სევასტი! დარდი არ არის! თქვენზე ერთ სიტყვას მარწუხითაც ვერ ამომგლეჯენ.

¹ გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 8

— კარგია, კარგი! — გაიმეორა თომამ და ზეზე წამოდგა. სევასტი სახეზე წამოწითლდა, უკან დაიხია და მაგრად დაწვრილნი მუშტები პაერში დაატრიალა:

— მე მკითხე მავათი... — და სევასტიმ მუჭარას გინებაც ზედ მიაცოლა.
 — მაშ, წადი, სევასტი, და დაიმახსოვრე!
 — მშვიდობით! — დაიძახა სევასტიმ. გრძლადგადადგმული ნაბიჯებით გაშორდა მაგიდას. კარები ფრთხილად გააღო, პირველად თავი გაჰყო და ფეხაკრეფით გავიდა.

* *

მეორე მოქმედება რომ დასრულდა, მარო და ნოდარი ერთად გამოვიდნენ კლუბის ეზოში.

ბაღში თავისუფალი მერხი მონახეს და იქ მარტო დასხდნენ..

აქ დაშვებული ზეების ჩრდილი თითქოს მერ სივრილეს აძლევდა ნიავს და ნელი ტალღებივით ეპკურებოდა იმათ სახეებს.

აქ უფრო მეტი სიჩუმე იდგა. ფოთლების შრიალი რალაც იღუმალ, მიმზიდველ ჩურჩულად ესმოდათ და თითქოს მეტის თქმა არც იყო საჭირო. ისინი სდუმდნენ.

აი, გარეთ გამოვიდა დირექტორი პავლე შერვაშიძე, მას ტექნოლოგი თომა ურბილაძე მიუახლოვდა, ხელი გამოსდო და ბაღში განცალკევებულ ადგილას ერთად ჩამოჯდნენ.

ილია, რომელსაც ხელები უკან დაეწყო, დაბნულად მოაბიჯებდა, თითქოს აქ ვინმეს დაეძებსო, მაგრამ, როცა ხმაგაკმედილ ნოდარსა და მაროს მიუახლოვდა, გვერდი აუქცია და ქარხნის ეზოსკენ წავიდა.

იქ ნახევრად ბნელში ჩამოჯდა ერთ მისთვის ნაცნობ ძველისძველ სკამზე და პაპიროსს მოუკიდა.

— ნოდარ, აქ როგორ კარგია! — პირველად მარომ დაარღვია სიჩუმე და ცოტაოდენი დუმილის შემდეგ განაგრძო, — შენ მაინც ნამეტარს შეგები... დასვენებაც საჭიროა: მუშაობა, სწავლა. ახლა კიდევ ეს სააღიაციო სკოლაც გაგიჩნდა, რალაც კიდევ გამოგონება და ვინ იცის რა... მაგრამ როდის უნდა იცხოვრო, ნოდარ?

ნოდარმა ცოტა ხანს კიდევ იყუჩა. შემდეგ გაკვირვებით შეხედა მაროს.

— ცხოვრება? განა ამაზე დიდი ცხოვრება კიდევ იქნება? ცხოვრება იქ არის, საითყენაც გული მიგიწევს. თანაც გახარებს. ყველაფერი, რასაც მე, ან თქვენ აკეთებთ, ცხოვრება არ არის? დასვენებაც სჭირდება კაცს, მაგრამ ცხოვრება მხოლოდ ეს არ არის.

— შენ მართალი ხარ... შენ მართალი ხარ... — ჩაფიქრებული, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა მარო, — მაგრამ მე სულ სხვა მინდოდა შეთქვა. მე მინდოდა, რომ... აი... მაგრამ მთლად დამავეიწყდა, მთლად დამავეიწყდა... — ბოლოს ხმამაღლი სიცილით დაასრულა მარომ და ერთი-მეორეზე ჩაქსოვილი თითები ისე გადაღუნა, რომ კინაღამ გადასტეხა.

ნოდარმა გორაკზე ვინტოვკით ხელში დამდგარი წითელარმიელი შენიშნა, რომელიც დინჯად დადიოდა მავთულების ლობურთან.

შეჩერდებოდა, არსენალის მისასვლელებს თვალს შეავლებდა, კვლავ მიდიოდა.

ნოდარის იმ წითელარმიელის დანახვამ მოხუცი მუშავამუშავებელმა ბი-რიდონი მოაგონა, რომელმაც მთელი რიგი ახალი ხელსაწყოები გაიჩინა ქარხანაში, მაგრამ, რაც მთავარია, მან ბოლოს წითელარმიის საქიროებაზედაც ბევრი იფიქრა და სრულიად შემთხვევით შორიდან მანძილის საზომი ხელსაწყო გამოიგონა.

ამ ამბის მოგონებამ კიდევ მეტად გაუშწვავა სურვილი მის მიერ ბოლოდროს დასახული იდეის განხორციელებისა, რაც აგრეთვე წითელი არმიის ძლიერების საკითხს ეხებოდა.

ამ ფიქრის დროს ისე დატკბა, ისეთი მიმზიდველი და ბრძნული ვახდა მისი თვალეზი, რომ მოჯადოვებულმა მარომ ველარ გადასწყვიტა ამ იღუმალი სილაშაზის დარღვევა. ისიც უხმოდ უცქეროდა ნოდარის თვალებს და მით სტკებოდა.

მოშორებით, ნახევრად ბნელში მარტოდ ჩამომჯდარი ილია გულიანად სწევდა პაპიროსს.

პირში თამბაქოს ბოლი რომ გამოელია, დამწვარი პაპიროსი იქვე მიავდოდა გააფურთხა.

ამდროს შენიშნა ვილაც, რომელსაც თავზე დახურული ქუდი წინ წამოეწია და თითქოს შემკრთალი ნაბიჯებით შედიოდა ლითონის საჩამოსხმო საამქროში.

ილიას არ მოეწონა იმ უცნობის მოხშირებული, შემკრთალი ნაბიჯები, რომელიც ისე მიდიოდა, თითქოს ვინმეს ეპარებაო და ზეზე წამოდგა, აჩქარებით გაეშურა ბალისკენ.

ნოდარსა და მაროსთან მივიდა ახლოს:

— აქ მოდი, ნოდარ! — თითქოს ბრძანებით დაუძახა ილიამ და იქვე შეჩერდა.

— ამ წუთში! — მიაძახა ნოდარმა მაროს და ილიასთან საჩქაროდ მიიბრინა.

— წამოდი! — ისევ ბრძანების კილოთი უთხრა ილიამ და წინ წაბაჯბაჯდა, — ხომ გეუბნები, აი, ხომ ზედავ, საჩამოსხმო საამქროს კარებს? ვილაც იქ შევიდა. მოვხუციდი, ველარ ვიცანი. მისი ნაბიჯები რალაც არ მომეწონა და მიხედე!

— მართლა? — მიუგო ნოდარმა და იმწამსვე გაეშურა საითყენაც ილია მიუთითებდა.

— შორიდან, ნოდარ! ნუ წაეფეთები! ნახე, რა უნდა, — ისევ დაბალის ხმით მიაძახა ილიამ უკვე საკმაოდ გაშორებულ ნოდარს. ცოტა ხანს იდგა, შემდეგ ისევ ჩრდილში გავიდა და იქვე ჩამოჯდა.

ნოდარმა ფრთხილის, მაგრამ ჩქარის ნაბიჯებით გვერდი აუქცია საჩამოსხმო საამქროს. ლითონის სამტვრევე ფარდულში შევიდა, იქვე ფიცრის კედელთან ჩაიმალა და იქედან ვიწრო ზერელით მიაჩერდა საჩამოსხმო საამქროს გავივებულ ღუმელებს.

ღუმელებზე ღამის მესამე ცვლა მუშაობდა.

იქ ახლოს არავინ სჩანდა, ხოლო ცოტა დაშორებით საამქროს ფარდულში ისმოდა მუშების ჩოჩქოლი, რომლებიც საჩამოსხმო ფორმებს ამზადებდნენ, ჩამოსხმულს კი აგროვებდნენ და მახლობელ ფარდულში გაჰქონდნენ.

ამ დროს ლუმელის მახლობლად სიბნელიდან გამოცუხდა წყლის ონკანის ფრთხილად მიუახლოვდა და წყლის წყნარი თქრიალი მოისმა.

ნოდარმა არ იქნა, ვერ იცნო ის, ლუმელის ახლოს, მიწაზე, ამოდენა წყალს, რომ ღვრიდა.

რომელიღაც სათვალეზიანი მუშა მივიდა ლუმელთან და გაღვივებულ ლუმელს ცეცხლგამძლე შუშიდან ჩახედა.

ონკანთან მიცურებული თავი ძირს დაიწია და ჩაიმალა.

სათვალეზიანი მუშა გაშორდა ლუმელს, სათვალეები მოიხსნა თვალიდან და უკანვე აჩქარებით გაბრუნდა.

სიბნელიდან ისევ ამოცურდა იგივე თავი და წყლის წყნარი თქრიალიც განმეორდა.

„ილიამ რომ სთქვა, უსათუოდ ის არის, ის“, — გაიფიქრა ნოდარმა. გულის ბაგაბუგით სიბნელიდან აცურებულ თავს თვალს არ ამორებდა.

ონკანიდან წყლის თქრიალი შეჩერდა უკვე.

დახრილი თავი ახლა ლუმელს მიუახლოვდა, მოგროძო ტანიც გამოჩნდა და იქვე შეჩერდა.

ჯიბიდან რაღაც ამოიღო, ლუმელის ქვედა საცობის სახელურს წაეტანა და ამ სახელურზე თითქოს მან თოკი მიბაძა.

ნოდარმა ველარ შესძლო მეტის მოთმენა, ვინ იცის, ფეგბ მოთმენა ბოლოს უფრო საზიანოც გამოვიდესო — იფიქრა, ლითონის სამტერეც ფარდულიდან გარეთ გაიჭრა და ლუმელისაკენ გაიქცა.

ოდნავი ხმაურის გაგონებაზე უცნობი წამსვე გაშორდა ლუმელს და მიიმალა.

— შეჩერდი! არ გაუშვათ, ამხანაგებო! — დაიძახა ნოდარმა და გაედევნა ერთ-ორზელ კიდევ მოავლო თვალი ნოდარმა უცნობს ელნათურებთან გარბენის დროს, მაგრამ უცნობი ჩქარა მექანიკურ საამქროს მიეფარა და გაჰქრა-საჩამოსხმო საამქროს მუშები ხმაურით უკან დაედევნენ ნოდარს.

ეზოდან ილია გამორბოდა ქლოშინით.

ბევრი იწრიალეს, საამქროს ყველა კუთხეში, მახლობელ საამქროებში და მთელს ეზოში, მაგრამ მიმალული უცნობის კვალი ველარ იპოვეს.

ახლა კლუბის ეზოდანაც გამოცვინდენ მუშები, მუშა-ქალები და ქარხნის ეზოში გაუთავებელი ჩოჩქოლი დადგა.

მაღე დირექტორი პავლე შერვაშიძე და ტექნოლოგი თომა ურბილაძეც გამოჩნდნენ.

აქ იყო პარტკომის მდივანი გურამ გუნდაძეც, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე შაქრო შუბინიძე და ქარხნის სამმართველოს თითქმის ყველა მუშაკი.

— წავიდეთ, გეთაყვა, რა მოხდა იქ! — ბოლოს მიმართა დირექტორმა აღელვებულ ნოდარს და ხელი გამოსდო.

ქარხნის მთელი ხელმძღვანელობა და მუშები თან გაედევნა წინწასულ ნოდარს და დირექტორს.

საჩამოსხმო საამქროში შევიდნენ, გაჩაღებულ ღუმელს მოუახლოვდნენ, საიდანაც მოისმა ღუმელთან დამდგარი მუშის, სოკრატ ჩუღოვის ქახილი:

— ეგ რა ამბავია, ამხანაგო დირექტორო! ღუმელის ქვეშ ჩუღოვი დამდგარი და საშვების სახელურზე თოკი მიუბამთ.

— რას ამბობთ!? — გაეკირვებით დაიძახა დირექტორმა და ღუმელისკენ ძუნძულით გაიქცა. — მიჩვენეთ სად არის! — მიიძახა ჩუღოვს უკვე ღუმელთან მისულმა დირექტორმა და ხელი მოჰკიდა.

— აი, ხომ ხედავთ, რა ამბავია! — უჩვენა ჩუღოვმა და ღუმელის ქვეშ დამდგარ წყალში ოჩაფეხებით შევიდა.

რა ხდება ნეტა, გეთაყვა, ჩვენს თავზე? — გაფაციცებით დაიძახა დირექტორმა და ხელები გაშალა, — ამისთანა ჩემს სიცოცხლეში არაფერი არ მინახავს, სწორედ!.. აქ ვილაც მტერია შემოპარული და კაცი არ ხედავს! სად არის ახლა საამქროს უფროსი გოგი შეინდაძე, არ დაუძახებთ? — იკითხა დირექტორმა და გაშლილი ხელები ძირს ჩამოუშვა.

— აქ ვარ, ამხანაგო დირექტორო! — მიიძახა გოგი შეინდაძემ და წინ გამოვიდა.

— აჰა, ხომ ხედავთ, გეთაყვა, რა ხდება თქვენს საამქროში! — მიიძახა დირექტორმა და ღუმელის ქვეშ დამდგარ ტბაზე მიუთითა, — მოხსენით თოკი! — ახლა ისევე ჩუღოვს უბრძანა დირექტორმა.

ჩუღოვი მივიდა, საშვების სახელურს თოკი შემოხსნა.

— აჰა, ხომ ხედავთ! — განაგრძობდა დირექტორი, — ეს ნამდვილი მტერია ვილაც! ღუმელის ქვეშ ტბა გაუმართავს, საშვების სახელურზე თოკი მიუბამს. მხოლოდ გამოწვევა იყო საქირო, ეს ღუმელები და თითონ შენობაც აფეთქებისგან მტერად რომ ქცეულიყო! ამხანაგო გოგი, თქვენს საამქროში ყველაფერი რიგზე არ არის თქო, და აი, მაგალითიც!

— რიგზე თქვენთან ვერ არის საქმეები, ამხანაგო დირექტორო! — ხმის ამალღებით მიუგო გოგიმ, — მაგრამ არა უშავს, ამასაც გავიგებთ!

— ახლა მაინც დაანებე თავი სისულელეებს, გეთაყვა! — დაიძახა გაჯავრებულმა დირექტორმა და ხელები აასავსავა. — ასეთი განმარტებებით ფონს ველარ გახეალო, გეთაყვა... სჯობს ფაქტს დაუჯეროს ადამიანმა!

— ავრე სჯობია! — ზალაც გესლიანი ირონიით დაეთანხმა გოგიც დირექტორს და უკან გაბრუნდა.

— შენ აქ რა გინდოდა, გეთაყვა? — ახლა ისევე ნოდარს მიმართა დირექტორმა, პავლე შერვაშიძემ და ცალი ხელი მკლავში მოკიდა, — ჰო, მაგრამ, შენ როგორ გაჩნდი ამ საამქროში?

— ძია ილიამ შენიშნა ის, ვილაც უცნობი და მე ავედევნე, — მოკლედ უპასუხა ნოდარმა, რომელიც ახლა იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ გაექცა ის უჩინარი ცხოველი, რომელიც ასე საშინელ ამბებს აწყობდა.

— ეგ სულ ჩემი საქმეა! — დაიძახა ილიამ, — ხომ გეუბნებით, იმ ორფეხა მზეციის სიარული არ მომეწონა და ნოდარს დავუძახე.

— ეგ მაინც საეჭვო საქმეებია, გეთაყვა! — დაიქინა დირექტორმა და ისევე ნოდარს მიაჩერდა სახეში.

— წამოდი, ნოდარ! — ხმამაღლა დაუძახა გურამმა ნოდარს, რომლის ხმაში თითქოს დირექტორისადმი წყრომა ისმოდა.

ნოდარმა უხმოლ მიატოვა ღირექტორი და უკან გაბრუნებულ გურამს გაედევნა.

სხვებიც წავიდნენ.

ღირექტორი პავლე შერვაშიძე კარგა ხანს ტრიალებდა, მსჯელობდა, ვერ ისვენებდა.

მუშები ეზოში გამოიშალნენ, ივინებოდნენ, აფურთხებდნენ და მიდიოდნენ.

— დღეს ჩვენს მტრებს რისხვა შეეუთვალეთ და...

— ხომ ამბობდა ვოგი შეინდაძე, მტერი ქარხანაშიც არისო!

— ღირექტორი ისე ლაპარაკობდა, თითქოს აქ ვოგია დამნაშავე.

— ნოდარსაც რომ გადაჰყრა, ის ველარ მიხვდი?...
დიღბანს დაობდნენ მუშები ქარხნის ეზოში.

კლუბში თითქმის აღარავინ დარჩენილიყო და ზოგი სცენისმოყვარე მუშები გრიმში დადიოდნენ.

პარტიული კომიტეტის ოთახში, სადაც გურამთან ერთად ოთხიოდე სხვა ამხანაგიც შევიდა, — შუქი აენთო.

ღირექტორი თომასთან და დამამზადებელი საამქროს უფროსთან ერთად გამოვიდა საჩამოსხმო საამქროდან.

საუბრით მიდიოდნენ, ღირექტორმა დასტოვა ისინი. მან პარტიულ კომიტეტის ოთახში შუქი შენიშნა და ისიც იქ შევიდა.

წარმოდგენა აღარავის ახსოვდა.

თითონ წარმოდგენის მონაწილე, სცენისმოყვარე მუშებიც აღარ შედიოდნენ კლუბის ეზოში და ისინიც დანარჩენ მუშებთან ერთად მსჯელობდნენ მომხდარ ამბავზე.

ბოლოს თანდათან შემეჩხრდა ხალხი. მცირე გუნდებად მიდიოდნენ შინისკენ და თან მიჰქონდათ ქარხანაში მომხდარი ამბავი.

ეზოში უკვე აღარავინ მოსჩანდა,

მხოლოდ პარტიული კომიტეტის განათებულ ოთახის გამოღებულ ფანჯარასთან, ხანგამოშვებით გამოეარდნენ ხმებს, გარედან პასუხობდა ცაცხვებისა და თელას ფოთოლთ შრიალი...

7.

ჯერ კიდევ შემოდგომაა.

ქალაქის ბაღებსა და ქუჩებში ჯერ კიდევ ეცემოდნენ მოლალურივით ყვირთელი ფოთლები.

ისევ მოდიოდა ქართლსა და კახეთის ველებიდან წამოსული შემოდგომის სურნელი.

მწიფე ხეხილთა გამტკბარ, მსუყე სურნელებით სუნთქავდა თითონ ქალაქიც!

შუალამე გადასულიყო.

ერთ ღამეზად მორთულ ოთახში, გამოღებულ ფანჯარასთან ის მარტო იჯდა.

მოგრობო თმების ჩამოშლილი კულულები ქალაღივით თეთრ მკერდზე ორივე მხრიდან გადმოეყარა.

თავზე ხელი შემოედო და ეზოს ბაღს გადაჰყურებდა.

ცოტა მოშორებით განათებული ქუჩაც მოსჩანდა.

შეუძმნევლად დაშრა დაუთავებელი ხმაური მახლობელ ქუჩებში.

ფეხის ხმა, მხოლოდ ზოგჯერ კაკუნით აღწევდა იმდენ უსმინებელ ფანჯარასთან.

საღლაც ეს კაკუნი ხმას იმაღლებდა, ისევე იწელებდა და მიწყებოდა.

უკანასკნელ ღამეებში რამდენ ასეთ კაკუნს გაატანა ფიქრები მან, რამდენ გულისწყრომას გრძნობდა ის ამ ეპიდაც და თანაც სიზარულს მღელვარე მოგონებათა ზვირთებში შეცურებული.

სრული სიმშვიდე იყო ამ ოთახში, მაგრამ რამდენი შფოთვა იყო მის სულში.

ეზოს ქიშკარი მაინც არ იღებოდა, შიგ არავინ შემოდისოდა.

როგორ დამუნჯდა ასე ის ქიშკარი და პირს აღარ აღებს!

იგი წამოდგა,

ფრთხილი ნაბიჯით ბავშვის პატარა ლოგინთან მივიდა.

მოლურჯო შუქით ოდნავ განათებულ ბავშვის სახეს დახედა.

ემინა ბავშვს.

აჭკარებით სუნთქავდა პატარა და ეს სუნთქვა ეზოს ბაღში ნიავის სათუთ სუნთქავს წააგავდა.

ბავშვის სახეზე დამებებული, მოლურჯო შუქი თითქოს ახლა აკრთობდა დედას, — გულს უსერავდა.

კარგა ხანს საწოლზე ჩამოყრდნობილი დააყურებდა მძინარე ბავშვს, რომლის სიცოცხლე საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უღირდა.

მოშორდა.

ოთახში ფრთხილად გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი, საწოლს შუა ჩადგმულ განჯინიდან სურათი აიღო და ზედ მიაჩერდა:

სურათში თავისთავსა და მრგვალ, ლალსტუკიან კაბუქს მიაჩერდა.

თითქოს მას უცვირდა ახლა, თუ რა ჰქონდა ამ ჩასუქებულ კაცთან საერთო.

რამდენი ზორცი ასხია მას, მაგრამ სული! სად არის, სული, საიდანაც მოსჩანს სიყვარულის ნავთსაყუდელი, იგრძნობა, თუ რა არის ადამიანი!

სურათი დასდო.

ისევე ფრთხილის ნაბიჯით ფანჯარასთან მივიდა,

მძიმედ დაეშვა.

ახლა ქუჩაში თითქმის აღარავინ მოსჩანდა, მხოლოდ მეეზოვე ამტვრეებდა ცარიელ ქუჩას და ხმამაღლა ახველებდა.

აი იქ, პირდაპირ, ერთ ვეებერთელა სახლში, უკანასკნელი შუქი ჩააჭრეს.

რამდენ ათასებს სძინავთ ახლა ქალაქში, ვინ იცის რამდენი სიზმრების ქარაენები მიმოჰქრებიან დედამიწაზე, ვის როგორ ატკობს, ვის როგორ აშფოთებს, სად არ მიჰყავს და რას არ ამოჰყვებებს!

წამოდგა, ისევე ჩაძინებულ ბავშვს მიუახლოვდა.

თვალებზე ნახევრად ჩამოფარებული დოლბანდი ოდნავ გადასწია და უფრო ფართოდ გამოჩნდა ჩაძინებული ბავშვის პირბადრი სახე.

ბავშვს ოდნავ გამოხელილ თვალებში ჩახედა დედამ.

დაიხარა და შავ თვალებს წყვილი ამბორი ფრთხილად შეახო:

— ო, ჩემო სიხარულო, ჩემო პატარავ! ჩემი გული შენა ხარ, თითონ! მე სხვა გული აღარ გამაჩნია! ყველაფერი წავიდა, მხოლოდ შენ დამაჩნინე! — შვილო, ჩემი არსებობის მიზანი შენ ხარ! — ხმამაღლა უთხრა მთხრობე ბავშვს.

გაეცალა.

ისევ ფანჯარასთან მივიდა.

გადაიხედა: სიცილიერე, ბოლოს ბრაზიანად მიჰკეტა ფანჯარა. ერთხელ კიდევ გახედა დაკეტილ ფანჯრიდან ცარიელ ქუჩას და გამობრუნდა:

ბავშვის საწოლთან ახლოს მოთენთილად გაიხადა ტანისამოსი, სკამზე დაჰყარა და საწოლზე დაეცა.

უკვე ეძინა.

ოთახში დედაშვილის სუნთქვა-ლა ისმოდა.

ძლიერ ახლოს სუნთქავდნენ ისინი.

დედა და შვილი!

ღამის ოთხი საათი იქნებოდა.

ჩაძინებულ დედას კარებზე ბრაზუნი და ღრიანცელი მოესმა.

ოდნავ შეიშმუშნა, კენესა აღმოხდა, მაგრამ თვალი ველარ გააღო.

ისევ გაუთავებელი ბრაზუნი, ღრიანცელი, საყვედურები!

თითქოს ეგ არი, უნდა ჩამოჰყაროს კარები, თითონ სახლიც ჩამოანგრიოს.

რა ხდება ნეტავი? მიწის ძვრა არის ალბათ.

და ისევ შეიშმუშნა შინარე დედა, კვლავ კენესა აღმოხდა.

შეშინებული წამოიწია:

— ჰეი, სულ დავანგრევე, ჩამოვყრი კარებს! — მოისმა ყვირილი და დედა ხედ წამოდგა.

მეორე ოთახის კარებთან მიიბრინა უგრძნობლად. კარი გააღო და თითქოს

სული საწოლში დასტოვაო, უკანვე გამოიქცა თვალდაბუქული,

ლოგინში მოსხლეთილი ჩავარდა.

უკვე ეძინა.

— ჰეი, რომელი ხარ! — დაიძახა ოთახში ბორძიკით შემოსულმა მსუქანმა კაცმა, რაც ჩაძინებულ დედას სიზმარივით ჩაესმა, თუმცა თვალს ველარ ახელდა.

— ეთერი, ეთერი! — ისევ განაგრძობდა ყვირილს მსუქანი კაცი და ოთახში უაზროდ მიდიმოდიოდა, ბორძიკობდა, სკამებსა და მაგიდებს ეხეთქებოდა, ჩაიმუხლებდა, ისევ ღვებოდა.

— რა მოგივიდათ, სად დაიკარგეთ, ჩემო ცოლშვილო! „ჩემო ცოლშვილო!“ — რალაც თავისთავისადმი დაცინვით გაიმეორა და მაგიდაზე ხელი დაარტყა. — სადა მყავს ცოლშვილი! შვილი? — კვლავ დაცინვით იკითხა მთვრალმა და ნაძალადევედ ხმამაღლა გადიხარბარა. — ჩემი შვილი, — სხვისი შვილი! საიდან მოვიდა ასეთი შვილი! და ჩემი მაინც არა სჩანს, არა! სად არის ჩემი საკუთარი, ჰო, ჩემი შვილი, რატომ არა სჩანს, სად დაიკარგა! დაიგვიანა? ეინ სთქვა რომ დაიგვიანა! მაშასადამე, შესაძლოა არასოდეს აღარ მოვიდეს!

ბავშვის საწოლს მიუახლოვდა. თვალეები მოისრისა, წელში დაიხარა და ჩაძინებულ ბავშვს მიაჩერდა:

— სძინავს, იძინე პატარავ! მაინც მგონია შვილი ხარ ჩემი! მაშასადამე, მე მთვრალი არა ვარ და მართლს ვამბობ! არა, არა! მთვრალი კი არა, მე სუ-

ლეღი ვარ, ნამდვილი სულელი! მაშ ვის გაუფრთხილა, ცოლი შეჩერდა, ხედავს თვეში შეიღი ეყოლოს! შემდეგ წელიწადნახევარი გავიდეს და ფრთხილად ეყოლოს. სჯობს ისევ სულელი ვიყო და არაფერიც აღარ მესმოდეს. პო და მე მაინც არა ვარ მთვრალი და მართალს ვამბობ.

ფანჯარასთან მივიდა,

თვალეზს ისრესდა, მაგრამ გარეთ ველარაფერს ხედავდა.

ისევ მობრუნდა, მაგიდასთან ჩაჯდა საეარძელში, შუბლით ზედ მაგიდაზე დაეყრდნო და ორივე ხელეზი თავს მოუჭირა:

— მაშასადამე, მტ სხვისი მსახური ვინმე ეყოფილვარ! — განაზრძობდა ყვირილს მსუქანი კაცი. — მე ხომ მთვრალი არა ვარ! პატროსან ექიმს მიძახიან! მაშასადამე, მე მართალი ვარ! იყავი, მართალი, პატროსანო ექიმო, შენი ცოლი სხვის შეიღებს გავიზრდის, შენ კი არ გაღირსებს! ალბათ იმიტომ, რომ ჩემი მოდგმა უსარგებლო რამ არი! ერთი მაინც, აი, ერთი მაინც, მოეცა ჩემი! — დაიძახა ბოლოს, ზეზე წამოდგა და საჩვენებელი თითი პაერში აათამაშა, — არა გსურს, ხომ! მაშასადამე, მე ახლა მთვრალი ვარ და შემიძლია დაეპტყო ოჯახი! — იყვირა და ფანჯარასთან მიდგმულ ვაზას წაავლო ხელი, მთელის ძალით დაახალა იატაკს.

ვაზას ნამსხვრევეზი დედაშვილს დააცვინდა სახეზე,

ბავშვი ატირდა, ხოლო დედა ძუ ვეფხვიეზით წამოიჭრა ზეზე და ანთებულ, ჯერ კიდევ უაზრო თვალეზით მიაჩერდა ფანჯარასთან მიყრდნობილ, თითქმის დარცხენიით თავდახრილ ქმარს.

— თქვენ შო ბრძანდებით? — იკითხა ეთერმა და ლოგინზე ჩამოჯდა. — მზეკო, ნადირო! — მიძახა ღვინისგან გაღეშილ ქმარს და ატირებულ ბავშვს მიუბრუნდა, — ნუ სტირი, შეიღო, ჩემო ყვავილო! ყველაფერი ჩემი ბრალია! შენი ცრემლეზი ჩემი ლოდია! დამშვიდდი, დედა! — აწყენარებდა ბავშვს და ნორჩ სახეზე გადმოღვარულ ცრემლს აშორებდა.

ბავშვმა დედის ხმა რომ გაიგონა ტირილი, შეაჩერა, ერთ-ორხელ ამოიკენესა და თვალი დახუჭა.

ბავშვს უკვე ეძინა.

დედა უხმოდ წამოდგა ზეზე და ისევ იმ ლოგინზე ჩამოჯდა.

იცრემლეზობდა...

მსუქანი კაცი მხოლოდ ახლა გაშორდა ფანჯარას.

— მაგიდასთან მორძიკით მივიდა. იქვე შეჩერდა, ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო და თავი ჩაქინდრა.

— ნუ სტირი, ეთერ! — უფრო ხმადაბლა აღმოხდა ექიმს, — ჩემი ბრალი არ არის. მაშასადამე, მე გული არა მაქვს, ეთერი, გული! — ბოლოს ისევ ხმის ამალეზით დაიძახა ექიმმა, გულზე ხელი მაგრად დაირტყა, შუბლით კვლავ მაგიდაზე დაეყრდნო და აქვითინდა.

— მე კაცი არა ვარ, მართალს არ ვამბობ, მაშასადამე. მთვრალი ვარ განა? ვიყო მთვრალი, მაგრამ მაინც კაცი არა ვარ, გულიც არა მაქვს! ჩამქოლე, ეთერ! ქუჩის ვიგინდარა ეყოფილვარ! მაშასადამე, „ჩაფიჭრებულ ექიმს“ რად მეძახიან? მართალს არ ვამბობ? ჩაფიჭრებული ვიგინდარა მიწოდონ, ან ქუჩის ლოთი ვიგინდარა მიწოდონ! მთვრალი ვარ, განა, და მართალს არ ვამ-

ბობ? ვიყო მე მთერალი. გული მაინც არ მაქვს და ჩამქოლე, ეთერ, — მაშასადამე, მე მართალი ვარ!

ეთერი წამოდგა,

ალარ სტიროდა.

მაგიდაზე პირქვე დამხობილ ექიმს მიუახლოვდა.

ცოტა ხანს იდგა გაშეშებული.

აქვითინებული ქმრის მხარს ხელით შეეხო და ოდნავ შეარხია.

— ნუ სტირი, შიო. დაწყნარდი, შე უბედურო! რა მოგივიდა! — უთხრა დაყვავებით და ქმარს თავი გვერდზე გადაუწია.

შიომ ცოტა ხნით შეაჩერა ქვითინი. ეთერს დამნაშავე ბავშვივით მიაჩერდა სახეში, ხელი გამოსტაცა და მაგრად დაუკოცნა:

— მაშასადამე, ალარ გაძლევარ! მაინც გებრალეები! ლოთი ვარ, ეთერ, და მომადურთხე! მე მართალი ვარ! ხომ ლოთი არ ვიყავ, ეთერ, სიყვარულის ბრალია და მომადურთხე! ნულარ დამზოგავ! — იყვირა მან. ეთერის ისევ შეუშვა ხელი. კვლავ მაგიდაზე პირქვე დაემხო და ქვითინი განაგრძო.

— ნუ სტირი, შიო! — უფრო ხმის ამალღებით უთხრა ეთერმა და ხელი მოჰკიდა, — ადექი ზეზე, წამოდი, დაიძინე.

შიომ უეცრად შეაჩერა ქვითინი.

ეთერის ბრძანებას ახლა უხმოდ დაემორჩილა, წამოდგა და საწოლთან ფრთხილად მივიდა.

ეთერი მიეშველა გახდაზე და რომ ჩააწვინა, ექიმმა სრულიად მშვიდად შეხედა.

— მაშასადამე, დაწეკი, ეთერ! — უთხრა ხმადაბლა და გახსნილ ჭრილობასავით გაიღიმა ტუჩებში. — დამნაშავე ვარ. ღვინო უკვე ალარ მოქმედობს. მე ფხიზელი ვარ.

— დაწყნარდი, კმარა! — მიუგო ეთერმა და თითონ თავის საწოლზე ჩამოჯდა, თავი დახარა.

— სანამდის უნდა გაგრძელდეს ასე! მე ხომ ყველაფერი გითხარი თავიდან. და ახლა რა მოგდის?

— მითხარი, ეთერ! ეგ მართალია. მაგრამ აი, ჩემი საკუთარი რომ კიდევ ალარ სჩანს... ყველაფერს მოვიტყუდი, მაგრამ... აი, მაშასადამე, მე რა მაწუხებს. უბედური კაცი ვარ და სხვა არაფერი. დაწეკი, ეთერ! შენი გულიც მაქლია, ეთერ, და სხვა არაფერი. დაწეკი, ეთერ!

ეთერი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა.

ფრთხილად გამოალო და გაიხედა.

უკვე თენდებოდა.

დაცალიერებულ ჭურჭას განთიადის შუქი დასდგომოდა.

ხეები იშშუშნებოდნენ.

ოთახში უხვად იღვრებოდა დილის სუფთა, გრილი ჰაერი.

ექიმს ჩაეძინა და ხერინვა ამოუშვა.

ეთერი ჩამოჯდა ფანჯარასთან, თმები გაისწორა და იდაყვზე დაეყრდნო.

ის უძილო თვალებით დაქინებით მისჩერებოდა აღმოსავლეთისკენ შეწითლებულ ცას და გულში ჩაწოლილი ნაღველით აჩქარებით სუნთქავდა.

ცას თანდათან მოემატა სინათლე და მოახლოვებულ დღის შუქმა აეცხო ბალი, ჯერ კიდევ დაცალიერებული ქუჩები, მთელი ქალაქი. ეგრეთვე ელნათურები უკვე ჩააჭრეს. საღლაც შორიდან წამოვიდა პირველი ხმაური, უფრო მოახლოვდა, თან გაიზარდა.

ცოტა ხნის შემდეგ ამ ხმაურს მიემატა კიდევ მრავალი და ქუჩაში აჩქარებით მიმავალი ხალხი და მანქანები გამოჩნდა.

ქალაქი უფროდაუფრო აძლიერებდა სულის თქმას და იღვიძებდა.

ამდროს მოპირდაპირე სახლიდან მუსიკა მოისმა.

იქ ვილაც პიანინოზე უკრავდა. შეწყობილად მოდენილი, ჯადოქრული ბგერები აესებდა აცრემლებულ ეთერის გულს და მისი გრძნობები უჩვეულო სიმალემდე აპყავდა.

და მან, ფიქრებში ჩასახულ არსებისადმი ასე იფიქრა:

„მან რომ იცოდეს, როგორი სიმწეპავით განვიციდი სიცოცხლეს, — ნათელი გრძნობების უდიდეს ძალას, მაშინ როგორ დამივიწყებდა?“

ასე ეგონა, რომ საკმარისია, ჩახედოს კაცმა მისი გრძნობების ლაყვარდოვან კიდურებს და ის ამ გრძნობების საზღვრებს ველარ გასცდებდა, მუხლს შოიდორეს ამ უზუნაესი გრძნობების წინაშე და მთელი სიცოცხლით მას მიენდობა.

და აბრაზებდა ახლა ეთერს, რომ მის სულში ჩასახული, ამოდენა გრძნობები უჩინარია, — უკვალოდ ქრება და ილუბება.

ფანჯარას გაშორდა,

ისევე ჩაძინებულ ბავშვთან მივიდა, დაბალ სკამზე ჩამოჯდა ახლოს და შეილის სასთუმალზე თავი ჩამოდო.

ისე შეწყობილად, მონოტონურად სუნთქავდა ბავშვი, რომ დედის გული სიამით აავსო და თვალი დახუჭა.

ყველას ეძინა.

პირველად ეჭიმმა გაახილა უგრძნობლად თვალი.

მიმოიხედა, ეთერის დაცალიერებულ საწოლს შეხედა, გული შეუტოკდა, ლოგინში წამოჯდა.

ახლა ბავშვის სასთუმალთან თავჩამოდებული ეთერიც შენიშნა და გულზე პოეშვა.

— ეთერი, ეთერი! — ხმაახლენილი ეძახდა ის, — გაიღვიძე, ეთერი; მანდ როგორ იქნება! ეთერი, ეთერი!

ეთერმა თვალი ძლივს გაახილა და უეცრად რაღაც გაგრძელებული, ღრმა კენესა აღმოხდა. შეიშმუნა, გააწოდინა, ზეზე წამოდგა.

საჩქაროდ ჩაიკცა.

ოთახი უკვე მზის სხივებს აევსო და თვალზე ხელების მიფარებით მეორე ოთახისკენ წავიდა.

შოი პირდაღებით მისჩერებოდა, მაგრამ სათქმელი ვეღარ ეშოვა.

ეთერი გავიდა.

შოი ჩაფიქრებული წამოდგა ზეზე და ჩაახველა. ჩაძინებულ ბავშვს თითქოს რაღაც შურიანად ჩახედა თვალებში,

შემდეგ მიბრუნდა მოთენთილი, ჩაიკცა ტანზე.

როდესაც ცოლქმარმა პირი დაიბანეს, სწორედ მაშინ გაახილა ბევრმა თვალები.

ეთერი წამსვე მივიდა ბავშვთან, ხელში აიყვანა და მკერდში ჩაასვენა!

— ჩემო სოლიკო, ჩემო ყველაფერო!

ბავშვს პირი დაბანა და აჩქარებით ჩააცვა ტანზე.

შიოც ხმისგაუღებლად, საეკვო თვალით მისჩერებოდა ეთერის და მისი რალაც უცნაური საქციელი მეტად აწინებდა.

მივიდა ეთერთან, რომელიც ახლა ბავშვს თმებს უვარცხნიდა, ფერი ეცვალა და ძლიერ აღმოხდა:—ჩაი ხომ უნდა დაელიოთ, ეთერ, რატომ არ დაადგი? ეთერმა პასუხი არ აღირსა.

ბავშვი კარგად გამოაწყო ახალი ტანსაცმლით, ტახტზე დასვა და ახლა თავისი ძველი ყუთი გამოიტანა მეორე ოთახიდან.

საკუთარი ტანსაცმელის ჩალაგებას შეუდგა.

შიომ ველარ შესძლო მეტის მოთმენა. მისთვის აშკარა გახდა ეთერის განზრახვა.

ელდანაცემივით მიიჭრა ეთერთან და ხელი მოხვია:

— რას აპირებ, ეთერ, ეს რაღას ნიშნავს?! რად გინდა ყუთი!

— გამიშვი! — მოკლედ შიადახა ეთერმა და ძირს დაიხარა, რომ საკუთარი და ბავშვის ტანსაცმელი ყუთში ჩაეწყო.

— ეთერ! — სახვევაფორებით შიადახა შიომ, და ეთერის ორივე ხელი დაუჭირა. — რას ნიშნავს ეს! შენ აღარ ხუმრობ!

— არც შენ ხუმრობდი წუხელ! — მიუგო ეთერმა და აცრემლებულ თვალებით შეხედა ქმარს, — გამიშვი, შიო! გათავდა! არ გეხუმრები! — ისევ განაგრძობდა ეთერი, — შენი სიტყვები შენვე დაგაეწყო! ყველაფერი უკულმა ხდება! მე წავალ, ქუჩაში დავედგები, ასეთი ლუკმა არ შემერგება! არ შეგაწუხებ! ჩემი ბედნიერება არასოდეს არ დაბრუნდება! გამიშვი!

— მე შევეცი! ჩემი ბრალი არ არის, ეთერ! არ მინდა, მაგრამ!... — დაიძახა შიომ და ეთერის ხელი გაუშვა, მივიდა, ჩამოჯდა საწოლზე და ტირილი დაიწყო, — განა ასეთი ვიყავი მე? განწირული კაცი ვარ და შენც მომიტყევე. ეს წყნელი გული და ფიქრები არ იქნა, ვერ მოვგლიჯე ერთმანეთს, მაგრამ შენ გამოიგე, ეთერ, ნუ გამიწყრები!

ეთერი კიდევ ცოტა ხანს უტყუროდა გულაჩუყებულ ქმარს, უსმენდა მის კრემლნარეგ სიტყვებს და ვერ მოითმინა: მიაგდო ხელში შერჩენილი კაბა და შიოსთან მივიდა.

იქვე ჩამოჯდა.

— ვაეკაცი ხარ და... ნუ სტირი, შიო! — შეცოდებით უთხრა და გრძელი თითებით მის მხარს შეეხო, — მე ხომ თავიდან სიპართლე ვათხარი და თუ შენც სიტყვა მომეცი, თავის დაკერვაც უნდა შეგეძლოს!

— ღონე არ არის, ეთერი, ღონე! — დაიძახა შიომ, რომელსაც ლოყებზე კრემლები ჩამოსდიოდა; — მაგრამ ეს არაფერი! გაძლევ პირობას, ჩემი გული, აი, ჩემს ხელში იქნება და ამით გათავდება!

წამოდგა.

კრემლები მოიწმინდა,

ორივე ხელეტი გულთან მიიღვა და მაგრად დააქირა.

ეთერი კიდევ არაფერს არ ამბობდა, ისიც წამოდგა, ოთახის კუთხეში ფეხზედამდგარი ბავშვი მკვრივად დაეხრებოდა ხელში რეზინის სპილო დაეჭირა და ხორთუმს უსწორებდა და დედა რომ მიუახლოვდა, თმბუქუქა ბავშვმა სათამაშოს თავი მიანება და დედისკენ წაბაჯბაჯდა.

— მოდი, სოლიკო! — უთხრა დედამ და ხელში აიყვანა.

მკერდზე მიკრულ ბავშვითურთ გაიარა ოთახში.

— მივდივარ, ეთერ! — მოესმა ეთერს, მაგრამ მას ქმრისკენ აღარ მიუხედავს და თითქოს შორს, ახლაც საკუთარ ფიჭვებს მისდევდა ოთახში.

შეიკვამიდა.

ოთახში სრული სიწყნარე იყო.

ეთერიმა ერთხელ კიდევ შეხედა ეზოში გასულ ქმარს, რომელიც თავჩაქინდრული მიაბიჯებდა.

ქიშკარში გავიდა ქმარი და ქვევით დაეშვა.

ახლა მხოლოდ სიბრალოლს გრძნობდა ეთერი ქმრისადმი და მასთან საკუთარ თავისადმი. ცოტა ხანს კიდევ გასდია ფიჭვებს, თვალი აეცრებლა და იქვე ჩაჯდა.

8.

სალამოა.

სივრილეა. ისევ შემოდგომის სურნელი ტრიალებს ჰაერში.

აივანზე გამოვიდა.

ქალაქში ელნათურები უკვე აინთო, მაგრამ იქ ვერაფერს ვერ ხედავს.

აჩქარებულ სუნთქვას აგებებდა სალამოს ნიავს. ნერვიულად იჩივდა თმებს.

შუბლზე ხელს იდებდა, ვერ ისვენებდა.

სიცხე აქვს? არა, სიცხე არა აქვს! შუბლი ცხელი აქვს, მაგრამ სიცხე მაინც არა აქვს.

მეორე დღე იყო, რაც ასე უსაქმოდ ტრიალებდა ნოდარი.

რატომ დაითხოვეს ჭარხნიდან?

— საქმის გამოძიებამდე, გეთაყვა, — უთხრა დირექტორმა და გამოუშვა.

განა მან ცუდი საქმე ჩაიღინა იმით, რომ ლუმელები დანგრევას გადაარჩინა?

განა მას არ იცავს ამხანაგებისა და მუშების დიდი უმრავლესობა?

მაგრამ რა გახდა ეს თითქოს „კეთილი“ დირექტორი, რომელიც ამოდენა სიფხიზლეს იჩინს და ნოდარს მაღლობის მაგივრად ქარხნიდან ითხოვს!

მას ვერ აეტანა დირექტორის ასეთი „სიფხიზლე“. ვერაფერი გაეგო თუ საიდან უნდა მოეცლო საქმისათვის.

დღეს კი ილია, რევაზი და მაროც სადღაც დაიკარგენ და არსად არ ჩანდნენ.

რატომ არ მოდიან?

ნოდარმა კარგახანია გაიარა ძველი, ბავშვური გატაცების ყველა ტყვილი, სამშვიდობოზე ძლივს გამოვიდა, მაგრამ ახლა თითქოს უფრო სერიოზული ამბები იწყება.

ნუ თუ შეუძლებელია ამის გარეშე?

ძალიან რთული რამ ყოფილა ეს სასწაული ცხოვრება! ვინ გამოიცნობს?



საქართველოს ენციკლოპედია

ისევ შემობრუნდა ოთახში.
სიწყნარე იყო,
ძველისძველი „კამოდის“ თავზე დადგმული საათი
კუნებდა.

შუქი არ აღნთია.
საწოლთან მივიდა.
გახურებული თავი მისდო ბალიშზე და მოისვენა.
სად არის ახსნა, თუ რატომ ზდება ასეთი ამბები?
თითქოს ყველანი და თითონ დირექტორიც შეაწუხა ნოდარის წარმოებიდან
ჩამოშორებამ.

დირექტორმა მის ღროებით მოხსნაზე ბრძანება გასცა, მაგრამ თავი ისე
ეჭირა, თითქოს ის ყველაზე მეტად სწუხდა ამ ამბავს.

რატომ არ დაუჯერა დირექტორმა ილიას განცხადებას? განა ეს საკმარისი
არ იყო:

„არა, ალბათ არ იყო საკმარისი და მართალია აქ დირექტორი.“ — იფიქრა
ნოდარმა.

მაშ, ვინ არის აქ დამნაშავე?

ნოდარი საბოლოოდ თითქმის ვერავის ამტყუნებდა იმის გამო, რომ იგი
მოხსნეს წარმოებიდან.

მას არ მოსწონდა დირექტორის „ტკბილი“ სიტყვები. მთელის არსებით
სძულდა ის, მაგრამ ნოდარი თავისთავს ამტყუნებდა ამისთვის. ფიქრობდა, რომ
მისი მიდგომა პირადულია, ხოლო დირექტორს არ შეუძლია აპყვეს ყოველი
მუშის ნება-სურვილებს.

ამიტომაც განაცხადა დირექტორმა, ამ ორი დღის წინათ პარტიულ კომი-
ტეტის სხდომაზე:

„თქვენ იცავთ ნოდარს, კეთილი, ამხანაგებო! მეც ვიცავ მას, მაგრამ თქვენ
ისიც მითხარით: შევიძლიათ თუ არა ავით პასუხი ყველაფერზე, რაც ზდება
ჩვენს ქარხანაში? ამის უფლება მეც არა მაქვს, ამხანაგებო, რომ პასუხისმგებ-
ლობა თქვენ დაგაკისროთ, სანამდე მე დირექტორი ვარ! პირველ რიგში ყველა-
ფერზე მე ვაგებ პასუხს. სხეანაირად დირექტორი მე არ ვიქნები. შესაძლოა მე
თქვენზე მეტად მიყვარდეს ნოდარი, მაგრამ სიყვარული ერთია, ამხანაგებო,
ხოლო დირექტორის მოვალეობა კიდევ სხვა არის! მე ერთი შემძლია შეგპირ-
დეთ: დავაჩქარო გამოძიება. მართალი კაცი უსამართლოდ არ დისაჯოს. ყვე-
ლაფერს შევეთანხმებ თითონ კომისარს და შევეცდები საქმე არ გაგრძელდეს!“

და როდესაც პარტიული კომიტეტის სხდომიდან ნოდარი გამოვიდა, ეზოში
უკვე ალიონი იყო შემოსული, მაგრამ თბრილში კინალამ ჩავარდა.

თვლებში აღარაფერს ზედავდა.

ქუჩაში გავიდა. უკან მოუხედავად მიდიოდა მახლობელ გორაკისაკენ და
რომ ავიდა, მაშინ იგრძნო თუ როგორ ფართო ყოფილა ქვეყანა, სადაც შეუძ-
ლია თავისუფლად ისუნთქოს.

ჯიბებში ხელების ჩაწყობით დადიოდა გორაკის ზემოთ, მაღლა, ცაზე უც-
ქროდა ვარსკვლავებს, აქა-იქ შერჩენილ ღრუბლებს და ასე ეგონა, რომ ყვე-
ლა ნაღველმა გადაიარა.

ცოტა ხნის შემდეგ, ქვემოთ, მახლობელ მუშათა თეატრიდან ხასხასულე ორკესტრის გრიალი მოესმა.

ნოდარს სიხარულით გული აუჩქროლდა, მაგრამ იმავე მოსიყვარულეების ნაღველზედაც ჩასძახა რამდენიმე მძიმე სიტყვა და ნოდარმა მიატოვა გორაკი. გასწია შინისკენ და ეზოს ბაღში იმავე, მისთვის საყვარელ სკამზე დაეშვა. ისევ თბილისს მისჩერებოდა: მისთვის ნაცნობი იყო თითქოს ყოველი ელნათური, რომელსაც ახლა ქალაქში ხედავდა. ყველა ის ელნათურები, ქუჩები და სახლები მახლობელ მეგობრებად წარმოედგინა, რომლებიც თითქოს დარაჯობდნენ ნოდარის ყოველ ნაბიჯს, ყოველ სუნთქვას, და ყველა ფიქრებს.

მაგრამ, რატომ არა სჩანს ილია, არა სჩანს რევაზი და არც მარო?

მათაც ხომ არ დაივიწყეს ნოდარი? — ეს არასოდეს! — მტკიცედ გაიფიქრა ბოლოს და მოქანცულმა თვალი დახუჭა...

... სწორედ ამ დროს მუშათა კლუბის ბაღში მარტოდ ისხდნენ ისინი:

● ქალი და ვაჟი.

მათი ჩაცმულობა და საუბრის კილო თავისთავად ამბობდნენ, რომ ისინი იმავე ქარხნის მუშები არიან.

უფრო ხშირად საუბრის სიმწკვირით გაცხარებული ვაჟი დგებოდა ფეხზე, ისევ ჯდებოდა, ვერ ისვენებდა.

ქალი კი მხოლოდ ზოგჯერ შესძახებდა ხმამალა, ჩქარა თავს დახრიდა და თითქოს სტიროდა:

— მიშა, მომეშვი, მიშა, ახლა გვეყოფა! — მოისმა ქალის ხმა და იქვე შეწყდა.

— კომკავშირელი არა ვართ, პაშა? ნუ გამაჯავრებ! — მიუგო ვაჟმა, — ის კაცი უსამართლოდ მოხსნეს ქარხნიდან. ვიყვიროთ, პაშა, როგრემ შემდეგ გვიან იქნება! ახლა ქარხანაში კომისია მუშაობს. ჩქარა გაათავებს ყველაფერს და გვიან იქნება!

— მომეშვი, მიშა, ურჯულო ყოფილხარ! — იყვირა პაშამ. — როგორ უნდა ვთქვა იმ დროს იქ, უადგილო ადგილას ვიყავით და შენთან... ხომ თავი მომეჭრა? მომეშვი, მიშა!..

— ვინ ამბობს, პაშა! განა ყველაფერი უნდა ვუამბოთ! — მიუგო მიშამ, — მშვენიერი ბიჭი ილუპება და ჩვენ ხმას არ ვიღებთ, გამაგრდი, პაშა, და მე დამიჯერე! შე ხომ სიტყვა მოგეცი მაინც და ქორწილიც იქნება. სიტყვას გაძლე, რომ მართლაც ვინმე ვარ!

პაშა სდუმდა, ხმას არ იღებდა. მიშამ ცოტა ხნით კიდევ იყუჩა, პაშასგან დამამშვიდებელ პასუხს ელოდა, მაგრამ ვინაიდან ველარ ელირსა, ისევ წამოღვა და გაცხარებით მიახალა ქალს:

— არ გინდა, ხომ! მაშ კარგი! მე მინდა, სულ ერთია, ახლაც წაველ და ყველაფერს ვიტყვი! — და მართლაც დააპირა მიშამ წასვლა, როცა პაშა ხელში წაეტანა და შეაჩერა:

— არ შეცდე, მიშა! თავი არ მომჭრა! სულერთია, მე უარზე დაედგები. მხოლოდ შენ კი არაფერს არ დაგიჯერებენ! უჩემოდ ფონს ველარ გახვალ. არ შეცდე, მიშა!

მიშას ახლა მოაგონდა, რომ პაშა მართლაც ამბობდა.

თითონ თუ სიტყვა და პაშამ უარყო, ყველაფერი დაილუპა.

შესაძლოა მაშინ ამ ამბავს კიდევ უფრო უარესი შედეგი მოგვს, და ეს დათუერი სამსახური გამოვა მეგობრისადმი, რომლის გადაჭრისასაც ცდილობდა.



ამიტომაც მიწა შეჩერდა.

მოშვებული ჩამოვდა პაშასთან და ცოტაოდენი ღუმელის შემდეგ ისევ ააშას ლიმილით მიაჩერდა:

— შეერიგდეთ, პაშა! — შერბილებულის ხმით უთხრა პაშას და ხელი მოხვია. — ახლა წავიდეთ, ყველაფერი ვუამბოთ ბოლომდე და სამ დღეში ქორწილის გაფორმებაც იქნება. თუ ეს არ მოხდა, ნოდარის დაღუპვით ჩვენს ქორწილს ცოცხა დააწვევა და უბედური ვიქნებით.

— უბედური? — თითქოს შეშინებული იკითხა პაშამ და თვალები გაუფართოვდა. — რას ამბობ, მიწა! მაშ ჩვენ უნდა გამოვიდეთ საჯაროდ და ვაღიაროთ, რომ იქ, სიბნელეში... ხომ შევრცხვით, მიწა? — დაიძახა ბოლოს და ტირილი დაიწყო.

— ნუ სტირი! — თავზე ხელისმოსმით და აღერსით მიუგო მიწამ, — ყველამ იცის, რომ ჩვენი სიყვარული გათავებული საქმეა, — გაუფორმებელი ცოცხარი ვართ, მაგრამ გაფორმება ჩქარა იქნება! წავიდეთ, პაშა, მართალს გუთხნები!

— მაშ სამ დღეში გაფორმდება ჩვენი სიყვარული? მაშ, გაეტყდეთ, მიწა?

— ასე სჯობია!

— დაგვცინებენ, მაგრამ სიყვარული სამუდამო გამოვა, არა?

— სამუდამო! — დაეთანხმა ვაიცი და პაშას ხელი გამოსდო მკლავში.

ქარხნის სამმართველოს შენობისკენ მკვირცხლად გაიქცნენ.

— გავიქცეთ, პაშა, აი იქ არიან, — იძახდა მიწა გზადაგზა, — ხედავ, გარეთ რამდენი მუშები იცდიან!

ქარხნის სამმართველოს შენობაში ჩოჩქოლი იდგა, მხოლოდ დირექტორის კაბინეტში იყო შედარებითი სიწყნარე, სადაც კომისია შეკრებილიყო.

ისინი იკვლევდნენ, თუ ვინ განიზრახა ღუმელის აფეთქება, მაგრამ დამნაშავეს ვერ პოულობდნენ.

კომისიის თავმჯდომარე იყო თითონ დირექტორი პავლე შერვაშიძე, ხოლო წევრები პარტიული კომიტეტის მდივანი გურამ ჭუნდაძე და ტექნოლოგი თომა ურბილაძე.

კომისიის ასეთი შემადგენლობა დაამტკიცა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისიარის მოადგილემ, გრიგოლ ზუაძემ.

აქვე ესწრებოდა პარტიის რაიკომის წარმომადგენელიც, ირაკლი შავთია.

დირექტორი ამტკიცებდა, რომ ერთადერთი გზა ბოროტების კვალის მისაგნებად ისევდაისევ ნოდარიდან იწყება, რომ არავითარი სხვა ნიშანი არა სჩანსო.

მით უფრო, მისი აზრით, მართალია, ნოდარ კომკავშირის წევრია და თითქოს იგი გამოსწორდა კიდევაც, მაგრამ რაც არ უნდა იყოს „ყაჩაღი იყო“ და რომ ასე ადვილი არ არის „ნაყაჩაღარი“ კაცის გამოსწორებაო.

— ვინ იცის, — ამბობდა დირექტორი, — როგორი ზრახვებით შემოვიდა ჩვენს ოჯახში ეს ნაყაჩაღარი კომკავშირელი და ვის საქმეებს აკეთებს ქარხანაში. მართალია, ჩვენ ვენდობით ილიას, იგი ძველი ბოლშევიკია, მაგრამ რო-

დესაც მან ნოდარი ვაგზაენა საეჭვო პიროვნების მოსანახავად, შესაძლოა მით ისარგებლა, შემდეგ კი ალბათ შეეშინდა ჩაეარდნის და თვითონვე იყვირა ახლა კი ეს ნაყაჩაღარი კომკავშირელი პირდაპირ პასუხის მოცემას უწყობს. პირველი დაკითხვის შემდეგ დასტოვა ქარხანა და სახლში წაჩიდა. ან, სანამდე შეუძლია მივიდეს ნაყაჩაღარ ყმაწვილის, ვითომდა კომკავშირელის, თავებდობა.

დირექტორის ასეთმა სიტყვამ მეტად დაამძიმა ატმოსფერო და რაიკომის წარმომადგენელი, ირაკლი შავთიაძე, — რომელიც გურამის მხარეზე იყო, ისიც კი ჩააფიქრა.

დუმბილი გამეფდა ოთახში.

გურამს გული ეწოდა ბრაზისგან, ცივი ოფლი ჟონადა მის ფართო შუბლზე, მაგრამ ხედავდა, რომ თითქმის გაირიყა, ვინაიდან ერთადერთი მომხრე — ირაკლი შავთიაძე კი თითქოს ჩაახუმა დირექტორის მზაკვრულმა სიტყვებმა.

— მაშ, ასე! — კარგა ხნის დუმბილის შემდეგ მძიმედ სთქვა გურამმა, — თქვენ გინდათ მავნებლად გამოიყვანოთ ერთი უნიჭიერესი კომკავშირელი, გამოგონებელი, სტახანოველი, რომელიც თვალთა ჩვენი კომკავშირულ ახალგაზრდობისა და მთელი ქარხნის, მაშინ არ ვიცი, რა გიყვართ თქვენ. გიყვართ თუ არა საერთოდ ადამიანი, ნება მომეცით, ექვი შემეპაროს ამაში. ცხადია ეს პარტივეტულ დირექტორსა და მის მარჯვენა ხელს ტექნოლოგს, თომა ურბილაძეს ეხება! თქვენ კი მაინც ჩავაჩუმათ დირექტორის სიტყვებმა, ამხანაგო ირაკლი! დამერწმუნეთ, რომ იგი ცდება. თქვენ რომ თვითონ კარგად იცნობდეთ იმ ახალგაზრდას, რომელსაც ახლა ასეთ მძიმე ბრალდებას უყენებენ, მის სიმტკუნეს არასოდეს არ დაიჯერებდით!

— მე მჯერა, ამხანაგო გურამ, მაგრამ... — მიუვო ირაკლი შავთიამ და სიტყვა გაუწყდა.

ამდროს სიცილ-ხარხარით, დიდის ალიაქოთითა და აურზაურით დირექტორის ოთახში რუსი მუშა ქალი პაშა და მისი სატრფო მიშა პასომოვი შემოიყვანეს.

მათ წინ ილია მოუძღოდა, ხოლო ყველა დანარჩენი მუშა პაშას და მიშას მოჰყვებოდა და წინ მოაჩქარებდა. ისმოდა მუშების შეძახილი:

- შეეყვარებულებიც ასეთი უნდა!
- რაღა იქ მონახეს ადგილი!
- არშიყოზა, ძმავო, სასარგებლო საქმე ყოფილა!
- გაუშვით წინ!
- ჰა, გაატარეთ!

დირექტორის მავიდასთან ილიამ მიადწია პირველად და ღიმილით სთქვა:

— აი, კიდევ ახალი საბუთი! ხომ გეუბნებოდით და მართალი ვიყავი! — სთქვა ილიამ და რაიკომის წარმომადგენელს ირაკლი შავთიას შეხედა.

— აი შეეკითხეთ და ყველაფერს გეტყვით, — ბოლოს მიუთითა უკვე მავიდასთან მისულ მუშაზე, რომელსაც მარჯვენა ხელში თავჩაქინდრული პაშას მაჯა მაგრად დაეჭირა და არ უშვებდა.

— ჩვენ შევეცდით, ამხანაგებო! — შეპატივების გარეშე დაიწყო მიშამ, — რომანიულ წუთებისთვის უადგილო ადგილი მოვნახეთ. იქვე ვიდევით საჩამოსხმო საამქროს გვერდით და... ამდროს მოისმა რაღაც ყვირილი. თვალები დაეცეცეთ სიბნელეში და რაღას ვხედავთ: მორბის ვიღაც წელში წერწერტი,

მალალი არსება. მას თან ნოდარიც მოსდევს გამალებული. იმ მალალ არსებამ მექანიკურ საამქროს შენობასთან მოუხვია უეცრად და მიეფარა. მისი მხარე მიიბრუნა. სიანდა, უკვე ვერაფერს ვერ ხედავდა. გაიქცა წინ, მსგავსად მისივე, ახლა სხვა მიმართულებით გასცქეროდა აღელვებული, მაგრამ იქ არაფერ იყო. ჩვენ ეზოში მოგროვილ მუშებს შეეფურთღით. ვედავე პაშას, არ იქნა ვერ დავითანხმე, ბოლოს, ვხედავთ, იღუპება მშვენიერი კომკავშირელი. ხუმრობა აღარ გამოდიოდა, ხელახლა ვედავე პაშას, სირცხვილი დავძლიეთ და თქვენთან მოვედით!

— დავძლიეთ, მაგრამ... — დაიძახა თავჩაქინდრულმა პაშამ და თვალეზი აუცრემლდა, რადგან გარშემო მოგროვილი მუშების სიცილი და მხიარული შეძახილები აღარ წყდებოდა.

— რას ამბობთ, ამხანაგებო! — სიხარულით დაიძახა ირაკლი შავთიამ და ზეზე წამოიჭრა.

ღირექტორი დინჯად შეიმუშნა, ტექნოლოგ თომა ურბილაძეს თითქოს წყრომით გადახედა უეცრად და ისევ მიშა პაპოშოვს სიძულვილით მიაჩერდა სახეში:

— ეს კარგი, გეთყუა, მაგრამ, — ცივად სთქვა ღირექტორმა მიშას მისამართით, — როდესაც ასეთ ამბებს ჩაღიხართ, განა თქვენ რამე დაგეგვრებათ. არა, ეგ ტყუილია!

— ტყუილი თქვენა ხართ! — ვეღარ მოითმინა, მთელის ხმით დაუყვირა ღირექტორს ირაკლი შავთიამ და მაგიდაზე მუშტი დაარტყა, — გეყოფათ ახლა! ამხანაგები მართალს ამბობენ!

— მოდი, მიშა! — დაიძახა გახარებულმა გურამმა, ზეზე წამოიჭრა და მიშა პაპოშოვი მაგრად გადაჰკოცნა. — ჩვენი ძმა ხარ და ვაგიმარჯოს! შენც პაშა, შენც ვაგიმარჯოს!

მუშებისა და მუშა-ქალების ხმაური აღარ თავდებოდა: ვინ რას ამბობდა, ვინ რას იძახდა.

ღირექტორი და ტექნოლოგი ხმაგაკმედილნი, დაბნეულნი ისხდნენ თავიანთ ადგილას და აღარ იძროდნენ.

ახლა რაიკომის წარმომადგენელი, ირაკლი შავთია მიუბრუნდა ისევ ღირექტორს და ცივად უთხრა:

— აღარ გამოდგა, ახლა სხვა მხრიდან თვითონ ჩვენ დავიწყებთ. მშვიდობით!

მიშას და პაშას კიდევ არ ეშვებოდნენ მუშები და აურხაურით კარებისკენ მაიცილებდნენ.

ახლა პაშაც აღარ ჯავრობდა, თითქოს იგი უკვე შეეჩვია მუშების ამხანაგურ გამოჯავრებას და როცა კარებში გადიოდა, თითონაც იცინოდა.

— მომეშვით ახლა! — მიახალა პაშამ ამხანაგებს, — ქორწილი იქნება და მაშინ იცინეთ!

კარი დაიხურა.

ოთახში მხოლოდ ღირექტორი და ტექნოლოგი დარჩნენ და მოხურულ კარებს უაზროდ მისჩერებოდნენ.

კიდევ დიდხანს ისმოდა ეზოშიგასულ მუშების სიცილ-ხარხარი.

ღირექტორი უხასიათოდ იჯდა სავარძელში და ხმას არ იღებდა.

არც ტექნოლოგი იყო ხასიათზე და ისიც თითქო შემკრთალი მისწერებოდა ხმაგაკმედილ დირექტორს.

ამდროს ოთახში შემოვიდა საგემო ნაწილის გამგე თამარ ლომოსაძე. დირექტორს რალაც ქალაღდები შემოუტანა ხელმოსაწერად და უხმოდ წინ დაულაგა.

— რა არის ეს, გეთაყვა? — ისევ უაზროდ იკითხა დირექტორმა, მაგრამ, როცა ქალაღდებს დახედა, მაშინ მოაგონდა, ხელისმოწერა იყო საკირო და როცა წითელი ფანქარი აიღო — თომას მისამართით წყრომა გაგზავნა:

— მაშ, თქვენ ხართ დამნაშავე და აგეთ პასუხი! დიღ, გეთაყვა, ეს როგორ იქნება! ქარხანას გვინგრევენ და ახლა ყველა მართალი გამოდის!

— მე მეუბნებით? — გუკვირვებით იკითხა თომამ და მარჯვენა ხელი მკერდზე მიიღო.

— დიღ, გეთაყვა! თქვენ გეუბნებით და აგებთ პასუხს!

თომა კიდევ ვერაფერს მიხვდა, თუ ამით რისი თქმა უნდოდა დირექტორს. ხმა აღარ გასცა, მაგრამ ფერი მთლად დაეკარგა.

დირექტორმა მოათავა ქალაღდებზე ხელისმოწერა (არც კი წაუკითხავს, თუ რა ეწერა იმ ქალაღდებში) თამარმა იმ წამსვე გამოართვა ეს საქმიანი ქალაღდები:

— გმადლობთ! — ერთი კი დაიძახა და უკან გაბრუნდა.

თომა ისევ განცვიფრებული უცქეროდა დირექტორს და, როგორც იყო, ხმა ამოიღო:

— ბატონო პავლე... თქვენ, როგორ, ვერაფერი გავიგე.

— ბავშვი ყოფილხართ გეთაყვა და სხვა არაფერი! — დადაბლებულის ხმით მიუგო დირექტორმა, — ვანა ვერ იცანით, ვინც იყო ჩემთან? საეკვო იყო და, ამიტომაც ვითხართ.

დირექტორმა დარეკა ხარი. კარი გაიღო და შორიდან გასძახა:

— გამომიძახეთ საქმეთა მმართველი, სიკო უნდილაძე!

ჩქარა სიკოც შემოვიდა ოთახში, და მაგიდასთან უხმოდ შეჩერდა.

— გაიცანით! — უთხრა დირექტორმა საქმეთა მმართველს და თომაზე უჩვენა.

თომა და სიკო ორთავენი თითქმის ერთნაირად გააკვირვა დირექტორის ასეთ საუბრებზე. ვერაფერს მიხედნენ, თუ ამით რისი თქმა უნდოდა დირექტორს.

— ჩვენ ხომ დიდიხანია ვიცნობთ ერთმანეთს, ბატონო პავლე? — განცვიფრებით მიუგო სიკომ და თვალი დააცეცა.

— არაფერია! — მიიძახა კვლავ დირექტორმა, — მართალია, იცნობთ, მაგრამ ხელი უნდა ჩამოართვათ ერთმანეთს და მაშინ გაიგებთ.

— საუბრობო, მშვენიერია! — დაეთანხმა სიკო და და თომა უნდილაძეს ხელი გაუწოდა.

თავის მხრივ თომა ურბილაძემაც გაუწოდა სიკოს ხელი, თუმცა დირექტორის განზრახვის ვერაფერიც ვერ გაეგოთ.

— ახლა კი მესმის! — სთქვა დირექტორმა, როცა სიკომ და თომამ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. — თქვენ ორთავენი ჩენი ხალხი ხართ და ამიერიდან ასე იცოდეთ!

— როგორ!? — თითქოს შემკრთალი დაიძახა თომამ და ზეზე წამოდგა.

— დიაღ, გეთაყვა, — მიუგო დირექტორმა და სავარძელში გადაიხნიკა, — ერთ-თავენი ერთ საქმეს აკეთებთ, მაგრამ დღემდე ეს არ იცოდით. შევანებებ უფალავედით. ცალკალავე ვცდილობდი თქვენს გამოყენებას. ამჟამად სწავსებას აჯობებს.

სიკოც უკვე ყველაფერს მიხვდა, გაიღიმა და კმაყოფილებით ასე დაასვენა: — საუცხოოა, მშვენიერია!

ისინი დასდნენ და საუბარს განაგრძობდნენ.

ქარხნიდან გვიანწასული მუშების ჩოჩქოლმა აავსო ქუჩა და ყველანი კმაყოფილნი მიდიოდნენ თავიანთ ბინებისკენ...

ილია, რევაზ და მარო, რომლებიც დღეს საღამოს ქარხნის სამმართველოს აღარ მოშორებიან და კომისიის მუშაობის შედეგს მოუთმენლად ელოდნენ, ერთად მიდიოდნენ.

— იქარე, ძია! — აჩქარებდენ ილიას მარო და რევაზ, რომელთაც არ აკმაყოფილებდათ ნაბიჯებდამძიმებულ ილიას სიარული.

— მადროვეთ, ალქაჯებო! — სიყვარულით პასუხობდა ილია და უკვე ერთხელ აჩქარებულ ნაბიჯებს აღარ უმატებდა.

უკვე ღამის თორმეტი საათი იქნებოდა.

ილია რევაზმა და მარომ შინ მიაცილეს, და როდესაც სახლში შევიდნენ, ყველაზე წინ მარო გაიქცა:

— ნოდარ, ნოდარ! — გასძახოდა უკვე კარებშიშესული მარო. ნოდარის ოთახში რომ შეირბინა, უეცრად შეჩერდა.

ოთახში ბნელოდა.

მარომ მაინც შენიშნა ფანჯრებიდან შემოსულ შუქზე, რომ ლოგინზედაც არავინ იწვა.

ის უკან გამობრუნდა. მისასვლელ ოთახში ლოგინზე წყნარად ჩამოგდარა, კატო ახლა შენიშნა და მასთან მივარდა:

— სად არის, დედა, ნოდარი? თქვენ არ გინახავთ?

კატომ ნელა ასწია თავი და შავი სათვალეები მიაპყრო მაროს.

— არ ვიცი, შეილო, გარეთ გავიდა, ჯერ არ მოსულა.

— ჯერ არ მოსულა? — თითქოს შემკრთალი ხმით იკითხა მარომ.

ამდროს ილია და რევაზიც შემოვიდნენ ოთახში და კატოსთან შეჩერდნენ.

— არ არის განა? — იკითხა ილიამ, — რომ გეუბნები, სად წავიღოდა? ... მაგრამ პო. გაიქცევი, რევაზ, ეზოში იქნება! — დაგვიანებით უთხრა ილიამ და ტახტზე ჩამოჯდა.

ამის თქმა, მაროსა და რევაზის გაქცევა ერთი იყო.

ეზოდან მაროს კისკისი მოისმა და ჩქარა ნამძინარევი ნოდარი თვალების სრესით ილიასთან შემოიყვანეს.

— აი, გვირიც ასეთი უნდა! — იძახოდა მარო, — იჯდა იქ ბაღის კუთხეში და ღრმად ეძინა! გაიღვიძე, ნოდარ, კიდევ გეძინება?

ნოდარი ილიასთან ჩამოჯდა ტახტზე, ხოლო მარო და რევაზ თავს დასაღვამოდნენ და კვლავ აჯავრებდნენ:

— ალბათ ჩემს ძმობილს მიშასა და პაშას ამბები ესიზმრებოდა, — დაუმატა რევაზმა და ნოდარს ხელი დაადო მხარზე. — მაშ, აგრე. ძმობილო, შენი საქმე უკვე წასულია! ახლა მხოლოდ თუნუქი გაკლია, გამოიბი და გზას გაუღდექი!

— თუნუქი კი არა, ცოცხი აკლია!—ჩაურთო მარომ.

ნოდარი მეგობრების ლაპარაკის კილოდანაც ამჩნევდა, *ქრუმ ქაქმე* ცუდად არ უნდა ყოფილიყო, და ამბის ვაგებას აღარ ჩქარობდა. *მეგობრებო*

— ნუ მასხრობთ, ეშმაკებო! — სთქვა ბოლოს ილიამ, და ნოდარს მიუბრუნდა, — ხომ გეუბნები, მაგ ეშმაკების ნუ გჯერა მეთქი, შენი საქმე კარგად წავიდა: იმ მიშა პახომოვსა და პაშა უშაკოვას რომანმა გიშველა, თორემ საქმე არც ისე ადვილი იყო.

— როგორ, მიშა და პაშა აქ რა შუაშია? — დაიძახა ნოდარმა და ზეზე წამოდგა.

როგორც იყო მიახედინეს ნოდარი ბოლოს, თუ როგორ მოხდა ეს ყოველივე და ისიც თავშეუკავებლად იცინოდა რვეაზსა და მაროსთან ერთად...

რვეაზ და მარო ერთად წავიდნენ.

სიხარულის ალტყინებისაგან აღელვებული ნოდარი ვაეიდა თავის ოთახში. ილია წამოდგა, მძიმე ნაბიჯებით კატოსთან მივიდა ახლოს, რაღაც დიდი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით მეგობარს მხარზე ხელი დაადო:

— ეპ, კატო, კატო! — მოღლილი ხმით დაიძახა ილიამ. — ჩენი მოვალეობა კიდევ დიდი ყოფილა ამ ქვეყანაზე.

— დიდა, ილია, — ისეთივე პატივისცემით და სიყვარულით მიუგო კატომ და თავისი შავი სათვალეებით შეხედა ქმარს.

9.

ზამთრის სიახლოვემ თანდათან გააძევა შემოდგომის გრილი დღეები.

სიცივე ეშვებოდა დედამიწაზე და ეს სიცივე შეუმჩნეველად ატიტვლებდა ფოთლიან ხეებს და თითონ მიწას.

ტანზე პერანგშემოგლეჯილი ხეები დარცხენილად არხევდნენ რტოებს და შემორჩენილ ფოთლებს, როგორც ძველ სამოსელის ნაგლეჯებს უკანასკნელად იფარებდნენ ტიტველს სხეულზე.

ცივი ქარები გულსაკლავი სტვენით, უკვემოსული ზამთრის რისხვას აუწყებდნენ ქვეყანას და თითქოს ამბობდნენ:

გეყოფათ, რაც ინებიერეთ გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის დღეებში! ახლა სამაგიერო უნდა გაზღვევინოთ რადგან ამ ქვეყანაზე არაფერს ზედმეტი არ შერჩებაო.

და ასეთი მუქარით მოდიოდა ზამთარი, ძარცვავდა ტყეებს, ატიტვლებდა მინდორებს და ცივი კბილებით მიწას აპობდა.

ქალაქში უფრო ფრთხილად, ფეხაკრფით მოდიოდა ზამთარი,

თითქოს ყოველი სახლი ციხე-სიმაგრეა ზამთრის წინააღმდეგ საგანგებოდ გაშენებული და ეს ქვის ვეება სახლები ქედს არ იხრიდნენ ზამთრის ცივი ქარებისა და სუსხის წინაშე! — არხეინად აბოლებდნენ ერთი მეორეზე მხრებშიბჯენილნი და საკუთარ სხეულს თითონ ითმობდნენ.

სალამოს ეჭვსი საათი იყო,

ნოდარი მარტო იყო თავის ოთახში, „კამოდზე“ დადგმულ საათს მისჩერებოდა.

ვერ გაეგო, თუ რატომ იგვიანებდნენ ამხანაგები, რომლებიც ხუთ საათზე უნდა მისულიყვნენ და შეცადინეობა ერთად განეგრძობათ.



მას არ უნდოდა უკმად ჩაეელო თუნდაც ერთ საათს და უკვე სწყნობდა. ორჯერ გამოალო მაგიდის უჯრა, უნდოდა თავისი ნახაზები ამოეფიქრა და მუშაობა განეგრძო, მაგრამ უჯრა ისევ დაკეცა, რადგან იცოდა, თუ თავის ნახაზებს მიუჯდებოდა, შემდეგ მისი მაგიდიდან მოგლეჯა ამხანაგებსაც აღარ შეეძლოთ.

გადმოიღო თაროდან წიგნადგამოცემული, ილია ქაეჭავაძის თხზულებანი, გადაშალა და „კაცია ადამიანის“ მეორედ კითხვა განაგრძო.

კითხულობდა, თანაც უკვირდა, რომ ასეთ უსაქმო, უკეთუ და ღორმეცელა ლუარსაბსაც კაცს ეძახოდნენ, — ითმენდა მაშინდელი სოფელი.

რამდენ განსხვავებასა და როგორ სიშორეს ხედავდა ნოდარი მაშინდელსა და ახლანდელ სოფელს შორის!

სად არის ახლა ლუარსაბები და დარეჯნები! რამდენი ქვა და გრიგალი გადაგორდა იმათ საფლავებზე და ისიც კარგია, რომ ასეთი ლეშის შენახვისთვის დედამიწას რომ არ ცხვენოდა.

ოთახში ფეხაკრფით შემოვიდა მარო და ნოდარს ფრთხილად მიუახლოვდა.

— აი, ვაილიმა კითხვის დროს ნოდარმა.

მარომ ამ დროს უჯრკაფა კეფაზე და ნოდარმა შუბლი დაარტყა წიგნს, რომ მოიხედა, ოთახში მაროს კისკისი იდგა.

— შენა ხარ? — შეეკითხა და ზეზე წამოდგა, — ეს კარგი, მაგრამ სად დაიკარგეთ აქამდე, მარო?

— დროს ვატარებდით! — იოხუნჯა მარომ და მაგიდაზე გაშლილ წიგნს მიაჩერდა.

— რევაზ სადლა არის?

— რევაზი? — რაღაც გაგრძელებულად მიუგო მარომ და ნოდარს ხელი დაადო მხარზე, — არაფერია, რევაზ „ძმობილო“ არ დაგივიწყებს! დღეს მოულოდნელად გამოუძახეს რაიკომში სასწრაფო საქმეზე და მეც, ხომ ხედავ, დავიგვიანე.

— შენ სადლა იყავი, მერე?

— მეე? — გულზე ხელისდადებით, თითქოს გაკვირვებით იკითხა მარომ, — შე პირდაპირ ოპერაში წავედი და ბილეთები ვიყიდე.

— ოპერაში?

— დიალ, ოპერაში! — მიუგო მარომ და მარჯვენა ხელი ნოდარის მკერდზე მიადგა. — ახლაც უნდა წავიდეთ, თორემ...

— რაღა მაინცდამაინც დღეს უნდა წავიდეთ?

— იმიტომ, რომა მაცადინეობა მაინც არ გვექნება. გამოსასვლელი დღის წინა დღეა და გართობასაც მოითხოვს სული!

— მერე რევაზი?... — ყოყმანით იკითხა ნოდარმა, და მის მკერდზე დადებულ ქალის თითებს რაღაც უხერხული გრძნობით მიაჩერდა.

— არა უშავს! — ისევ თბილი ღიმილის შეფრქვევით მიუგო მარომ, — დღეს უმისოდაც მოვახერხებთ და შემდეგ ვნახოთ!

წუთით არცერთი მათგანი არაფერს ამბობდა.

ნოდარი ისევ უხერხული გრძნობით მისჩერებოდა მის მკერდზე მიღებულ ქალის ხელს, ხოლო თავის მხრივ მაროს თითებიც გრძნობდნენ, ფეხ როგორ ფეხქავდა ნოდარის გული.

— რა მიდის დღეს? — როგორც იყო შეეკითხა ნოდარი ბოლოს და უფრო ცივი გამომეტყველება მიიღო უტერად.

— დღეს? — თითქოს ბურანიდან იკითხა მარომ და თითონ განავრძო, — დღეს „ტრაეიატა“ მიდის და ძლიერ მიყვარს, ო, რამდენი სათუთი გრძნობები იმსხვრევა და ილუპება!

— არ მინდა, მარო! მოდი, ნუ წავალთ! — სთხოვა ნოდარმა და ეს თხოვნა მთელის გულწრფელობით აისახა იმის სახეზე. — მით უფრო დამსხვრევა, დალუპება, განადგურება დიდხანია რაც შევიძულე და არც მინდა რომ მოვიგონო!

— არა! — მტკიცედ სთქვა მარომ და ვაეის მკერდზე მიღებული ხელი აიღო, — თუ მე პატარს მცემ, უნდა წამოხვიდე. წავიდე, ნოდარ!

— კარგი, რა გაეწეობა! — დაეთანხმა ნოდარი მაროს ასეთი კატეგორიული თხოვნის შემდეგ და კედლის განჯინა სწრაფად გამოალო.

— უნდა ჩაიცივა? მე გავალ, ჩაიცივი, ნოდარ! — კმაყოფილებით დაიძახა მარომ და მეორე ოთახში გავიდა...

...ერთად მიდიოდნენ. ციოდა.

ოპერის პირველი მოქმედება რომ დასრულდა, მარომ ხელი გამოსდო ნოდარს, თეატრის ფოიეში ერთად გამოვიდნენ და სეირნობა დაიწყეს.

ნოდარი დაბეჯითებით მისჩერებოდა კაცსა თუ ქალს, მაგრამ იმათში ნაცნობი თითქოს არაეინ იყო, ზოგი იმათგანი ისე შორიდან თუ დაენახა სადმე ქუჩაში, მაგრამ პირადად არავის არ იცნობდა.

მარო მეტად კმაყოფილი იყო ამ საღამოთი და გაჩუმებულ ნოდარს რას არ უამბობდა:

— შენ, ალბათ, არც გაგივია, — ამბობდა მარო, — ჩვენი კომისრის მოადგილე გრიგოლი რომ „მიაბრძანეს“ და თითქოს ჩვენი პავლეც ხასიათზე არ არის. შენც ვაიგებდი, არაფერს ამბობ. ორპირობას ბოლო არ აქვს, ნოდარ! შენც ხომ იყავი გრიგოლთან და ვერაერთად გარკვეული პასუხი ვერ გამოიტანე. შენი გამოგონება განა ასეთი დასამარხი რამ იყო, დღემდე სინათლე რომ არ აღირსეს?... ჰო და, ახლა ყველაფერი გამოირკვევა. რატომ მოიწყინა პავლე შერვაშიძემ? თითქოს მეტად კმაყოფილია და ასე იძახის: „ნებას რომ მომცემდნენ, საკუთარი ხელით მოვსაპო მავ ძალღებოს“. განა ვინც მოსასპობია, პავლეს გარეშე ვეღარ მოსპობენ? არ მომწონს ეგ მეტიჩრობა! მართლა, ნოდარ, როგორ დაემართა დირექტორს, ჯილდო რომ მოგცეს? ჯერ „ნაყაბალარს“ გიწოდებდა, შემდეგ კი ჯილდო! ალბათ სჭირდება უკანდახევა. გოგისაც ძლიერ ეფერება და ყველაფერს უთმობს.

ამდროს საიდანღაც თინა გამოჩნდა.

ნოდარს მის დანახვაზე სახე გაუბრწყინდა და ხმაშლილი დაუძახა:

— თინა, თინა!

თინამ მაშინვე იცნო ნოდარი და მასთან მიიჭრა.

— ნოდარ!

ხელი მაგრად ჩამოართვეს ერთმანეთს და სიცილი აუტყდათ.

— ვაიცანით ჩემი მეგობარი! — ხანდაყოვნებით უთხრა თინას მოდარმა და მისი ხელი მაროს გადასცა.

მაროს თვალელებში ამ ერთმა წუთმა თითქოს სიხარულის წამებურღებში ჩააქრო უეცრად.

ამდროს, სრულიად მოულოდნელად, ნოდარს შეუმჩნეველად ეცვალა ფერი და მეგობარ ქალების საუბრიდან არაფერი ესმოდა:

აი, ის, „ჩაფიქრებული ექიმი“ და ეთერი! ერთად მოდიან! ეთერმა ნოდარი რომ შეამჩნია, თითქოს გაფითრდა, ნაბიჯებს აურია და ექიმს მკლავში ჩასჭიდა ხელი. ვინ იცის რისთვის.

შესაძლოა იმიტომ, სისუსტე იგრძნო და შეეშინდა, ძირს არ დაეარდნილიყო! „ჩაფიქრებული ექიმი“ გაკვირვებით მიაჩერდა ეთერის უფერულ სახეს, რაღაც უთხრა და სვეტთან შეჩერდნენ.

ნოდარმა მოარიდა მაშინვე სახე და გაიფიქრა: „რა ემართება“?

ნოდარი ისევ მეგობარ ქალების შუაში მოექცა, რომელთაც ახლა ორივე მხრიდან გამოსდეს ხელი და იქ ჩაიარეს, სადაც ეთერი და ის „ჩაფიქრებული ექიმი“ იდგა.

მაროს უფროდაუფრო არწმუნებდა თინას ნათელი, გულახდილი საუბარი, რომ თინა ნოდარის მართლაც მხოლოდ მეგობარია და სხვა არაფერი.

ამ გრძნობამ თითქოს სიმშვიდე დაუბრუნა მოღუშულ მაროს და მის თვალელებში სიხარულის ციმციმიც კვლავ აღმოცენდა.

განა თითონ მარომ იცოდა, თუ რატომ ხდებოდა ასეთი ცვლილება?

არა, არ იცოდა.

ყოველ შემთხვევაში საამისო საბუთი მაროს არ ჰქონდა.

ნოდარი ხომ ისეთივე მეგობარია მისი, როგორც თინასი?

მაშ. რატომ უნდა შეენელებია მაროს სიხარული თინას გამოჩენას?

ამ საკითხებზე ის აღარ ფიქრობდა, მხოლოდ გულის პასუხს დანდობით მისდევდა.

კუთხემდე მივიდნენ,

ისევ გამობრუნდნენ, მაგრამ ის „ჩაფიქრებული ექიმი“ და ეთერი იმავე სვეტს აღარ შორდებოდნენ.

თინამ რომ „ჩაფიქრებულ ექიმს“ შეხედა, მაშინ მოაგონდა, რომ ამ ექიმს ნოდარიც იცნობდა,

— აი, ნოდარ! ხომ ხედავ, ის ჩვენი „ჩაფიქრებული ექიმი“ სად არის! წამოდი, არ ნახავ? — და ნოდარი მკლავში მოსწია.

— არა! — გადაწყვეტით მიუგო ნოდარმა და მკლავი წაართვა, — არ მინდა! არ არის საჭირო, თინა!

— რატომ? შენ ხომ არ ემდღური მას? — გაკვირვებით იკითხა თინამ, — შიო ცუდი კაცი არ არის, რა ვუყვით მერე, ჩაფიქრებული რომ დადიოდა. თუმცა ახლა ლოთობაც მიუმატა ამ ჩაფიქრებას და სამსახურშიც ხშირად იგვიანებს, ფორემ... არა, ცუდი კაცი არ არის შიო.

— ცუდი რად იქნება, თინა? პირიქით, კარგი კაცი სჩანს. არც მე ვემდღური, მაგრამ ახლა არ მინდა შევხედე.

— შენი საქმეა! — მოკლედ მოსჭრა თინამ და შორს აღარ გაჰყვა ამ ამბის გამოძიებას.

— მართლა, — ცოტაოდენი დუმილის შემდეგ განაგრძო თინამ, — მე ვიცნობ შიოს ცოლს, კარგი ქალია, თითქოს ისიც შიოსავეთ დინჯია, ჩაფიქრებული.

თინას კიდევ უნდოდა დაწყებული ამბის გაგრძელება, მაგრამ ნოდარის ანთებულმა თვალებმა შეაჩერა უეცრად.

— ნოდარ! — რაღაც შემკრთალის ხმით, თითქოს ძილშია და აღვიძებსო, მიაძახა თინამ ფერმიხილი ნოდარს და თვალი გაუსწორა, — ავად ხომ არა ხარ? თითქოს ხასიათზე არა ხარ დღეს!

— არა, არა, თინა! — უმაღვე მიაძახა ნოდარმა, — ალბათ დავიღალე. აქ ბევრი ხალხია და ეს მოქმედობს.

— სათუთი ვინმე ბრძანდებით, განა! — მეგობრული ირონიით მიუგო თინამ და სვლა განაგრძეს, — დღეს აქ ჩემი ძმაც უნდა მოსულიყო და კიდევ არა სჩანს. თითქოს საგანგებოდ მოეწყო ჩვენი შეხვედრა! — განაგრძო თინამ, მსუბუქად მიადგამდა ნაბიჯებს, თითქოს იატაკს ეპარებო, მზრებს თავისუფლად არხვედა, მუდამ ცოცხალ და ცისფერ თვალებს დღეს რაღაც განსაკუთრებულის მიმზიდველობით აციმციმებდა.

მარო ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ წაართვა თინამ სიტყვები და ჩააჩუმა. ყველასათქმელს თინა ამბობდა, ყველა საკითხებში განსაკუთრებულ გამჭირიანობას იჩენდა იგი და მის ყოველ სიტყვას რაღაც სინათლე მოსდევდა თან.

უკვე მეორე წარი დარეკეს, ხალხი გზადახშულ მდინარესავეთ შესდგა უეცრად. ჩოჩქოლს უმატა და თითქოს მდინარემ გასასვლელი ახლა ნახაო, ყველა კარებიდან დაიღვარა დარბაზში.

ახლა თინამაც დასტოვა მეგობრები, გაიქცა და შორიდან დაიძახა:

— ამფითეატრი! მეორე რიგი! მიცქირეთ! მეც დავინახავთ!

ნოდარ და მარო თავიანთ ადგილებზე, — პარტერის მეოთხე რიგში ისხდნენ და კარებიდან მოდენილ ხალხს გასცქეროდნენ.

აი, „ჩაფიქრებული ექიმი“ და ეთერი!

სულ უკან, ერთად მოდიან!

პარტერში ჩამოვიდნენ, ნოდარის გვერდში გამოუარეს და თითქოს მკლავზე იგრძნო ნოდარმა ახლოსგავლილი ეთერის კაბის შეხება.

თითქოს ერუანტელმა დაუარა ძარღვებში, მაგრამ ტკივილების ერუანტელი არ იყო!

ეს სულ სხვა იყო, ვიდრე მას უწინ განუცდია. არა, ეს ერუანტელი კი არა, რაღაც სიამაყის შეგრძნობა იყო, რომელმაც ელექტროდენივით გაურბინა ძარღვებში.

ის „ჩაფიქრებული ექიმი“ და ეთერი მხოლოდ ერთი რიგით წავიდნენ წინ, რამდენიმე საეარძელი დასტოვეს და უკვე დასხდნენ.

რატომ პირველ მოქმედებაზე ვერ შენიშნეს მათ ერთმანეთი?

ნოდარს ახლა მოაგონდა თინას სიტყვები, რომ „ჩაფიქრებულ ექიმს“ დავვიანებაც დასტემდა ბოლოსა და, შესაძლოა სწორედ ამ მიზეზით მათ პირველ მოქმედებაზე, პარტერში ჩასვლა ველარ მოასწრესო.

კარგა ხანს ჩოჩქოლებდა ხალხითგავსებული თეატრი.

არეულ ხმებზე უკრავდა მუსიკა და წინ, სცენის კულისებში კაკუნსა და რახუნს არ ათავებდნენ.



დარბაზში ნახევრად ბნელოდა.

ნოდარის ახლოს საუბრობდნენ, იცინოდნენ ახალგაზრდებმა.

რამდენი მშვენიერი ასულის ნორჩი სახე მოსჩანდა, რამდენი ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე ვაჟები ისხდნენ ან ტრიალებდნენ იმ ახალგაზრდა ქალების გვერდით და თითქოს ისინი მტრედებევით პირში სულს უბერავდნენ ერთმანეთს.

ყველაფერ ამაში იყო დიდი სისადავე, რალაც მიმზიდველი უბრალოება და სილამაზე.

სჩანდა, რომ ეს ადამიანები გარეგნულად ისე არ ელვარებდნენ, არ პრიალებდნენ, მაგრამ ისინი შინაარსით იყვნენ მდიდარი.

„ჩვენმა დრომ მოიტანა ეს შინაარსი“, — უპასუხა ნოდარმა საკუთარ ფიქრებს და მაროს შეხედა.

მარო თითქოს ნაწყენი იყო, რომ ნოდარი ხმას არ იღებდა. ვილაც სხვეს მისჩერებოდა, — მაროს იქ არსებობას თითქოს არც გრძნობდა.

— ვის უცქერ, ნოდარ? — ათრთოლებულის ხმით ჰკითხა მარომ კარგა ხნის დუმილის შემდეგ, თავი დახარა და სახეზე მისთვის ჩვეული ღიმილიც აღარ მოსჩანდა.

— ხალხმა და ფიქრებმა გამიტაცეს უეცრად, მარო! — გულახდილად მიუგო ნოდარმა, — შენ ხომ არ მოგწყინდა, მარო?

— მე არა, მაგრამ... — ისევ ნაწყენი კილოთი მიუგო მარომ და ბოლოს მის სახეზე მაინც აღმოცენდა ღიმილი, რომელიც რამდენიმე წუთის მოწყენამ წაიღო. — თინას ხომ არ ეძებდი, ნოდარ, შენე, აი, ჩვენ გვიცქერის, ზედავე?

ნოდარმა ახლა შენიშნა თინა და მისი მალლა აწედილი ხელი, რომელიც ფერმკრთალ შუქზე მარმარილოს ქანდაკებასავით მოსჩანდა.

აი, ეთერი, რომელიც ზოგჯერ ფრთხილად, თანაც თითქოს გაჯავრებული მოიხედავს ნოდარისკენ და ისევ ჩქარა სახეს მოარიდებს!

ვინ იცის, რას ფიქრობდა ახლა ეთერი, ან მასზე რას ფიქრობდა თითონ ნოდარი.

და მათი ფიქრები ურთიერთისთვის უცხო იყო, გაუგებარი!

რამდენი ხანია ამ ფიქრებმა ენა დაკარგა და უკვე დამუნჯდა.

ნოდარს არც უნდოდა სკოდნოდა, თუ რას ფიქრობდა მასზე ის ქალი, რომელმაც იმოდენა გრძნობები ფეხით გათელა და ყველაფერი ქუქუქით წარლენა. არ უნდა, არა! გული რომ უხზობდეს, მაინც არ უნდა!

უკანასკნელი ზარი და შუქი მთლად ჩააქრეს.

გამოჩნდა ღირიეორი. ხალხს თითქოს გაჯავრებით გახედა უეცრად, ხელები აღმართა მალლა და რომ დაუშვა, მუსიკის გრილი ჩამოიტანა.

უფროდაუფრო ძლიერდებოდა ღირიეორის პათოსი. ბგერათა ნამსხვრევებს თითქოს ხელით ფანტავდა თეატრის დარბაზში, თითქოს მის გაშვრილ თითებიდან გამოდიოდნენ ის ტკბილი ხმები!

მუსიკის გრივალმა და ამოზოქრებულ ტალღების შხუილმა გადაიარა.

თმაგაშლილი ღირიეორი ახლა თითქოს ამ ამოზოქრებულ ზღვაზე სდგასო და ხელუბ-აწედილი, ბუნების სტიქიონზე გამარჯვებული, ამომავალ მზეს სიხარულით ეგებებაო და ფარდა აიხადა.

ღირიერიც უფრო დამშვიდდა, უკვე თავის ჭკუაზე მიიკვამს საბოლოოდ დამორჩილებული მელიოდები: ზოგჯერ ერთის მხრივ მიახლის ხმების გრუნტელს, ზოგჯერ მეორეს მხრივ, ხან აამაღლებს, ხან დაადაბლებს, ხან თითქმის შეფერადებულ ღრუბლების ზემოთ, უკან მოუხედავად, ჭიხვინით მიიჭროლებს ფაფარაშლილ ბედაურებს, რომელთა ზურგზე ფეხით შემდგარა და აელარუნებული სადავეები მთელის ძალით დაუქაჩია!

აი, გამოდიან ქალები, მათ შორის საბენამოღრუბლული ვიოლეტა. ის უსი-
ცოცხლო ნაბიჯებით საეარძელს უახლოვდება და შიგ ეშვება.

აი, აღფრედი! თითქოს თავზეხელალებულ რაინდევით მოადვამს ნაბიჯებს, თავის ტოლმეგობრებს უახლოვდება, მიესალმება და ბანქოს თამაშს გააჩაღებენ. აღფრედი ივებს, მაგრამ მისთვის თითქოს სულერთია მოგება და წაგება, თამაშობს ისე, რადგან სხვა გასართობი მას აქ ვერ უნახავს...

თითქოს ყველაფერი თავის რიგით მიმდინარეობს, თითქოს აქ ყველა კმა-
ყოფილია, მაგრამ აი, დაუბერა თითქოს გრივალმა!

აღფრედის სულში გაჩნდა ეს გრივალი.

მან ყოველგვარი თავრიგი დაჰკარგა, თვალში კაცად აღარაინ მოუჩნდა და თავის ძველ შეყვარებულს, ვიოლეტას აუტანელი შეურაცხყოფა მიიყენა: მან ქალადის ფულების ჩექქი მიიყარა სახეში ქალს და მერე რა იცოდა, რომ ის საცოდავი ვიოლეტა არაფერ შუაშია, რომ მისი აღფრედისაგან ჩამო-
შორება თითონ აღფრედის მამამ მოაწყო, რომ ამის გამო თითონ ვიოლეტა აღფრედზე მეტად იტანჯებოდა.

ამ მომენტში ნოდარმა ძალაუნებურად გადახედა ეთერის, მაგრამ ეს რა ხდება?

ეთერი სტირის, თვალებთან ცხვირსახოცი მიუტანია და ცრემლების წმენ-
დას ვერ უთავდება.

ქმარი ყურში ჩასჩურჩულებს ეთერის.

ალბათ აფრთხილებს, მისმა უხერხულმა საქციელმა დარბაზში უცხო ხალ-
ხის ყურადღება რომ არ მიიპყროს.

მაგრამ ეთერი თითქოს არ აქცევს ყურადღებას ქმრის გაფრთხილებას და
კვლავ იცრემლება.

„ცრემლები? — თავისთავს შეეკითხა ნოდარი, — განა ასეთ ქალებს ეხერ-
ხებათ ცრემლები?“

როგორც იყო დასრულდა ეს მღელვარებით აღსავსე მეორე მოქმედება და
შუქი რომ აინთო, ეთერი აღარ იცრემლებოდა, თავი ძირს დაეხარა მხოლოდ და
საკუთარი ხელის თითებს გაშტერებით დასჩერებოდა.

ქმარი იჯდა ხმაგაქმედილი. ერთიმეორეზე გადასკენილი ხელები წამოშვე-
ბულ მუცელზე დაეღაგებინა და წინდაშვებულ ფარდას მისჩერებოდა.

ვინ იცის, რაზე ფიქრობდნენ ისინი, რა აწუხებდათ.

თინამ თითონ მიიჩინა ნოდართან, რომელიც ზეზე ადგომას აღარ ფიქ-
რობდა, ძალით წამოჰყარა ისინი ზეზე და დერფენისკენ წინ გამოიყვია.

ეთერი და მისი ქმარი ადგილიდან აღარ იძროდნენ. არც რამეს ამბობდნენ.
მთელი ანტრაქტი ასე უხმოდ და უმოძრაოდ გაატარა ცოლქმარმა.

უკვე მესამე მოქმედება დაიწყო.

ვინ არის ის, ლოგინად რომ ჩავარდნილა?



ვიოლეტა?

როგორი ფერმიხდილია!

შუქიკ კი, რომელიც ფანჯარასთან მოსულა, ასევე ფერმიხდილია შემოდის ოთახში და ვიოლეტას სასთუმალს ფრთხილად ეფრქვევა.

რა მოგდის ვიოლეტა, შე უბედურო!

ექიმი შემოდის, ანუგეშებს უბედურ ვიოლეტას, მაგრამ, წასვლისას, ვიოლეტას თვალს მოარიდებს, უიმედოდ ხელს ჩაიჭნევს და ოთახს სტოვებს.

ვიოლეტა ველარ ისვენებს, სიკვდილი ებრძვის და ისევ ის ექიმი!

ბოლოს აღფრედი!

ახ, რატომ აქამდე არ გაჩნდა აქ აღფრედი!

ნუთუ მან დაიგვიანა!..

და როგორი მზიური იყო მათი შეხედრა!..

თითქოს ყველა ტანჯვა, უბედურება დასრულდა უკვე და განუსაზღვრელი

სიხარულის წინაშე სიკვდილმაც კი დახუჭა თვალი!

მაგრამ ეს რა ხდება?

რა ემართება ნეტავ იმ საცოდავს, უშველეთ მას. გადაარჩინეთ! თუ სადმე ქვეყანაზე არსებობს სიცოცხლე, ის ყველაზე მეტად იმ უბედურ ვიოლეტას სჭირდება ახლა! მიეცით მას მისი შესაძლებელი სიცოცხლის თუნდაც ერთი მცირე ნატეხი!

მაგრამ ეს არა!

უბედური ვიოლეტა იატაკს ეცემა და მისი მშვენიერი, ბავშვური თვალები სამუდამოდ იხუჭებიან.

— მოკვდა! — ხმამალა დაიყვირა დარბაზში ეთერმა და მხოლოდ ახლა მიხვდა სად არის.

იგი მაშინვე წამოდგა ზეზე.

შეწუხებული ქმარი უკან გამოუდგა და დერეფანში სწრაფად გავიდნენ. ეთერის ხმამალლი შეძახილით თვალებგაფართოებული ხალხი ჯერ კიდევ გაკვირვებით უცქერდნენ კარს, რომელშიაც ეთერი და მისი ქმარი გავიდა.

— ვინ არის ის, რა დაემართა? — შეეკითხა ნოდარს მარო, რომელსაც ვერაფერი გაეგო თუ აქ რა მოხდა.

ნოდარმა მაროს შეკითხვა უპასუხოდ დასტოვა.

ახლა თითონაც ლელავდა იგი.

უკანასკნელად დაეშვა ფარდა.

შუქი აინთო და ხალხი მიაწყდა ყველა ვასასვლელს.

თინაც კვლავ წინ მიეგება მაროს და ნოდარს.

ის იცინოდა, ვერაფერი გაეგო თუ ვინ იყო ის ქალი, პარტერში იმოდენა რომ დაიყვირა, მაგრამ ნოდარი პასუხს არ აძლევდა.

თეატრიდან ერთად გავიდნენ.

გამომშვიდობებისას პირობა მისცა ნოდარს, რომ ის მალე ინახულებდა ილიას ოჯახს და იქვე ნოდარსაც.

ახლა მარტო დარჩნენ ისინი...

— ნოდარ, — პირველად მარომ დაარღვია სიჩუმე, — ვფიქრობ, რომ თინა არ ცდებოდა. მართლაც დღეს შენ, თითქოს არა ხარ ხასიათზე. მე შენთან მიხაროდა წამოსვლა. შენი სიტყვები ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულ სიხა-

რულს მანიკებს, მაგრამ... ახლა გული თითქოს დამიმძიმდა. სიმართლეს/გეუბნები და რატომ არ ვიცი...

— მკერა, მარო, — ცოტა ხნის დღემილის შემდეგ მიუღო, ^{ნერვიული} ^{წივილი} ^{წივილი} ^{წივილი} მაგრამ ჩემი ბრალი არ არის თუ მოგაწყინე. ზოგჯერ გული მოჭარბებულ სიხარულსაც ვერ იტანს, ზოგჯერ კი კაეშანიც წაეპარება. ეს ხომ ჩემი ბრალი არ არის. ახლა ხომ მზიარული ვარ? ცივა, მაგრამ, შეხედე როგორი ღამეა, ცას ხომ უცქერი, მთვარე როგორ მედიდურად დაპვორავს სიერცეში და არც ეჩქარება.

— მთვარე? — იკითხა მარომ, — ჰო, მთვარე კი არა, აი, რას გეუბნებოდი, ნოდარ, არ მინდა მთვარე! მთვარე რათ მინდა! შენ ის მითხარი, რატომ დღეს არ იყავ ხასიათზე, ალბათ ჩემთან მოგწყინდა, არა? მე ხომ მიხაროდა, როგორ მიხაროდა!

— ჩვენ ხომ მუდამ ერთად ვართ, მარო, განა დღეს გავიცანით ჩვენ ერთმანეთი? თუ გიხაროდა, მეც მიხარია! დღეს ხომ სხვანაირი დღე არ არის, განსაკუთრებულად რომ გვიხაროდეს.

— განსაკუთრებულად! — რალაც ნერვიულად წარმოსთქვა მარომ, — დიახ, განსაკუთრებულად! რადგან შენთან მარტო ვარ დღეს! და ისიც თეატრში! როცა ვმუშაობთ, ან ვმეცადინეობთ, კიდეც სხვა არის! დღეს კიდეც სხვა არის, ნოდარ, უფრო მეტ სიახლოვეს და სითბოს ვგრძნობდი!

„უფრო მეტ სიახლოვეს და სითბოს ვგრძნობდი, — ფიქრებით ვაიმეორა ნოდარმა მაროს სიტყვები, — რას ნიშნავს ეს? მარო არ ზუმრობს“.

— ახლა ხომ არა ვარ, მარო, მოწყენილი? მაგრამ ჰო, ის ჩვენი დირექტორი ახირებული კაცია, არა? — სიტყვა ბანზე აუგდო ნოდარმა და საუბარი განგებ სხვა მიმართებით მიაბრუნა უეცრად. — როცა ვუცქერი, ასე მგონია, საღდაც მის შიგნით კიდეც ვიღაც სხვა კაცი არის ჩამალული და ხმას არ იღებს. თითონ კი ლაპარაკობს და რამეს აკეთებს. საქმის კაცს ჩამოგავს, მაგრამ..

— კიდეც დირექტორი! — ისევე წყენით დაიძახა მარომ და ხელი ჩაიქნია, — მომბეზრდა დირექტორი! ახლა სხვა რამე მითხარი, ნოდარ!

— სხვაზე ვსთქვათ? და რა ვსთქვათ, მარო?

— აი, მაგალითად, როგორ მშვენიერად ცხოვრობენ ერთად მიშა და პაშა! ბინაც მისცეს და მშვენიერად გრძნობენ თავს... არაფერია?... მაგრამ არა, ნოდარ, აღარ ღირს: სჩანს... ჰო, აღარ ღირს!..

ნოდარს ხმა აღარ გაუცია.

უხმოდ მოდიოდნენ.

როდესაც მარო თავის სახლს მიუახლოვდა, ნოდარის ხელი გაუწოდა უეცრად და ჩამოართვა.

— მშვიდობით! — დაიძახა მარომ, თითქოს ხმის კანკალით და გაეცალა.

— მარო, ვაგაცილებ სახლამდე! რატომ მიიჩქარი! — მიძახა ნოდარმა უკვე საკმაოდგაშორებულ მაროს, რომელიც ნოდარს სახეს არიდებდა.

— არა, მე წავალ!.. უკვე მივედი!

— ზეალ ზუთ საათზე, ზომ იცი, მარო?

— ვიცი! — უკანმოუხედავად, მოკლედ უბასუხა მარომ და გზა განაგრძო. ნოდარი მარტო მიდიოდა შინისკენ, რომელიც ახლა მისი მეგობრის, რევაზის სატრფოს უცნაურ სატყეელზე ფიქრობდა:

„გასაოცარი გული აქვთ ქალებს“, — გაიფიქრა ნოდარმა ბოლოს და ნაბიჯებს აუჩქარა.

ოთახში შევიდა.

მაგიდაზე კატოს მიერ დალაგებულ საქმელს დახედა, მოაგონდა სოფელი და თავის დედა, რომელიც ღამით, სწორედ ასე უტოვებდა მაგიდაზე გამზადილ ვახშამს.

„ველაფერი ისეა თითქოს, და კატოც ხომ დედაა ჩემი.“ — იფიქრა მან.

შემდეგ მიუჯდა მაგიდას და მაროზე ფიქრმა უნებლიედ ეთერი მოაგონა. მას არ უნდოდა ეფიქრა ეთერზე, მაგრამ თვით ფიქრები ახლა თითქოს თავისთავად გარბოდნენ მისგან. იქითკენ მიჰქროდნენ, სადაც ეთერთან სასიხარულო ან სამწუხარო შეხვედრის ადგილი სჩანდა. მოათავა ვახშამი. ჩაწვა და ფიქრი კიდევ ვერ მოიშორა: აი, ერთხელ: ადრეა, დილაა, ახლადდამდგარი ზაფხულია და ის გარბის შინიდან მთისკენ, სადაც ეთერიც უნდა მოვიდეს.... ერთ, მთის ბალახით დაფარულ, პატარა მინდორს მიაღწია, ნაბიჯს უნელა, ირგვეილ ყრუნტელისმომგვრელ ბუნებას მოავლო თვალი და კარგად ახსოვს, თავისთავს უთხრა:

„მივდივარ ზევით. ნაძენარისა და ფიქვენარის ტყეა, ჩანჩქერების განუწყვეტელი თქრიალი მესმის. დოღბანდივით მსუბუქი ნისლები შეფრქვევია გარინდებულ მწვერვალებს. იქ, უფრო ზევით, მარადიული მყინვარებია, ალაგ პატარა მინდვრებია ხავერდოვანი. ალაგ კენის ჩონჩხიანი კლდეები ამოზიდულან. დილის, ოქროსთმება სხივები ოდნავ ეხება ტყესა და თხემებს. ნიაეი ფრთხილად აქანავებს ხეთა წვეროებს. ნამის ბროლი გამკვირვალე წვეთებად ეცემა მიწას, ალბობს, ავრილებს. ო, რა სიწყნარეა, რა სასწაულია! მივდივარ, თითქოს დაქრილი ვარ. გააპეთ გული. — შიგ მოათავსეთ ეს ყოველივე, მაშინ მოვრჩები და მოვისვენებ!“

ველარ გაუძლო ნოდარმა მაშინ და ეს ბოლო სიტყვები ხმამაღლა დაიძახა. თითონაც არ იცოდა თუ ვის ეძახდა. ის როგორც მთვრალი გაგორდა მოღზე. გამოუთქმელი სიამოვნებით თვალი დახუჭა, ხმა ჩაიკმინდა, მთელ სხეულს რაღაც სასიამოვნო ყრიალი გაჰქონდა, თითქოს ზღვის შუშუნა ტალღებზე იწვა და როგორც ზღაპარში მიქროდა შორს, ოცნების ნათელ მზარეში... ამდროს მოესმა ეთერის სიცილი. ის ზეზე წამოიჭრა უეცრად, ეთერს უდიდესი გრძნობით მოეხვია. ზელი გადანასკვეს ერთმანეთს და სულ ზევით, ზევით, წავიდნენ მთაზე — ბოლოს კი... „ჰე! მაინც ვფიქრობ!“ — უსაყვედურა ნოდარმა თავის თავს და ამ ამაღლევებელ სურათებს ძლივს ჩამოსწყვიტა აშლილი ფიქრები.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ალექსანდრი სულავა

ქართული საბავშვო ლიტერატურა

ქართულ საბავშვო ლიტერატურას შესანიშნავი ტრადიცია აქვს. ამ ტრადიციის საფუძველი ჩაუყარეს ქართული ლიტერატურის მე-19 საუკუნის კლასიკოსებმა. თავისი მუდმივი გულშემატკივარი მწერლების გარდა ქართულ საბავშვო მწერლობას დიდ ყურადღებას აქცევდნენ ისეთი მწერლები, რომლებიც მიმართებას აძლევდნენ მთელ ლიტერატურულ ცხოვრებას.

ქართული პოეზიის დიდი სიამაყე—ევა ფშაველა ათეული წლის განმავლობაში ითვლებოდა ქართული საბავშვო ჟურნალების აქტიურ თანამშრომლად. აკაკი წერეთლის— ამ შესანიშნავი, დიდი ლირიკოსი პოეტის—ლექსები მუდამ ამშვენებდნენ ქართულ საბავშვო ჟურნალებს. ბავშვებისთვის წერდნენ გიორგი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი.

რა აიძულებდათ ამ დიდ ქართველ მწერლებს ეწერათ ბავშვებისთვის? რასაკვირველია, იმისი შეგნება, რომ გამათავისუფლებელი მოძრაობა შეუძლებელი იყო ახალი თაობის გარეშე, რომ ამ მოძრაობის თესლი ასეთ მადლიან ნიადაგზედაც უნდა დათესილიყო. ამიტომ იყო, რომ მათ საბავშვო ქმნილებებში გამოხატულებას პოულობდა ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მოვლენები. აღწერდნენ ისინი ბუნებას თუ ბავშვთა ცხოვრებას, ყველგან ხაზგასმით აღნიშნავდნენ ქართველი ხალხის ჩაგვრის სინამდვილეს, სამშობლოს ბედნიერებისთვის ბრძოლის აუცილებლობას.

ათეული წლის განმავლობაში ცარიზმის მძიმე პირობებში ქართულ საბავშვო წიგნებსა და ჟურნალებს მზრუნველობას უწყევდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძე, გ. წერეთლის ლიტერატურული ოჯახი, — ი. გოგებაშვილი — ეს დიდი ქართველი პედაგოგი, რომლის „ბუნების კარმა“ ფასდაუდებელი როლი ითამაშა ქართველი ახალგაზრდობის აღზრდაში. ამ შესანიშნავ პედაგოგსა და საინტერესო საბავშვო მწერალს ისეთი შეხედულება ჰქონდა საბავშვო მწერლობაზე, რომელსაც იზიარებდა მთელი ქართველი პროგრესული მწერლობა. პირველი საბავშვო ჟურნალი „ნობათის“ გამოსვლის გამო ი. გოგებაშვილი გაზეთ „დროებაში“ წერდა: „საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყმაწვილო ნაწარმოებებით, საყ-

მანწილო ლიტერატურით“. ასე წერდა ი. გოგებაშვილი, ასეთივე მოსახრებებს გამოთქვამდნენ აკაკი წერეთელი და ვაჟა ფშაველა.

ამიტომ გახდნენ ეს მწერლები ქართული საბავშვო ლიტერატურის მფუძვლები, სწორედ ამ მწერლებმა ჩაუყარეს საფუძველი ქართულ რეალისტურ საბავშვო მწერლობას, რომლის ტრადიცია ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ ის ვერ შეარყია ვერც მეფის ცენზურის დევნამ, ვერც ისეთმა ლიტერატურულმა მიმართულებებმა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ რეალიზმის შეცვლას ცხოვრების ეულგარიზაციით, აპოლიტიურობით და სხვ.

ქართული რეალისტური საბავშვო ლიტერატურის საუკეთესო მონაცემები არა მარტო საბავშვო მწერლობის მშვენიერებაა, არამედ — ქართული ლიტერატურის საუკეთესო მიღწევა. ვაჟა ფშაველას საბავშვო მოთხრობები, აკაკის შესანიშნავი საბავშვო ლექსები, ევ. გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“, „ღვინია გაგადაიხზა“, ს. მგალობლიშვილის „ყაყიტას ქურდი“, შ. არაგვისპირელის „ღვინის ქურდები“, ნ. ლომთურის „ქაჯანა“ და „ალი“, თედო რაზიკაშვილის საბავშვო მოთხრობები, ი. გოგებაშვილის — „ივენანამ რა ჰქმნა“, „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, იროდიონ ევდოშვილის მოთხრობები, შიო მღვიმელის საბავშვო ლექსები, — აი ის ძვირფასი ნიმუშები რომლებიც არასდროს არ დაკარგავენ თავის ღირებულებას. მაგრამ ამ ნაწარმოებებმა უფრო მეტი დავასება ჰპოვეს მას შემდეგ, რაც ქართველი ხალხი და მისი ახალი თაობა გახდა ბედნიერი. მას შემდეგ, რაც მისი ცხოვრება გაანათა სოციალისტურმა ცხოვრებამ, ხალხთა სტალინურმა ძმობამ, სოციალისტური მშენებლობის დიდმა სინამდვილემ.

სოციალიზმის სინამდვილემ შესაძლებლობა მისცა ქართველ ხალხს — საფუძვლიანად შესდგომოდა თავისი მშობლიური ლიტერატურისა და მისი მემკვიდრეობის შესწავლას, თავისი კულტურისა და ლიტერატურის აყვავებას. საბჭოთა კულტურის მიღწევათა შორის ერთ საუკეთესო მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ქართული საბავშვო ლიტერატურის ზრდა. არასდროს არცერთ ქართველ საბავშვო მწერალს არ მისცემია ისეთი ასპარეზი შემოქმედებითი მუშაობისთვის, როგორც საბჭოთა სინამდვილეში.

საბჭოთა მწერლობისადმი განსაკუთრებული ყურადღების ფაქტად უნდა ჩაითვალოს თუნდაც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებშივე ბავშვთა უსაყვარლესი მწერლის შიო მღვიმელისადმი ისეთი დამოკიდებულება, რომელიც მას წარსულში არასდროს არ ღირსებია, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქნა შესაძლებელი, ჩვენი ახალი თაობა ფართოდ გაცნობოდა ქართულ საბავშვო მწერლობის მიღწევებს. თუ წარსულში ჩვენს საბავშვო მწერლობას მხოლოდ მოწინავე საზოგადოების ერთი ჯგუფი უვლიდა, იგი საბჭოთა ხელისუფლების დროს გადაიქცა საერთო სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ფართო ზრუნვის საქმედ. ამ პირობებში, რასაკვირველია, საბავშვო მწერლობაც არ შეიძლებოდა წინ არ წასულიყო. ამრიგად მწერალთა იმ ფენამ, რომელმაც რევოლუციამდე დაიწყო მუშაობა საბავშვო მწერლობაში, საბჭოთა პირობებში დიდი ვასაქანი იპოვა, მათ გააფართოვეს თავიანთი თემატიკა და უფრო დიდ და ახალ ტილოებზე გადავიდნენ.

ძველ მწერლებიდან ამ მხრივ აღსანიშნავია შიო მღვიმელის მუშაობა. იგი 1933 წელს ვარდაიკვალა 57 წლისა, მაგრამ მაინც მოასწრო საბჭოთა ბავშვე-

ბიც ვაეხარება. მისი ლექსები საბჭოთა ბავშვების ცხოვრებიდან გამომდინარე იყო იმ სიყვარულით, რაც ასე ახასიათებდა შიო მღვიმელს. მრავალი თბობა აღიზარდა შ. მღვიმელის ლექსებზე. არ ყოფილა არც ერთი ბავშვი, რომელსაც არ ესწავლოს შიო მღვიმელის ლექსები. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე შეაქცია მას ყურადღება და საპატიო მწერლის სახელწოდებასთან ერთად პერსონალური პენსიაც დაუნიშნა. საბავშვო მწერლის ასე დაფასება მხოლოდ სოციალიზმის ქვეყნის დამახასიათებელი თვისებაა, სადაც ბავშვების აღზრდას უდიდესი ყურადღება ექცევა. ინტერესი შ. მღვიმელის შემოქმედებისადმი მის გარდაცვალების შემდეგაც არ შენელებულა.

შიო მღვიმელის გვერდით ძველ მწერალთა პლეადიდან აღსანიშნავია გამოჩენილი ქართველი ბელეტრისტი ქალი ეკატერინე გაბაშვილის მუშაობა. მართალია იგი არ იყო მარტო საბავშვო მწერალი, მაგრამ თავისი შემოქმედების დიდ ნაწილს, უმთავრესად, საბავშვო მწერლობას ანდომებდა და ბავშვთა დიდი სიყვარულიც დაიმსახურა. იგი წერდა განსაკუთრებით რეალისტურ მოთხრობებს გაქირვებული ბავშვებისა და ჩვენი გლეხობის ცხოვრებიდან, მისი უპოპულარესი მოთხრობებია „მაგდანას ლურჯა“, „ღვინია ვადიჩება“, „თინას ლეკური“, „ჩვენი კაკლის ხე“ და სხვ. ღრმა მოხუცებულობის გამო მან ვერ შესძლო საბჭოთა ცხოვრებიდან რაიმეს დაწერა, მაგრამ გარდაცვალებამდე (1937 წ.) ხშირად ამშვენებდა საბჭოთა საბავშვო ჟურნალებს თავისი მოგონებებითა და პატარა თარგმანებით.

ძველ მწერალთა პლეადიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მწერალი ქალი ნინო ნაკაშიძე, ზგი მრავალი წლის განმავლობაში რედაქტორობდა საბავშვო ჟურნალ „ნაკადულს“ და საზოგადოებრივ მუშაობის გარდა წერდა ბავშვებისთვის მოთხრობებს. მის კალამს ეკუთვნის მკვეთრი რეალისტური მოთხრობები ჩვენი გლეხობისა და მათი შვილების მწარე წარსულიდან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად ნინო ნაკაშიძე დიდხანს ითვლებოდა საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორად და ლიტერატურულ მუშაობას დღესაც აქტიურად აგრძელებს, გარდა იმისა, რომ წერს მოთხრობებსა და პიესებს, ის თავისებურად ამუშავებს, ათანამედროვეებს ქართულ ხალხურ ზღაპრებს. ამჟამად ნინო ნაკაშიძე მუშაობს საინტერესო ლიტერატურულ მემუარზე, სადაც მოთხრობილი იქნება წარსული დროის მოღვაწეთა ამბები, მათ შორის ნაკაშიძეთა ლიტერატურული ოჯახის მეგობრობა რუსეთის დიდი მწერლის ლევ ტოლსტოის ოჯახთან.

საბავშვო ლიტერატურის შესახებ ს. კ. პ. (ბ) ცეკას 1933 წლის დადგენილებამდე ქართულ მწერლობაშიაც იდევნებოდა ზღაპარი, ფანტასტიკა და მხატვრული მოთხრობაც. განსაკუთრებით ეს შეღავნდებოდა საბავშვო ჟურნალების მუშაობაში და ის თავისებურ უარყოფით გავლენას ახდენდა მწერალთა შემოქმედებით მუშაობაზედაც. მაგრამ ამ დადგენილების შემდეგ საბავშვო მწერლებმა ერთგვარი შვება იგრძენეს და უფრო მეტი ინტერესით შეუდგნენ საბჭოთა ცხოვრების სინამდვილიდან მხატვრული ნიმუშების მოცემას. გაფართოვდა საბავშვო მწერლობის თემატიკა. მათი ნაწარმოების უაქტუალეს თემად გახდა დიდი სტალინის ცხოვრებისა და ბრძოლის მხატვრული ჩვენება, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების ასახვა, ბედნიერი ცხოვრების პირობებში ჩვენი ნორჩი თაობის ყოფის დასურათება, წითელი არმიის გამარჯობის გა-

მონატვა. განსაკუთრებით გააქტიურდა ამხმრივ მწერალი რ. ქორჭია, ის სწერს მოთხრობებს სამოქალაქო ომის წარსულიდან. თავისი მოთხრობებით ფხვნილ ის იღებს საინტერესო ეპიზოდებს: ამ მოთხრობებით იგი ნერვოზის მქონე ხალხის ახალგაზრდობაში სამოქალაქო ომის გმირულ რომანტიკას და ამ ძვირფას წარსულისადმი სიყვარულს. ასეთია სწორედ მისი მოთხრობების დიდი უმრავლესობა, „შჩორსი“, „ბუდიონის პაპიროსი“, „აფეთქება“, „მარილის აკვანში“. უკანასკნელ მოთხრობაში მხატვრულად გადმოშლილია ნამდვილი ამბავი, რომელიც მოხდა სივანის ტბასთან თეთრებთან ბრძოლის დროს, ახალგაზრდა წითელარმიელის მოკლულ გვამს ეს მლაშე ტბა ინახავდა თხუთმეტი წლის განმავლობაში. კიდევ არა ნაკლებ საინტერესოა მისი „ბუდიონის პაპიროსი“. ამ მხრივ იგი მართლა ერთადერთი მწერალია, რომელიც გატაცებით აცნობს ჩვენს ბავშვებს სამოქალაქო ომის გმირობას. რ. ქორჭიას ეხერხება კარგად წერა აგრეთვე კოლხიდის თემაზედაც.

ქართულ საბჭოთა საბავშვო მწერლობას წარსულიდან შერჩა ერთი შესანიშნავი თვისება. მისი ძირითადი ლიტერატურული ძალები დიდ ლიტერატურაში მომქმედი ძალები იყვნენ. ამ ტრადიციას შესანიშნავად ანხორციელებს ჩვენი დროის ნიჭიერი საბჭოთა პოეტი იოსებ გრიშაშვილი. მართალია, მას წარსულშიც შეჰქონდა თავისი წვლილი საბავშვო მწერლობაში, მაგრამ მისი ნაყოფიერი მუშაობა ამ დარგში, როგორც ერთხელ თვითონ აღნიშნა („მოგონების ერთი ფურცელი“), საბჭოთა დროიდან იწყება, განსაკუთრებით 1926 წლიდან. ამ ხნიდან მოყოლებული, მას ეკუთვნის ისეთი საინტერესო წიგნები, რომელსაც ჩვენი ნორჩი თაობა კარგად იცნობს. ეს წიგნებია „ჩემი პატარა წიგნი“, „გოგია და მურია“, „ეთერიკოს თაიგული“ და სულ უკანასკნელად ცალკე წიგნად გამოცემული „საბავშვო ლექსების“ წიგნი. ამ წიგნმა გამოსვლისთანავე იპოვა საზოგადოებრივი რეზონანსი. კრიტიკამ დადებითად აღნიშნა მისი ისეთი ლექსების მნიშვნელობა, როგორიცაა „ონავარი“, „გრიშკა-ბიჭი“, „დედის წერილი“, „მესაზღვრის სიმღერა“ და სხვ. ეს ლექსები დაწერილია ლამაზი ქართული ენით, გემოვნებითა და ბავშვთა ცხოვრების ცოდნით.

ბელისკის თქმის არ იყოს, საბავშვო მწერლობა თავისებური მოწოდებაა, ეს საცემით ითქმის ი. გრიშაშვილის შესახებაც. მის ლექსებში ნამდვილად სჩანს ის სიყვარული ბავშვებისადმი, რომლის შესახებ პოეტი ერთხელ წერდა: ვიპარავ დროს და ხანდახან ჩემს საყვარელ ბალებსაც ვესაუბრებიო. გრიშაშვილი განსაკუთრებით და მეტწილად მცირეწლოვანი ბავშვებისთვის წერს. ამხმრივ შესანიშნავია მისი ლექსები „ჩემი პატარა წიგნი“-დან:

„რუსიკოს გამოუდგა
სამი ბატი ყიყინით,
ამ გოგონას დავიჭერთ
თავის კობტა ტიკინით.“ და სხვ.

ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსების დიდი უმეტესობა გამთბარია თანადროულობის გრძნობით, იგი ყოველგვარი რეზონანსობის გარეშე ასწავლის ონავარ ყმაწვილს („ონავარი“), თუ როგორ უნდა ემსახუროს ჩვენს ხანას, ღირსეულად ატაროს პიონერის სახელი. პოეტი დასცინის ისეთ ბავშვსაც კი, რომელიც ყველაფერს, რასაც კი დაინახავს, თხოულობს—უყიდონ („მიყიდე“). კარ-

გად ეხერხება პოეტს ბუნების სურათების დახატვა („ოთხი დოა“); ბავშვების ხალისისა და სურვილების გადმოცემა („გოგია და მურია“). დედა წერს თავის არმიელ შვილს წერილს და რას თხოვს მერე? იმას, რამ ჩვენს სამშობლოს საზღვარი ფრთხილად დაიცვას. გრიშაშვილს ეკუთვნის რამდენიმე ზღაპარი ლექსად „მუსტაფას ვირი“, „მოლა და ძალი“, „აჯიბაბას ქოშები“. ეს ზღაპრები მდიდარია თავისი კჟუამახვილობითა და პოეტური შესრულებითაც. ი. გრიშაშვილი ორიგინალური ლექსების გარდა საინტერესო თარგმანებსაც აწვდის ჩვენს საბავშვო მწერლობას. ამხშივე იგი უსათუოდ ჩვენი, საბავშვო მწერლობის ერთი საუკეთესო ოსტატთაგანია.

ი. გრიშაშვილის გვერდით საბავშვო მწერლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ნიქიერ ქართველ პოეტს გ. ქუჩიშვილს. ეს დაუღვრომელი ტემპერამენტის პოეტი; მგზნებარე ლირიკოსი, ავტორია მრავალი შესანიშნავი საბავშვო ლექსისა. მისი ლექსები დიდი ხანია ამშვენებენ ჩვენ სასკოლო სახელმძღვანელოებს. ვის არ წაუტოხხავს ან არ უსწავლია მისი „დღეს პირველი მაისია“. განსაკუთრებით კარგია მისი ლექსები მცირე ასაკის ბავშვთათვის. ამ ლექსებში მახვილადაა აღწერილი, როგორც ბავშვთა თამაშობანი, ისე ბუნების სურათები. იგი კარგი მკოდნეა პატარა ბავშვების ხასიათისა და მათთვის ვასაგები ენითაც იცის წერა.

მაგრამ, რაც მთავარია, მის ლექსებში იგრძნობა ბავშვებისადმი ისეთი სიყვარული, რომლის შესახებ ბელინსკი ამბობდა: აშკარაა, რომ ბავშვებისადმი სიყვარული, მათი ასაკობრივი თავისებურობათა და ნიშანდობლივი თვისებების ზრმა ცოდნა ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა საბავშვო მწერლისათვისო. სწონედ ამ თვისებითაა დაჯილდოვებული, როგორც საბავშვო მწერალი, გ. ქუჩიშვილი. წარსულში იგი ბევრს სწერდა ქუჩის უპატრონო ბავშვების შესახებ. ამ ლექსებში რევოლუციურ პროტესტთან ერთად იგრძნობოდა ლირიკული სასოწარკვეთილებაც. ასეთი ლექსის ნიმუშია თუნდაც „ქუჩის ბიჭიკო“.

„უპატრონო ბიჭიკოს
 ხაშორის სუსხი ჰყინავდა;
 დანაღვლებულ თვალებში
 ცრემლები უბრწყინავდა.
 ფეხშიშველი, მშვიერი
 გულკანკალით გოდებდა,
 მაგრამ ოხერ-ობოლსა
 არავინ იცოდებდა.“

ქუჩის მოტივი გ. ქუჩიშვილის პოეზიის უმნიშვნელოვანეს მხარეს შეადგენდა. „ქუჩის ნანა“, „ქუჩის ცრემლები“, „ქუჩის მომღერალი“; „ქუჩის გოგონა“, „ქუჩის შვილი“. ამ ლექსებში მრავალმხრივად აღწერდა იგი კაპიტალისტური ქუჩის სინამდვილეს, მის გულცივობას, ავზიანობას, უსამართლობას. ამ ქუჩის მოტივში განსაკუთრებული სინაზითა და ლირიკულობით დასტიროდა იგი ლატაკ ბავშვების ბედობალს. მან იცოდა, რომ ეს იყო შედეგი უსამართლო ცხოვრებისა. „სიმდიდრით სავსე ძუნწი ქალაქის“ ქუჩებში მოწანწაღე ბავშვების შესახებ პოეტი წერდა: „ამ ქუჩებში მოწანწაღე ჩემს დიდ ტყვილებს, ოხერ და ობოლ ქუჩის ბავშვებს, ქუჩის ყვავილებს, რომელთაც ადრე

შეწყვეტია ზრუნვა-აღერსი“. გ. ქუჩიშვილი ერთადერთი პოეტი ჩვენს პოეზიაში, რომელიც მძლავრად აღწერდა კაპიტალისტურ ქალაქს, ქვეყნს, ქუჩის სინამდვილეს, ის კარგად იცნობდა ქუჩის უღმობელობას, რადგან, სწორედ თავეზედაც გამოსცადა მისი სიმწვავე.

ტყუილა არ წერდა პოეტი ერთ თავის წერილში თავისი წარსულის შესახებ („ჩემი წარსული“): „დედინაცვალი ცხოვრება და გულქვა ქუჩა — აი ვინ იყო ჩემი „მზრუნველი“ და „მასწავლებელი“. აი ჩემი „სკოლა“ და „უნივერსიტეტი“. ერთ თავის ლექსში („ქუჩის შვილი“) პოეტი პირდაპირ წერდა: მე დავიბადე ერთ ბნელ სარდაფშიო. სოციალისტური ქვეყნის ბედნიერი ბავშვების ცხოვრებას არ შეიძლებოდა ბავშვების ასეთი მოსიყვარულე პოეტი არ აეფრთოვანებია. ამ აფრთოვანებას გამოხატავს პოეტი, როცა წერს „ნორჩ თაობას“. იგი ცდილობს საბჭოთა ბავშვებს ჩაუნერგოს გულში სიძულვილი იმ შავბნელ წარსულისადმი, რომელიც მოსპო ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ:

„აღმათ გეცოდინება,
ლენინელო, პატარა,
რომ მონობის სიმძიმე
მამაშენმაც ატარა.“

გ. ქუჩიშვილი ცდილობს აჩვენოს ჩვენი ქვეყნის განახლების ამბები. მას უყვარს მერცხლებივით ცოცხალი და ჭკვიანი ბავშვები. ის წერს ლექსებს ცხოველებზე, ფრინველებზე, ხშირად ასაუბრებს ერთმანეთში თავგებს, ბავშვებსა და ჩიტებს. განსაკუთრებით მიმზიდველად ხატავს ბუნების სურათებს, რომ ბავშვებს შეაყვაროს მისი სილამაზე. ასეთია ლექსები: „გაზაფხული“, „პირველი თოვლი“, „წვიმა“. პოეტი ბავშვთა თამაშობის დიდი მოტრფიალეა, მანიცის, რომ თამაში არა მარტო გასართობია, არამედ ცხოვრებაში შესასვლელი გაცვეთილიც, ამიტომაც მოუწოდებს იგი ბავშვებს, რომ ირბინონ მინდორველად, იკოტრიალონ თოვლში და სხვ. გ. ქუჩიშვილი ბავშვთა ცხოვრების მოყვარული პოეტი, მაგრამ არა ნაკლებ უყვარს იგი, როგორც ნიჭიერი, პოეტი ჩვენს ნორჩ თაობას. ამით აიხსნება ის პოპულარობა, რომლითაც ასე სარგებლობს გ. ქუჩიშვილი.

მცირეწლოვან ბავშვთათვის კარგად წერს ძველი პედაგოგი და საბავშვო მწერალი ილია სიხარულიძე. იგი ავტორია მრავალი საინტერესო ლექსისა, რომელიც მეტად გავრცელებულია ბავშვებში. მისი ლექსები იმდენად პოპულარულია, რომ ბევრს, სანამ ეს ლექსები ცალკე წიგნად არ გამოვიდა („ოქტომბრის ყვავილები“), ხალხური საბავშვო ლექსები ეგონა. ეს ფაქტი მწერლის სასარგებლოდ ლაპარაკობს. კრიტიკამ დადებითად აღნიშნა ამ პოეტის ლექსების მნიშვნელობა.

ქართულ საბავშვო მწერლობას ჰქონდა ერთი კარგი ტრადიცია. მას თავიდანვე მესვეურობდნენ ქართველი ქალები. ამის გამო ერთმა ცნობილმა პოეტმა თქვა — დედაკაცს ეკუთვნის განახლება და გარდაქმნა ქართველი ერისათ. წარსულში საბავშვო ჟურნალების რედაქტორები, მთარგმნელები და მწერალთა ძირითადი ძალები ქალები იყვნენ. ეს ტრადიცია დღემდე შერჩა ჩვენ საბავშვო მწერლობას, ძველ კადრებიდან ამხროვ ალსანიშნავია რამდენიმე სახელი,

რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს თავისი ნაყოფიერი მუშაობით მწერალი ქალი მარიჯანი. იგი წერს, როგორც ლექსებს, ისე მოთხრობებს.

ეს ლექსები თავმოყრილია ორ წიგნში: „პარაშუტი“ და „მინა ლექსი“. ამ წიგნებში ბევრი საინტერესო ლექსია. მარიჯანის საბავშვო ლექსების თემატიკა ფართოა. იგი ეხება ჩვენი ქვეყნის განახლებას, სამშობლოს დაცვის საკითხს, საბჭოთა სოფლის ცხოვრებას, ბავშვთა ბედნიერ ყოფას. მისი ლექსების უმეტესობა ტრადიციული მანერითაა დაწერილი, პოეტი ნაკლებად ზრუნავს ახალს ორიგინალურ ფორმაზე, მაგრამ შინაარსობრივად ეს ლექსები ახალია. კარგია მისი სუეტეიანი ლექსი „მამიდა თოს ბატები“, „ჭოჩორა“, „ვინ სჯობია“, „თოვლის პაპა“. მარიჯანი ავტორია აგრეთვე პიონერების ცხოვრებიდან საკმაოდ მოზრდილი მოთხრობა „ბედნიერი თაობა“-სი. მარიჯანი ნაყოფიერად მუშაობს რუსული საბავშვო მწერლობის თარგმანებზე.

სკოლამდელ და საშუალო ასაკის ბავშვთათვის საკმაოდ ნაყოფიერად წერს მწერალი ქალი ლ. მეგრელიძე. მას აქვს ლექსების წიგნი „მარგალიტის მძივები“. ამ ლექსებში მეგრელიძე ამჟღავნებს ბავშვებისადმი სიყვარულს, მათი ცხოვრების ცოდნას, თუმცა მოთხრობა „ზუზა და ლელაში“ ავტორი ერთგვარ სიყალბეშიაც ვარდება. პროზაში ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო მწერლობის ერთი ძველი მოღვაწე ანა ხახუტაშვილი (უკეტი). ის წერს მიშხიდველად და ხშირად ორიგინალურადაც. მწერალი კარგად იცნობს ბავშვების ფსიქოლოგიას და წერს მათთვის გასაგები უბრალო და მისაწვდომი ენით. მისი საუკეთესო მოთხრობები შეკრებილია ცალკე წიგნებად („საბავშვო მოთხრობები“, „ცელქები“).

ახალგაზრდა მწერალი ქალებიდან აქტიურად მუშაობენ: მარია მიქელაძე, ქ. დედარიანი, მ. მრეელიშვილი, თამ. ოჭროშიძე. ამ მწერლებმა საკმაოდ გამოამჟღავნეს თავი, როგორც ნაყოფიერმა საბავშვო მწერლებმა, განსაკუთრებით პირველმა, რომელიც მოთხრობების გარდა სწერს ლექსებს და ეწევა მთარგმნელობასაც. იგი ავტორია რამდენიმე წიგნისა. („ციილას ბურთი“, „ლექსები“ და სხვ.).

ქართულ მწერლობაში არიან ისეთი მწერლებიც, რომლებიც წინათ ყურადღებას იქცევდნენ საბავშვო მწერლობის ნიმუშებითაც, მაგრამ ამჟამად არაფერს წერენ. ასეთი მწერალია ლეო ქიაჩელი. ის ავტორია მრავალი საინტერესო მოთხრობისა, როგორიცაა „ქინკა ბიჭი“, „ნატვრის თვალი“, „ნათელა ოთხი“. ეს დაკვირვებული და ნიჭიერი მწერალი ბევრ საინტერესო ნაწარმოებს შესძენდა ქართულ საბავშვო მწერლობას, რომ წინანდებურად წერდეს. ასევე შეიძლება ითქვას ჩვენი დროის ნიჭიერი ბელეტრისტის ნ. ლორთქიფანიძის შესახებ, რომელიც ამჟამად თარგმნის გრიმის ზღაპრებს. მწერალმა ს. კლდიაშვილმა მხოლოდ ერთხელ სცადა თავისი კალამი და შესანიშნავი მოთხრობა შესძინა საბავშვო მწერლობას. ეს მოთხრობაა „ახნაური ლახუნდარელის თავგადასავალი“. იგი დაწერილია ბარონ მიუნაჰუშენის სათავედასავლო ამბავის მსგავსად, მაგრამ ქართველი მკვებარა ახნაურის ცხოვრებიდან კარგად წერდა ბავშვებისთვის წარსულში, მაგრამ საერთოდ შეანელა ეს მუშაობა ქ. ლორთქიფანიძემაც. თუმცა უკანასკნელად დაწერა შესანიშნავი პოემა „პირფერა მელა“ და თარგმნა კეიტკოს „წერილი ვოროშილოვს“.

ქართული საბავშვო მწერლობის მეგობრის სახელი დაიმსახურა საბჭოთა ნიჭიერმა პოეტმა ი. მოსაშვილმა. იგი ავტორია საინტერესო კვლევა „როგა ჩაფარისა“. ამ პოემაში იგი უხატავს ბავშვებს ქართველი გულგრილ მწერ წარსულს. იგი წერს მოთხრობებსაც. უკანასკნელ დროს გააცხოველა მუშაობა საბავშვო მწერლობაში ალ. მამაშვილმა. განსაკუთრებით კარგად წერს პიონერულ თემატიკაზე.

საბავშვო მწერლობის აქტიურ მონაწილედ უნდა ჩაითვალოს პოეტი ირაკლი აბაშიძე. იგი ხშირი თანამშრომელია საბავშვო ჟურნალებისა.

ა. აბაშიძეს აქვს საბავშვო მწერლისთვის დამახასიათებელი ისეთი კარგი თვისება, როგორც, მაგალითად, შესანიშნავ რუს პოეტს სერგეი მიხალკოვს. ეს თვისებაა თემის მიგნება, უშუალობა და ბუნებრივობა. მისი საბავშვო ლექსები თითქმის ყველა სუფეტიანია, რაც მას განსაკუთრებულ ინტერესს აძლევს. პოეტს ახასიათებს იუმორი, ლექსში თემა ვითარდება მახვილად და მიმზიდველად. ასეთია სწორედ მისი „პატარა მეთევზე“, „წერილი ბაბუასადმი“, „ანოს ანბანი“, „გემის ნახეა“.

თუ წარსულში ქართულ საბავშვო მწერლობას ჰყავდა ისეთი ფიგურა, როგორიც შიო მღვიმელი, რომლის გარეშე შეუძლებელია ქართული საბავშვო ლიტერატურის წარმოდგენა, ასეთივე როლს თამაშობს დღეს თავისი ნაყოფიერებითა და ერთგულობით საბავშვო მწერლობის ერთი საინტერესო ფიგურა გიორგი კაჭახიძე. იგი უღარესად გულწრფელი, კოლორიტიანი, სასიამოვნოდ საკითხავი ლექსების ავტორია. ამ ლექსებში გ. კაჭახიძე შრავალფეროვნად ასახავს ჩვენი სოციალისტური ცხოვრების დიდ სინამდვილეს. შესანიშნავად აჩვენებს საბჭოთა ბედნიერი ბავშვების სწავლისა და სიხარულის მომენტებს, მათ ყოფა-ცხოვრებას და ბედნიერი აღზრდის სურათებს. კაჭახიძე შეუღარებელი პეიზაჟისტია. მისი პეიზაჟური ლირიკა ბუნების მოვლენებზე, გაზაფხულზე, წვიმებზე, ბავშვების შეგნებაში დიდ სიყვარულსა და მგრძნობელობას ნერგავს. ამხროვ მისი ზოგიერთი ლექსი ნამდვილი შედეგარია. ასეთია, მაგალითად, „მინა“, „ქუჩის ჭანდრები“, „ზამთარი“, „მერცხალი მოფრინდა“, „კარგი წიგნი“ და სხვ. პოეტი ძალიან კარგად იცნობს საბჭოთა სოფელს და საბჭოთა სოფლის საამური ცხოვრების სინამდვილეს. მისი ლექსებზე გამოსულია ცალკე წიგნებად „ჩემი ძმა“, „მზიარული მეგობარი“, „შეფოთილი ზვიგანი“ და სხვ.

უნარიანი საბავშვო მწერლის სახელი დაიმკვიდრა თავისი ნაყოფიერი მუშაობითა და მონაცემებით ლ. კიკინაძემ. იგი რედაქტორია საბავშვო ჟურნალი „ოქტომბრელისა“ და ამავე დროს ავტორი წიგნებისა, როგორცაა „ჭარმაგი“, „სარბევი“, „ისლიანი სახლები“ და სხვ. საინტერესო მოთხრობები დაწერა ბავშვებისთვის პ. ჩხიკვაძემ. ეს მოთხრობებია „ჩახუნდარა“, „პატარა აგრონომი“, „მამაშვილური ალერსი“. შეუძლია ბავშვებისთვის კარგად წეროს კ. კალაძემ, ეს დაამტკიცა მან თავისი რამდენიმე საბავშვო ლექსით, მაგრამ მხოლოდ დროგამოშვებით წერს. საბავშვო მწერლობაში აქტიურად მონაწილეობენ: ლ. გეგუჭკორი, შ. თაბუკაშვილი, ბ. ჩხეიძე, ა. ონელი, ს. ერთაწმინდელი. ახალგაზრდა მწერლებიდან: ს. ქლენტი, გ. შამათაია, გ. კალანდაძე, ალ. შენგელია, ნ. დაფნარელი, თ. შანშიაშვილი და სხვ.

ქართული საბავშვო დრამატურგიის მიღწევად უნდა ჩაითვალოს საბავშვო-შვილისა და გამრეკელის ნიჭიერად დაწერილი პიესა „ნაცარქექია“ ქართულ საბავშვო ჟურნალებში უმთავრესად იბეჭდებიან საბავშვო დრამატურგიის ყველა ძალეები, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ჟურნალები თავისი მოცულობით ძალზე მცირეა და გასაქანს ვერ აძლევენ მწერლებს, რომ უფრო ფართო ტილოები წერონ, ამ ნაკლოვანებას ასწორებს საქართველოს საბავშვო გამომცემლობა, რომლის მუშაობა უკანასკნელ დროს საგრძნობი შეიქნა. ამ გამომცემლობამ გამოსცა ბევრი საინტერესო წიგნი. ეს წიგნებია: ი. გოგებაშვილის „იანაანამ რა ჰქმნა“, ი. გრიშაშვილის „ჩემი პატარა წიგნი“, მთელი რიგი ხალხური ზღაპრები, ქ. სიხარულიძის — „ხალხური საბავშვო ლექსები“, ი. გრიშაშვილის. მარიჯანის, ი. სიხარულიძის ლექსთა წიგნები.

მაგრამ ჩვენს საბავშვო მწერლობაში ჯერ კიდევ ვერ პოულობს მნიშვნელოვან გამოხატულებას ჩვენი ქვეყნისა და ახალგაზრდობის აქტუალური საკითხები, ამაში თვით მწერლებს მიუძღვით დანაშაული, რადგან ჯერ კიდევ არ ჰკიდებენ ხელს ასეთ თემებს.

ქართველ საბავშვო მწერლებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ის, რაც ვაკეთებულა, არაა საკმარისი. ჩვენი ბედნიერი ქვეყნის სინამდვილე, ახალი თაობის ცხოვრება თხოულობს საინტერესოდ და მახვილად დაწერილ წიგნებს. აი ამ წიგნებს მოელის ჩვენი თაობა, ამიტომ საჭიროა ქართველი მწერლების დიდი უმრავლესობა მეტის ინტერესით ჩაებას საბავშვო მწერლობის აყვავებისა და განვითარების საქმეში. თითოთოროლა საბავშვო ნაწარმოებით ისინი ვერ შექმნიან ჩვენი დიდი ეპოქისთვის შესაფერის მხატვრულ საბავშვო ლიტერატურას.

პავლე ინგოროსვა

ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა¹

წერილი მესამე

მესამე პერიოდი ქართული მწერლობისა

აღკაული ფოლკლორის ხანა

(მე-8—11 საუკუნეები)

მესამე პერიოდი ქართული ლიტერატურის ისტორიისა მოიცავს ეპოქას მე-8 საუკუნიდან — მე-11 საუკუნემდე.

ეს არის ადრეული ფეოდალიზმის ხანა საქართველოში. ვიდრე ლიტერატურის საკითხების განხილვაზე გადავიდოდეთ, აქ საჭიროა გავითვალისწინოთ მაგისტრალურ ხაზებში საქართველოს პოლიტიკური ვითარება ამ ეპოქაში.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ არაბთა მსოფლიო იმპერიის დაარსება, გაერთიანება ხალიფატის კოლექტივში მთელი ახლო აღმოსავლეთისა, ტერიტორიებისა—შუა-აზიიდან და ინდოეთის სანაპიროდან მოკიდებული ვიდრე ატლანტიკის ოკეანემდე, მალრიბამდე და არაბულ ესპანეთამდე,—ეპოქალური მნიშვნელობის ტეხილს წარმოადგენდა აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრებაში; ამასთან დაკავშირებული იყო დიდი სოციალური ხასიათის ძვრები; ამავე დროს ამას მოჰყვა ძველ კულტურულ კავშირ-გაბმულობათა ნაწილობრივი შეცვლა და ახალ წრეში მოქცევა, ახალ კულტურულ ურთიერთობათა წარმოშობა და სხვ.

მაგრამ ერთი გარემოება — (და ეს კი ბევრნაირად მნიშვნელოვანი გარემოებაა) — უცვლელი რჩება. საქართველო ამ ახალი საერთაშორისო ვითარების დროსაც ისევ მოექცა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ მსოფლიოთა უშუალო მიჯნაზე. ძირითადში დამყარდა ანალოგიური ვითარება, როგორც გვქონდა წინა-ეპოქაში, ანტიურ ხანაში. რომის იმპერიის ადგილი დაიჭრა რომის იმპერიის ნაფუძვარზე წარმოშობილმა ბიზანტიამ, ხოლო აღმოსავლური ირანის იმპერია შესცვალა არაბულმა ხალიფატმა. ურთიერთობა საქართველოსი ამ ორ სამყაროსთან, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მსოფლიოსთან, განსაზღვრავდა საქართველოს ისტორიის მაგისტრალს ამ ეპოქაში.

¹ იხ. მნათობი № 1 (წერილი პირველი), № 2 და 4 (წერილი მეორე).

საქართველოს პოლიტიკური ისტორია ამ ხანაში შემდეგი სახით წარმართება.

არაბთა რაზმები პირველად ჩნდებიან კავკასიაში და ვერძოდ სქმარტველოში უკვე მე-7 საუკუნის შუა წლებიდან. მას შემდეგ, რაც არაბებმა მკვიდრად მოიკიდეს ფეხი კავკასიაში, მოხდა ფაქტიური განაწილება საქართველოს პროვინციებისა არაბულ ხალიფატსა და რომის იმპერიის მემკვიდრის ბიზანტიის იმპერიას შორს. მე-7 — 8 საუკუნეთა მანძილზე საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციებში განმტკიცდა არაბთა მფლობელობა, ხოლო საქართველოს დასავლეთი პროვინციები უპირატესად ბიზანტიის გავლენის სფეროში მოექცა.

მას შემდეგ, — მე-8 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-11 საუკუნემდე, — საქართველოს პოლიტიკური ვითარება შემდეგ სურათს წარმოადგენს. მე-8—9 საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც ოდნავ შენელდა არაბთა მფლობელობის „ეამთა სიავე“, ხოლო ამავე დროს საქართველოს დასავლეთი მუზობელიც ბიზანტიის იმპერია დასუსტებული იყო არაბებთან საუკუნოვანი ომების შედეგად, — საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში თანდათან ყალიბდება ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალური სამფლობელოები: დასავლეთ საქართველოში — აფხაზეთში, მესხეთ-ქართლში, კახეთში, ჰერეთში.

დასავლეთ საქართველოს სამეფო, ცენტრით ქალაქ ქუთაისში, დაარსდა მე-8 საუკუნის დასასრულს (786 წლის შემდეგ).

მესხეთ-ქართლის სამფლობელო, ცენტრით ქალაქ არტანუჯში, დაარსდა მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნაზე, 800-იანი წლების ახლო ხანებში. (ამ სამთავროს მფლობელნი ჯერ ატარებდნენ „დიდი ერისთავის“-ს სახელსა და ბიზანტიურ სახელისუფლო ტიტულს „კურაპალატი“, ხოლო 888 წლიდან ისინი ღებულობენ სახელწოდებას: „ქართველთა მეფე“. აქ საქიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ამ სამფლობელოში, „ქართველთა მეფის“ ფეოდალურ სახელმწიფოში, მე-9—10 საუკუნეებში შედიოდა უმთავრესად მესხეთის ქვეყნები, ხოლო საკუთრივ ქართლიდან აქ შედიოდა, ისიც დროგამოშვებით, შიდა-ქართლის მხოლოდ სანაპირო თემები).

კახეთის ცალკე ფეოდალური სამთავრო — ამავე ეპოქაში დაარსდა, მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნაზე, 800-იან წლების ახლო.

ჰერეთის სამთავროც — აგრეთვე ამავე ეპოქაში, მე-8 — 9 საუკუნეთა საზღვარზე ჩამოყალიბდა.

რაც შეეხება საქართველოს ცენტრალურ პროვინციას, ქართლს, ჩრდილო ნაწილი ქართლის პროვინციისა (შიდა-ქართლი) წერილ-წერილ ფეოდალურ სამფლობელოებად იყო დანაწილებული. (დრო-გამოშვებით იგი ხან არაბთა უშუალო განმგებლობაში იყო, ხან კი მისი ცალკე თემები არტანუჯის „ქართველთა კურაპალატების“ და კახეთის მთავრების გავლენის ზონაში იყო მოქცეული; ხოლო უფრო გვიან მთელი ჩრდილო ქართლი დასავლეთ-საქართველოს სამეფოს ფარგლებში შევიდა).

ეს რაც შეეხება ჩრდილო-ქართლს, ხოლო სამხრეთი ქართლი, ქალაქ ტფილისით, — არაბთა პირდაპირი მფლობელობის ქვეშ დარჩა. შემდეგ სამხრეთი ქართლი, ქალაქ ტფილისის მხარე, ნახევრად-დამოუკიდებელი ტფი-

ლისის არაბული ემირატის სახით ჩამოყალიბდა, რომლის კავშირი ხალიფატის ცენტრთან თანდათან შესუსტდა, და ბოლოს ფაქტიურად შემოღობულ სამფლობელოდ გადაიქცა.

მე-9 — 11 საუკუნეთა განმავლობაში სწარმოებს საქართველოს ფეოდალური სამფლობელოების თანდათან კონსოლიდაცია, რაც მე-11 საუკუნეში საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებით დასრულდა. მე-10 — 11 საუკუნეთა მიჯნაზე, საბოლოოდ კი მე-11 საუკუნის პირველ წლებში, 1008 წელს, ფაქტიურად გაერთიანდა დასავლეთ-საქართველოს და მესხეთ-ქართლის სამეფოები. (ეს გაერთიანებული სამეფო მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, მესხეთის პროვინციებსა, და შიდა-ქართლს). 1009 — 1011 წლებში შემოერთებულ იქნა აგრეთვე კახეთი და პერეთი, ხოლო უფრო გვიან ერთხანად ტფილისის საამიროც საქართველოს გავლენის სფეროში მოექცა. და თუმცა მე-11 საუკუნის მანძილზე კახეთ-პერეთი ისევ მოსწყდა საქართველოს, და ვერც ტფილისის საამირო იქმნა საბოლოოდ შემოერთებული, მაგრამ მაინც საქართველოს ეს მხარეებიც ამ დროიდან საქართველოს საერთო პოლიტიკური ცხოვრების ორბიტაში ექცევიან.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება საბოლოოდ დასრულდა მე-11 — 12 საუკუნეთა საზღვარზე, როდესაც, დავით აღმაშენებლის ეპოქაში (1089 — 1125 წ.) შეიქმნა საქართველოს დიდი ფეოდალური მონარქია, რომლის გავლენა შემდეგ მთელ კავკასიაზედაც გავრცელდა.



როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას ადრეული ფეოდალიზმის ხანაში, მე-8 — 11 საუკუნეთა მანძილზე, აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ უკანასკნელი საუკუნე ამ ეპოქისა, მე-11 საუკუნე, როდესაც სწარმოებს გაერთიანების გზაზე შემდგარი საქართველოს საბოლოო კონსოლიდაცია, — როგორც პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით, ისე ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისითაც ერთგვარ გარდამავალ ხანას წარმოადგენს. აქ სრულდება ქართული ლიტერატურის მესამე პერიოდი და იწყება მეოთხე პერიოდი. მე-11 საუკუნეში გადმოდის ერთის მხრით ტრადიციები მე-8 — 10 საუკუნეთა ადრეულ ფეოდალიზმის ხანის მწერლობისა, ხოლო მეორეს მხრით აქ თანდათან ისახება ახალი ტენდენციები, ახალი გზები, რაც შემდეგ — საქართველოს დიდ ფეოდალურ მონარქიაში — საბოლოოდ გაიშლება ახალი სახისა და ახალი დიაპაზონის ლიტერატურის სახით.



საქართველოს ადრეულ ფეოდალურ ხანაში, მე-8 — 11 საუკუნეებში, ფეოდალურ ურთიერთობათა ვარემოს გათვალისწინების დროს, არ უნდა გვაევიწყებოდეს კერძოდ ქართული ეკლესიის როლი ამ ეპოქაში. ადრეული ფეოდალიზმის სტრუქტურაში ეკლესიას მეტად მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის.

საქართველოს ეკლესია ამ ეპოქაში, მე-8 — 11 საუკუნეებში, მონოლითურ მთლიან წარმოადგენდა; სექტებად დანაწილება მოისპო და შეუზღუდავი ბატონობა მოიპოვა ერთმა ბიზანტინოფილურმა ფრთამ (ქალკედონიანნი).

ქართული ეკლესიის როლი და ავტორიტეტი ძლიერი იყო ამ ეპოქაში კერძოდ იმიტომაც, რომ იგი იყო გამტარებელი დასავლეთის — ევროპის ქრისტიანული მსოფლიოს — კულტურული ორიენტაციისა. ეს წამყვანმა მწერებმა რომელსაც ატარებდა ეკლესია, ემთხვეოდა და ამაგრებდა საქართველოს მხედრებს კულტურ-პოლიტიკის მაგისტრალს, რომელიც, საქართველოს ისტორიის მანძილზე, უპირატესად დასავლეთისაკენ — ევროპის მსოფლიოსაკენ — იყო მიმართული.

ქართული ეკლესიის როლი ამ ხანაში, მე-8 — 11 საუკუნეებში, ძლიერი იყო აგრეთვე იმიტომაც, რომ მისი გავლენა მთელ საქართველოზე ვრცელდებოდა; ამ ეპოქაში, როდესაც საქართველო დანაწილებული იყო ცალკე ფეოდალურ სამფლობელოებად, ეკლესია ერთგვარი გამაერთიანებელი ნაციონალური ცენტრის როლს ასრულებდა. მოვიგონოთ კლასიკური ფორმულა, წამოყენებული საქართველოს ეკლესიის მიერ საქართველოს ფეოდალურ ერთეულებად დანაწილების ხანაში, ფორმულა — რომელშიაც ასახულია საქართველოს ეროვნული მთლიანობის იდეა ეკლესიის ფარგლებში: „ქართლად ფრიადი ქვეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვაა ყოველი აღესრულების“ (გიორგი მერჩული).

გასაგებია ზემოთ-აღნიშნულის შემდეგ, რომ ამ შესამე პერიოდში მე-8 — 11 საუკუნეებში — წამყვანი როლი ქართულს მწერლობაში ეკუთვნის ქრისტიანულს სასულიერო მწერლობას. ეს არის კლასიკური ხანა სასულიერო მწერლობისა.

მაგრამ ამის გვერდით საერო მხატვრული მწერლობაც პარალელურად განაგრძობს არსებობას. იგი დასაყრდენს საერო ფეოდალურ წრეებში პოპულობდა. საერო მხატვრული მწერლობა ამ ხანისა აგრძელებს წინა ეპოქის საერო მხატვრული მწერლობის ტრადიციებს, მაგრამ ამავე დროს იგი — როგორც ირკვევა — მდიდრდებოდა თანამედროვე არაბულ საერო მხატვრულ მწერლობასთან ურთიერთობის გზითაც.

მე-8 — 11 საუკუნეთა ქართული მწერლობის ძეგლებს ჩვენ შემდეგის თანამიმდევრობით განვიხილავთ.

პირველ რიგში შევეხებით საკუთრივ თეოლოგიურ სასულიერო მწერლობას. შემდეგ განვიხილავთ იმ დარგებს — რომლებიც თეოლოგიური ლიტერატურის გავლენის ქვეშ ვითარდებოდა; ეს დარგებია — პაგიოგრაფია, ბიოგრაფიული ლიტერატურა, პიმნოგრაფია, საორატორო ხელოვნება. ამ ენებში მე-8 — 11 საუკუნის ქართულმა მწერლობამ დაგვიტოვა მთელი რიგი პირველ-ხარისხოვანი ლიტერატურული ძეგლები, რომელთაგან ზოგიერთი, როგორც მაგალითად რომანი „სიბრძნე ბალაპარიისა“ — ნამდვილ მსოფლიო რეზონანსს ღებულობს საშუალ საუკუნეებში და ითარგმნება ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ყველა კულტურულ ენებზე.

მას შემდეგ შევეხებით ამ ეპოქის საერო მხატვრულ მწერლობას, რომელიც, როგორც ირკვევა, უაღრესად ფრამენტარული სახით არის მოღწეული, მაგრამ ვადაჩენილი ძეგლების მიხედვით მინც შესაძლო ხდება გაკითვალისწინოთ მისი საერთო ხასიათი.



ცალკე გვექნება საუბარი ქართულ ისტორიოგრაფიაზე, რომელიც ამ ხანის ქართულ მწერლობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა.

თავი პირველი

თეოლოგიური მწერლობა

მე-8 — 11 საუკუნეთა თეოლოგიურ მწერლობაზე (ამ სიტყვის ეიწრო მნიშვნელობით) — აქ დავკმაყოფილდებით რამდენიმე ზოგადი ხასიათის შენიშვნით.

ქართული თეოლოგიური მწერლობა მე-8 — 11 საუკუნეებისა უახლოესად დაკავშირებულია ბიზანტიურ ლიტერატურასთან.

მას შემდეგ რაც საქართველოს ეკლესიამ საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი აღმოსავლეთის ქრისტიანობასთან და მტკიცედ დაუკავშირდა დასავლეთს, — ბიზანტიური თეოლოგიური ლიტერატურა გახდა დასაყრდენი ქართული ნაციონალური თეოლოგიური აზროვნებისათვის.

მე-8 — 11 საუკუნეთა განმავლობაში ქართულს ენაზე ითარგმნა ან გადმოკეთებულ იქმნა მთელი წყება მნიშვნელოვანი ძეგლები ბიზანტიის თეოლოგიური მწერლობისა. ჩვენ დღემდე ვაღარჩენილი ძეგლები ამ დარგისა შეადგენს მთელს ბიბლიოთეკას.

საკუთრივ ბიზანტიურ ლიტერატურას ვარდა ქართულს ენაზე ითარგმნებოდა თეოლოგიური ლიტერატურის ნაწარმოებნი აღმოსავლეთის სხვა ქრისტიან ხალხთა ენებიდანაც, რამდენადაც ამ უკანასკნელთა მწერლობა ბიზანტიური ლიტერატურის ტრადიციას განაგრძობდა და არსებითად ამ უკანასკნელის განშტოებას წარმოადგენდა; ასეთია სირიული მწერლობა (ორთოდოქსალური), არაბული ქრისტიანული მწერლობა, და ნაწილობრივ სომხურიც, ეგრეთ-წოდებული ქალკედონური ბიზანტინოფილური ფრთა ძველი სომხური მწერლობისა.

ბიზანტიური ლიტერატურისა (და აგრეთვე ბიზანტიურის მიმდგომ აღმოსავლურ ლიტერატურათა) თეოლოგიური აზროვნების ძეგლების გადმოწერვისთვის ქართულს ნიადგაზე მუშაობდნ თაობები, მთელი წყება სალიტერატურო სკოლებისა, — როგორც ადგილობრივი ქართული სკოლები (რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ კლარჯეთის სალიტერატურო სკოლა მე-8 — 10 საუკუნეებისა), ისე თვით ბიზანტიაში დაარსებული სალიტერატურო სკოლები.

განსაკუთრებით დიდი იყო ამ მხრივ ღვაწლი ბიზანტიური ათონის სალიტერატურო სკოლისა — რომელმაც ძირითადში შეაჯამა და დაავიზრგინა წინა თაობათა მუშაობა.

ჩვენ აქ მოკლედ შევჩერდებით მხოლოდ ამ უკანასკნელზე, ათონის სალიტერატურო სკოლაზე, და ამ სკოლის ორ დიდ წარმომადგენელზე ეფთიმე მთაწმიდელზე (იბერიელზე) და გიორგი მთაწმიდელზე.



მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიაში ათონის მთაზე დაარსებულ იქნა ქართული კოლონია. კოლონიის დამაარსებელი იყვნენ ქართველი მოღ-

ვაწეები — იოანე მთაწმიდელი და იოანე-თორნიკე. ეს პირნი კარგად ცნობილია როგორც ქართული, ისე ბერძნული საისტორიო წყაროებში. სწორედ იოანე-თორნიკე იყო ცნობილი მხედართმთავარი, ის პირი, რომელმაც 1200 ქართული მხედრობით დაამარცხა ბარდა სკლიაროსი 978 წელს და იხსნა კონსტანტინეპოლი).

ათონის ქართული კოლონიის დაარსების დროიდანვე აქ ჩაღდება ინტენსიური სალიტერატურო მუშაობა, ათონის ქართული კოლონია ხდება მთავარი ცენტრი ქართულ-ბიზანტიური კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობისა ამ ხანაში. ათონელმა მწერლებმა, როგორც სწერს ძველი ქართველი ისტორიკოსი, „აღაცავავეს ენაჲ ჩვენი“, „განანათლეს ქართველთა ენაჲ და ქვეყანაჲ“.

ათონის სალიტერატურო სკოლის მეთაურია ეფთიმე მთაწმიდელი, როგორც ეწოდება ამ მწერალს ძველ ქართულ მწერლობაში, ანუ ეფთიმე იბერიელი, რა სახელითაც ცნობილია იგი საშუალ-საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურაში. (ჩვენ ქვემოთ მას ეფთიმე იბერიელის სახელით ვიხსენიებთ, რადგან ეს სახელწოდება განმტკიცდა ევროპის სამეცნიერო ლიტერატურაში).



ეფთიმე იბერიელი დაიბადა 958 წელს. იგი იყო შვილი ათონის ქართული კოლონიის დამაარსებელის იოანე მთაწმიდელისა. ეფთიმე ჯერ ბავშვი იყო, როდესაც იგი ბიზანტიაში ჩაიყვანეს. ბიზანტიაში ეფთიმემ საფუძვლადი განათლება მიიღო, ყმაწვილ ეფთიმეს — გადმოგვცემს ბიოგრაფი — „მამამან იოანე — პირველად ქართული სწავლაჲ ასწავა, და მერმე ბერძნულად გაასწავლა ყოველთავე სწავლულეებითა სრულებით“.

ეფთიმეს ბიოგრაფი (— ეს ბიოგრაფი არის ეფთიმეს ლიტერატურული მემკვიდრე, ათონელთა სკოლის მეორე გამოჩენილი მწერალი მე-11 საუკუნისა გიორგი მთაწმიდელი) — სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ბიზანტიაში სწავლის დროს ყმაწვილი ეფთიმე ერთხანად ქართულს გადაეჩვია, „ძნიაღ უბნობნ ქართულად“, და ამის გამო მისი მამა იოანე „ფრიაღ მწუხარე იყო“. მაგრამ შემდეგ ეფთიმეს ქართული საგანგებოდ შეუსწავლია, იგი ქართული ენის უბრწყინველესი მეტრი ხდება, და — გადმოგვცემს ბიოგრაფი — „მიერიოთგან დაუყენებლად ვითარცა წყაროჲ აღმოღინ უწმიდეს ყოველთა ქართველთაჲ“.

როდესაც ეფთიმემ სწავლა დაასრულა და ლიტერატურული ტალანტი გამოიჩინა, ეფთიმეს პირველი მეგზური ლიტერატურაში იყო მისი მამა იოანე, დიდი ქართველი პატრიოტი და ქართული მწერლობის დიდი მოამბე. ბიოგრაფი გადმოგვცემს: „ეტყვენ მამაჲ იოანე—ვითარმედ: შეილო ჩემო! ქართლისა ქვეყანაჲ დიდად ნაკლულეჲან არს წიგნთაგან, და მრავალნი წიგნნი აკლიან, და ვხედავ რომელ ღმერთსა მიუმიღლებია შენდა, აწ იღვაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი“.

ეფთიმე იწყებს სალიტერატურო მუშაობას მე-10 საუკუნის 70-იან წლებში, და ვიღრე გარდაცვალებამდე, 1028 წლამდე, ნახევარი საუკუნის მანძილზე, მას კალამი ხელიდან არ გაუვდია. ბიოგრაფის სიტყვით „რამათურით არა

სცემდა განსვენებასა თავსა თვისსა, არამედ დღე და ღამე ტყბილსა მას თავლსა (წიგნთასა) შერებოდა, რომლისა მიერ დაატკბო ენაჲ ჩვენნი

ეფთიმეს სალიტერატურო მოღვაწეობა მართლაც ვრანდიოზურად იქცა მართო თავისი მოცულობით. ეფთიმეს სალიტერატურო მემკვიდრეობა, ჩვენ დრომდე მოღწეული, შეიცავს 40-მდე დიდი მოცულობის ტომს.

ეფთიმეს სალიტერატურო მოღვაწეობის მთავარი დარგი არის თეოლოგიური-ფილოსოფიური ლიტერატურა. დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ეფთიმეს იურიდიული მეცნიერების, ქართული სამართლის დარგში. ამას გარდა ეფთიმე არის ავტორი „ბარლაამის და იოსაფის“ რომანის ახალი ვერსიისა, რომელიც ითარგმნა საშუალ-საუკუნეებში ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ყველა კულტურულ ენებზე და მსოფლიო პოპულარობა მოუპოვა ეფთიმეს სახელს.

ეფთიმეს სალიტერატურო მოღვაწეობის დეტალური მიმოხილვა შორს წაგვიყვანდა და აღენიშნავთ აქ მთავარ მომენტებს.

თეოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურის დარგში პირველ რიგში აღსანიშნავია ეფთიმეს „წინამძღვარი“, რომელიც მას დაუმუშავებია უმთავრესად იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ მიხედვით, და აგრეთვე იოანე დამასკელის სხვა ნაშრომთა გამოყენებით. ეს ნაშრომი წარმოადგენს საშუალ-საუკუნეთა ლიტერატურულ საბურველში არისტოტელის ფილოსოფიის ტრადიციის ერთგვარ განახლებას, არისტოტელის ლოგიკისა და დიალექტიკის ელემენტების გადმონერგვას ქართულს მწერლობაში.

მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომი ეფთიმესი თეოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურის დარგში ეს არის გამოქვეყნება ქართულად მაქსიმე აღმსაარებლის თხზულებათა. მაქსიმე აღმსაარებელი მეტად საინტერესო ფიგურაა საშუალ-საუკუნეთა ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ლიტერატურაში, რამდენადაც იგი ნაწილობრივ ნეოპლატონიკური ფილოსოფიის ტრადიციების გამგრძელებელი იყო. ეფთიმეს გამოუქვეყნებია ქართულად მაქსიმე აღმსაარებლის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ თხზულებათა კრებული (ორ წყებად), და დაურთავს მაქსიმეს ბიოგრაფია, რომელიც ეფთიმეს ბერძნული წყაროების მიხედვით დაუმუშავებია.

რომ ეფთიმესთვის არ იყო უცხო ნეოპლატონური ფილოსოფიის ტრადიციები, ამისი მაჩვენებელია კერძოდ ის ფაქტი, რომ ეფთიმეს „ბარლაამისა და იოსაფის“ რომანში ვრცლად გამოუყენებია მე-5 საუკუნის ნეოპლატონიკოსი ავტორის ნემესიოს ემესელის თხზულება „ბუნებისათვის კაცისა“, რომელი ნაწარმოებიც ბიზანტიურ ლიტერატურაში უკვე გადავიწყებული იყო, და რომლის ტრადიციის გამოკოცნება პირველ რიგში ქართულ ლიტერატურულ წრეებს ეკუთვნის, ჯერ ეფთიმე იბერიელსა, და შემდეგ მე-11—12 საუკუნეების ცნობილ ქართველ ფილოსოფოსს იოანეს.

თეოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურის დარგში, გარდა დასახელებული შრომებისა, ეფთიმე იბერიელს ბერძნული ენიდან უთარგმნია ან, გადმოუკეთებია შემდეგი ძეგლები:

1. გრიგოლ თეოლოგოსის (ნაძიანძელის) თხზულებათა კრებული (26 ნაწარმოები), რომელსაც დართული აქვს მაქსიმე აღმსაარებლის კომენტარიები და გრიგოლის ბიოგრაფია.

2. ბასილი კესარიელის ეთიკა (თხზულებათა კრებული, შეიცავს 30 ნაწარმოებს), აგრეთვე მისივე კომენტარი ფსალმუნთა წიგნისა ბასილი კესარიელის ბიოგრაფიის დართვით.
3. იოანე ოჭროპირის თხზულებანი.
4. ეფრემ ასურის თხზულებანი.
5. გრიგოლ რომთა პაპის დიალოგონი (დიალოგები), ავტორის ბიოგრაფიით.
6. გრიგოლ ნოსელის თხზულებანი.
7. იოანე დამასკელის თხზულებანი.
8. იოანე სინელის კლემაქსი (იოანე სინელის ბიოგრაფიით).
9. მაკარი ეგვიპტელის თხზულებანი.
10. კრებული ისაკ ასურისა და სხვათა თხზულებებისა (12 ავტორი).
11. კასიანე რომაელის, ამბა დანიელის და ზაქარია კესარია-პალესტინელის თხზულებანი.

აქ ჩამოთვლილი ძეგლები წარმოადგენენ არა უბრალო თარგმანებს, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში თავისუფალ ვადამუშავებას; როგორც ამას აღნიშნავს მე-11 საუკუნის ქართველი მწერალი ეფრემ მცირე, ქართული ჭეშანიჭმის დიდი პიონერი, — ეფთიმეს „ხ ე ლ ე წ ი ფ ე ბ ო დ ა შ ე მ ა ტ ე ბ ა ა ე ც ა დ ა კ ლ ე ბ ა ა ე ც ა“.

გარდა თეოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურისა ეფთიმე იბერიელს, როგორც აღვნიშნეთ, ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე იურიდიული მეცნიერების დარგში. ეფთიმეს მიერ ბერძნულ მასალებზე დამყარებით დამუშავებული „შ ჯ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი“ (ნომოკანონი) — მნიშვნელოვანი ძეგლია არა მარტო ქართული სამართლის ისტორიის თვალსაზრისით, არამედ თავისი ახალი იდეებით იგი საერთოდ ახალს საფეხურს აღნიშნავს საშუალ-საუკუნეთა იურიდიული აზროვნების ისტორიაში. როგორც ეს ცხად-ჰყო აკად. ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც ქართული სამართლის ისტორიას და კერძოდ ეფთიმე იბერიელის „შჯულის კანონს“ სპეციალური გამოკვლევა უძღვნა, ეფთიმე იბერიელმა მთელ რიგ შემთხვევებში წინ გაუსწრო თავისი ახალი იდეებით თანამედროვე ბიზანტიურ იურიდიულ მეცნიერებას.

ჩვენ აქ აღარ ვეხებით ეფთიმეს დანარჩენ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, პავიოგრაფიისა, ბიბლიოლოგიისა, პიმნოგრაფიისა (სასულიერო პოეზიის) და სხვა დარგებში. ეს მემკვიდრეობაც არაა მნიშვნელობას მოკლებული.

დასასრულ დაგვჩენია აღვნიშნოთ, რომ ეფთიმე იბერიელმა არა მხოლოდ გადმოიწერა ქართულად ბიზანტიური თეოლოგიურ-ფილოსოფიური მწერლობის ძეგლები, არამედ მან გააცნო ბერძნულს მსოფლიოს, — და ბერძნულის საშუალებით ევროპის მსოფლიოსაც, — ქართული ლიტერატურის ნაწარმოებნი. ეფთიმე იბერიელის ბიოგრაფი აღნიშნავს, რომ ეფთიმეს „ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბობაა ვითარცა ნესტვი (საყვირი) ოჭროასაა ხმამაღალი ოზრის (ღალადებს) ყოველსა ქვეყანასა, არა ხოლო ქართლისასა (საქართველომასასა), არამედ საბერძნეთისაცა: რამეთუ ბალაქვარი და აბუკურაა და სხვანიცა რაოდენ-ნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმანნა ბერძნულად“.

ბარლამ და იოსაფის რომანის ახალი ვერსიის შესახებ, რომელიც ეფთიმემ ბერძნულ ენაზე გამოაქვეყნა, და აგრეთვე მეორე ჰაგიოგრაფიული ძეგლის — პოემა „აბუქარამ“-ს შესახებაც, — ჩვენ ქვემოთ გვეჩვენებთ საუბარი.



ბიორბი მთაწმიდელი — მეორე დიდი ფიგურა ათონელთა სალიტერატურო სკოლისა, ლიტერატურული შემკვიდრე ეფთიმე იბერიელისა. იგი დაიბადა 1009 წელს, გარდაიცვალა 1065 წელს.

გიორგი მთაწმიდელის სალიტერატურო-შემკვიდრეობა შემდეგს დარგებს მოიცავს:

ბ ი ბ ლ ი ო ლ ო გ ი ა. გიორგი მთაწმიდელმა ახლად დაამუშავა ქართულს ენაზე ტექსტები: სახარებისა, ეპისტოლეთა და მოციქულთა აქტებისა (კომენტარიების დართვით), აგრეთვე ფსალმუნთა წიგნი და საკითხავნი ბიბლიიდან. ამ ახალმა ტექსტებმა, რომლებიც შესრულებულია ფილოლოგიურის სიზუსტითა და ბრწყინვალე სალიტერატურო ენით, შესცვალა ძველად არსებული ქართული რედაქციები და მათი მნიშვნელობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში დიდი იყო.

თ ე ო ლ ო გ ი უ რ - ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი ლიტერატურა. ამ დარგში გიორგი მთაწმიდელმა სთარგმნა ბერძნულიდან ქართულად გრიგოლ ნოსელის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ თხზულებათა კრებული (14 ნაწარმოები, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა „დაბადებისათვის კაცისა“); შემდეგ თხზულებანი ბასილი კესარიელისა და იოანე ოქროპირისა (რომლებიც ეფთიმე იბერიელის თარგმანებში არ შესულა); აგრეთვე თხზულებანი თეოდორე სტუდიელისა, ეგნატე ანტიოქელისა, იოანე დამასკელისა, სოფრონ იერუსალიმელისა და სხვათა.

ჰ ი მ ნ ო გ რ ა ფ ი ა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიორგი მთაწმიდელის ღვაწლი ჰიმნოგრაფიის (სასულიერო პოეზიის) დარგში. გიორგი მთაწმიდელმა სთარგმნა ბერძნულიდან ქართულად თითქმის მთელი შემკვიდრეობა **ბ ი ზ ა ნ ტ ი უ რ ი ჰ ი მ ნ ო გ რ ა ფ ი ის ა**, რომელსაც საკუთარი ორიგინალური ჰიმნები დაურთო. გიორგი მთაწმიდელზე, როგორც გამმოჩენილ სასულიერო პოეტზე ჩვენ ქვემოთ გვეჩვენებთ საუბარი, როდესაც ქართული ჰიმნოგრაფიის შევსებობა.

ამას გარდა გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის თარგმანები **ჰ ა გ ი ო გ რ ა ფ ი ის** დარგში, **ს ა ე კ ლ ე ს ი ო ს ა მ ა რ თ ლ ის** დარგში და სხვ.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც დაგვიტოვა გიორგი მთაწმიდელმა, და რომელმაც სამუდამოდ უკვდავ-ჰყო გიორგი მთაწმიდელის სახელი ქართულს მწერლობაში, — ეს არის **ისტორია ათონის ქართული კოლონიისა და ბიოგრაფია იოანე და ეფთიმე იბერიელთა**. ეს თხზულება ახალ ეპოქას აღნიშნავს ქართულ ისტორიოგრაფიაში და საშუალ-საუკუნეთა ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის. გიორგი მთაწმიდელის ამ თხზულებაზე საუბარი გვაქვს ქვემოთ, როდესაც ქართულ ისტორიოგრაფიას ვეხებობთ.

დასასრულ დაგვრჩენია ალენიშნოთ, რომ გიორგი მთაწმიდელი გარდა იმისა, რომ იგი გამოჩენილი მწერალი იყო, იგი ამავე დროს საზოგადო მოღვაწეც არის.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში, გიორგი მთაწმიდელი, უკვე სახელმძღვანელო და ავტორიტეტით მოსილი მწერალი, ბრუნდება ბიზანტიიდან საქართველოში და ხუთი წლის განმავლობაში, 1060—1065 წლებში, იგი დიდ მუშაობას ატარებს დემოკრატიული მიმართულების განმტკიცებისათვის ქართულს საეკლესიო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში¹.

ამას გარდა გიორგი მთაწმიდელს ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში. საქართველოს ეკლესია, როგორც ცნობილია, ძველად ერთხანს ანტიოქიის პატრიარქატის ფარგლებში შედიოდა. უფრო გვიან, მე-8 საუკუნის ნახევარში, საქართველოს ეკლესია თუმცა გამოეყო ანტიოქიის პატრიარქატს და ავტონომია მოიპოვა, მაგრამ მას შემდეგაც, ვიდრე მე-11 საუკუნის შუა წლებამდე, კიდევ შერჩენილი იყო ანტიოქიის პატრიარქატისაგან ნაწილობრივი (არსებითად ნომინალური) დამოკიდებულება. გიორგი მთაწმიდელი მონაწილეობას იღებს ანტიოქიაში გამართულს კრებაზე, რომელმაც განიხილა საქართველოს ეკლესიისა და ანტიოქიის პატრიარქატის ურთიერთობის საკითხები. გიორგი მთაწმიდელმა ამ კრებაზე დიდის პოლიტიკური ტაქტით დაიცვა საქართველოს უფლებები და ამ კრების შემდეგ დადასტურებულ იქმნა საქართველოს ეკლესიის სრული დამოუკიდებლობა — დამოუკიდებელი პატრიარქატის სახით. ამას საშუალო-საუკუნეთა პირობებში არა მარტო საეკლესიო მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ ზოგად-პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების თვალსაზრისით.

თავი მხრად

ჰაგიოგრაფიული რომანი „ს ი ბ რ ძ ნ ე ბ ა ლ ა ჰ ვ ა რ ი ს ა“.

ჰაგიოგრაფიული პოემა „ა ბ უ კ უ რ ა ა“.

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ტრადიციები შემუშავდა ქართული მწერლობის მეორე პერიოდში, მე-4—7 საუკუნეებში (იხ. წერილი მეორე).

ამ ეპოქის ტრადიციები გრძელდება შემდეგაც, ქართული მწერლობის მე-8—11 საუკუნეებში.

მესამე პერიოდის, მე-8—11 საუკუნეთა ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურიდან ჩვენ აქ შევჩერდებით ორს ძეგლზე, რომლებიც ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

ერთი მათგანია — ჰაგიოგრაფიული რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“;

მეორეა — ჰაგიოგრაფიული პოემა „აბუტურაა“.

¹ იხ. აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიმათლის ისტორია, წ. II, გვ. 74—80 (ტფ., 1929 წ.).

² ზოგიერთი საეკლესიო ხასიათის შენიშვნები ამ ორი ძეგლის „სიბრძნე ბალაჰვარისა“-ს და „აბუტურაა“-ს შესახებ — იხ. სქოლიო 1 და 2.



1.

იოანე საბაწმიდელი და ეფთიმი იბერიელი. **ეკლესიური რომანი „სიბრძნე ბალაჰმარისა“.** **ხელნაწილი**

„ბალაჰმარის“ რომანის ორი ვერსიის შესახებ გვეუბნება საუბარი.

პირველი ძველ-ქართული ვერსია რომანისა, როგორც ირკვევა, დაიწერა მე-9 საუკუნეში და მისი ავტორია **იოანე საბაწმიდელი**.

შემდეგ, მე-10—11 საუკუნეთა მიჯნაზე მეორე ქართველმა მწერალმა, მკითხველისათვის უკვე ცნობილმა — ეფთიმე იბერიელმა გადაამუშავა და განაერთო ეს რომანი, მოგვცა მისი ახალი რედაქცია და ეს მეორე ვერსია ძველ-ქართული რომანისა გამოაქვეყნა ბერძნულს ენაზე.

მას შემდეგ რომანი ნამდვილს მსოფლიო რეზონანსს აღწევს. ეფთიმე იბერიელის ეს ვერსია ქართული რომანისა ითარგმნება ბერძნული ენიდან ჯერ ლათინურად, და შემდეგ ევროპისა და წინა-აზიის ხალხთა ყველა ენებზე. საშუალ-საუკუნეთა მანძილზე ევროპაში და წინა-აზიაში იშვიათად თუ რგებია რომელსაჲმე ნაწარმოებს ისეთი პოპულარობა, როგორც ამ ქართულს რომანს; იგი წარმოადგენდა ყველაზე გავრცელებულს საკითხავ წიგნს საშუალ-საუკუნეთა მსოფლიოში.

★

გაეაცნობთ მკითხველს მოკლედ რომანის შინაარსს (ჩვენ ჯერ ვებებით რომანის პირველს ძველ ქართულ ვერსიას მე-9 საუკუნისა, რომელიც იოანე საბაწმიდელს ეკუთვნის).

ინდოეთში მეფობს წარმართი კერპთ-მსახური მეფე **აბენესი**, კაცი ბუნებით კეთილი, „მშვიდი, და მდაბალ, და ფრიად მოწყალე გლახაკთა“. მას არა ჰყავს შვილი და იგი მწუხარებით არის შეპყრობილი. გვიან აბენესს მიეცემა ვაჟი, რომელსაც დაარქვეს **იოდასაფი**.

მეფე აბენესი შვილის დაბადებისას მოიწვევს ვარსკვლავთ-მრიცხველებსა და ფილოსოფოსებს: მეფე ჰსურს გაიგოს მათგან, თუ რა ბედი მოელის მის შვილს. ვარსკვლავთ-მრიცხველნი და ფილოსოფოსნი უწინასწარმეტყველებენ იოდასაფს ბრწყინვალე მომავალს. ხოლო ერთი ყველაზე ცნობილი ასტროლოგი-ფილოსოფოსი აღნიშნავს, რომ იოდასაფი გადაუდგება მამეულს სჯულს წარმართობას, და გახდება ქრისტიანობის მიმდევარი და გამაერთმადელი ინდოეთში.

აბენესი, ვულმოდგინე მიმდევარი წარმართობისა, შესწუხდება ამ ამბის გამო. რათა აიცილნოს წინასწარმეტყველების ასრულება, აბენესი გასცემს ბრძანებას, რათა გააძევონ მისი სამფლობელოდან ყველა ქრისტიანები. ბრძანება შესრულებულ იქმნება. გაძევებულთა შორის არის მეფის ყოფილი მეგობარი **ბრძენი ბალაჰმარი**, რომელიც ფარულად ქრისტიანობას მისდევდა და რომლის ქრისტიანობა შემდეგ გამოაშკარავდა.

მეფემ თავის შვილს აუშენა ცალკე ქალაქი-სასახლე და იქ დააბინავა. დაუყენა საგანგებო მასწავლებელნი, რათა სიბრძნეში აღეზარდათ შვილი. მთავარ გამწრდელად დააყენა თავისი ერთგული მსახური **ზანდანი**, რომელსაც მტკიცედ დაავალა, რომ არავინ ქრისტიანეთაგანი არ მიახლოვებოდა იოდასაფს.

როდესაც აბენესმა თავისი შვილი იოდასაფი ცალკე ქალაქ-სასახლეში მოათავსა, იგი ამით ცდილობდა არა მხოლოდ ქრისტიანებიდან დაშორებას იოდასაფისას, არამედ მას ამასთან სხვა უცნაური განზრახვაც შეჰქონდა: „შვილის უზომო სიყვარულით ნაკარნახევი, მეფეს უნდოდა მისი ერთადერთი სასყვარელი შვილი აღზრდილიყო „სიხარულით და შვეებით“, არ სცოდნოდა თუ რა არის მწუხარება, და არ გაეგო თუ რა არის სიბერე ან სიკვდილი. ამიტომაც აბენესმა მტკიცედ ამცნო გამზრდელს ზანდანს, რომ ბერიკაცი ან სნეული არ ეჩვენებინათ იოდასაფისათვის, და არც სიკვდილი ეხსენებინათ მის შვილთან.

იოდასაფი დაჰბატუკდა. ერთხელ იოდასაფმა მიმართა მამას, — ქალაქის კარებს არ ვაგვცილებივარო დღემდე, და მომეცი ნება, რომ ქვეყანა ვინახულოო. აბენესი შეწუხდა, საგონებელში ჩავარდა, მაგრამ მაინც ნება დართო. აბენესი ხომ იმას სცდილობდა, რომ შვილი „სიხარულითა და შვეებით“ აღეზარდა, და შიშმა შეიპყრო, ვაი თუ უარის თქმამ მწუხარებასა და ურეაში ჩააგდოსო ყმაწვილი. აბენესი მაინც შეეცადა გამოსავალი მოეძებნა. აბენესმა ფარულად დააგალა იოდასაფის გამყოლებს—ყოველი გამგზავრების წინ წარუგზავნათ წინამავალნი, და თუ ბერიკაცი, ან სნეულებით შეპყრობილი ვინმე შეხვდებოდათ, მოეშორებიათ გზიდან და აეცილებინათ მათი შეხვედრა იოდასაფთან.

ასეც იქცეოდნენ. მაგრამ წინამავალნი რამდენჯერმე დაუდევრობას გამოიჩინენ და იოდასაფ შეხვდება სნეულსაც და უმწეო მოხუცებულსაც. იოდასაფმა გაიგო, რომ ქვეყანა სულ სხვაა, ვიდრე მას უხატავდნენ.

•

რომ შკითხველი გაეცნოს რომანის სტილს, მოგვეყვას აქ ეს ცენტრალური ადგილი რომანისა, სადაც აწერილია იოდასაფის შეხვედრა კეთროვანთან, ზრმასთან და ბერიკაცთან. აქ აღბეჭდილია საშუალ-საუკუნეთა ადამიანის მსოფლმხედველობა.

„ხოლო დღესა ერთსა ვიდოდა რა ყრმამ იგი (იოდასაფ), იხილნა ორნი კაცნი: ერთი გონჯი (კეთროვანი), და ერთი მწუხარე (ზრმა), რომელი სხვასა მიჰყვანდა. და ზარ-განზილ (შეძრწუნებულ) იქმნა და ჰკითხვიდა მათთვის. და ჰრქვეს: „ესე კაცი არიან, და ვნებაა შემთხვევია, ვითარ სხვათაცა კაცთა შეემთხვევის“. და რქვა მან (ჰკითხა იოდასაფმან): „ესე ყოველთა შეემთხვევისა?“ ხოლო მათ ჰრქვეს: „არა, არამედ ზოგათა, რამეთუ რომელთამე შეემთხვევის, და რომელნიმე დაშთებიან“. მაშინ განჰკრთა გონებითა (იოდასაფ) და იქცა (დაბრუნდა) დამძიმებული.

და კვლად ოდესმე განვიდა (იოდასაფ)... წინამავალნი უდებ იქმნეს (წინამავალთ დაუდევრობა გამოიჩინეს) და ვერ იხილეს კაცი, მდებარე მოედლე-რებული, რომლისა თმამა სვეტაკ იყო, ვითარცა მატყლი, და პირსა მისსა კბილი არა იყო, და სიტყვაა მისი ფლაღნით იყო.

და ვითარცა მივიდოდა ძე მეფისაჲ, იხილა იგი, და შეეზარა, და ჰრქვა (ჰკითხა) ზანდან მზარდულსა (გამზრდელსა): „რამ არს ესე?“

ხოლო მან (ზანდანმან) ჰრქვა: „და ესეცა კაცი არს.“

და ჰრქვა (იოდასაფმან): „და რასა შეუქმნიეს ესრეთ?“



ხოლო მან პრქვა: „წელიწადთა სიგრძესა.“

და პრქვა (იოდანსაფმან): „რაჲ არს წელიწადი?“

მიუგო ზანდან: „ათორმეტი თვე“.

და პრქვა (იოდანსაფმან): „რაჲ არს თვე?“

მიუგო: „ოთხი კვირა“.

— „და რა ზომსა წელიწადსა შექმნების ესრეთ?“

მიუგო: „ოთხმეოცდაათსა წელსა, გინა ასსა“.

ხოლო იყო იგი (იოდანსაფ) გონებითა ვრცელ და სიბრძნითა სავსე, და აღრაცხნა თენი და წელიწადნი და პრქვა: ვითარ ვხედავ, ადრე მიუთქს (მიჰყვება) დღე დღესა, წელიწადი წელიწადსა, და ასთა წელიწადთა დასასრული ადრე იქმნების. აჲ რაჲლა წინა უც (წინა უძევს) კაცსა ამას?“

პრქვა მას ზანდან: „ამისა შემდგომად სიკვდილი.“

და პრქვა იოდანსაფ: „და რაჲ არს სიკვდილი?“

ხოლო იგი (ზანდან) ვერლარას დაუფარვიდა, პრქვა: „განქარდების სახსენებელი ამისი ქვეყნით.“

და პრქვა (იოდანსაფმან): „მამაჲ ჩემი ესევეითარადვე იქმნებისა?“

და პრქვა: „ეგრეთ იქმნების“.

— „შენცა ესრეთვეა?“

და პრქვა: „ესრეთ“.

— „და შე ესრეთვეა?“

— „ეგრეთვე შენცა.“

— „და ყოველნი კაცი ესრეთვეა?“

— „ჰე, ეგრეთვე, უკეთუ საზომსა ამისსა მოიწივნენ. ხოლო ესეცა უწყოდე, რამეთუ რომელნიმე ოდეს იშვნენ, მაშინვე წარიტაცებს სიკვდილი, და რომელთამე — მკირედ რაჲ აღიზარდნენ, და ზოგთა — ჰასაკთა რა მოვიდნენ.“

და პრქვა: „შე აჲ თანა მაცა (თანა მაძევს) სიკვდილი?“

და პრქვა: „არა შენ ოდენ, არამედ ყოველთა კაცთა“.

მაშინ შეძრწუნდა ძე იგი მეფისაჲ, აღდუნა გული მისი, და ტიროდა და ეტყოდა ზანდანს მზარდულსა (აღმზრდელსა): „და არლარა არს ქვეყანაჲ, რომელსა ზედა არა მოიწეოდის კაცთა ზედა ესევეითარი საღმობაჲ (სატკივარი), ვითარ იგი წინაჲსწარ (ამას წინარე) ვიხილენ უძღურნი, და აჲ ამასა ვხედავ? ხოლო კვალად უძნელეს აღმიჩნდა სიკვდილი!“

და კვალად იცემდა მკერდსა, და ტიროდა და ეტყოდა: „მაუწყე, თუ არსა ქვეყანაჲ, რომელსა შინა განვერე საღმობათაჲგან (თავი დავაღწიოთ ტკივილთა)?“

მაშინ ტიროდა ზანდან მზარდულიცა და ეტყოდა: „არა არს ცასა ქვეშე ეგვეითარი ქვეყანაჲ, ჰოჲ ძეო მეფისაო, რომელთა შინა განერნენ კაცი საღმობათაჲგან და სიკვდილისაგან!“

იოდანსაფ დაბრუნდება შეძრწუნებული და დამწუხრებული.

ამ-დროს ბ ა ლ ა შ ვ ა რ ი, გადაცმული ეპჭრის სახით, გამოცხადდება იოდანსაფის სასახლეში როგორც გამსყიდველი ძვირფასი თვალისა, რომელიც—

„ბრმათა აღუხილავს თვალთა, და ყრუთა ასმენს, და უტყუთა ამტყუებლებს, და უძღურთა ჰკურნებს, და ნაკლულევანთა განამდიდრებს...“ ეს ძვირფასი ზღაპრული თვალი რასაცვირველია არის არა თვალი თავისთავად, არამედ სიბრძნე. (აქედან სახელწოდებაც რომანისა: სი ბ რ ძ ნ ე ბ ა ლ ა პ ე ვ ა რ ი ს ა).

ბალაჰვარი წარსდგება იოდასაფის წინაშე. იოდასაფი მიმართავს ბალაჰვარს აჩვენოს ეს ძვირფასი თვალი. ბალაჰვარი უპასუხებს: ეს ძვირფასი თვალი იმგვარი თვისებისაა, რომ თუ იგი იხილავს მოუშნადებელმა ადამიანმა — დაბრმავდება; აწ მინდა გამოგცადო სიტყვით, ძალგამსო თუ არა მისი ხილვა.

ამის შემდეგ გაიმართება საუბარი ბალაჰვარსა და იოდასაფს შორის. ბალაჰვარი ესაუბრება იგავებით. ეს იგავები, რომლებიც მართლაც დიდის პოეტურობით არის აღბეჭდილი. იყო ერთ-ერთი მიზეზი ამ რომანის განსაკუთრებული პოპულარობისა. (სულ რომანში 11 იგავია მოყვანილი).

ბალაჰვარი თავისი საუბარით, რომლებიც იგავებით არის შეზავებული, თანდათან შეაშნადებს იოდასაფს. ბოლოს იოდასაფი ვახდება ბალაჰვარის მოძღვრების მიმდევარი.

იოდასაფი მიიღებს ქრისტიანობას. ბალაჰვარი ამის შემდეგ ისევ ფარულად წავა სასაბლიდან და გაემართება უდაბნოში.

შემდეგი ისტორია მოკლედ ასეთია.

როდესაც მამა-აბენესი ვაიგებს, რომ იოდასაფი ქრისტიანული მოძღვრების მიმდევარი ვახდა, — დიდად შეწუხდება, იგი სცდილობს გადააჯეროს იოდასაფი, მაგრამ უშედეგოდ.

ამის შემდეგ გაიმართება საჯარო პაექრობა. პაექრობაზე მეფეს გამოჰყავს ნ ა ქ ო რ ი, რომელიც გარეგნულად ისე ჰგავს ბალაჰვარს, როგორც ორთული, მისი გარჩევა ბალაჰვარისაგან შეუძლებელია. ნაქორს, ბალაჰვარის სახით გამოყვანილს, დავალებული აქვს მეფისაგან განაცხადოს საჯარო პაექრობაზე, რომ ყველაფერი რაც მან (ვითომდა ბალაჰვარმა) — ესაუბრა იოდასაფს, ტყუილი იყო, იოდასაფის შეცდუნებას მიზნით მოგონილი.

მაგრამ იოდასაფ მინც გამოიცნობს, რომ ნაქორ არ არის ბალაჰვარი. ამასთან საჯარო პაექრობაზე საქმე ისე წარემართება, რომ ნაქორი იძულებული ხდება, რომ მან მართლაც ბალაჰვარობა იკისროს და ბალაჰვარის მოძღვრების დამცველად გამოვიდეს. (იოდასაფი, ვითომც არ-მცნობი ნაქორისა, პაექრობის დაწყების წინ მიმართავს ნაქორს, როგორც ბალაჰვარს: თუ გამოირკვევა, რომ მატყუებდი, სიკვდილით დაისჯები, ვითარცა მაცდურიო. ნაქორი, შიშით შეპყრობილი, იძულებული ხდება მართლაც ბალაჰვარის როლის შესრულება იკისროს).

პაექრობა უშედეგოდ დასრულდა. ძეფე აბენესმა ვერ შიადღია საწადელს. ამასთან აბენესს თვითაც ეპვი აღუძვრის წარმართული მოძღვრების სიმაართლეში.

შემდეგ — წარმართთა მოძღვარის თედმას შთაგონებით — სცდილობენ იოდასაფს დაბრუნებას წარმართობისადმი ქალების საშუალებით. ესეც ამაო იყო; იოდასაფი თავს მტკიცედ დაიცავს.

როდესაც არც ერთმა ღონისძიებამ შედეგი არ მოიტანა, მეფე აბენესი ჰყარის ფარ-ხმალს. სახელმწიფო თათბირის შემდეგ აბენესი განაგრძობს თავისი სამეფო ორად გაკაოს: ერთ ნაწილში თვით დარჩენს, მეორე ნაწილში გაამეფოს იოდასაფი.

იოდასაფი აიღებს სახელმწიფო ხელისუფლებას ინდოეთის ერთ ნაწილში; მის გარშემო შემოიკრიბებიან ყველანი, ვინც-კი ქრისტიანობას ფარულად მიჰდევდა, აგრეთვე ისინიც, ვინც ქრისტიანობის გამო განდევნილნი იყვნენ ინდოეთიდან.

იოდასაფი „სიმშვიდითა და მოწყალებით“ მართავს ქვეყანას. განათავისუფლებს შეპყრობილთ საპყრობილეებიდან, განუყოფს სიმიდირეს გლახაკთა და უღონოთა; სამართალს უსჯის ქერივთა, ობოლთა და ყოველთა შევიწროვებულთა. „და ღონიერ იქმნეს ყოველნი გლახანი, და აღარაინ იპოვებოდა ქვეყანას შინა მისსა გლახაკი, რომელიცა ითხოვდა ქველის-საქმარსა (დახმარებასა)“.

განვლის დრო. აბენესი გაგზავნის ელჩებს იოდასაფის სამეფოში — „რათა ცნან საქმე და ქცევაჲ ძისა მისისა“. ელჩები ხედავენ ქვეყნის აყვავებას. ელჩები თვითონაც ქრისტიანობისაკენ გადაიხრებიან.

როდესაც ელჩები დაბრუნდებიან აბენესთან, აბენესი გამართავს თათბირს. აბენესი და ყოველი ერი გადასწყვეტენ — შეუდგნენ იოდასაფის კვალს და „შეიწყნარონ წესი მისი“.

ამის შემდეგ მოხდება მამისა და შვილის შეხვედრა. აბენესი იოდასაფის მოძღვრების მიმდევარი გახდება, ქრისტიანობას აღიარებს, და მასთან ერთად მთელი მისი ერი.

აბენესი მშვიდად და ბედნიერად დაასრულებს თავის ღღეებს.

როდესაც აბენესი, ბედნიერ სიბერეში მყოფი, მშვიდად გარდაიცვლება, იოდასაფი, — ხედავს რა მოწესრიგებულსა და მშვიდობაში მყოფს სამეფოს, — გადადგება მეფობიდან, თავის მთავრად დაადგენს ღირსეულ ადამიანს ბარაქიას, რომელსაც დამოძღვრავს კეთილ საქმეზე, ხოლო თვით იოდასაფი განმარტოვდება უდაბნოში და შეუდგება თავისი მოძღვრის ბრძენის ბალაჰვარის კვალს.



რომანის ლიტერატურული წყაროები. ავტორი. დრო.

რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“, როგორც ვნახეთ, ქრისტიანულის ელფერიტ არის დამუშავებული; მაგრამ სინამდვილეში იგი წარმოადგენს არა ქრისტიანულს ლეგენდას, არამედ ბუდიზმის ცნობილი მამათმთავრის ბუდდას ისტორიის გადაკეთებას. იოდასაფი (ანუ უფრო ძველი გამოთქმით „ბოდასაფი“, „ბუდასაფი“) არის იგივე ბუდდა (ბოდისატვა).

ბუდდას ლეგენდა იმ რედაქციით, რომელიც ქართული რომანის პროტოტიპი გახდა, თავდაპირველად ჩაწერილ იქნა ფაქალაურ (საშუალო ირანულ) ენაზე მე-6 — 7 საუკუნეებში ჩვენი წელთაღრიცხვისა. ფაქალაურიდან მიმდინარეობს არაბული ვერსიები ლეგენდისა.

არაბულს ენაზე მოიპოვება ბუღდას ლეგენდის ორი ვერსია, რომლებიც დამოკიდებულია ფაქტობრივ პირველწყაროდან. ლეგენდის ერთი ვერსია არის „ბალავჰარი და ბუღდასაფი“ და მეორე — მარტივად „ბუღდასაფი“.

ეს არაბული ვერსიები ლეგენდისა ეკუთვნის მე-8 საუკუნეს. ოდნავ გვიან, მე-8 — 9 საუკუნეთა საზღვარზე, „ბალავჰარისა და ბუღდასაფის“ ლეგენდა ლექსად გადაიღო ცნობილმა არაბმა პოეტმა აბან ლაჰიყიმ (750 — 814 წ.).

ქართულ ავტორს, როგორც ირკვევა, წყაროდ ჰქონია არაბული პროზაული ვერსია ლეგენდისა — „ბალავჰარი და ბუღდასაფი“.

მეგრამ ქართული რომანი „სიბრძნე ბალავჰარისა“ წარმოადგენს არა თარგმანს არაბულიდან, არამედ ქართველ მწერალს გამოუყენებია არაბული ვერსია ლეგენდისა — როგორც მასალა. ასე, ბუღდას ლეგენდის არაბულ ვერსიებში, არც მარტივს „ბუღდასაფში“ და არც „ბალავჰარსა და ბუღდასაფში“ — არა თუ არ არის საუბარი ქრისტიანობის ქადაგების შესახებ ბუღდასაფისათვის, არამედ იგი საერთოდ მოკლებულია ქრისტიანობის ელფერს და სიუჟეტის გაშლა აქ სხვაგვარად არის წარმართული.

ამდენად ქართული რომანი „სიბრძნე ბალავჰარისა“ მთელი თავისი კონცეპციით და სიუჟეტური აღნაგობითაც ორიგინალურ ნაწარმოებს წარმოადგენს. ქართველ მწერალს ბუღდას ლეგენდა არსებითად გადაუმუშავებია, შეუფარდებია იგი ქრისტიანობასთან, შეუხამებია თანამედროვე ქრისტიან შკითხველთა ლიტერატურულ მოთხოვნილებებსა და გემოვნებასთან, და რომანის „სიბრძნე ბალავჰარისა“-ს სახით ახალი ნაწარმოები შეუქმნია.

ქართული რომანი აღბეჭდილია დიდის მხატვრული ღირსებებით. აქ ვაღმოცემულია საშუალ-საუკუნეთა ადამიანის მსოფლმხედველობა. ამით აიხსნება, რომ რომანმა ასეთი პოპულარობა მოიპოვა.

ვინ იყო ავტორი რომანისა?

ლიტერატურული წყაროები ასახელებენ ორ პირს, რომელთაც ღვაწლი მიუძღოდათ რომანის დამუშავებაში. ესენია: ისაკ სოფრონის-ძე (ისაკ ძე სოფრონ პალესტინელისა) და იოანე საბაწმიდეელი.

ისაკ სოფრონის-ძე რომანის შესავალში წარმოადგენილია როგორც მომთხრობელი: „გვითხრობდა ჩვენ... ისაკ, ძე სოფრონ პალესტინელისა, და არს წიგნი ესე სიბრძნე ბალავჰარისა“.

ხოლო იოანე საბაწმიდეელი არის ავტორი, მწერალი, — რომელსაც ისაკ სოფრონის-ძის მოთხრობილი ამბით უხელმძღვანელებია და დაუწერია რომანი „სიბრძნე ბალავჰარისა“.

როგორც ისაკ სოფრონის-ძე, ისე მწერალი იოანე საბაწმიდეელი პალესტინელი მოღვაწეები ყოფილან, ისინი მოღვაწეობდნენ პალესტინის საბაწმიდის სახანეში. როგორც ეს წინადაც გვქონდა მოხსენებული, საბაწმიდაში არსებობდა ქართული კოლონია, და საბაწმიდა ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა საშუალ-საუკუნეებში.

რომანი, როგორც ირკვევა, დაწერილია მე-9 საუკუნეში.²

² იხ. სქოლიო-1.



რომანის შემდგომი ლიტერატურული ისტორია.

ქართული

ბალაჰვარისა და იოდასაფის ქართულ რომანს — როგორც „მხსენებელი გვექნა, მსოფლიო რეზონანსი შეუქმნა მეორე ქართულმა მწერალმა ეფთიმე იბერიელმა (958 — 1028 წ.).

ეფთიმე იბერიელი, როგორც ეს იცის მკითხველმა, — ერთ-ერთი უპოპულარესი ქართველი მწერალი იყო საშუალ-საუკუნეებში და მან უკვდავყო თავისი სახელი თარგმანებით ბერძნული ენიდან ქართულს ენაზე. სიტყვის დიდი ოსტატი, იგი თანაბარის ბრწყინვალეობით ჰვლობდა როგორც ქართულს, ისე ბერძნულს.

ეფთიმე იბერიელმა მოახდინა ქართული რომანის ხელმეორე გადამუშავება, ვაფართოვა იგი და ეს ახალი რედაქცია ქართული რომანისა გამოაქვეყნა ბერძნულ ენაზე, სათაურით: „მოთხრობა ბარლამისა და იოსაფის შესახებ“.¹

რომანის ახალი რედაქცია ეფთიმე იბერიელისა — მისდევს იოანე საბაწმინდელის ძველ ქართულ რედაქციას, იცავს მოთხრობის საერთო ქარგას, მაგრამ ტექსტი საგრძობლად არის გაფართოებული. იოანე საბაწმინდელის ძველ-ქართულ რედაქციასთან შეფარდებით ეფთიმე იბერიელის რედაქცია უფრო ჭრისტიანიზირებულია, ამასთან ეს ახალი რედაქცია უფრო მწიგნობრულ ხასიათს ატარებს, განვრცობილია ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მსჯელობათა ჩართვით.

კერძოდ შევსებულია რომანის იგაგებიც. იოანე საბაწმინდელის ძველ-ქართულ რედაქციაში იყო 11 იგაგი, ხოლო ეფთიმე იბერიელის რედაქციაში ამ 11 იგავს დამატებული აქვს 5 ახალი იგაგი.

ეფთიმე იბერიელის რედაქციის ბერძნულს ენაზე გამოქვეყნებულს ტექსტს დართული აქვს ცნობა, რომ იგი „გადმოთარგმნილია იბერიელთა ენიდან ბერძნულ ენაზე ღირსი და კეთილ-სათნო კაცის, იბერიელად წოდებულის ეფთიმეს მიერ“.

ეფთიმე იბერიელის მიერ ბერძნულად გამოქვეყნებულს ამ ქართულს რომანს ადრევე მოუბოვებია დიდი პოპულარობა. ეფთიმე იბერიელის ბიოგრაფი გიორგი მთაწმიდელი სწერს მე-11 საუკუნის 40-იან წლებში, რომ ეფთიმე იბერიელის „ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა... და ვითარცა ნესტევი (საყვირი) ოქროსაჲ ხმამალალი ოხრის (ღალადებს) ყოველსა ქვეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისაცა: რამეთუ „ბაჲლ აჰვარ ი“ და „ბუკურაჲ“, და სხვანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართლისაგან თარგმნნა ბერძნულად“.

მე-11 საუკუნის ნახევარში, 1048 წელს, რომანის ეფთიმე იბერიელის რედაქცია ითარგმნება მეორე მსოფლიო ენაზე — ლათინურზე (ეს მეორე თარგმანიც ქართული წრეების ინიციატივით იქმნა შესრულებული).

¹ ეგზოტიური სახელი „ბალაჰვარი“ — ეფთიმე იბერიელის რედაქციაში შეცვლილია ქრისტიანი მკითხველისათვის უფრო ადვილად ასათვისებელი სახელით „ბარლამი“, ხოლო სახელი „იოდასაფი“ შეცვლილია სახელით „იოსაფი“.

ამის შემდეგ ეს ქართული რომანი — ეფთიმე იბერიელის რედაქციით — მსოფლიო გავრცელებას ღებულობს, იგი ითარგმნება ბერძნულში, დასავლეთ-სლოვაკეთიდან ევროპისა და წინა-აზიის ყველა ხალხთა ენებზე (ამასთან მთელ რიგ ენებზე იგი ითარგმნება რამდენიმეჯერ), და ხდება ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ და გავრცელებულ საკითხავ წიგნად საშუალ-საუკუნეებში.

კერძოდ დასავლეთ ევროპაში არ დარჩენილა არც ერთი ენა და დიალექტი, რომელზედაც ლიტერატურა განვითარდა, რომ არ ყოფილიყვნეს თარგმნილი ეს რომანი. ასეთივე პოპულარობა მქონდა რომანს ახლო აღმოსავლეთშიც.



რომანის ლიტერატურული ისტორიის განხილვა მთელის მოცულობით შორს წაგვიყვანდა, ამ საგანს ჩვენ საგანგებოდ ვეხებით სხვა ადგილას. აქ კი — (ამ ჩვენი წერილების სპეციალურ დანიშნულებასთან შეფარდებით) — შევჩერდებით მხოლოდ ამ რომანის გამოძახილზე საბჭოთა კავშირის მომწე ხალხთა ლიტერატურებში.

რომანი — ეფთიმე იბერიელის რედაქციით — ადრევე ითარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე.

ყველაზე ადრე საბჭოთა კავშირის ხალხებიდან ეს რომანი ჩნდება სომხურს ლიტერატურაში. სომხურად რომანი ითარგმნება მე-11—12 საუკუნეებში. უფრო გვიან რომანის ვრცელი ტექსტიდან სომხურს ენაზე დამუშავებულ იქმნა აგრეთვე მოკლე მოთხრობა, რომელიც შეუსრულებია ვინმე ასატი. („მცირედი მრავლისაგან გამოკრებულ ვყავ და ვთარგმნე იგი სომხურად“-ო, სწერს ასატი). ასატის ეს შემოკლებული ტექსტი დატულია 1322 წლის ხელნაწერში. მას შემდეგ, საშუალ-საუკუნეთა ცნობილმა სომხის მგოსანმა არაქელ ბაღეშელმა ლექსად გადაიღო ასატის მიერ დამუშავებული მოკლე ტექსტი რომანისა. არაქელ ბაღეშელის გალექსილი მოთხრობა 1434 წელს ეკუთვნის.

მე-13—14 საუკუნეებში სლავურ ენაზე ჩნდება ორი თარგმანი რომანისა (ბერძნულის საშუალებით). ერთი სლავური თარგმანი სამხრეთის სლავებში, ბულგართა და სერბთა შორის ვრცელდება, ხოლო მეორე თარგმანი — ეგრეთწოდებული რუსული ვერსია — ვრცელდება რუსეთში, აღმოსავლეთის სლავებში (— თანამედროვე რუსები, უკრაინელები და ბელორუსები).

მე-16 საუკუნეში, რუსეთის ისტორიაში კარგად ცნობილმა მოღვაწემ კნიაზ კურბსკიმ, იოანე მრისხანის თანამედროვემ, რომელიც იძულებული იყო მოსკოვიდან ემიგრაციაში წასულიყო, ხელახლა სთარგმნა ეს რომანი ბერძნულიდან სლავურ ენაზე.

კნიაზ კურბსკის თარგმანიდან მომდინარეობს დასავლეთ-სლავური (ბელორუსული) ვერსია რომანისა, დაბეჭდილი 1637 წელს.

უკრაინაში, მე-17 საუკუნეში, უკრაინელმა ლაზარ ბარანოვიჩმა ჩერნიგოველმა პოლონურ ენაზე ლექსად გადაიღო ბარლაამ და იოსაფის რომანი (უკრაინის ინტელიგენციაში ამ ეპოქაში, როგორც ცნობილია, პოლონური ენა ერთგვარი გავრცელებით სარგებლობდა). ლაზარ ბარანოვიჩის ეს გალექსილი ვერსია დაბეჭდა კიევეში 1670 წელს.

რომანს ფართო გამოხმაურება ჰქონდა დასავლეთსლავურ ენებზედაც. ჩებურად იგი სთარგმნა 1470 წელს ლავრენტი ტინ-გორშოველიმ. მის შემდეგ იგი არა ერთხელ დამუშავებულა ჩებურ ენაზე.

პოლონურ ენაზე, უკრაინულ ლაზარ ბარანოვიჩ-ჩერნიგოველის შემდეგ, რომანი ლექსად გადაიღო მ. კულიგოვსკიმ (1688 წელს დაიბეჭდა კრაკოვში).

ერთი საუკუნის შემდეგ პოეტმა პროფ. მ. ლიხოვეციმ ბარლაამისა და იოსაფის რომანი დაამუშავა პოლონურ ენაზე დრამატული მისტერიის სახით (1760 წ.).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ — როგორც ეს გამორკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში — ბარლაამის და იოსაფის რომანს დიდი გავლენა ჰქონდა რუსულ ხალხურ სიტყვიერებაზე. ბარლაამის და იოსაფის რომანის მოტივებს იმეორებს მთელი რიგი რუსული ხალხური თქმულებანი და ლექსები (კერძოდ აქედან მომდინარეობს „стих о Иосафе царевице“).



დამოუცილებელი ლიტერატურული ისტორია ჰქონდა კერძოდ ბარლაამის და იოსაფის რომანის იგავებს, რომელთაგან ზოგი მოხვედრილია იგავ-არაკთა სხვადასხვა „მოგზაურ“ კრებულებშიც.¹

ასე, განსაკუთრებულის პოპულარობით სარგებლობდა იგავი საწუთროსათვის (სპილოსაგან გაქცეული ხეზე ასული კაცის შესახებ), ან-და იგავი სამი მეგობრის შესახებ, იგავი მეფის შესახებ, რომელსაც ერთი წლით ირჩევენ, და სხვანი.

რომ მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს ამ იგავთა პოეტური სტილის შესახებ, მოგვყავს აქ ერთი მათგანი.

თხრობა მესამე

(საწუთროსათვის)

„მსგავს არს საწუთროს ესე კაცსა, რომელსა სდევდა პილოს ამრიზებელი (სპილო განრისხებული), და მიაწყვდია იგი ჯურღმულსა საშინელსა. და იხილნა ზენი, რომელსა ზედა აღხდა.

და იხილნა კვალად ორნი თავენი, ერთი შავი და ერთი თეთრი, რომელნი სჭრიდეს ძირთა მათ ხეთასა, რომელთა ზედა აღსრულ იყო კაცი. და შთაბენდა ჯურღმულსა და იხილა ვეშაპი, რომელსა აღეშემო (დაედო) პირი და ეგულეზოდა შთანთქმავდა მისი.

და აღიხილნა ზე, და იხილა თავლი მცირე, რომელი ჩამოსდიოდა ხეთა მათ, და იწყო ლოკავი მისი. და კვალად არღარა მოიხსენა განსაცდელი, რომელსა შთავრდომილ იყო. ხოლო თავეთა მათ ზენი იგი წასჭრეს, და კაცი იგი დაეცა, და პოლომან აღიტაცია და მიუგდო ვეშაპსა. —

„აწ, ძეო მეფისაო, პილოს იგი სახე არს სიკვდილისა, რომელი სდევს ძეთა კაცისათა; და ზენი იგი საწუთროს არს; და თავენი იგი დღენი და ღამენი;

¹ კერძოდ „ქილილა და დამანა“-ში.

და თავლი იგი საწუთროსა ამის სიტკობეა არს, და შეაქცევს კაცსა გემოვნება საწუთროსაჲ. და დღენი და ღამენი აღსრულდებოდა და სიკვდილი წარიტაცებს... და ესე არს ცხოვრებაჲ კაცთაჲ“.

ეს იგავი, აღბეჭდილი ღრმა პესიმიზმით, უკვდავ მხატვრულ ფორმაშია ჩამოყალიბებული. იგი ერთი ყველაზე პოპულარული იგავთაგანია მსოფლიო ლიტერატურაში.

რომ მართო რუსული ლიტერატურით დავკმაყოფილდეთ, ამ იგავის გამოხმაურება ჩვენ გვაქვს რუსულ მწერლობაში დაწყებული მე-12 საუკუნიდან (კირილ ტუროვსკი) ვიდრე მე-19 საუკუნემდე. მე-19 საუკუნეში ეს იგავი სთარგმნა რუსულ ენაზე (— რიუკერტის მიერ გერმანულად დამუშავებული ტექსტიდან) პოეტმა ვუკოვსკიმ.

ამ იგავს მიმართავს ლევ ტოლსტოი თავის „აღსარებაში“.

2.

პოემა „აბუჯურაჲ“

იმავე ეპოქას და იმავე სალიტერატურო წრეს, — საბაწმიდელთა სალიტერატურო სკოლას, რომელმაც დავიკოვა „სიბრძნე ბალაჰარისა“, ეკუთვნის აგრეთვე პავიოგრაფიული პოემა:

მოთხრობა აბუჯურაჲსი მიქაელისათვის საბაწმიდელისა,

ანუ შემოკლებით „აბუჯურაჲ“.

შინაარსი ნაწარმოებისა მოკლედ შემდეგია.

პროლოგში მოთხრობილია საბაწმიდელების სტუმრობა თეოდორე აბუჯურასთან. (თეოდორე აბუჯურა იყო ცნობილი მწერალი, რომელიც მოღვაწეობდა მე-8 საუკუნის დასასრულსა და მე-9 საუკუნის დასაწყისში).

აბუჯურასთან სტუმრად მოსული საბაწმიდელები, რომელთა შორის ყოფილა ამა ბასილი საბაწმიდელიც, სთხოვენ აბუჯურას უამბოს მათ „სიტყუაჲ სულისა სარგებელი“. აბუჯურა ჯერ გაუმასპინძლდება სტუმრებს, და შემდეგ უამბობს მათ მოთხრობას მიქაელ საბაწმიდელის შესახებ, ძველ ამბავს, რომელიც ასი წლის წინათ მომხდარა.

ამას მოჰყვება თვით ეს მოთხრობა, აბუჯურას მიერ ნაამბობი.

აბუჯურას მოთხრობა იწყება იმით, რომ მუსულმანთა ხალიფი აბდალმელიქი მურვანის-ძე (685—705წ.), თავისი ცოლით დედოფლით „სეიდაჲ“-თ, შვილით, დიდებულებით, და რჩეული ჯარის თანხლებით დიდის ზემოთ მივა ბაბილონიდან (ბაღდადიდან) იერუსალიმში. იმავე დროს საბაწმიდიდან იერუსალიმში ჩამოდის მიქაელ საბაწმიდელი, ყმაწვილი კაცი, მონასტრის მოწაფე მორჩილი, რომელიც ხელოსნობას მისდევდა, აკეთებდა ყუთებსა და მალაყებს „ფრიად კეთილად ნაქმარსა“ და ჰყიდდა იერუსალიმში. ქულბაგში (ბაზარში) მიქაელს შეხედება დედოფლის „სეიდაჲ“-ს მონა-საჭურისი, მოეწონება მიქაელის ნამუშევარი ნივთები — დიდის ხელოვნებით შესრულებული, და წაიყვანს მიქაელს დედოფალთან ნივთების საჩვენებლად.

როდესაც მიქაელ წარსდგება დედოფლის წინაშე, დედოფალი მოინახლება მიქაელის სილამაზით. დედოფალი გააბამს სატრფიალო საუბარს მიქაელთან. მაგრამ მიქაელ დედოფლის სიყვარულს უბასუხოდ სტოვებს.

დედოფალი შეურაცხყოფილია. აღესილი გულისწყრომით, იგი ბრძანებს შექრან მიქაელი მშვილდის საბელით. დედოფალი მოითხოვს აბანოზის ფიციარს, რომელზედაც დასწერს მიქაელის დასმენას ხალიფისადმი, ვითომც მიქაელმა დედოფლის შეურაცხება განიზრახა. დედოფალი სთხოვს ხალიფს: ან თვით დასაჯო მიქაელ კადნიერებისათვის, ან მომეცი უფლება თვით მე დაესაჯო იგი ნებისაებრ ჩემისა.

დედოფლის მონა-საჭურისი წარადგენს საბლით შეკრულს მიქაელს ხალიფის წინაშე და მიართმევს დედოფლის წერილს ხალიფს.

ხალიფი გრძნობს, რომ დედოფლის წერილი ცილისწამებაა, რომ ყოველივე, რასაც დედოფალი სწერს, არის „ტყუილი და არა ყოფილი“.

ამის შემდეგ გაიმართება საუბარი ხალიფსა და მიქაელს შორის იგავ-არაკებით. ხალიფს მოეწონება მიქაელის ბრძნული იგავ-სიტყვაობა. საბოლოოდ დარწმუნებული მიქაელის სიმართლეში, ხალიფი ბრძანებს შეხსნან მიქაელს საბელი.

მაგრამ ხალიფი — პოეტის სიტყვით — „იყო ბრძენ სოფლისა, ხოლო სულელ წინაშე უფლისა“.

ხალიფი განიზრახავს მუსულმანობაზე მოაქციოს მიქაელი და დაიახლოვოს ეს ყმაწვილი, რომელიც მას მოსწონს.

გაიმართება საჯარო პაექრობა ქრისტიანობისა და მუსულმანობის შესახებ. ამ პაექრობაში, რომელიც პოემაში ვრცლად არის აღწერილი, მიქაელს დარჩება გამარჯვება.

პაექრობაზე დამსწრე გაბოროტებული მუსულმანები მოითხოვენ მიქაელის სიკვდილით დასჯას. ხალიფს ებრალება მიქაელ, უნდა მისი განათავისუფლება, მაგრამ ეს შეუძლებელი ხდება, „რამეთუ ერთი განუკრთებოდა“.

მიქაელს ჯალათი სიკვდილით დასჯის.

შემდეგ მიქაელის ნეშტს მისვენებენ საბაწმიდაში, სადაც მას დაიტრებენ მისი მასწავლებელი და მეგობარნი.



პაეოგრაფიული პოემა მოთხრობა აბუკურაჰის მიქაელი-სათვის საბაწმიდელისა განსაკუთრებულ ინტერესებს წარმოადგენს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით იმ მხრივ, რომ აქ გვაქვს სასულიერო საეკლესიო პოეზიისა და საერო მხატვრული პოეზიის ელემენტების შეერთება.

ამ პოემას საერო პოეზიასთან აახლოვებს ჯერ თვით სიუჟეტი, — რომანიული ეპიზოდი, რომელიც აქ ჯერ კიდევ სასულიერო ელფერის დაცვით არის დამუშავებული. სიუჟეტი — რომელიც ერთგვარ პარალელს შეიცავს იოსებ მშვენიერისა და პენტეფერეს ცოლის ბიბლიურ თქმულებასთან, ეს არის იგივე რომანტიული თემა, რომელიც დიდის პოპულარობით სარგებლობდა საერო მხატვრულ პოეზიაში და არა ერთგზის ყოფილა დამუშავებული შემ-

დღეი ხანის ირანულსა და ქართულს ლიტერატურაში იოსებ-ზილიხან-ნიანი რომანის სახით.

პოემას აახლოვებს საერო პოეზიასთან თვით ფორმაცულად და შინაარსით. პოეზიის სისულელო პოეზიისათვის უცხო იყო, რითმა-სასულიერო-საეკლესიო პოეზიამ საერო პოეზიიდან შეითვისა.

რითმა აქ ჯერ კიდევ ძალზე მარტივია, ჩვეულებრივ ერთმარცვლოვანი, მეტ-წილად ფლეჟსიური.

თავისებურია ამ პოემის მეტრი. პირველის წაკითხვით თანამედროვე მკითხველზე იგი სტოვებს გარითმულ პოეზიის შთაბეჭდილებას. მაგრამ ირკვევა, რომ პოემაში დაცულია ერთგვარი „თავისუფალი“ რთული მეტრი, არა-თანაზომიერი ტაქტები, ვარკვეულის წესით ერთმანეთთან შეთანაბრებული. (თავისი მეტრიული სტრუქტურით, „თავისუფალი მეტრის“ ხმარებით, პოემა-სასულიერო-საეკლესიო პოეზიის ტრადიციას უახლოვდება).



პოემა, როგორც ირკვევა, დაწერილია მე-9 საუკუნის დასაწყისში, 813 — 820 წლებს შორის.

ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ საბაწმიდელ სტუმართა შორის, რომლებიც დასწრებიან აბუკურასთან საუბარს, იყო „ამბა ბასილი საბაწმიდელი“. აი ამ პირს, ამბა ბასილი საბაწმიდელს, უამბნია უფრო გვიან (როდესაც აბუკურა უკვე აღარ იმყოფებოდა საბაწმიდაში) — აბუკურას ნაამბობი თხზულებების ავტორისათვის.

„გვითხრობდა ჩვენ ამბა ბასილი... საბაწმიდელი“ — ასე იწყებს თავის თხზულებას ავტორი.

ავტორი, დამწერი პოემისა, თვითონაც საბაწმიდელი მოღვაწე ყოფილა, ამბა ბასილის მოწაფე.

საბაწმიდის კოლონია, როგორც ცნობილია, ინტერნაციონალური შემადგანლობისა იყო. აქ მოღვაწეობდნენ ბერძნები, სირიელები და გაარაბებული სირიელები, ქრისტიანი არაბები, ქართველები და სხვები.

ბასილი საბაწმიდელი მე-8 საუკუნის დასასრულისა და მე-9 საუკუნის დასაწყისის ცნობილი მოღვაწეა; იგი გაარაბებული სირიელი, ანუ, რაც იგივეა, არაბი ქრისტიანე იყო. ბასილი თვითაც პოეტი ყოფილა. მას დაუწერია არაბულად ოდა „შესხმა საბაწმიდისა და საბაწმიდელთა“ (796 — 807 წლებს შორის).

ხოლო ვინ იყო ბასილის მოწაფე, ავტორი პოემისა „აბუკურა“, ეს გამოურკვეველი რჩება. ტექსტის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ იგი შთამომავლობით დასავლეთ საქართველოდან, ანუ იმ-დროინდელის ტერმინოლოგიით „აფხაზეთიდან“ უნდა ყოფილიყო. ამის გამო მას ვუწოდებთ: „აფხაზი სიმღერის-მწერალი“. (ძველ-ქართულად „სიმღერის-მწერალი“ პოეტს ნიშნავს.)

ამ ქართველ პოეტს პოემა „აბუკურა“, რომელსაც საფუძველად დასდებია ბასილის მოთხრობილი ამბავი, ქართულად დაუმუშავებია. (პოემის ბოლოში ქართველ პოეტს დაუმატებია თარგმანი ბასილი საბაწმიდელის ოდისა „შესხმა საბაწმიდისა და საბაწმიდელთა“. თარგმანი ოდისა შესრულებულია რით-

მიანი ლექსით, იმავე „თავისუფალი“ რთული მეტრული წყობით, რომლითაც დაწერილია პოემა „აბუჯურა“).

„აბუჯურა“-ს ტექსტის ლიტერატურული ისტორიის შესახებ სპეციალურ საკითხებს დაწერილებით ვეხებით ცალკე ნარკვევში.¹

აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ პოემა „აბუჯურა“, შემდეგ, მე-10 — 11 საუკუნეთა საზღვარზე, უთარგმნია ქართულიდან ბერძნულად იმავე განთქმულს ქართველ მწერალს ეფთიმე იბერიელს, რომელმაც გამოაქვეყნა ბერძნულად ახალი რედაქცია რომანისა „სიბრძნე ბალაჰვარისა“ და ამ რომანს მსოფლიო რეზონანსი მისცა.

თავი მესამე

ბიოგრაფიული

ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა

ბიოგრაფიული ენარის ლიტერატურული ტრადიციები შემოშვედა ქართული მწერლობის წინა პერიოდში, მე-4—7 საუკუნეებში. ხოლო თავის განვითარების უმაღლეს სახეს ლიტერატურის ეს ენარი აღწევს ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი მიმოხილვის საგანს შეადგენს.

მე-8 — 11 საუკუნეთა მანძილზე ქართულს ენაზე ამ ენარში დაიწერა რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც საბოლოოდ რჩება ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობაში. საკმაოა დავასახელოთ თხზულებანი იოანე საბანის-ძისა და გიორგი მერჩულისა. ეს ძეგლები მხატვრული კულტურის მხრით უსწორდება ქართული სიტყვის უძველეს კლასიკურ შედევრს იაკობ ცურტაველის შუშანიკის ბიოგრაფიას; ხოლო ამავე დროს ძეგლები მე-8—11 საუკუნეებისა იდეოლოგიურად ახალი შინაარსით არის აღვსილი, როგორც მაგალითად იოანე საბანის-ძის თხზულება, ან-და მოცემულია ფართე მხატვრული ტილო, ფართე დიპაზონის ნაწარმოები, რომელიც ასახავს მთელს ეპოქას, როგორც გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელი“.

ბიოგრაფიული ენარის ლიტერატურა — წამყვანი დარგი ამ ეპოქის ქართული მწერლობისა — აღბეჭდილია ნამდვილი ნაციონალური კოლორიტით. ვიდრევეთ ამ ენარის ნაწარმოებთა მოკლე მიმოხილვას.

1.

იოანე საბანისძე.

ბიოგრაფია აბოსი.

იოანე საბანის-ძე მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის მწერალია. მისი თხზულება — ბიოგრაფია აბოსი — დაწერილია 786 წლის შემდეგ, ამ წლის ახლო ხანებში.

თემა აბოს ბიოგრაფიისა უბრალოა, იგი ეხება ერთ ეპიზოდს არაბთა მფლობელობის ხანიდან საქართველოში. მაგრამ ეს ეპიზოდი ავტორს გამოყე-

¹ ზოგიერთი შენიშვნები იხ. სქოლიო 2.

ნებული აქვს როგორც ფონი ნაციონალური იდეოლოგიის პროპაგანდისთვის. ამოს ბიოგრაფიის სახით ავტორი ჰქმნის ღრმა პოლიტიკური შინაარსით აღესილს ლიტერატურულ დოკუმენტს.

შინაარსი მოთხრობისა, — რომელიც ისტორიული ფაქტების შესტად გადმოცემას ემყარება, — შემდეგია.

ქართლის ერისმთავარი ნერსე, რომელიც მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში არაბების მიერ იყო დადგენილი როგორც წარმომადგენელი ადგილობრივი ქართული ნაციონალური ხელისუფლებისა ტფილისის არაბთა ამირასთან, — ვერ დაიმსახურებს არაბთა ნდობას. არაბთა ხალიფის (არაბთა იმპერიის მეთაურის) აბდილას (754 — 775 წ.) ბრძანებით ქართლის ერისმთავარს ნერსეს გაიწვევენ ხალიფატის რეზიდენციაში ბაბილონში — ბაღდადში. აქ ნერსეს „ბოროტთა კაცთა შესმენით“ შეიპყრობენ და სამი წელი ტყვედ ჰყავთ საპყრობილეში.¹ ხალიფ აბდილას სიკვდილის შემდეგ ახლად გამეფებული ხალიფი შაჰდი (775—785 წ.) განათავისუფლებს ნერსეს, აღადგენს ნერსეს ქართლის ერისმთავრის უფლებაში და გამოსტუმრებს საქართველოში.

ნერსეს ბაღდადში ყოფნის დროს შეხედება არაბი ყმაწვილი კაცი ამო, რომელიც სურნელებათა შეზავების ხელოვანი ოსტატი იყო. ამო აიყვანა ნერსემ მსახურად. როდესაც ნერსე გამოემგზავრა საქართველოში, ამოც თან გამოჰყვა.

ამო განათლებული ყმაწვილი კაცი ყოფილა, „სწავლულ იყო მწიგნობრობითა სარკინოზთათა (არაბთათა)“. საქართველოში — ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ ამო დაუახლოვდა ქართულ წრეებს, შეისწავლა ქართული ენა და ქართული ლიტერატურა („შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრობისა და ზრახვისა სრულად“). ამომ — გადმოგვეცემს ბიოგრაფი — ხანგრძლივი სწავლისა და გამოძიების შემდეგ გამოიხიბლა მაჰმადიანობისაგან, რომელიც ავტორის სიტყვით — უსამართლობას ჰქადაგებს, „მახვილითა პყრობილს სჯულს“ წარმოადგენს, და ქრისტიანობისაკენ გადაიხარა. ამო ფარულად ქრისტიანობის მოძღვრების მიმდევარი ხდება, თუმცა ამის საჯაროდ განცხადებას ვერ კიდევ ვერ ჰხედავს არაბთა შიშით.

ამის შემდეგ განვლის რამდენიმე წელი და ქართლის ერისმთავარს ნერსეს ისევ დაატყდება არაბთა რისხვა. „და იყო დღეთა მათ შინა კვალად განრისხება ხელმწიფეთა მათ სარკინოზთა (არაბთა) ნერსე ერისთავსა ზედა და ივლტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ბრძოდეს მას არაბთა ერი“. დამარცხებული ნერსე თავს დააღწევს არაბებს, დასტოვებს საქართველოს, და სამასი ერთჯული კაცით განვლის დარიალის ხეობას და გადავა ხაზართა სამეფოში (ეხლანდელი სამხრეთი რუსეთი)². ნერსეს მზღებელთა შორის არის ამოც.

აქ, ხაზარეთის სამეფოში, „განშორებული შიშისაგან და მძლავრებისაგან“ არაბთა, ამო ახდილად მიიღებს ქრისტიანობას და მოინათლება.

ეს მომხდარა, როგორც ირკვევა, ხაზართა სამეფოს ვასალურ ქვეყანაში. ტეტრაქსით-გუთების მხარეში, რომელიც აზოვის ზღვის სანაპიროზე მდებარე-

¹ ნერსეს დატყვევება მოხდა 773 წელს.

² ნერსეს გადასვლა ქართლიდან ხაზარეთში მოხდა 781 წელს.

ობდა, იმ თემში, რომელიც რუსულ მატრიანებში „ტმუტარაკანი“¹ სახელით არის ცნობილი². აზოვის გუთები ახლო ურთიერთობაში იყვნენ საქართველოსთან; ტეტრაქსი-გუთების მეზობელი თემის ტაერიდის ქრისტიანული ეკლესიის ხელმძღვანელი იოანე სწრაფლ³ ხანებში, 758 წელს, ეპისკოპოსად ეკურთხა საქართველოში, მცხეთაში, ქართველთა კათოლიკოსის მიერ.

ხაზარეთიდან ნერსე და მისი მხლებელნი, მათ შორის აბო, ჩამოვიდნენ დასავლეთ საქართველოში („აფხაზეთში“), რომელიც ამ დროს ბიზანტიის გავლენის სფეროში შედიოდა. ნერსე, და მასთან ერთად აბო, აფხაზეთში რჩებიან ერთ წლამდე⁴.

ამ ხანებში არაბებმა ქართლის ერისმთავრად ნერსეს ადგილას დანიშნეს ნერსეს ნათესავი (დისწული) სტეფანოზი. ნერსე მოლაპარაკებას გამართავს არაბებთან; ნერსეს არაბები შემოირიგებენ და მისცემენ ნებას დაბრუნდეს ქართლში, ტფილისში.

აფხაზეთის მთავარი ურჩევს აბოს — დარჩეს აფხაზეთში, რადგან აბოს, წარმოშობით არაბს და მაჰმადიანობისაგან განდგომილს, საფრთხე მოელის არაბებისაგან. მაგრამ აბო, პროზელიტის გატაცებით — არ აქცევს ყურადღებას ამ გაფრთხილებას და ნერსესთან ერთად ტფილისში ბრუნდება.

აბო ტფილისში განცხადებულად მისდევს ქრისტიანობას. აბოს, როგორც არაბებისაგან განდგომილს და ქრისტიან ქართველებთან ერთობაში მყოფს, არაბები შეიპყრობენ და ციხეში ჩასვამენ. მცირე ხნის ტყვეობის შემდეგ, ქართლის ერისთავის გურგენის შუამდგომლობით, აბოს თუმცა ცოტა-ხნით გამოუშვებენ საპყრობილედან, მაგრამ არაბთა ხელახალი დასმენის შედეგად აბოს ხელმეორედ დაატუსაღებენ. აბოს გაასამართლებს ტფილისის ამირა. ამირა სცდილობს შთააგონოს აბო, რომ მას, როგორც ნამდვილს არაბსა და მაჰმადიანობაში გაზრდილს, არ შეჰფერის არაბთა ნაციონალური რელიგიის უარყოფა და ქრისტიან ქართველებთან ერთობა; ჰპირდება აბოს პატივსა და წარჩინებას. მაგრამ აბო ნეოფიტის სიმტკიცით სდგას ქრისტიანობაზე, და ეს მაშინ, როდესაც აბოსთან ერთად გასამართლებული ქრისტიანე და ქრისტიანეთა შთამომავალი — მუსულმანობაზე გადადის. როდესაც აბოს სიმტკიცეს ვერაფრით მოსდრეკენ, აბოს სიკვდილით დასჯას მიუსჯიან. აბოს ჯალათი თავს მოჰკვეთს. აბოს სხეულს გაიტანენ ქალაქს გარეთ, დასწვავენ ნავით, ხოლო მის დანატრებულ ძელებს ჩაჰყრიან მტკვარში, მეტეხის ხედიდან.

აბოს სიკვდილით დასჯა მოხდა 786 წელს, 6 იანვარს.



იოანე საბანისძის თხზულება გამსჭვალულია ღრმა პატრიოტიზმით. ეპოქა, რომელშიაც სცხოვრობდა ავტორი, და რომელსაც ეხება იგი თავის ნაწარმოებში, ეს იყო არაბთა მფლობელობის „ფამთა-სიავის“ ხანა.

¹ „ტმუტარაკანი“ მოხსენებულია აგრეთვე იგორის ლაშქრობის ცნობილ რუსულ ეპოსში.

² ნერსეს ვადმოსელა ხაზარეთიდან აფხაზეთში მომხდარა 781 წლის ბოლოს, და აქ ნერსე და მისი მხლებელნი დარჩენილან 782 წლის მეორე ნახევრამდე.

„ვართ ყურესა ამის ქვეყანისასა — სწერს ავტორი — მძლავრებისა ქვეშე (არაბთასა) დამონებულნი, და ნაკლულევენებითა და სიგლავრულნი ვითარცა რკინითა!“

ქვეყანა დენაციონალიზაციის გზაზე იყო შემდგარი. მუსულმანობის გავლენა თანდათან ძლიერდებოდა საზოგადოებაში, არაბიზაცია ეტყობოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს. ქართველობა ქრისტიანობის გავლენის შესუსტებასთან ერთად, — ხოლო ქრისტიანობა ამ ხანაში ქართველთა ნაციონალურ აღსარებას წარმოადგენდა, — ჰკარგავდა ეროვნულ სახესაც.

ავტორი ემყარება ქრისტიანობას, როგორც ეროვნული სახის შერჩენისა და განმტკიცების საშუალებას. ასეთ ასპექტში იძლევა ავტორი ქრისტიანობის აბოლოგიას. „ქრისტიანეთა სარწმუნოებაა დიდი მოძღვრებაა არს“ — ამბობს ავტორი, იგი მაღლა სდგასო ვიდრე მაჰმადიანობა, რომელიც ძალადობას ჰქადავდებოდა და არა სიმართლეს, რომელიც არისო „მახვილითა პყრობილი სჯული“.

და აი იმ ვარემოებას, რომ აბო, წარმოშობით არაბი, გადაუდგა არაბების „მახვილითა პყრობილს“ უსამართლო მოძღვრებას და შეუერთდა ქართველობას, ავტორი იყენებს როგორც მძლავრს საპროპაგანდო საშუალებას ეროვნული იდეის განსამტკიცებლად. ეს მოხდაო მაშინ, სწერს ავტორი, — როდესაც თითონ ქართველებიც კი ვერ იჩინენ სიმტკიცეს „და შიშითა განილევინ და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. ავტორი მისაბამ მაგალითად სახავს აბოს გმირობასა და სიმამაცეს და სცილილობს ამ მაგალითით „შერყეულნი ვანამტკიცოს“, ხოლო მტკიცენი კიდევ უფრო გაამხნევოს.

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ავტორი აკავშირებს საქართველოს — ქრისტიანობის გზით — დასავლეთის, საბერძნეთის დიდ კულტურულ მსოფლიოსთან. ქართველები არ არიან ბარბაროსნი, არამედ სწორნი ბერძენთა, აცხადებს ავტორი, „რამეთუ არ ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაა ესე (— დიდი მოძღვრება ქრისტიანეთა) შიბოვეს, არამედ ჩვენცა (ქართველთა), შორეულთა ამით მკვიდრთა!.. აჰა ესერა ქართლისა მკვიდრთაცა აქეთ სარწმუნოებაა“ — ეროვნული სიამაყის გრძნობით აცხადებს ავტორი, რომელიც საქართველოს საბერძნეთის გვერდით აყენებს და დასავლეთის კულტურული მსოფლიოს სწორ-უფლებიან წვევრად აღიარებს.

ასეთი იდეური მიზანდასახულობა იოანე საბანისძის თხზულებისა. ეს არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლთაგანი ძველ ქართულს მწერლობაში, რომელშიაც ეროვნული მიმართულება ასე მკვეთრად არის გამოხატული.

მაგრამ იოანე საბანისძის თხზულება წარმოადგენს არა მხოლოდ მნიშვნელოვან დოკუმენტს ძველი საქართველოს პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან, არამედ მაღალი რანგის ლიტერატურულ ნაწარმოებს.

აღსანიშნავია ნათელი არქიტექტონიკა ამ ძეგლისა, მისი შინაგანი განუყვეთელი მთლიანობა, მწყობრი მაგისტრალი მოთხრობისა, მკაცრად მიმართული ნაწარმოების ცენტრალური იდეის სრულყოფილი მხატვრული გამოვლენისაკენ. თავისი კლასიკური კეთილშობილი სტილით ეს ძეგლი უნებლიეთ გვაგონებს თავისი ეპოქის ქართული ხუროთმოძღვრების მონუმენტებს, ჰარმონიულის მთლიანობით აღბეჭდილთ.

როდესაც იოანე საბანისძის თხზულებას ვიზილავთ, პირველ რიგში დახაზ-გასმით უნდა აღინიშნოს მისი დამახასიათებელი მხარე: ეკლესიური მანერა წერისა. ამ მხრივ იოანე საბანის-ძე არის მემკვიდრე მე-8 საუკუნის კლდე ქართული მწერლის იაკობ ცურტაველის სალიტერატურო ტრადიციისა. ავტორი ავგიწერს თავისი გვირის თავგადასავალს ყოველგვარი მისტიური შეფერადების გარეშე, აქ მოცემულია ნამდვილი ცოცხალი მხატვრული საზეპროზელიტისა. ადრეულ საშუალ-საუკუნეთა მწერლობაში ასეთი რეალისტური მანერა წერისა არც ისეთ ხშირ მოვლენას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ავტორი გამოდის რეალიზმის შეგნებულ დამცველად და იდეოლოგიად ლიტერატურაში. ავტორი საჭიროდ სთვლის აღნიშნოს თავისი თხზულების შესავალში, რომ იგი მიზნად ისახავს მოგვეცეს „ქეშმარიტი და უტყუველი“ სურათი.

ავტორის მხრით ეს არ არის უბრალო დეკლარაცია. ისტორიული გარემო, რომელიც წარმოდგენილია ნაწარმოებში, დაბატულია დიდის სინამდვილით, ისტორიკოსის ნამდვილი სიზუსტით. არც ერთი ისტორიული ქრონიკა არ იძლევა ისეთს სრულსა და ნათელს სურათს მე-8 საუკუნის საქართველოს ისტორიული ვითარებისა, როგორც იოანე საბანის-ძის ნაწარმოები.

2.

მე-8 საუკუნის მოღვაწეთა შესახებ ბიოგრაფიული ლიტერატურის სხვა ძეგლები.

გარდა იოანე საბანის-ძის თხზულებისა ამავე ეპოქაში ქართულს ენაზე არსებული ბიოგრაფიული ქანრის სხვა თხზულებებიც.

ამათ რიცხვს ეკუთვნოდა ბიოგრაფია იოანე კათოლიკოსისა, მე-8 საუკუნის შუა წლების მოღვაწისა, რომლის დროსაც მოხდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადება (ანტიოქიის პატრიარქატიდან გამოყოფა). თვით იოანე კათოლიკოზი მონაწილე ყოფილა ამ აქტისა (იგი ანტიოქიაში იყო წარგზავნილი). აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, საშუალ-საუკუნეთა პირობებში საეკლესიო ავტონომიის მოპოვებას ჰქონდა არა მხოლოდ ვიწრო საეკლესიო მნიშვნელობა, არამედ პირველ რიგში ზოგად-პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენდა.

იოანე კათოლიკოზი, გარდა იმისა, რომ იგი საზოგადო მოღვაწე ყოფილა, ამასთან ცნობილი მწერალიც იყო, და მას საშუალ-საუკუნეებში იოანე ოქროპირს ადარებდნენ.

ამას გარდა ამავე ხანაში არსებული ბიოგრაფია არგვეთელ მოღვაწეთა დავითისა და კონსტანტინესი (რომელნიც სიკვდილით დასაჯეს არაბებმა მურვან-ყრუს შემოსევის დროს დასავლეთ საქართველოში მე-8 საუკუნის 30-იან წლებში), და ბიოგრაფია არჩილ მეფისა (რომელიც არაბებმა აწამეს მე-8 საუკუნის შუა წლებში).

არსებული აგრეთვე ბიოგრაფია სარმეან კათოლიკოსისა (მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა).

მაგრამ ამ მოღვაწეთა ბიოგრაფიებიდან ჩვენ დრომდე ვადაპრინილა ან მოკლე ექსცერპტები, ან-და შემდეგ დროში გადაკეთებულ-განაწესებულს პირები. პირველ-დედანი ბიოგრაფიებისა დაკარგულია, ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არაა¹.

3.

ბიოგრაფია კონსტანტი კახახა

თემა ამ ნაწარმოებისა ანალოგიურია იოანე საბანის-ძის თხზულების თემატიკასთან.

მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი — კონსტანტი-კახა ქართლის მთავარი იყო. 853 წელს, როდესაც არაბთა ჯარი ბულა-თურქის სარდლობით შემოვიდა კავკასიაში და აიხრა სომხეთი და ქართლი, — კონსტანტი კახა, ამ დროს უკვე ღრმა მოხუცებაში მყოფი (იგი 85 წლისა ყოფილა) — დაატყვევეს არაბებმა, როგორც ბულა-თურქის საწინააღმდეგო კოალიციის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე, — „შეიპყრეს ზელად ვითარცა წინამძღვარი და წარჩინებული ყოვლისა ქვეყანისა ქართლისა... და შებორკილეს იგი და ეგრეთ წარიყვანეს ქალაქად ტფილისად და შეაყენეს იგი საპყრობილესა“. ტფილისში მოხუცი კახა დიდხანს არ გაუჩერებიათ; „შემდგომად მცირედთა დღეთა შეკრეს იგი ფიცხელითა საკრველითა რკინისადათ და წარსცეს იგი ქვეყანად ბაზილოვნისა, ქალაქსა, რომელსა ჰრქვიან სამარია, მოკვარეს იგი მეფესა ისმაილელთასა (არაბთასა), რომელსა ერქვა ჯაფარ ძე აბრაჰამისი“. ბაზილონში კახა, როგორც არაბთა წინააღმდეგომი, სიკვდილით დასაჯეს იმავე 853 წელს, 10 ნოემბერს.

კახას ბიოგრაფიის ბოლოში მოყვანილია ეპისტოლე ბიზანტიის დედოფლის თეოდორასი და იმპერატორის მიხეილისა, რომელიც მათ გამოუგზავნიათ კახას მემკვიდრეთათვის, და რომლითაც ისინი ამხნევებენ არაბობისაგან შევიწროებულ ქართლის ქვეყანას.

კახას ეს ბიოგრაფია დაუწერია თანამედროვე მწერალს, იმავე 853 წლის ახლო ხანებში (853 — 856 წლებს შორის).

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი თანამედროვე ყოფილა, მისი ნაწარმოები ფაქტიური მასალების მხრით საკმაოდ ღარიბია. ავტორი მხოლოდ გაკვრით ეხება ბულა-თურქის ლაშქრობას, არაფერს ამბობს იმ დიდ ბრძოლებზე, რომელიც ამ დროს სწარმოებდა საქართველოსა და სომხეთში, არ იძლევა ეპოქის გაშლილ სურათს. ავტორს თავისი მოთხრობა უმთავრესად შემოუფარგლავს კახას ქველმოქმედების აღწერითა და შემდეგ მისი მოწამებრივი აღსასრულის გადმოცემით.

ამიტომაც სურათი საკმაოდ მკრთალი გამოდის. თხზულება მოკლებულია იმ პოლიტიკურ სიმძაფრეს, რომელიც გადმოსჩქეფს იოანე საბანის-ძის თხზულებიდან.

¹ დამატებით იხ. სქოლიო 3.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

4.

ბასილი ზარზმელი.

ბიოგრაფია სერაპიონ ზარზმელისა.

ბასილი ზარზმელს დაუწერია ბიოგრაფია სერაპიონ ზარზმელისა, რომელშიაც მოთხრობილია სამონასტრო კოლონიზაციის ისტორია მესხეთის პროვინციაში მე-9 საუკუნეში.

ეს ბევრნაირად საყურადღებო ნაწარმოები სამწუხაროდ გადაკეთებულის სახით შენახულა.

პირველი დედანი ამ ნაწარმოებისა, რომელიც ბასილი ზარზმელის კლამს ეკუთვნოდა, დაწერილი ყოფილა მე-9 საუკუნის ბოლოს, 886 წლის ახლო ხანებში; ხოლო უფრო გვიან, მე-11 საუკუნეში, რომელიც მწერალს მოუხდენია ბასილი ზარზმელის თხზულების „გადამეტაფრასება“, შეუტანია მასში წმინდათა ცხოვრებებში მიღებული ტრაფარეტის მიხედვით რედაქციული ცვლილებები.

ტექსტის ანალიზიდან ირკვევა, რომ ეს შემდეგ-დროინდელი რედაქცია არ ყოფილა არსებითი ხასიათისა, რომ მოთხრობის გეგმა და ფაქტიური მხარე უცვლელად არის შერჩენილი.

მაინც მოთხრობის სტილს რედაქტორის ხელში განუცდია ერთგვარი გაუპიროვნება, მას დაკარგული აქვს ინდივიდუალური კოლორიტი, ამასთან ტრაფარეტული ხასიათის ჩანარტები მოთხრობის მხატვრულ ღირებულებას საგრძნობლად ამცირებს.

მიუხედავად ამისა, ეს ნაწარმოები არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც პირველხარისხოვანი წყარო ძველი საქართველოს სოციალური ისტორიისათვის. როგორც აღვნიშნეთ, ფაქტიური მხარე მოთხრობისა უცვლელად არის დატოვებული. მოთხრობაში წარმოდგენილია სურათი აღრეული ფეოდალიზმის სოციალურ ურთიერთობათა. მაღალ სოციალურ ფენებთან აქ წარმოდგენილია დაბალი ფენები, გლეხობა. მოცემულია ყოფაცხოვრების ცოცხალი სურათები.

5.

სტაფანი მტბევაძე.

ბიოგრაფია გიორგისა.

გიორგი მერჩული, გამოჩენილი ქართველი მწერალი მე-10 საუკუნისა, რომლის შესახებ ქვემოთ გვაქვს საუბარი, თავის თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელი“ — ასახელებს ოთხს ცნობილს ავტორს, რომელთაც თავი უსახელებიათ ბიოგრაფიული ლიტერატურის დარგში. ესენია: სოფრონ შატბერდელი, ილარიონ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი და სტეფანე მტბევაძე. მე ვფიქრობდიო, — სწერს გიორგი მერჩული, — რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას ასწერდნენო ეს განთქმული მწერლები, „ბრძენი და სრულნი“, შატბერდელი სოფრონ, პარეხელი ილარიონ, მაწყვერელი გიორგი და მტბევაძე სტეფანე; და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი

გარდაიცვალენ. გავბედო შეესდგომოდი გრიგოლ ხანძთელის პირველი ნაბეჭდი ალწერასო.

ეს მწერლები, როგორც ირკვევა, მე-9 საუკუნის დასასრულს, ანუ 910-10 საუკუნის პირველი ნახევრის ავტორები ყოფილან.

ამთავან პირველი სამი ავტორის: სოფრონ შატერდელის, ილარიონ პარხელისა და გიორგი მაწყვრელის თხზულებანი დაკარგულია. ხოლო მეოთხე ავტორის სტეფანე მტბევარის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან გადაარჩენილა ერთი ძეგლი: ბიოგრაფია გობრონისი.



საგანი სტეფანე მტბევარის თხზულებისა არის არაბთა ლაშქრობა საქართველოსა და სომხეთში 914 წელს. ეს იყო არაბთა უკანასკნელი დიდი ლაშქრობა კავკასიაში.

მოთხრობის ცენტრალური ფიგურა არის გობრონი, ქართველი მხედართმთავარი, რომელიც არაბთა შემოსევის დროს იცავდა მესხეთის მთავარ სიმაგრეს ყველის-ციხეს, და გმირულად დაიღუპა 133 ქართველ მხედართან ერთად.

სტეფანე მტბევარს ეს თხზულება — ბიოგრაფია გობრონისი — დაუწერია 914 წლის ახლო ხანებში, არაბთა შემოსევის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ¹.

ის დიდი შეფასება, რომელსაც აძლევს სტეფანე მტბევარს, როგორც მწერალს, მისი უმცროსი თანამედროვე გიორგი მერჩული, არ არის ზედმეტად გადაჭარბებული.

სტეფანე მტბევარი დიდი ტემპერამენტის მწერალია. გობრონის ბიოგრაფია დაწერილია დიდის ექსპრესიით და კოლორიტული სტილით.

საგულისხმოა პოლიტიკური კონცეპცია ავტორისა. თხზულებას გასდევს არა მხოლოდ ანტი-არაბული, არამედ ანტი-სომხური ტენდენცია.

ანტი-სომხური განწყობილება ავტორისა აიხსნება იმდენად სარწმუნოებრივი განკერძოებით არა, რამდენადაც პოლიტიკურის მოტივებით. აქ საჭიროა შოგიგონოთ, რომ საქართველოსა და სომხეთის ფეოდალური სამთავროები ამ დროს უკვე პოლიტიკურად მოღონიერებულნი იყვნენ, და სწორედ ამ ხანაში ადგილი ჰქონდა გამწვავებულს მეტოქეობას მათ შორის: ორივე მხარე ესწრაფოდა პოლიტიკური უპირატესობის მოპოვებას ცენტრალურ კავკასიაში.

ავტორი არ იშურებს შავ ფერებს სომხეთის დასახასიათებლად, იგი სომხეთს არც კი სთვლის ღირსად ჩასთვალოს ქრისტიან ქვეყნებს შორის და კადნიერად ამბობს, რომ მათთვის — თვით ქრისტე ცუდად მოკვდაო!

ძველ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა სახით — იგი ამზილებს სომხეთს:

„ესრეთ სცოდა დიდმა სახლმან სომხითისამან, ვითარცა თქვა იერემია წინასწარმეტყველმან გოდებათა შინა მისთა: „შეაწუხეს სული წმიდაჲ, და საქმითა ბილწებისაჲთა გარდარეულად განარისხეს შემოქმედი თვისი“... ამის-

¹ თხზულება დაწერილია ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 918 წლისა, რადგან მისი დაწერის დროს ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა აშოტ მეფეთის ერისთავთ-ერისთავი, რომელიც 918 წელს გარდაიცვალა.

თვის ძირი იგი სიმწარისაა დაენერგა მათ შორის, და ღვარძლად იგი სრბაროტისაა აღმოსცენდა, და ცოდვად იგი წველებისაა აღორძნდა, და ნაყოფი იგი წარწყმედისაა გარდაემატა!.. რამეთუ მიწად იგი სომხითისაა და წველებითა უკეთურებითა საესე, რომელსა შინა არა იპოვა თავისა მიწისდრეკელსა ქრისტესი, რომელთათვის ქრისტე ცუდად მოკვდა!“

ავტორს სურს შთააგონოს მკითხველი, რომ ის აოხრება, რომელიც განიცადა სომხეთმა არაბთა შემოსევის დროს — ღვთაების განგებით მოწვეული სასჯელი იყო. ავტორი სწერს:

„და მიშვებითა ღმრთისაათა აღიძრა მეფე სარკინოზთა (არაბთა) სახელით აბულკასიმ, ძე აბულსაჯისი ამირისა, უფალი სპარსეთისა, რომელსა ჰმონებდა სამოცი ქალაქი დიდ-დიდი და შვილნი მეფენი მორჩილებდეს ძლიერნი. ესენი აღჭურა ერთა მრავლითა, კაეტებითა რჩეულითა, რომელთა ჰყვნდა ათასეული და ბევრეული, შევიდა (სომხითს) ქალაქსა დგინისასა, და ოხრაა გულისწყრომისა მათისაა მოასწავებდა ოხრებასა სომხითისასა, ვითარცა ნინეველთა დაქცევასა! და რათამცა შეინახეს ამითცა?! (არა, რამეთუ) გულნი მათნი განფიცებულ იყვნეს ვითარცა რვალი, და დაყინებულ ვითარცა სამყარო, რამეთუ ცოდვად წველებისა მათისაა დაწერილ იყო ფიცარსა მას რკინისასა, ფრცხილითა ანდამატისაათა!.. ემსგავსა სახლი იგი სომხითისაა კაცსა მას უგუნურსა, რომელმან დადვა სახლი საფუძველსა ზედა საცთურებისასა, და ქვიშასა დაწვლილებულსა, და ვითარ აღდგეს კვეთებანი — დაეცა, და დაეცა მისი იყო დიდ ფრიალ!“

ავტორს არ უნდა დაინახოს, რომ სომხეთის დაცემა საქართველოსაც უმზადებდა განსაცდელს.

და ამას გარდა, არაბთა შემოსევის დროს, სომხეთთან ერთად საქართველომაც განიცადა აოხრება! მაგრამ ამას ავტორი სხვანაირ განმარტებას აძლევს.

თუ ავტორი ასეთს შეურიგებლობას იჩენს სომხეთისადმი, მით უფრო კიდევ მეტის შეურიგებლობით არის იგი გამსჭვალული არაბებისადმი და არ იშურებს რისხვას მათთვის.

ავტორი ახასიათებს არაბებს როგორც ველურს ბარბაროსებს და კოლორიტულ ფერებში აგვიწერს არაბებსა და მათ ქვეყანას:

„ესე დაშენებულ არს შორის უდაბნოთა ვრცელთა, რომელთა შორის დამკვიდრებულ არიან კაცნი მხეცისა ბუნებისანი, მტაცებელნი, რომლისა სახლი არს და ცხოვრება აქლემისა ზურგი...“

ავტორი სთვლის არაბებსა და სპარსებს განსახიერებად იმ აკოპალიპტიური ცხოველებისა — მგელისა, ვეფხვისა, დათვისა და ლომისა, — რომელთა შესახებ საუბარია ბიბლიაში.

„მგლად და ვეფხვად სიბოროტისა მათისა მძენეარებასა იტყვის, მხეცისა სახედ მოსწარაფედ დათხევასა სისხლისა... დათვად მოასწავებს სპარსთა მეფობასა ბაბილოვნს, ლომად სარკინოზთა (არაბთა) მეფობასა ბაბილოვნისასა“.

ავტორი სევამს ასეთს საკითხსაც, თუ როგორ მოხდა, რომ ამ ველურმა და უსჯულო ბარბაროსებმა დაიპყრეს მორწმუნეთა ქვეყნები, — და ამას პროვლენციალურ განმარტებას აძლევს.

ჩვენი მწერალი ძველ ბიბლიურ წინასწარმეტყველებს ემსგავსება იმითაც, თუ როგორ აქვს მას წარმოდგენილი მომავლის იდეალი.

სტეფანე მტბევარი აღიარებს, რომ ომი უსამართლობებშია მომავალში ომი უნდა მოისპოს. იგი იმოწმებს ბიბლიის სიტყვებს: „დასჭირდეს მახვილებსა მათსა ნამვლად და ლახვრებსა მათსა სახნისად“. მოვა დრო და ომი გადავარდება „და არღარა ისწავებდენ მერმე ბრძოლასა, ვითარცა აწ ყოვლადვე არა ეკადრების ქრისტიანეთა აუფად მახვილისა პურობა და არცა მხედარი აღჯდომად ცხენსა“. ყველანი გაერთიანებიან ერთ ოჯახად: „მაშინ ძოვდენ მგელნი კრავთა თანა, და ვეფხი განისვენებდეს თიკანთა თანა, ხზო და (დათვი), და კურო და ლომი ერთად სძოვდეს“.

ასეთია მსოფლმხედველობა სტეფანე მტბევარისა, ამ კოლორიტული ლიტერატურული ფიგურისა, რომელიც ძველ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ორეულს წარმოადგენს ქართულ მწერლობაში.



დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ სტეფანე მტბევარის თხზულება ინტერესს წარმოადგენს არა მხოლოდ როგორც საყურადღებო ლიტერატურული დოკუმენტი თავისი ეპოქისა, საშუალ-საუკუნეთა მსოფლმხედველობის სპეციფიკით, არამედ როგორც ისტორიული ძეგლი, რომელშიაც აღბეჭდილია ისტორიული გარემო, — ცხოველი სურათი არაბთა ლაშქრობისა, ომისდროინდელი სცენები და სხვ.

ავტორი ასე აგვიწერს გარემოცვას არაბების მიერ მესხეთის ციხე-სიმაგრის ყველი ს-ციხისა, (რომელიც იცავდა არტაანის მხარიდან გადმოსავალ გზებს აქარას და შავშეთ-კლარჯეთში ერთის მხრით, და ზემო სამცხეში მეორეს მხრივ):

„მოვიდეს (სპანი არაბთა), და მოადგეს ციხეს მას ყველისასა, გარე შეადგეს კარვები იგი მათი, ვითარცა თოვლი, რომელნი ზუთისა სოფლისა საზღვართა ოდენ ეტივენეს იწრობითა. და საბელნი იგი კარვებისა მათისაა განეთხზნა ურთიერთას, რამეთუ ესე იყო ჩვეულებად დადგრომისა მათისაა... ესრეთ განემზადნეს ბრძოლად ფილეკიანებითა¹ მათითა, და სიმრავლე ტყორცებულთა მათ ისართა შეიპყრობდა ჰაერსა მზისასა, რომელსა აქვნდა ასეული ტვირთი აქლეშისა ისარი ოდენ, და აგრეთვე პოროლი“...

როდესაც არაბებმა არტაანის მხარე დაიპყრეს და ყველის-ციხეს მოადგნენ, ზაფხული იდგა და მოსახლეობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მომიკლი ყანები და აღებული მოსავალი. შიმშილისაგან შევიწროებული ხალხი აღარ ერიდებოდა მტრის ლაშქარის თარეშსა და მაინც ვადიოდა არაბთა ჯარების მიერ გადათელილ ყანებში თავთავის ასაკრებად. „და ოდესმე გამოუტყვენიან (არაბთა) სიმრავლენი იგი (სპათა თვისთა) ზღვარსა არტაანისასა, და რომელნი პოენიან თავთავისა მკრებელნი და მსხვერტელნი ყანობირისა მათისანი, — რომელნი შიშსა სიკვდილისასა შეურაცხ-პყოფდეს, — შეკრიბნიან მახლობელად ციხესა მას... და დაჭრნიან ხორცი მათნი“.

არაბების მიერ დაჭერილი პროვინციებიდან გადმოხვეწილი ლტოლვილებით აღვსილა აქარა და შავშეთი. „ურციხენი იგი ერნი მართლმადიდებელთანი

¹ ფილეკიანები — კატაპოლტი (ციხის სანგრევი მანქანა).

აქარას და შავშეთს შეწყვედი იყენეს, რომელნი ვითარცა მკალში მოსკამდეს ფურცელსა ხეთასა და მწევანვილოვანსა ქვეყანისასა. ერეკლე II

ასეთია ეს სურათები არაბთა შემოსევის „უამთა-სიბჭისა“ მსმგვდელი სტეფანე მტბევიარის თხზულებაში.

6.

გიორგი მერჩული.

გიორგი მერჩული მე-10 საუკუნის მწერალია. მისი თხზულება „გრიგოლ ხანძთელი“ — დაწერილია 950 წელს.

ამ ეპოქაში, მე-8 — 11 საუკუნეთა ქართულს ლიტერატურაში არის რამდენიმე მწერალი (— ზოგ მათგანს უკვე გავეცანით —), რომელთა ლიტერატურული შემკვიდრებდა ახალს ერას აღნიშნავს ქართული მწერლობისა და ქართული კულტურის ისტორიაში: იოანე საბანის-ძე, მწერალი დიდი დიპაზონისა, რომელიც ამკვიდრებს ეროვნულს მიმართულებას ქართულს მწერლობაში; იოანე საბაწმიდელი — ავტორი ბალაჰვარის რომანისა; ათონის სკოლის კორიფეები — ეფთიმე იბერიელი, გიორგი მთაწმიდელი, გიორგი მცირე-ამ დიდი მწერლების პლეადას ეკუთვნის გიორგი მერჩული.

ხოლო როგორც მხატვარს, როგორც წმინდა ლიტერატურულ ტალანტს, გიორგი მერჩულს შესაძლოა მიეკუთვნოს საპატიო სახელი ეპოქის პირველი მწერლისა.

გიორგი მერჩულმა „გრიგოლ ხანძთელი“-ს სახით შექმნა დიდი მხატვრული ტილო, ნაწარმოები, რომელშიაც ასახულია მთელი ეპოქა.



გიორგი მერჩულმა როგორც ფორმა თავისი ნაწარმოებისათვის გამოიყენა ძველ-ქართულ ლიტერატურაში შემუშავებული ბიოგრაფიული ენარი. მაგრამ ამ ენარის ფარგლები მან გააფართოვა და მისი ნაწარმოები წარმოადგენს უფრო დოკუმენტალურ რომანს, ვიდრე ჩვეულებრივი ტიპის ბიოგრაფიული ენარის ნაწარმოებს.

ცენტრალური ფიგურა გიორგი მერჩულის მოთხრობისა არის გრიგოლ ხანძთელი, გამოჩენილი ისტორიული მოღვაწე მე-8 — 9 საუკუნისა, მწერალი, ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი იმ დიდი კულტურული მშენებლობისა, რომელიც სწარმოებდა დასავლეთ მესხეთში მე-8 — 9 საუკუნეებში. მაგრამ გრიგოლ ხანძთელის გვერდით აქ წარმოდგენილია მთელი პლეადა პერსონაჟებისა, მთელი გაღერვა ისტორიულ მოღვაწეთა. გიორგი მერჩულის ნაწარმოები ეს არის ფართოდ გაშლილი ისტორიული ქრონიკა მე-8 — 10 საუკუნის საქართველოსი, ასახული დიდი მხატვარის მიერ.

მემატიანის სიზუსტე და დოკუმენტალობა ისტორიული ფაქტების გადმოცემისას, და ამავე დროს ნამდვილი მხატვრული სრულყოფა დახატული სახეებისა ჰქმნის ამ ნაწარმოებს დოკუმენტალური მხატვრული პროზის უბრწყინვალეს ძეგლად.

არც ერთი მხარე ძველი საქართველოს საზოგადოების ცხოვრებისა არ რჩება მწერლის მხედველობის გარეშე. ჩვენ აქ ვეცნობით საშუალ-საუკუნეთა 9. „მნათობი“, № 9

ქართულს სამონასტრო და საეკლესიო ცხოვრებას. ვეცნობით საქართველოს სამეფო კარს. ამ დოკუმენტალურ რომანში ასახულია მაღალმწიფე და მაშტალო ფეოდალური წრე, და ამის გვერდით დაბალი სოციალურ-სტრუქტურული ფართე პანორამა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, — ვეცნობით კულტურული მშენებლობის ისტორიას, პოლიტიკური ისტორიის ამბებს, ეპოქის ლიტერატურულ გარემოს. ჩვენ აქ ვისმენთ საშუალ-საუკუნეთა ადამიანების საუბარს იმ საკითხებზე, რომელიც მათ აინტერესებდათ და აღელვებდათ.

რომანში მოცემულია ყოფა-ცხოვრების სურათები, დანახული მხატვარის მახვილი თვალით. ჩვენს წინ იშლება ოჯახური ტრაგედია — აწერილი ნამდვილი რეალისტი რომანისტის მიერ. ვესწრებით პაექრობა-კრებებს. ვხედავთ ყანის მკის სურათს, მონადირეებს, მონასტრის დასანჯრევედ მოსულს სოფლის მოსახლეობას. ვესწრებით კათოლიკოზის არჩევნებს, ვისმენთ თათბირსა და გაცხოველებულ კამათს იმის გამო, თუ რამდენად კანონიერია „მძლავრად“ არჩეული კათოლიკოზის დატოვება საქართველოს საკათოლიკოზო ტახტზე. ეკითხულობთ წერილებს, მოწერილს ქართული საზღვარგარეთელი კოლონიიდან და სხვა.

ასეთია ის დიდი მხატვრული ტილო, რომელიც დაგვიხატა გიორგი მერჩულმა, ისტორიულ-მხატვრული ეპოპეა, რომელშიც ასახულია ეპოქა. აქ ჩვენს წინაშე ცოცხლდებიან გადასული ეპოქის ადამიანები, ჩვენს წინაშე გაივლიან სახეები, აღვსილნი იმ ნამდვილი სიცოცხლით, რომელთაც მათ უკვდავი ხელოვნება ანიჭებს.



როდესაც ჩვენ ვიხილავთ გიორგი მერჩულის ნაწარმოების სპეციფიკას, აქ საჭიროა ცალკე აღვნიშნოთ კერძოდ ერთი მხარე მერჩულის შემოქმედებაში — რომანიული თემის დამუშავება. ეს თემატიკა ადრეულ საშუალ-საუკუნეთა ქართულს მწერლობაში არ გვხვდება (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჰავიოგრაფიულ პოემას „აბუკურა“, სადაც ეს თემა მხოლოდ მკრთალად არის მოხაზული). გიორგი მერჩული ამ ახალი თემატიკით — რომანიული თემის მხატვრული დამუშავებით — წინ უსწრებს თავის ეპოქას, იგი ეხმარება შემდეგი ხანის, რუსთაველის ეპოქის მე-11 — 13 საუკუნეთა ქართულს ლიტერატურას.

რომანი აშოტ დიდისა, გადმოცემული გიორგი მერჩულის ნაწარმოებში, ეს არის ცალკე ნოველა, დიდის დრამატიზმით დამუშავებული, დაწერილი სრულყოფილი ხელოვნებით. რომანში აღბეჭდილია ღრმა სიყვარულის გრძნობა, რომელიც ადამიანს, მოშორებულს სატრფოსაგან, წარმოათქმევინებს სიტყვებს: „ნეტარ არს ჯაცი, რომელი არა ცოცხალ არს!“

მეორე რომანში, ადარნერსეს რომანიულ ისტორიაში, — ოჯახური ტრაგედიის ფონზე, მოცემულია მოშობილავი სახე ქალისა, რომლის სათნო მოსიყვარულე გული ვერ შესცვალა განცდილმა ტრაგედიამ.



როდესაც ჩვენ გიორგი მერჩულის ნაწარმოების სპეციფიკას ვიხილავთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აგრეთვე ერთი მხარეც გიორგი მერჩულის შე-

მოქმედებაში, — ბუნების ღრმა გრძნობა, რომელიც აღბეჭდილია გიორგი მერჩულის რომანში. ბუნების გრძნობა იშვიათი მოვლენაა საშუალოდუნეობის მწერლობაში, არა მარტო ქართულში, არამედ საერთოდ საშუალოდუნეობის სხვა ლიტერატურებში.

გიორგი მერჩულის რომანში მოცემულია არტისტიკულად დახატული ქართული პეიზაჟი, რეალისტურ ფერებში შესრულებული.

მოგვეყვას აქ მერჩულის სტილის გასაცნობად აღწერა „კლარჯეთის უდაბნო“-სი, მესხეთის მთიანი მხარისა. (ტექსტი წარმოადგენს ოდნავ რიტმიზებულს, კადანსირებულ პროზას).

„დაღათუ ფრიად განვაშრავლო სიტყვაჲ, ვერეე მისწვთების გონებაჲ ჩემი ყოველსა მას უდაბნოთა მათ სიკეთესა...“

რამეთუ ბუნებით ერთ-გვამ არს ქვეყანაჲ უდაბნოთა მათ, და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა,

რამეთუ არცა ფრიადი სიციხე შესწავს მათ, და არცა გარდარეული სიცივე შეაურვეებს მყოფთა მისთა,

არამედ განწესებით დგას თვისსა საზღვარსა, უნოტიოჲ, უხორშაკოჲ, უმიწოჲ, მზვარე,

რამეთუ ნახჭუნი (ტერფნი) ფერხთანი არაოდეს თიხიან ექმნებიან სლვასა მათსა!

ხოლო წყალი კეთილი, და (ხენი), ნებისაებრ უნაკლულოდ აქვს აღმოცენებული ქვიშათა მათ შინა,

ურიცხვი მალნარი, და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ, ბუნებით მხიარულებჲა მოცემულ არს ღმრთისაგან.

და არს იგი უგზო და მიუვალ რამათურთით სოფლისა წესთა მცხოვრებელთაგან,

რამეთუ ღადოთა მათთა შინა მალალთა არს მკედრობჲა მათი,

და მორტყმულ არს ერთკერძო მთაჲ იგი,

და ერთკერძო შევშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვჲა გარემოადგს ზღუდის სახედ უძრავისა.

და ესრეთ ყოვლით კერძო შეზღუდვილ არიან მათთა მიერ, და ხეივანებისა, და წყალთა მათგან, საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაჲსა.

და (უდაბნოთა) მათ შინა არა არს სათიბელი ქვეყანაჲ, არცა ყანაჲ სახნავი, არამედ დიდითა შრომითა როჭიკისა (სანოვაგისა) მისლვა აქვს კარაულისა (სახედრისა) ზურგითა.

და მკირედ ვენახნი ჭირით და ურვით დაუნერგვიან, და ეგრეთვე მტილები (ბალნი), ხოლო მხალთა ველისათაჲ არს სიმრავლე ურიცხვი“...



გიორგი მერჩულის თხზულებას წარუვუვალ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულს ლიტერატურაში მისი ნამდვილი ნაციონალური კოლორიტი.

ქართული ლიტერატურის ისტორიის მანძილზე ცოტაა თხზულება, რომელიც აღბეჭდილი იყვეს ასეთი განუმეორებელის ორიგინალობით, ნამდვილი ნაციონალური ელფერით. გიორგი მერჩულის რომანს დიდი ნაციონალური

ნაწარმოების სახეს ანიჭებს არა მარტო მისი ქართული თემატიკა, არამედ ამასთან ერთად მისი უნიკალური პოეტური ფორმა.

აქ რამდენიმე შენიშვნა გიორგი მერჩულის ენის შესახებ. **ქვემოთაა**
 ძველ-ქართულ სალიტერატურო ენას — როგორც ენახეთ — დიდი ისტორია აქვს. კლასიკური ნიმუშები ძველი ქართული ენისა მოცემულია უკვე მე-4 — 5 საუკუნის ქართულს მწერლობაში. გიორგი მერჩულს ჰყავს ისეთი დიდი წინამორბედნი, ძველი ქართული ენის ისეთი ბრწყინვალე ოსტატები, როგორც იაკობ ცურტაველი (მე-5 საუკ.), იოანე საბანის-ძე (მე-8 საუკ.), ან-და ისეთი თანამედროვენი და შემკვიდრენი როგორც მე-9 — 10 საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები (პირველ რიგში მიქაელ მოდრეკილი), და ათონის სკოლის დიდი მწერლები. ყველა ამ მწერლებს აქვს თავისი საკუთარი ხმა.

მაგრამ გიორგი მერჩული ძველი ქართული ენის განვითარებაში აღნიშნავს ნამდვილს მწვერვალს. საშუალ-საუკუნეთა ქართულს ლიტერატურაში იმ მწერლებიდან, რომლებიც წინ უსწრებენ შოთა რუსთაველს, გიორგი მერჩულს სამართლიანად უნდა მიეკუთვნოს სახელი ქართული ენის უდიდესი ოსტატისა.

მერჩულისა და რუსთაველის ქმნილებებში ჩვენ გვაქვს ქართული ენის ორი სხვადასხვა ფაზის, ძველი და ახალი ქართული ენის ყველაზე სრულყოფილი განსახიერება. მერჩული ამთავრებს ერთ ეპოქას, რუსთაველი ხსნის მცორეს. მერჩულმა — მთელის ბრწყინვალეობით გამოავლინა მუსიკალური სტიქიონი ძველი ქართული ენისა, ხოლო რუსთაველმა, ამ მძლე ნოვატორმა, ახალი ჰედი მისცა ენას, მოახდინა ახალი ქართული ენის სრულყოფილი ორგანიზაცია, და გახდა ფუძემდებელი ახალი ლიტერატურისა როგორც თავისი ახალი მსოფლმხედველობით, ისე თავისი ფორმითაც.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ ვარემოებას, რომ ჩვენ აქ ერთ პლანში ვახსენებთ მერჩულისა და რუსთაველის სახელებს მხოლოდ როგორც ენის არტიკტებისას, სხვა მხრივ, ცხადია, მათი შედარება რაიმე ხაზით უმართებულო იქნებოდა. რუსთაველი — ეს არის უნივერსალური გენია, ხოლო მერჩული, — თუმცაღა მერჩულს სრულის უფლებებით უნდა მიეკუთვნოს სახელი დიდი და ბრწყინვალე ტალანტისა, — მაინც ბევრად ნაკლები დიაპაზონის მწერალია. გიორგი მერჩული საშუალ-საუკუნეთა ტიპიურ მწერლად რჩება, მისი იდეების წრე საშუალ-საუკუნეთა მსოფლმხედველობის რაკალშია მოქცეული. ხოლო რუსთაველი, ეს ტიტანიური ფიგურა, არა მარტო უბრწყინვალესი მხატვარია, რომლის მსგავსი — ეს შეიძლება გადაჭრით ითქვას — არ იცის საშუალ-საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურამ, არამედ ამავე დროს ახალი ზოგად-კაცობრიულ იდეალების დიდი მგოსანი. რუსთაველი, ჰუმანიზმის იდეებით შთაგონებული, სჭერტს ახალ ეპოქას, და მძლე ხელით ხსნის ახალი ეპოქის კარებს.

7.

80-11 საუკუნის ძეგლები.

გიორგი მერჩულის შემდეგ ბიოგრაფიული ქანრის ლიტერატურა გაძლიდრდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოებით. ამათ რიცხვს ეკუთვნის მე-11 საუკუნის ძეგლები:

1. ბიოგრაფია იოანე და ეფთიმე იბერიელთა და ისტორია ათონის ქართული კოლონიისა, რომელიც დასწერა გამოჩენილმა ქართველმწერალმა გიორგი მთაწმიდელმა მე-11 საუკუნის 40-იან წლებში.

2. ბიოგრაფია გიორგი მთაწმიდელისა, დაწერილი მისი მოწაფის გიორგი მცირის მიერ 1065 წლის ახლო.

3. ბიოგრაფია ილარიონ ქართველისა.

პირველი ორი ძეგლი—გიორგი მთაწმიდელისა და გიორგი მცირის თხზულებანი, რომლებიც ქართველ მწერალთა ბიოგრაფიებს შეიცავს, წარმოადგენს ერთგვარ გარდამავალ სახეობას საკუთრივ ისტორიის დარგსა და ისტორიულ-მხატვრულ ჟანრს შორის. ამის გამო მათ ქართული ისტორიოგრაფიის ძეგლებთან განეხილათ.

აქ ორიოდ სიტყვა მესამე ძეგლზე.—ილარიონ ქართველის ბიოგრაფიაზე. ილარიონ ქართველი, მთავარი მოქმედი პირი ამ ნაწარმოებისა, მე-9 საუკუნის მოღვაწე იყო (დაიბადა 816 წელს, გარდაიცვალა 882 წ.). მას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართულ-ბიზანტიური კულტურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. ილარიონი, რომელიც ჯერ საქართველოში და პალესტინაში მოღვაწეობდა, შემდეგ დამკვიდრდება ბიზანტიაში, (— იმოგზაურა რომშიაც, სადაც დაჰყო ორი წელი). ბერძნულ მცირე აზიაში, კონსტანტინეპოლის ახლო, ულუმბოს მთაზე, მან დააარსა ქართული კოლონია. მის შემდეგ, ილარიონის მოწაფეებმა მე-9 საუკუნის 80-იან წლებში თვით კონსტანტინეპოლში დააარსეს ქართული მონასტერი, „რომანა“-ს სახელით ცნობილი, რომელიც წარმოადგენდა ქართულ-ბიზანტიური კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს ამ ეპოქაში.

ილარიონ ქართველის მოწაფეებს ადრევე დაუმსახურებიათ ავტორიტეტი ბიზანტიაში, და როგორც ვაძმოვეცემს ბიოგრაფი — თვით ბიზანტიის იმპერატორს ბასილი 1 მაკედონელს (867—886 წ.) მიუყვანია ილარიონის მოწაფეთათვის თავისი შვილები ლიონ და ალექსანდრე (— შემდეგ ბიზანტიის იმპერატორები: ლეონ VI, ბრძნალ წოდებული, და ალექსანდრე I), და დაუვალეზია ილარიონის მოწაფეთათვის — „ასწავეთ წიგნი და ენა თქვენი“, ქართული ენა და მწიგნობრობა შესწავლეთ ბიზანტიელ უფლისწულებსო.

ილარიონ ქართველის ბიოგრაფია პირველად დაუწერია მე-9 საუკუნეში ბერძნულად „ბასილი პროტოასკრიტს და ფილოსოფოსს“ (ასეა მოხსენებული იგი ტექსტში), ხოლო მე-11 საუკუნეში უცნობ ქართველ მწერალს, ბასილის თხზულებისა და ქართული წყაროების გამოყენებით, დაუწერია ილარიონის ბიოგრაფიის ჩვენ დრომდე მოღწეული ქართული ტექსტი.

თხზულება არ არის მოკლებული მნიშვნელობას, როგორც ამსახველი ქართულ-ბიზანტიური კულტურული ურთიერთობისა ამ ეპოქაში.

თავი მეთხუთსი

ჰიმნოგრაფია

ჰიმნოგრაფია — საეციფიური დარგია საშუალ-საუკუნეთა პოეზიისა, როგორც შინაარსით, ისე ფორმით. ჰიმნები — ეს პოეტური საგალობლებია ქრის-

ტიანულის ელფერით: ლოცვა-ფსალმუნნი, ქება (ოდა) ქრისტიან მოღვაწეთა, ჰიმნები — შესხმანი, რომელთა თემატიკა მომდინარეობს ქრესტიანობის ქრისტიანობისა და რელიგიური მითოლოგიის რკალიდან, ფილოსოფიური-საქონლური ხედვანი.

ფორმის მხრით — ქართული ჰიმნოგრაფია განსხვავდება ქართული საერო პოეზიის ტრადიციისაგან. ქართულს ჰიმნოგრაფიაში, — როგორც მოხსენებულნი გვქონდა — მიღებულია თავისებური „თავისუფალი“ რთული მეტრი, რომელიც ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის „თავისუფალი“ მეტრის გავლენით არის შემუშავებული. ქართულს ჰიმნოგრაფიაში იხმარება აგრეთვე ეგრეთ-წოდებული იამბიკონური საზომი (12-მარცვლოვანი მეტრი), ესეც ბერძნულის გავლენით შემოღებული, ბერძნული იამბიკური ტრიმეტრის შეფარდებით. ბერძნული ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის გავლენა მოსჩანს ძველი ქართული ჰიმნების როგორც ფორმაში, ისე შინაარსშიაც, თემების დამუშავებაში.

ქართული ჰიმნოგრაფია ჩაისახა ქართული მწერლობის წინა პერიოდში, მე-5 — 7 საუკუნეებში. მაგრამ განსაკუთრებით ბრწყინვალე განვითარებას ქართული პოეზიის ეს ენრი აღწევს იმ ხანაში, რომელიც აქ ჩვენი მიმოხილვის საგანს შეადგენს, მე-8 — 11 საუკუნეებში.

უძველესი ძეგლი ამ ეპოქის ქართული ჰიმნოგრაფიისა ეს არის ჩვენდრომდე მოღწეული პოეტურ საგალობელთა კრებული, (ჰილ-ეტრატის კრებულის სახელით ცნობილი), გადაწერილი მე-8 — 9 საუკუნეთა საზღვარზე, მაგრამ თავის ძირითად ფენში დამოკიდებული უფრო ადრინდელი დედნებიდან¹. აღსანიშნავია, რომ ამ კრებულში ჩვენ გვხვდება ქართული თემატიკაც, — ქება (ოდა) ქართველი მოღვაწის აბო ტფილელისა.

ახალი ეპოქა ქართულს ჰიმნოგრაფიაში შეუქმნია განთქმულს ქართველ მოღვაწეს გ რ ი გ ო ლ ხ ა ნ ძ თ ე ლ ს (758 — 860 წ.). მას მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში დაუწერია პოეტური ჰიმნების კრებული „იადგარი“ — რომელსაც დიდად აფასებდენ საშუალ-საუკუნეებში (— „რომლისა სიტყვანი კეთილ არიან“—ო, სწერს გრიგოლ ხანძთელის იადგარის შესახებ ქართული სიტყვის ისეთი დიდი ოსტატი — როგორც იყო მერჩული).

მე-9 — 10 საუკუნეებში ქართული ჰიმნოგრაფია წარმოდგენილია პოეტების მთელი პლეადით. მე-9 — 10 საუკუნის ქართველ ჰიმნოგრაფთა რიცხვს ეკუთვნიან — პოეტები: მიქაელ მოდრეკილი, იოანე მტბევეარი, იოანე მინჩხი, გიორგი მერჩული, იოანე ქონქაზის-ძე, ეზრა, კურდანი, სტეფანე სანაონის-ძე, ფილიპე ბეთლემელი, იოანე-ზოსიმე, მაკარი, აგრეთვე მთელი წყება ანონიმი ჰიმნოგრაფებისა, რომელთაც დაუწერიათ საგალობელნი „ქართულნი“, ქებანი (ოდები) ქართველ მოღვაწეთა, ჰიმნები აკროსტიხებით და სხვა.

¹ იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა H—2123 (ა, ბ, გ), რომ ეს ხელნაწერი, რომელიც მე-8—9 საუკუნეთა მიჯნაზე არის გადაწერილი, დამოკიდებულია უფრო ადრინდელი დროის დედნებიდან, ეს სჩანს თვით გადაწერის შენიშვნების მიხედვით: „დედანი ურვილნი მქონდეს“, „დედაა აღქატი იყო“. რაკი დედნები, რომლითაც უხელმძღვანელნია გადაწერის, უკვე დაზიანებული ყოფილა („ურვილი“ და „აღქატი“ იყო), ცხადია ეს პირვანდელი დედნები საკმაოდ ადრინდელ დროს ეკუთვნოდნენ.

განსაკუთრებით თვალსაჩინო ფიგურაა ამ ეპოქის ქართული ლიტერატურაში მიქაელ მოდრეკილი, ეს მრავალმხრივ შესანიშნავი პოეტია და ამავე დროს მუსიკოსი-კომპოზიტორი.

დიდი პოეტური ტემპერამენტი, რომლითაც აღბეჭდილია მიქაელის ჰიმნები, სიღრმე პოეტური შთავონებისა, გაბედული თეოლოგიურ-ფილოსოფიური სპეკულაცია, და ამასთან ბრწყინვალე ენა, რომელშიაც გამოვლენილია ძველი ქართული ენის მაღალი მუსიკალობა, — მიქაელ მოდრეკილს „შტაციცე ადგილს ანიჭებს ქართული პოეტური სიტყვის ისტორიაში“.

მიქაელ მოდრეკილი ამავე დროს არის რეფორმატორი ქართული ჰიმნოგრაფიის პოეტური ფორმისაც. მიქაელმა მოახდინა რეფორმა იამბიკონური საზომისა. იამბიკონის ტრადიციული 12-მარცვლოვანი მეტრი, გაურკვეველის ცეზურით, მიქაელმა აქცია ორ-მუხლედ ლექსად, მუდმივის ცეზურით მე-5 ან მე-7 მარცვლის შემდეგ. ეს უჩვენებს მიქაელის მახვილს პოეტურს სმენას, მისი რეფორმა ქართული ენის პროსოდიის სწორ გრძნობას ეყარება. იამბიკონური ლექსი ამით სრულებით ახალ ელერას ღებულობს, ქართული ენის ბუნებრივ მუსიკალურ წყობასთან შეფარდებულს. მიქაელის ეს რეფორმა მიიღო ქართულმა პოეზიამ და მიქაელის შემდეგ იამბიკონური მეტრი ამ ახალი „მიქაელური“ ფორმით დამკვიდრდა ქართულს პოეზიაში.

მიქაელ მოდრეკილს ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში დამსახურება მიუძღვის კერძოდ იმ მხრივაც, რომ მიქაელს ჩაუტარებია დიდი შრომა ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის ძველთა შეგროვებისათვის, მას სისტემაში მოუყვანია ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის მემკვიდრეობა. ჩვენ დრომდე მოღწეულა მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილი ქართული ჰიმნოგრაფიის დიდი კრებული, რომლის ანდერძშიაც მიქაელ გადმოგვცემს:

„შე — მიქაელ მოდრეკილმან — ვილვაწე, და ყოვლით კერძო შრომად ვაჩვენე უზუშთაეს ძალისა ჩემისა, და ფრიადითა ხარკებითა და გულს-მოდგინედ ძიებითა შევკრიბენ ძლისპირნი¹ ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენი ენითა ქართველთადათა... — სრულნი ყოვლითა განგებითა, და დაწერენ წმიდასა ამას შინა წიგნსა, ყოვლითა განმარტებითა და კეშმარტებითა.“ კრებულში მიქაელ მოდრეკილს მოუთავსებია როგორც ორიგინალური ქართული ჰიმნები, ისე ბერძნულიდან თარგმნილნი.

მიქაელ მოდრეკილი, როგორც მოვიხსენეთ, მუსიკოსიც ყოფილა. მას არა მხოლოდ შეუტარებია ქართულს ენაზე არსებული ჰიმნები, არამედ შეუგროვებია მათი საგალობელი ხმებიც. მიქაელ მოდრეკილის კრებული ნოტირებულია, ჰიმნებთან ერთად ჩაწერილია ჰიმნების საგალობელი კილოც (თავისებური ძველ-ქართული სანოტო ნიშნებით, ეგრეთწოდებული ნეემებით). კრებულის ანდერძში მიქაელ მოდრეკილი გადმოგვცემს, რომ საგალობელი ხმები გადატანილია სანოტო ნიშნებზე — „სიწმიდით და სიმართლით, სისწორითა კილომასადათ, და უცთომელობითა ნიშნისადათ“.

¹ ძლისპირნი — ჰიმნები.



ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიის მემკვიდრეობაში ცალკე აღსანიშნავ პოეტური ძეგლები, რომლებშიაც ჩვენ გვაქვს საერო პოეზიის გავლენა.

ამათ რიცხვს ეკუთვნის ფილიპე ბეთლემელის ჰიმნი, რომელიც დაწერილია „მალალი შაირის“ მეტრით და რითმით. („მალალი შაირის“ მეტრი, აგრეთვე რითმა, — უცხო იყო ჰიმნოგრაფიული პოეზიისათვის, იმ დროს როდესაც — რითმა განუყოფელი ელემენტია საერო პოეზიისა, ხოლო „მალალი შაირი“ საერო პოეზიის კლასიკურ საზომს წარმოადგენს). ფილიპე ბეთლემელის ეს ჰიმნი მოღწეულა მე-10 საუკუნის ორ ხელნაწერში.

რითმიანი ლექსით არის დაწერილი აგრეთვე ჰიმნი, მიძღვნილი სტეფანესადმი, შეტანილი შიქაელ მოდრეკილის კრებულში.

საერო პოეზიის „მალალი შაირი“-ს მეტრის გავლენით (შაირის ოთხმარცვლედ მიუხლის დაცვით) — დაწერილია მე-10 საუკუნის ავტორის იოანე-ზოსიმეს ანდერძი ჰიმნოგრაფიული კრებულის „იადგარი“-სა.



შემდგეს ხანაში, მე-10 საუკუნის დასასრულსა და მე-11 საუკუნეში, წამყვანი როლი ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში ეკუთვნის ათონის სალიტერატურო სკოლას.

ათონის სკოლის მწერლებიდან ჰიმნოგრაფიული პოეზიის დარგში იღვწოდნენ თვით სკოლის დამაარსებელი ეფთიმე მთაწმიდელი (იბერიელი), ეზრა ათონელი, ზოსიმე ათონელი, ბასილი ათონელი, აგრეთვე ანონიმი ჰიმნოგრაფები, რომელთაც დაუწერიათ ჭებანი (ოდები) იოანე მთაწმიდელისა და გიორგი მთაწმიდელისა.

ხოლო ნამდვილი დავიერგვიანება ამ ეპოქის ჰიმნოგრაფიული პოეზიისა ეს არის ათონელთა სკოლის გამოჩენილი მწერლის გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა.

გიორგი მთაწმიდელის შესახებ, რომელიც ეფთიმე იბერიელთან ერთად ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა ათონელთა სალიტერატურო სკოლისა, ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. გვ. 105 — 106). გიორგი მთაწმიდელის მდიდარსა და მრავალგვარს სალიტერატურო მემკვიდრეობაში კერძოდ ჰიმნოგრაფიულ პოეზიის საპატიო ადგილი უჭირავს.

ათონელთა სკოლა, — როგორც მოხსენებული გვქონდა, მთავარ საქმედ ისახავდა საქართველოს დაახლოვებას ბერძნულ კულტურულ მსოფლიოსთან და ამ მიზნით ათონელთა სკოლის მწერლებმა გადმოიღეს ქართულად, სთარგმნეს ან გადმოაკეთეს — ბიზანტიური მწერლობის ძირითადი ძეგლები. კერძოდ ჰიმნოგრაფიის დარგში ეს შრომა ჩაუტარებია გიორგი მთაწმიდელს.

გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია თითქმის მთლიანად ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ძეგლი ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული პოეზიისა. თარგმანი შესრულებულია ქართულ ჰიმნოგრაფიაში მიღებული „თავისუფალი“ რთული მეტრით.

თუ რამდენად კოლოსალურია გიორგი მთაწმიდელის მიერ ჩატარებული შრომა, ეს შესაძლოა წარმოვიდგინოთ ჯერ მარტო იმის მიხედვით, რომ გი-

ორჯი მთაწმიდელის მიერ ქართულს ენაზე გამოქვეყნებული ბიზანტიური პიმნების კრებული შეიცავს 16-ს დიდი მოცულობის ტომს. **ეკატეხეული**

ბიზანტიური პიმნოგრაფიის ეს მართლაც გრანდიოზული კრებული პროგორადაც იგი გიორგი მთაწმიდელმა ქართულს ენაზე გამოაქვეყნა, არ არსებულა ამგვარი სრული, ერთად შეკრებილი და სისტემატიზირებული სახით თითონ ბიზანტიაშიც. გიორგი მთაწმიდელი თავისი შრომის ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს, რომ მან თვით ჩაატარა შრომა ბიზანტიური პიმნების შეგროვებასა და სისტემატიზაციაზე, ისარგებლა როგორც საკუთრივ ბიზანტიაში, ისე სირიაში გავრცელებული სხვადასხვა პიმნოგრაფიული კრებულებით, დაალაგა, შეარჩია, „გამოჰკრიბა“ პიმნოგრაფიული ტექსტები.

ბიზანტიური პიმნების ამ კრებულში გიორგი მთაწმიდელს თავისი საკუთარი ორიგინალური პიმნებიც შეუტანია.

გიორგი მთაწმიდელი — ქართული სიტყვის დიდი ოსტატია, და მის მიერ გამოქვეყნებული ეს დიდი კრებული პიმნოგრაფიული პოეზიისა, — თარგმნილი, გადმოკეთებული, და ორიგინალური პიმნები, — აღბეჭდილია მაღალი ლიტერატურული ღირსებებით.

გიორგი მთაწმინდელი ამ კოლოსალური ნაშრომის ბოლოსიტყვაობაში, მის მიერ ჩატარებული შრომის მთელი სიდიადის შეგნებით, — მიმართავს ქართველ მკითხველებს:

„... ყოველი ვითა ნათელი მზისაჲ ვგრე გამოგვიკრებია, და ერთი გვირგვინი — შემკული თვალითა და ანთრაკითა პატიოსნითა შეგვიოზნავს, და ვიდრე აქამომდე ჩვენგან დაფარული ცაჲ, მრავალფერთა მთიებთა მიერ აღსავსე, — საჩინოდ ყოველთა ქართველთა ზედა არა ჩვენ, არამედ ღმერთსა გარდაურთხამს, რათა ჰნათობდეს კიდით-კიდემდე ქვეყანისა ნათესავსა (ერსა) ჩვენსა (ქართველთასა)“.

IVa

საბაწმიდელი ქართული პოეზიი მე-9 საუკუნისა.

«ქებაჲ ქართულისა ენისაჲ».

ძველი ქართული სასულიერო პოეზიის მემკვიდრეობაში არის ურთი ძველი, რომელსაც ეწოდება «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ».

ეს ძველი საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურულ დოკუმენტს წარმოადგენს.

თხულება შეიცავს ქართული ენის ხობას. აქ მოცემულია მესიანისტური შეხედულება ქართული ენის მაღალი დანიშნულების შესახებ. ქართული ენა აღიარებულია რჩეულ ენად, რომელშიაც დამარბულია „ყოველი საიდუმლო“, და რომელსაც, პოეტის რწმენით, ეკუთვნის განსაკუთრებული როლი მსოფლიო ენათა შორის.

გავაცნობთ მკითხველს ძველი ქართული პოეზიის ამ საყურადღებო ძეგლის შინაარსს.

„ქება“-ს გადაცეცვართ ადრეული საშუალ-საუყუნეების იდეურ მსოფლიოში. ავტორი თავისი ეპოქის შვილია, მისი თხულება აღბეჭდილია სა-

შუალ-საუკუნეთა მისტიური მსოფლმხედველობით. „ქებაჲ ქართულესა ენი-საჲ“ — გაშლილია მისტიურ-ეზოტერიული სიმბოლიკის ხაზზე. ავტორი იწყებს შემდეგი განცხადებით: „დამარხულ არს (ე. ი. შენახულ არს) ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესისა საწამებულად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამზილოს ამით ენითა“. ავტორს სწამს, რომ ქართული ენა მეორედ მოსვლამდე აიარსებებს, და უკანასკნელი განსჯა ყველა ენის ხალხთა, რომელსაც მოახდენს მესისა მეორედ მოსვლის დროს, ქართულს ენაზე შესრულდება.

ავტორი ამასთან აღნიშნავს, რომ ქართული ენა ამჟამად თუმცა მიჩნეულია როგორც „მდაბალი და დაწუნებული“ (—ავტორი სწერდა თავის თხზულებას არაბთა მფლობელობის „ეამთა-სიავის“ ხანაში) — მაგრამ ეს ავტორის აზრით დროებითი მოვლენაა; ქართული ენა განსაკუთრებული მადლით არის აღბეჭდილი. „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა (ქართულსა ენასა) შინა დამარხულ არს“, ქართული ენა არის „შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა“.

თვით ამ მოვლენაში, რომ ქართული ენა ამჟამად „დამდაბლებულია“, ავტორი ხედავს ეზოტერიულ აზრსა და მისტიურ ჩვენებას: ქართული ენა არის ლაზარე ენათა შორის, რომელიც ოთხი დღე მკვდარი იყო და მესისის სიტყვაზე მკვდრებით აღდგა.

ქებაში მთელ რიგ დაახლოებათა გზით გატარებულია ეს სიმბოლიური პარალელიზმი ქართულს ენასა და ლაზარეს შორის. ამასთან ავტორის მზრით ეს თქმა არის არა უბრალო პოეტური მეტაფორა, არამედ ავტორი პირდაპირ დარწმუნებულია, რომ სახარების მოთხრობა ლაზარეს შესახებ ქართულს ენას ეტება.

როგორც ცნობილია, საშუალ-საუკუნეებში არსებობდა ისეთი მიმდინარეობა, რომელიც ბიბლიაში არა ისტორიულს, არამედ მისტიურ შინაარსს ხედავდა, და ჩვენი პოეტიც ასევე სიმბოლიური თვალთახედვით უცქერის ბიბლიურ მოთხრობას.

რომ სახარების მოთხრობა ლაზარეს შესახებ ქართულს ენას იგულისხმებს, ამ მისტიური იდეის ცხადსაყოფად ავტორი იძლევა მთელ რიგს ეზოტერიული წყების დაახლოებებს და ერთგვარს კაბალისტურ განმარტებებს:

ა. ქართველნი და ბერძენნი მოაქცია ჭრისტეს სარწმუნოებაზე ორმა ქალმა: ნინომ და ჰელენე დედოფალმა. ამას იგულისხმებდაო წინასწარმეტყველურად სახარება, როდესაც მოგვითხრობდა, რომ ლაზარეს ჰყავდაო ორი დაი: მარიამ და მართა.

ბ. ავტორი ასეთსავე ჩვენებას ხედავს ქართული სახარების ტექსტის დასაწყისში, — რომელშიაც, კაბალისტური განმარტების საფუძველზე ღებულობს რიცხვებს ოთხითასი წელი და ოთხი დღე. რიცხვების მისტიკა, როგორც ცნობილია ჩვეულებრივს მოვლენას წარმოადგენდა საშუალ-საუკუნეთა მწერლობაში, და ავტორის სიმბოლისტური განმარტებით ეს კაბალისტური რიცხვი „ოთხი დღე“, რომლითაც იხსენება სახარების ტექსტი ქართულს ენაზე — მიუთითებს და აღნიშნავს ლაზარეს, რომელიც ოთხი დღე მძინარე იწვა საფლავში; იგი — ავტორის განმარტებით — პროვიდენციულურად აღნიშნავს თვით

ქართულ ენას, ლაზარეს მსგავსად მიძინებულს, და შემდეგ, მკვდრედაც აღმდგარსა და განახლებულს, რომელიც მოწოდებულია დაიჭერეს: *ჩირომედი* ადგილი ყველა ხალხის ენათა შორის.

დასასრულ ავტორი ემყარება ქართული წელთაღრიცხვის თავისებურებას, და აქაც კაბალისტურ მისტიურ ჩვენებას ჰხედავს, რომ ქართული ენა არის რჩეული ენა, უპირატესი სხვა ენებზე, აღბეჭდილი სიდიადით, ენა — რომელსაც დაკისრებული აქვს პროვიდენციალური მისია.

ასეთია შინაარსი ამ თავისებური მისტიურ-პოეტური თხზულებისა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთგვარად გადატვირთულია მისტიურ-კაბალისტური ელემენტებით, იგი არაა მოკლებული დიდ პოეტურ პათოსს.

აღსანიშნავია ამასთან, რომ თხზულება, მიუხედავად მესიანისტური იმედებისა, აღბეჭდილია პესიმიზმით ქართული ენის თანამედროვე მდგომარეობის გამო. ავტორი, როგორც ვნახეთ, ადარებს ქართულ ენას მიძინებულს ლაზარეს, მწუხარებით არის მოცული ქართული ენის დამდაბლების გამო, თუმცა ღრმად სწამს ქართული ენის სიდიადე, მისი მომავალი და მაღალი მოწოდება.

თხზულება, როგორც ირკვევა, დაწერილია მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შენელებული არაბთა მფლობელობის „ჯამთა-სიავის“ ხანა.

ავტორი ნაწარმოებისა უცნობია. ზოგიერთ ჩვენებათა მიხედვით საფიქრბელი ხდება, რომ ავტორი საბაწმიდელი მოღვაწე ყოფილა, საბაწმიდის ქართული კოლონიიდან. უძველესი დედანი თხზულებისა ჩვენ დრომდე მოღწეული, საბაწმიდაში არის გადაწერილი.¹

თავი მესამე

საორატორო ხელოვნების ძეგლები.

საორატორო ხელოვნება მე-8—11 საუკუნის ქართულს მწერლობაში წარმოდგენილია სხვადასხვა ხასიათის ძეგლებით.

საორატორო ხელოვნების ერთ-ერთ დარგი ძველ-ქართულ მწერლობაში — ეს არის ქ ა დ ა გ ე ბ ა მ ო ძ ლ ე რ ე ბ ა ნ ი. საშუალ-საუკუნეთა მწერლობის ამ დარგის თხზულებანი თავისი შინაარსით ჩვეულებრივ თეოლოგიურ ლიტერატურას განეკუთვნება, ხოლო ფორმის მხრით ისინი წარმოადგენენ საორატორო ხელოვნების ტიპურ ძეგლებს.

მეორე დარგი საორატორო ხელოვნებისა ძველ-ქართულ მწერლობაში ეს არის ეგრეთ-წოდებული „ქ ე ბ ა ნ ი“ და „შ ე ს ხ მ ა ნ ი“.

ამვე ეპოქიდან მოღწეულა აგრეთვე სიტყვა, წარმოთქმული გარკვეული შემთხვევის გამო — ქართველი მწერლის გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალებაზე.



პირველი დარგი საორატორო ხელოვნებისა — ქადაგება-მოძღვრებანი ამ ეპოქის ქართულს მწერლობაში წარმოდგენილია ი ო ა ნ ე ბ ო ლ ნ ე ლ ი ს სიტყვების სახით.

¹ იხ. სქოლიო 4.

იოანე ბოლნელი მე-9 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა, ჩვენ დრომდე მოღწეულა ამ შესანიშნავი მქადაგებელის 15 სიტყვა¹.

იოანე ბოლნელი, როგორც ირკვევა, განსაკუთრებულად მოპოვებულით სარგებლობდა ძველს საქართველოში. ამისი მაჩვენებელია ჯერ ერთი მისი სიტყვების გავრცელების ფართე არე, თვით იოანე ბოლნელი ქართლის სანაპირო კუთხის მოღვაწეა, ხოლო მისი სიტყვების ტექსტი ადრევე ვრცელდება და იწერება ქართლის გარეშეც, — კახეთის სამეფოში, მესხეთში (შავშეთ-კლარჯეთსა და ტაოს პროვინციებში), აღწევს თვით საზღვარგარეთულ ქართულ კოლონიებშიაც. იოანე ბოლნელის ქადაგებანი შეუტანიათ ძველ-ქართულ ქრესტომატიკაში „მრავალთავი“, და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა — შეუტანიათ იოანე ოქროპირის ქადაგებათა ნაცვლად. იმ ადგილებში, სადაც მრავალთავის ძველ რედაქციებში მოთავსებული ყოფილა იოანე ოქროპირის სიტყვები, მათ ადგილას მრავალთავის შემდგომი ხანის რედაქციებში იოანე ოქროპირის მაგიერ მოუთავსებიათ იოანე ბოლნელის სიტყვები. თუ გავიხსენებთ, თუ რა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა იოანე ოქროპირი საშუალ-საუკუნეთა მსოფლიოში, შეცვლა იოანე ოქროპირის ტექსტებისა იოანე ბოლნელის ტექსტებით, მაჩვენებელია იოანე ბოლნელის მართლაც განსაკუთრებული ავტორიტეტისა და პოპულარობისა.

გადაკითხვა იოანე ბოლნელის სიტყვებისა გვიჩვენებს, რომ ის დიდი შეფასება, რომელიც მას ძველ საქართველოში დაუმსახურებია, არ არის გადაჭარბებული. იოანე ბოლნელის სიტყვები მაჩვენებელია საორატორო ხელოვნების მართლაც მაღალი დონისა საშუალ-საუკუნეთა საქართველოში.

სიტყვები აგებულია დიდის მხატვრული ტაქტით. ნათელი არქიტექტონიკა სიტყვისა, დიდი ექსპრესია, სურათოვანი ენა, პათეტიური და ამავე დროს ნათელი სტილი, — ახასიათებს იოანე ბოლნელის საორატორო ხელოვნებას.

იოანე ბოლნელი ფართედ განათლებული ადამიანი ყოფილა, დიდი თეოლოგიურ-ფილოსოფიური მომზადებით.

საგანი, რომელსაც ეხება უმთავრესად იოანე ბოლნელის სიტყვები, — ეს არის ინტერპრეტაცია ქრისტიანული მოძღვრების არსისა.

აღსანიშნავია, რომ იოანე ბოლნელი თავის სიტყვებში არასოდეს არ ეშვება დაწვრილმანებულ მორალიზატორობაში, არამედ ქრისტიანული მოძღვრების ზოგადსა და ძირითად მხარეებზე ჩერდება. სახარების ცალკე ეპიზოდების უმთავრესად კი სახარების პოეტური იგავების ფონზე, იოანე ბოლნელი შლის დიდის მხატვრულობით აღბეჭდილს სიტყვებს, როგორც არის სიტყვა მდიდრისა და ლაზარესათვის, ფარისეულისა და მეზვერისათვის, ავაზაკთა მიერ დაქრილი მოვზაურის შესახებ და სხვ.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნათ, რომ იოანე ბოლნელისათვის არაა უცხო პირვანდელი ქრისტიანობის კომუნისტური ტენდენციები. თავის სიტყვაში, რომელიც ეხება მდიდარსა და ლაზარეს, ავტორი შემდეგის სიტყვებით მიჰმართავს მდიდარს:

¹ ნუსხა იოანე ბოლნელის ტექსტებისა, და ავტოვად განმარტება იოანე ბოლნელის ცხოვრების თარიღის შესახებ — იხ. სქოლიო 5.

— „ჰოა მდიდარო, რა მასათვის იმოსები ძოწუელთა და ზეწითა! შეკრულხარ სილალითა მით შენითა, შეკრულხარ ვეცხლის-მოყვარებეთა. შენითა და ანგაპრებითა!.. რა მასათვის შენ იხარებ მარადე ბრწყინვალედ დღე: დღე და ღამე და ღამე და ღამე (ლარიბი) ბჭეთა შენთა ზედ ძევს მწუხარე დასარებული (დასწულე-ბული) და არა შეიწყალე იგი! რა მასათვის ტაბლაა (სუფრა) შენი საესე არს პურითა, ჰოა მდიდარო, ზე გარდაიდების, და ლაზარეს სწადიან ნაბიჭვევისაგან (ნასუფრალისაგან) ტაბლისა შენისა...“

სიტყვაში ხაზგასმულია, რომ მდიდარსა და ლარიბს შორის „მთხრებლი (უფსკრული) დიდი დახეთქილ არს“.

გარდა სიტყვებისა, რომლებიც ქრისტიანული მოძღვრების არსის განმარტებას ისახავს მიზნად, ცალკეა აღსანიშნავი იოანე ბოლნელის ერთი სიტყვა, რომელიც ყოფა-ცხოვრებას ეხება და მიმართულია სიმთვრალის წინააღმდეგ. ამ კოლორიტულ სიტყვაში, რომელიც არაა მოკლებული ჰუმორის გრძნობას, წარმოდგენილია ყოფა-ცხოვრების სურათი, სტუმრობის აღწერილობა და სხვ.



მე-8 — 11 საუკუნის ქართულს მწერლობაში საორატორო ხელოვნება, გარდა ქადაგება-მოძღვრებათა დარგისა, წარმოდგენილია აგრეთვე, როგორც აღვნიშნეთ, მეორე სპეციფიური ენარით, რომელსაც ეწოდება „ქება“ ანუ „შესხმა“.

„ქება“ ანუ „შესხმა“ წარმოდგენს სიტყვა-პანეგირიკს.

ყველაზე ტიპური, და ამასთან ყველაზე შესანიშნავი ძეგლი ამ ენარისა არის „ქება აბოა ხისი“, რომელიც ეკუთვნის მე-8 საუკუნის მწერალს იოანე საბანის-ძეს. ეს პოეტური სიტყვა-პანეგირიკი, რომელშიც ავტორი განუმარტავს მსმენელთ აბოს ღვაწლის მნიშვნელობას, აღბეჭდილია პოლიტიკური სიმახვილით. ავტორი, არაბთა მძლავრობის ხანაში, წარმოუდგენს მსმენელთ თავდადებული გმირის აბოს სახეს, როგორც მისაბად მაგალითს.

მე-9 საუკუნის ავტორს არსენი კათოლიკოსს (820 — 872 წ.) ეკუთვნის შესხმა და მოსახსენებელი აბიბოსათვის ნეკრესელიისა. სიტყვა-პანეგირიკის ჩარჩოში აქ მოცემულია მე-9 საუკუნის მოღვაწის აბიბოს ნეკრესელის ღვაწლის მოთხრობა. ძეგლი წარმოდგენს პანეგირიკისა და პაგიოგრაფიის ენარების ერთგვარ გაერთიანებას.



ცალკეა აღსანიშნავი მე-11 საუკუნიდან მოღწეული სიტყვა, წარმოთქმული გამოჩენილი ქართველი მწერლის გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალებაზე. მისი მოწაფის — აგრეთვე მწერლის — გიორგ მცირის მიერ. (ეს სიტყვა გიორგი მცირეს წარმოუთქვამს კონსტანტინეპოლში, 1065 წელს, როდესაც გიორგი მთაწმიდელის ნეშტი კონსტანტინეპოლიდან ითონში გადაასვენეს). სიტყვა, თუმცა გადაქარბებული რიტორიულილობით არის აღბეჭდილი, მაგრამ არაა მოკლებული პოეტურობას და გამთბარია გულწრფელი გრძნობით თავის მასწავლებლისადმი, რომლის სახითაც ქართულმა მწერლობამ თავისი ეპოქის უდიდესი წარმომადგენელი დაქაირა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

დოც. ა. მიქველია

1861 წ. რევოლუციური მოძრაობა კავკაზის უნივერსიტეტში და ქართული სკოლები

120 წელი შესრულდა ყოფილი პეტერბურგის (დღევანდელი ლენინგრადის) უნივერსიტეტის დაარსებიდან. მიუხედავად ცარიზმის უხეში და უსასტიკესი რეჟიმისა, ბევრი რევოლუციური და საზოგადო მოღვაწე აღიზარდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. განსაკუთრებით პეტერბურგის უნივერსიტეტის რევოლუციურ ტრადიციებზე ჩამოყალიბდა 60-იანი წლების ქართული აზროვნება. ილია ჭავჭავაძე, კირილე ლორთქიფანიძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ბესარიონ ლოღობერიძე და სხვები პეტერბურგის უნივერსიტეტში ითვისებდნენ რევოლუციურ იდეებს.

60-იანი წლები რუსეთში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდია. ეს ის დროა, როდესაც კაპიტალიზმი თანდათან იკაფავს გზას და მოძველებული ფეოდალიზმი ბატონყმობის სახით ბორკილებად ელობება წინ კაცობრიობის მოწინავე ნაწილს.

ალექსანდრე მეორე 1861 წლის რეფორმით ცდილობდა რუსეთში ამ მოძრაობის შენელებას, მაგრამ რეფორმამ მაინც ვერ შეაჩერა გლეხობის რევოლუციური ატალღება. მოტყუებული გლეხები პროტესტებითა და აჯანყებებით პასუხობდა მთავრობის თავგასულობას. რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში აჯანყებული გლეხები სწვავდნენ და ანადგურებდნენ მემამულეთა კარმიდამოს და ნამდვილ თავისუფლებას მოითხოვდნენ. ამდროს რაზნოჩინური ინტელიგენცია ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მეთაურობით კიდევ უფრო ამხედრებდა გლეხობას სამარცხენო რეფორმის წინააღმდეგ.

„იცოდეთ, ვერ ეღირსებით მეფისგან თავისუფლებას, — არწმუნებდა გლეხობას ჩერნიშევსკი, — ვინ არის მეფე? ის იგივე მემამულეა. თქვენ მებატონის მონები ხართ, ხოლო მებატონეები მეფის მოსამსახურე.. მაშასადამე, მეფე დაიჭერს მემამულის მხარეს.“

ჩერნიშევსკის პროპაგანდამ დიდი გამოხმაურება კპოვა რაზნოჩინურ ინტელიგენციაში და რევოლუციური მოძრაობა გლეხთა მასებში თანდათან იჭრებოდა და რამდენად დრო გადიოდა, ცარიზმის საფუძვლები უფრო ირყეოდა.

რუსეთის ცარიზმის უილაჯობა და ფეოდალიზმის კრიზისი ჯერ კიდევ 1855 წელს ყირიმის ომმა გამოააწკარავა.

ყირიმის ომმა ნათელყო რუსეთის საზოგადოებრივი წყობის უკმაყოფირობა და ჩამორჩენილობა. ომმა გაამწვავა ფეოდალური საზოგადოების კრიზისი, ამოძრავა დაბეჩალებული კლასები. გამოაშკარავა სამხედრო-საზოგადოებრივი უნიათობა და სრული ჩამორჩენილობა და ამანვე დასცა თვით შინაგომბრძოლის ავტორიტეტი. ხოლო ეს, მეორეს მხრით, ხელს უწყობდა რუსეთში მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობას. მართალია, ცარიზმის ერთგული ჩინოვნიკები სასტიკ ზომებს ღებულობდნენ ყოველგვარი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, მაგრამ ჭეშმარიტება მაინც გზას იკაფავდა და უფროდაუფრო იჭრებოდა მასებში.

განსაკუთრებით მან დიდი გამოხმაურება გამოიწვია 60-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის. ჩერნიშევსკის წიგნებს სტუდენტები არაღვრულად კითხულობდნენ და წრეებში ამუშავებდნენ. მიხაილოვის ლექსებს იზიჰირებდნენ და მღეროდნენ. სტუდენტობაში პროკლამაციებიც კი ვრცელდებოდა. პროვინციიდან ჩამოსულ სტუდენტებს ჰქონდათ სათვისტომოები, დამხმარე საღაროების სალიტერატურო წრეები, საჯარო ლექციები და სხვა, რასაც რევოლუციური იდეების აგიტაციისთვის იყენებდნენ.

ყოველივე ეს მეფის აგენტებს შეუმჩნეველი არ რჩებოდათ და ამის გამო მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა უნივერსიტეტში სამხედრო წესები შემოეღო და ახალი რეჟიმი დაემყარებია. მაგრამ, რამდენადაც მეფის მთავრობა ასეთ უხეშ პოლიტიკას მიმართავდა, იმდენად სტუდენტებს შორის თანდათან მატულობდა მღელვარება.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჯერ კიდევ 1861 წლის სექტემბრის შეთქმულებამდე კათოლიკეთა ეკლესიაში დემონსტრაცია მოაწყვეს, რადგან ჯარმა სროლა აუტეხა ეკლესიიდან მომავალ ხალხს, სადაც გადახდილი იქნა პანაშვიდი პოლონეთის აჯანყებაში დაღუპულთა სულისმოსახსენებლად.¹

ამის შემდეგ უფრო შეიცვალა მთავრობის დამოკიდებულება სტუდენტებისადმი. მთავრობამ გააუქმა ყოველგვარი წრეები, სათვისტომოები, აკრძალა საზოგადო კრებების მოწვევა და სტუდენტების თავისმოყრა მსჯელობის და კამათის მიზნით. გააუქმეს სტუდენტთა ტანისამოსის ფორმა და განიზრახეს მატრიკულების შემოღება, რაიც ცარიზმის მოხელეებს დახმარებას აღმოუჩენდა სტუდენტთა შორის „დისციპლინის“ დამყარების საქმეში.

მთავრობის ასეთმა მოქმედებამ კიდევ უფრო ააღელვა სტუდენტები, რომლებიც სერიოზული ბრძოლისთვის ემზადებოდნენ; უმთავრესად ინიციატივა უფროსი კურსის სტუდენტობის ხელში იყო.

ქართველი სტუდენტები, როგორც ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავს, პირველად არ იყვნენ დაბლოკებულნი რევოლუციურ მოძრაობასთან, მაგრამ შემდეგ თანდათან ჩაებნენ ისინი ამ საერთო მღელვარებაში.

„მეორე დღეს, კვირას, — განავრძობს ნიკო ნიკოლაძე, — სექტემბრის 24-ს, ისიც იყო ვისადილეთ მ. ი. სემიონოვის ქალთან, რომელიც თვეში 7 მან. 25 კაპ. გვაქმევდა ნისიად სადილს ქართველ სტუდენტებს და ფრანგ ორიენტალისტს ებასს, რომ სასადილოში შემოვიდნენ ლოლოზერიძე ნ. ბ. და ბ. ლ., რომლებიც დიდხანია ერთად არ გვენახა. ახლა ისინი ყოველად შეთანხმებული მეგობრების

¹ იხ. ნიკო ნიკოლაძის რჩეული ნაწერები, ს. ხუნდაძის რედაქციით, ტ. I, გვ. 93.

შთაბეჭდილებას სტოვებდენ: ერთი რომ დაიწყებდა ლაპარაკს, მეორე წამითავე რებდა. ლოლობერიძეებმა ვადმოგვეცეს, რომ ხვალ მთელი სტუდენტობა „დემონსტრაციაზე“ გამოდისო და ჩვენც გამოუტყლებლივ უნდა შევიდეთ. მთნაწილობაო. დემონსტრაცია კი იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ სტუდენტები თავს მოიყრიდნენ ჯერ უნივერსიტეტში და მერე ნევის პროსპექტით და ვლადიმერის ქუჩით გამოემართებოდნენ, რათა პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისთვის წარედგინათ მოთხოვნილება უნივერსიტეტის წინანდელი წესრიგის დაცვისა და მატრიკულის შემოღების წინააღმდეგ პროტესტი განუცხადებიათ.

მოვისმინეთ ეს ცნობა და იმეს მაგიერ, რომ პასუხი მიგვეცა, გაკვირვებით დაედუმდით. ბოლოს „პროტესტის“ წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა დ. ნ. აბღუშელმა. იგი კიბობსავით გაწითლებულიყო, ბორძიკობდა და ისე ლაპარაკობდა. მან სთქვა, ჩვენ იმისთვის ვართ აქ ჩამოსული, რომ უნდა ვისწავლოთ, და არა მთავრობას ვასწავლოთ. მთავრობა ჩვენ, რასაკვირველია, არ გავგვიგონებს და უკან სახლში გავვაბრუნებსო, რაც ჩვენთვის უარესია, ვიდრე ციშირში წასვლაო. ჩვენი მშობლები დაგვაშწარბებენ ყოველ ლუქმას ტყვილა ხარჯების გაწევისათვისო. ლოლაბერიძეებს არც კი სჯეროდათ, რაც მოისმინეს, ახალგაზრდობა ყოველთვის ემორჩილებოდა მათ და ახლა წააწყდნენ ურჩობას. მათ ის უპასუხეს, რომ შეუძლებელია ქართველები ჩამორჩნენ, როდესაც ყველა სათვისტომოები დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებენო, ამაზე კირილე ლორთქიფანიძემ შენიშნა, რომ ქართველები სხვებს ვერ მიბაძავენ, რუსეთში, პოლონეთში, ბელორუსიაში ბევრია ნასწავლი ზალხიო, ეს ქვეყნები უინტელიგენტო არ დარჩება, მათი ახლანდელი სტუდენტობა სულაც რომ აღიგავოს პირისაგან დედამიწისა, ჩვენში კი საქმე სხვანაირია, ჩვენ ქართველი სტუდენტების პირველი თაობა ვართ, ჩვენ რომ ახლა დაებრკოლდებით, ქართველ მამებს შემდეგ ვერც კი გააგონებ—შვილები უნივერსიტეტში გამოგზავნონ. ძველებურად საკადეტო კორპუსში მიაბარებენ, მით უმეტეს, რომ ეს ადვილი საქმეა და არც ფულის დახარჯვაა საჭირო. ბევრი კამათის შემდეგ ნიკო ლოლობერიძემ წასვლისას სიტყვა გვესროლა: ვინც მშინშარანი ხართ, სახლში დარჩითო. ეს კი საკმაო იყო იმისთვის, რომ არა თუ დემონსტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კედელზე შეგვეხებოქებია“¹.

25 სექტემბერს 1861 წელს რამდენიმე ათასი სტუდენტი ერთად დაწყობილი უნივერსიტეტის ეზოდან ნევის ნაპირისაკენ გაემართა, გზაში დემონსტრანტ სტუდენტებს პრეობრაჟენსკის პოლკმა ალყა შემოარტყა. სტუდენტებსა და ჯარისკაცებს შორის შეტაკება მოხდა, რისთვისაც ჯარისკაცებმა ოფიცრების ბრძანებით იარაღს მოკიდეს ხელი. დემონსტრაცია დამთავრდა იმით, რომ აჯანყებულმა სტუდენტებმა ფილიპსოვის წინააღმდეგობით „დეპუტაცია“ აირჩია განათლების მინისტრთან ვასაგზავნად, რათა „დეპუტატებს“ გადაეცათ პროტესტი მატრიკულისა და ახალი რეჟიმის შემოღების წინააღმდეგ. მაგრამ ამ დემონსტრაციის შედეგად „დეპუტატები“² იმდღესვე დააპატიმრეს და უნივერსიტეტი დახურეს.

¹ იქვე, გვ. 100—101.

² სტუდენტთა დეპუტაციაში შედიოდნენ ნ. ი. უტინი, მიხაელისი, გენი, სტეპანოვიჩი, დანენშერგი, ლევენტალი, ზელენსკი, გრიგოროვსკი და პოკროვსკი.

„მეორე დილას, როდესაც უნივერსიტეტში მივედი, — სწერს ნ. ნიკოლაძე, — მისი ორივე შესავალი კარი დაკეტილი დაგვხვდა. ზედ გაჩეხილები იყო გაკრული, რომ უნივერსიტეტი დაკეტილია და სტუდენტებიც დათხოვნილები არიან. შესავალ კარებს იცავდა პოლიცია. გაოცებული სტუდენტობა ჯგუფ-ჯგუფად დადიოდა მდინარის განაპირა ქუჩაზე“.¹

ადმინისტრაციის ასეთმა თავხედურმა მოქმედებამ კიდევ უფრო აამხედრა სტუდენტები, ისინი ახლა უფრო სასტიკი პროტესტით გამოდიოდნენ უნივერსიტეტის ეზოში. იმართებოდა ყრილობები, ორატორები მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს გაჰკიოდნენ მრავალიცხოვან ხალხში, ხშირად ასეთი გამოსვლები ქუჩაშიც ხდებოდა, მაგრამ სტუდენტების მიმართ მთავრობა ზომებს ვერ ღებულობდა, რადგან, — როგორც ნიკოლაძე გადმოგვცემს, — მეფე ალექსანდრე მეორე ამ დროს საქართველოში — ქუთაისში იმყოფებოდა. ხოლო სხვა მოხელეებს ვერ გაეხედათ გადამკრელი ზომების მიღება. როდესაც მეფემ გაიგო ამბავი სტუდენტების არეულობის შესახებ, სასწრაფოდ დაბრუნდა პეტერბურგს სასტიკი ზომების მისაღებად.

ამრიგად სტუდენტები 25 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე, ე. ი. ალექსანდრე მეორეს ჩამოსვლამდე, თავისუფლად მოქმედებდნენ.

13 ოქტომბერს ჩვეულებრივად უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილ სტუდენტებს ჯარმა ალყა შემოარტყა და დატყვევებული სტუდენტები პეტრეპაულეს ციხეში მოათავსეს, იმ ციხეში სადაც დაპატიმრებული იყო რევოლუციის მგზნებარე პოეტი მიხაილუვი.

დაპატიმრებული სტუდენტები ერთი კვირის განმავლობაში დარჩნენ პეტრეპაულეს ციხეში, და რომ მეტ ხანს დავრჩენილიყავით, — სწერს ნიკოლაძე. — უთუოდ დაესწულდებოდიოთ.

კონსტანტინის ციხეში პატიმრები მეტად კარგ პირობებში იყვნენ, სუფთა ოთახები, კარგი საგებ-სახურავი, კარგი საჭმელი, სტუდენტებს ჰქონდათ სხვადასხვა წრეები, ეწყობოდა გასამართლებები, კამათობდნენ ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და სხვათა რევოლუციური იდეების შესახებ. იყო ცალკე გამოყოფილი „სახოვადო ზალა“, სადაც იკრიბებოდა ყრილობა და იმართებოდა კონცერტები. პატიმრებს ჰყავდათ არჩეული კომიტეტი, რომელიც განაგებდა სატუსაღოს საჭმეებს.

„ყველას გვეცვა ერთნაირი საავადმყოფოს ხალათები, — სწერს ნიკოლაძე, — ნაცრისფერი სალდათური მუდისა, ნარმის სალდათურივე საცვლები და უჭუსლო ჩუსტები. ამგვარ „საპატიმროს“ ტანისამოსში ჩვენ ძალიან გვიყვარდა ხოლმე სურათის ვადალება ჯგუფად გაუპტეხატის ბაქანზე, ჩვენი ყაზარმის წინ, უკან მდგომი ჯარისკაცებით და გვერდზე კი — ოფიცრებით.“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კირილე ლორთქიფანიძე მონაწილეობას იღებდა 1861 წელს სტუდენტთა აჯანყებაში სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად და ისიც დაპატიმრეს. ქართველი სტუდენტებიდან დაპატიმრებული იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, არჩილ ჩოლოყაშვილი, დავით ლობჯინძე, დავით აბდუშელიშვილი, პეტრე ალხაზაშვილი, გრიგოლ ჯაფარი-

¹ იხ. ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერები, ს. ხუნდაძის რედაქ. ტ. I, გვ. 104.

შვილი, გიორგი წერეთელი, იაკობ ისარლიშვილი, ბესარიონ ლოლობერიძე და სხვები.

ეკლესიაში

კირილე სხვა ტუსალებთან ერთად ჯერ პეტრეპავლეს ეკლესიაში მოხსობასეს, ხოლო შემდეგ კრონშტადტში გადაიყვანეს. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ კირილე ასეთ წერილს წერს თავის ძმას გრიგოლს:

„ამდენხანს წიგნის მოუწერლობის მიზეზი აი, რა იყო: ვგონებ ამდენხანს შეიტყობდი უჩემწიგნოთ ვიტყვი მხოლოდ, რომ სტუდენტები 500-მდე იყო დაქვრილი 250-მდე პეტრეპავლოვსკის ციხეში და 242 — კაცი კრონშტადტის ციხეში. ამ უკანასკნელთა რიცხვში იყო 13 — ქართველი და ამათ რიცხვში მეც“.

აღსანიშნავია, რომ ციხეში პატიმრები მეტად თავისუფლად გრძნობდნენ თავს. აწყობდნენ საღამოებს, კონცერტებს, საზოგადო კრებებს, სასამართლოს სცენებს, სადაც დასცინოდნენ მექრთამეებს, კითხულობდნენ ლიტერატურას და კამათობდნენ. სასმელსაკმეელი და საწოლიც შედარებით რივიანი ჰქონდათ. ამას ადასტურებს, როგორც ნიკო ნიკოლაძის მოგონება, ისე კირილეს ჭვემოთ-დასახელებული წერილი:

„გვეპყრობოდნენ ძალიან კარგად, რაც შეეხება ტუსას. ავად არ ვყოფილვარ, ეხლაც ძლიერ კარგად ვარ. ორ თვეს ვიყავი კრონშტადტში 12 — ოქტომბრიდან 6 — დეკემბრამდე. და პეტრეპავლეს ციხეში ვინც იყვნენ, ისინი ორი კვირითაც წინ დაიჭირეს. 6 — დეკემბერს გამოგვიცხადეს გადაწყვეტილება. მეოთხე კურსის სტუდენტები ან უნდა დარჩნენ პეტერბურგში თავდებით. თუ თავდებს ვერ იშვინიან, მაშინ წავლენ და იქაც თავდები უნდა ეყოლოს. თუ იქაც არ ვგულავებათ თავდები, ვაგზავნიან ვიატკისა და მის ახლომახლო გუბერნიის ვეზდის ქალაქებში. მესამის, მეორის და პირველი კურსის უნდა დარჩეს პეტერბურგში თავდებით, თუ არა და მაშინ წავიდეს უთავდებოდ. გარეშე პირები, რომლებშიდაც მწერლები (ლიტერატორები) თუ ისე, ისინიც ამნაირად დასაჯეს, მაგრამ შინ ვაგზავნა მათთვის მხოლოდ ერთი წლის ვადით არის. ამნაირად სტუდენტები ციხეში ნამყოფი გამორიცხეს უნივერსიტეტიდან. ეხლა ამ საშობაოთ უნივერსიტეტი დახურეს და ვინც შიგ იყო დარჩენილი, ისინიც გამორიცხეს და დანარჩენები პროფესორები (ხუთი გამოვიდნენ ჩვენი დაქვრის დროს, არც იმათ მოსწონდათ ახალი კანონები) შტატის გარეთ დატოვეს. ახალი მინისტრი გამოცვალეს, ლენერალ გუბერნატორიც; რადგან ამან ჯარები გამოიყვანა ჩვენდა დასაქვრად და ამით ჩვენ კრებებს ეძლეოდა სხვა მნიშვნელობა, ხალხი აირია, ეს დააშავა ამან. ეხლა რადგან ახალი კანონები უნივერსიტეტს არ ეკაშნიკა, დანიშნეს დეკემბერში კომისია, ყველა სასწავლებლის მაზრის მზრუნველებთაგან და თითო პროფესორებისაგან — თითო უნივერსიტეტიდან, (მაგრამ აქედამ და მოსკოვიდამ ორი) კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს ახალი მსუბუქი კანონები. ბესარიონ ლოლობერიძემ, დავით ლოლობერიძემ, თუმანიშვილმა, მე და გიორგი წერეთელმა დავეკრავეთ სახელმწიფო სტიპენდია და ეხლა გვჭირს უფულობანა.

ციხიდან მინდოდა მომეწერა წიგნი, მარა ფულიც არ მქონდა, ქართულად მოწერის ნებაც არ გვქონდა, რუსულად არ მინდოდა, რადგან ყველა წიგნები

უნდა პლაც ადიუტანტს გადაეციათ. და იმ ჩემ წიგნში იმისთანა რამ იქნებოდა, რომ არ მინდოდა მათ წაეკითხათ.¹

როგორც მოსალოდნელი იყო, სტუდენტთა დემონსტრაციების შედეგობამ სასტიკი რეპრესიებით უპასუხა. დაისაჯა არა მარტო დემონსტრანტთა სტუდენტები, არამედ ისინიც, ვისაც დემონსტრაციაში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან ყველა სტუდენტი დაითხოვეს და უნივერსიტეტი დახურეს. და როგორც კირილე ლორთქიფანიძე აღნიშნავს, უნივერსიტეტის გახსნას არც მომავალი წლისთვის აპირებდნენ.

ქუჩაში დარჩენილი სტუდენტები არ ცხრებოდნენ და უნივერსიტეტის გახსნას მოითხოვდნენ.

მმართველი წრეები სერიოზულად დააფიქრა სტუდენტობის ძალადობამ. მათ უარესის ეშინოდათ ქუჩაში დარჩენილი სტუდენტებისგან, რადგან სტუდენტები მარტო არ იყვნენ. სტუდენტების მღელვარებას მასები თანაუგრძობდა, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ციხეში როდესაც მიყავდა ჯარს ალყაშემოვლებული მეამბოხე სტუდენტები, ხალხი გზაში ყვავილებს ესროდა და „ვაშას“ შესძახოდა სტუდენტებს. ხელისუფლება ხედავდა, რომ სტუდენტებს, ერთის მხრით, ხალხი თანაუგრძობდა, და მეორეს მხრით, დაკავშირებულნი იყვნენ რევოლუციურ წრეებთან. ჩერნიშევსკის სახელი მთავრობისთვის საფრთხობელას წარმოადგენდა, რეფორმით უკმაყოფილო გლეხები რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში იარაღით ხელში გამოდიოდა და ამდროს სტუდენტთა მოძრაობა კიდევ უფრო აღვიძებდა სიძულვილს მეფის მთავრობისადმი. ყოველივე ამისგან მოთავრობა იძულებული იყო სტუდენტთა მოთხოვნისთვის კოტოლენი ანგარიში გაეწია. გახსნეს აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტი, რადგან ასეთი ფაკულტეტი არცერთ უნივერსიტეტში არ იყო და სტუდენტებს არ ჰქონდათ საშუალება სხვაგან სწავლის გაგრძელებისა. გარდა ამისა სტუდენტობამ მოიპოვა ნებართვა საჯარო ლექციების მოწყობისა, რაიც თითქმის საუნივერსიტეტო მუშაობის გაგრძელებას წარმოადგენდა. კირილე ამის შესახებ სწერს: „პეტრეს დარბაზში დაიწყეს პუბლიკური ლექციების კითხვა, ყველა ფაკულტეტის პროფესორებმა და ამას გარდა სამმა კაცმა პროფესორებმა ვინც დაიწყეს, ყველამ ასე გამოაცხადა პირველ ლექციაზე, რომ თუმცა ჩვენ ვკითხულობთ პუბლიკურ ლექციებს, მაგრამ სახეში უფრო გვყავს ის მსმენელები, რომლებიც ყურს უგდებდნენ წარსულ წელს უნივერსიტეტში კურსის გაგრძელებასო.“

უნდა გაამბო, რომ ჩვენ სტუდენტები გვყავდა ამორჩეული დემუტატორად, რომლებიც წაიდნენ და სთხოვეს უკეთეს პროფესორებს, რომ მათ ეთხოვათ მინისტრისგან ლექციების წაკითხვის ნება. მან მისცა, ეხლა კითხულობენ ლექციებს შემდეგნი: ისტორიკოფილოლოგიური ფაკულტეტის პროფესორები:

კასტამაროვი, პავლოვი, სტასიულევიჩი, ბლადივეშჩენსკი, შტიმანი.

იურიდიკული: კაველინი, სპასოვიჩი, უტინი, ანდრეევსკი, ივანოვსკი, გორლოვი.

¹ კ. ლორთქიფანიძის არქივი, № 58, წერილი ძმისადმი.

ბუნებითი საგნების: სოკოლოვი, მენდელევი, ფონსინი, ბეკეტოვი, სოვეტოვი, ვადოლინი, ბუზირიევსკი. ამას გარდა, კიდევ უნდა შევთავაზოთ: სენენოვი (ცხოველთა ფიზიოლოგიის პროფესორი) მენდელევის კაცობისა (ლენინი) (კალინინის). ასე კითხულობს 21 — კაცი. კიდევ მოვამატებ: ბიან მალე მათემატიკური ფაკულტეტის პროფესორები ზომოვი და ჩეზიშვილი. მათში კითხულობენ ექვს ლექციას სხვადასხვას. არის რაღაც უნივერსიტეტი, მაგრამ არაოფიციალური. ესენი იკითხავენ შუა აპრილამდის. ერთად ყველა ლექციების ფასი თითო საგანზე არის ორ-ორი თუ თითო მანეთი და თუ ერთად არ იყიდი, ერთჯერ შესვლა 25 — კაპეიკი. სტუდენტების მეტანაწილს აქვს უფასო ბილეთი.“¹

საჯარო ლექციებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა, მაგალითად, კოსტომაროვის ლექციას ათასამდე სტუდენტი ესწრებოდა, სათათბიროს დარბაზი სულ გატენილი ყოფილა, სადაც შესასვლელი ბილეთი 2 მანეთი ღირებულა.

უნივერსიტეტის საკითხზე მთავრობამ კომისია გამოყო, რომელსაც ცვლილებები უნდა ჩაეტარებია უნივერსიტეტში. კომისიების მუშაობა ძლიერ გაჰკინაურდა, კომისიებს კომისიები ცვლიდნენ, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანდა. ბოლოს, როგორც იყო, კომისიის მუშაობის შედეგი გამოქვეყნდა, მთავრობა დათმობაზე წაიდა. 1862 წ. პირველი კურსი გახსნეს, 1863 წ. მეორე და ასე შემდეგ, მაგრამ ახალი რეჟიმი, რომელიც კომისიის მიერ იქნა შემოღებული, მერტად ზღუდავდა სტუდენტების უფლებებს.

სტუდენტებს გადასახადი მოუმატეს, თავისუფალ მსმენელთა უფლებები შეეცვალა. სხვადასხვა ფაკულტეტების რეორგანიზაცია მოახდინეს, კურსიდან-კურსზე გადასასვლელი გამოცდები შემოიღეს, აუდიტორიებში განსაკუთრებული დისციპლინა დაამყარეს, დემოკრატიზმის პრინციპები აკრძალეს და სხვა.

„მეორე კომისია, — სწერს კირილე გრიგოლს, — იყო შემდგარი ყველა უნივერსიტეტის რექტორისაგან, რომ განეხილათ და გაეცეთებიათ უნივერსიტეტის კანონები. ამ კომისიამ კიდევაც გაათავა თავისი საქმე ამბობენ, რომ ლექციების მსმენელებს ფულს უმატებნო თუ ასორმოცდაათამდის არა, სამოცდა ხუთმეტამდის მაინც, ყოველი კურსიდან კურსზე ეგზემენი იქნებაო. თავისუფალი მსმენელები აღარ იქნებიანო. (ამასაც ამბობენ, რომ იქნებიან, მაგრამ ერთს წელიწადს მარტო, მერე ან სტუდენტად უნდა შეირიცხო ან და გასათავებელი ეგზემენები უნდა დაიკიროსო.) აღმოსავლურ ფაკულტეტს აერთებენ ფილოლოგიურთან“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნივერსიტეტის მმართველობამ განსაკუთრებული რეჟიმი შემოიღო უნივერსიტეტში, აღრიცხვაზე იყო აყვანილი თვითვე სტუდენტი, შემოწმებული იყო მისი ყოველივე მოქმედება, თუ საღ იმყოფებოდა, ლექციებზე აკლდებოდა თუ არა, რადგან ლექციებზე თუ არ გამოცხადდებოდა, საეჭვო საქმეზე ზომ არ იყო.

კირილე სწერს: „შესავალ ოთახში ყოველ ნომერს სახელი აწერია, თუ ვინ სად უნდა დაკიდოს თავის ზევეითური ტანისამოსი და თუ ვინმე დააკლდა, სტორაოები სწერენ და მთავრდებიან ინსპექტორს, ის რექტორს შეატყობინებს და ის კიდევ ზევეით. ასე რომ, ერთ ყმაწვილს მინისტრმა შენიშნა: შენ რატომ

¹ იხ. ქ. ჯ. არქივი, № 61

არ სწავლობო, თუ ხუთი მინუთი პროფესორმა შეგასწორო, არ შეგიშვებენ კითხვას შეუშლი, საუბრის ძაფს გაუგლეჯო. უწინ კითხულობდნენ¹ რომ ოთხ ლექციას დღეში — 10 საათიდან სამ საათამდე, თითო ლექციას კითხულობდნენ ერთ საათსა და 15 მინუთს, ისე რომ პირველის ლექციის და მეორის და აგრეთვე მესამისა და მეოთხე ლექციის შუა იყო ხუთმეტ-ხუთმეტი მინუთი სასვენებლად. მეორისა და მესამის ლექციის შუა ნახევარ საათს. ესლა კითხულობენ ექვს ლექციას 9-დან სამამდის და თუმცა კანონით შესასვენებლად დრო არ არის დანიშნული, მაგრამ პროფესორები 15 მინუთს ხან მეტს ისვენებენ.

ამბობენ, რომ პეტერბურგის პოლიციამ თავის გაცხადებულ გამოძევებაში დარწმუნდა, რომ ახლანდელ სტუდენტებს ცუდი არაფერი შეუძლიან და ძლიერ გულწრფელები არიანო — და თუ რამეს ცოტ-ცოტას ეშმაკობენ, ეს სულ უწინდელი სტუდენტებისა და ნასტუდენტების ბრალიაო. ამგვარივე აზრის არის უნივერსიტეტის, მაგრამ ზოგიერთი იმის წევერთაგან დარწმუნებულა, რომ „ქართველები არიანო უკანასკნელი დანაშთენი მოუსვენარი კაცებისო“².

1861 წლის პეტერბურგის სტუდენტთა შეთქმულებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა მასების რევოლუციურად დარაზმვისა და პროპაგანდა-აგიტაციის საქმეში.

აღსანიშნავია, რომ ქართველი სტუდენტობა აქტიურად გამოდიოდა რევოლუციურ მოძრაობაში, თუმცა კირილემ პირველ შემთხვევაში ნეიტრალური პოზიცია გამოამჟღავნა, მაგრამ აქ იგი საქართველოს თავისებური მდგომარეობიდან გამოდიოდა, და ერთი მხრივ ის უდაოდ მართალი იყო. მაგრამ მან მაინც საბოლოოდ აქტიური მონაწილეობა მიიღო დემონსტრაციაში. როგორც კირილეს ზემოთდასახელებულ წერილიდან სჩანს, ქართველი სტუდენტები ბელისუფლების განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილან, როგორც აქტიური მოწინააღმდეგენი, რადგან მათ დემონსტრაციის დამარცხების შემდეგაც არ შეუწყვეტიათ მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება.

¹ იხ. იქვე, ძ. ლ. არქივი, საქმე № 17, 1867 წ., კირილეს წერილი მიწერილი ვანგეაში 6. ნოკოლაძისადმი.

ნიკო გვარამი

რესპ. დამხაზ. არტისტი

ნაწყვეტი მოგონებები

მოახლოვდა რეპეტიციების დღეც და მთელი დასი შევიკრიბენით სცენაზე. მახსოვს, რამდენიმე სიტყვით მიმართა დასს დრ. სპ. გამგეობის თავმჯდომარემ ნიკო გიორგის ძე ქართველიშვილმა... ნიკო ქართველიშვილმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ წლევანდელი სეზონი არ უნდა ჰგავდეს წარსულ სეზონებსო. იმიტომ, რომ ნივთიერი მდგომარეობა ქართველი მსახიობისა უკეთესია წინაწლებთან შედარებით, და ამასთანავე დასს რეჟისორად ჰყავს ისეთი ადამიანი, როგორცაა ჩვენი საყვარელი და სახელ-განთქმული პოეტი აკაკი წერეთელიო.

შემდეგ, როგორც დასის რეჟისორმა და ხელმძღვანელმა, აკაკიმ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა ქართული თეატრის არტისტთა წინაშე.

„ბატონებო! მოხარული ვარ, რომ გარემოებამ ამ სიბერის დროს, კიდევ გამომიყვანა თქვენთან ერთად სამუშაოდ. დიდს სიამოვნებით ვაეცემები მეც თქვენს უღელში. მართალია, თქვენ, როგორც ახალგაზრდებს, ჯანღონითა და ენერჯით სავსეს, მეტი შრომის ატანა შეგიძლიათ, ვიდრე მე, სიბერით ღონე-მოკლებულს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ გონიერი მუშაკი, როდესაც ვახდენას უპირებს სისხლ-ჰარბს და ჯანღონით ვატაცებულ მოზვერს, გვერდში უღლის ცალად ბებერ ხარს ამოუყენებს ზოლზე, რომ ჯერ უცადმა, გასახდენმა, თავში არ გაიწიოს და ნაცადმა ბებერმა ხარმა, რომლისაც „რქანიც-კი ჰხნავს“, სასურველ კალამოტში ჩააყენოს. მეც სწორედ ამ ბებერ ხარად გამბა თქვენთან ერთად უღელში გამგეობამ... რომ ეს შედარება არ გეუცხოვოთ, ერთ მაგალითს სხვასაც კიდევ მოგაგონებთ „სამშობლოდან“, მოხუცი ლეონიძე ეუბნება ახალგაზრდა ზიმშიაშვილს: „ჩემი მკლავი ისე მტკიცე აღარ არის, როგორც შენი, წინ ვაუძეხი ჯარსო, შენ გამარჯვება ასწავლე და მე სიკვდილს ვასწავლიო“. ამაზე უფრო საგულისხმოს შე ჩემთავად, რომ კიდევ მოვინდომო, ვერას მოვახერხებ. და, მამასადამე, მეც იმას მივბაძე და გეტყვით: თქვენ დამანახვეთ ერთგულება, მხნეობა და გამარჯვლება ქართულ თეატრისადმი და მე ვიჩვენებთ მაგალითსა მისის სიყვარულისას. შეიძლება ვინმემ იფიქროს: სად სამშობლო და სად თეატრიო!.. მართალია, შორი-შორაა, მაგრამ რაც-კი საჭიროა ჩვენი ცხოვრებისთვის და სასარგებლო, დიდა თუ პატარა, ყველა ხელჩასაკიდებელია. თეატრი ხელოვნების ტაძარია, სამოდღერო ამბიონი და არა უბრალო გასართობი, საფუნდრუკო რამ. სცენა არის ეროვნული სარკე, რომელიც უშიშრად და უტყუერად უნდა გვისახავდეს ჩვენი ცხოვრების აკარგს, რომ სანახაობით მოხიბლული, მშვენიერებისკენ სიყვარულით მივისწრაფოდეთ და უშვერე-

ბას ზიზლით ვაფერობოდეო. ნუ დაივიწყებთ, რომ ძლიერი სარკე თქვენ უნდა დაიჭიროთ ხელში. მე, რასაკვირველია, შეძლებისდაგვარად ვცდილობ ჩემს სარკე-ლო ჩემი თქვენდამი მოვალეობა და თქვენგანაც მოვითხოვ სწავლებას.

1. გამტკიცებულ-გასპეტაკებულ ქართულ ენას და არა ჩიქორთულს.
2. როლების ვაზეპირებას, რომ კარნახის (სუფლიორის) იმედით აღარ იყოთ.

3. პიესების მთავარი აზრის შეგნებას.

4. თავ-თავის როლების დაკვირვებით შესწავლას და 5. რეჟისორის სურვილთან, თქვენი სურვილის შეთანხმებას, რომ აღარაფერ სთქვას: „ეს დიდი როლია“, „ეს პატარაა“, „ეს მშვენიერია“, „ეს არაა“, „ამას ვითამაშებ“, „იმას არაა“ და ამგვარები. ხელოვნება მშვენიერებაა და მშვენიერებამ-კი თავისთავად დიდი და პატარა არ იცის, თუ ჩვენ ამგვარად ნელნელა დღესხვალობით სწორე გზას დავადგებით, დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოებაც უყურადღებოდ და უთანაგრძობოდ არ დაგვეგდებს და უამისოდ-კი ნება არა გვაქვს, გულგრილობა ვუკეთინოთ საზოგადოებას.“

აკაკის სიტყვით მთელი დასი და გამეგობა აღტაცებული იყო და შეეუღებო მუშაობას. პირველი პიესა, რომელიც აკაკიმ დადგა სეზონის გასახსნელად, იყო დავით ერისთავის „სამშობლო“. სეზონი გაიხსნა 1903 წ. 27 სექტემბერს.

როლები ასე იყო განაწილებული: ქეთევანი — ნინო ჩხეიძე, ლევანი — კოტე მესხი, შაპი — ვალერიან გუნია, ლეონიძე — კოტე ყიფიანი, გოგია — კოტე შათირიშვილი, ისკანდერი — ალ. იმედაშვილი, ისრაფილი — სოსო ივანიძე, ისმაილი — გედეონ გედევანოვი, ალავერი — შაქრო საფაროვი, დედაკაცი — ელ. ჩერქეზიშვილი, პატარა ბიჭი — ნიკო გვარამძე.

აკაკიმ მართლა გულმოდგინედ დაიწყო მუშაობა. დაახატინა ახალი დეკორაციები, შეაკერინა ტანსაცმელი და მშვენიერი წარმოდგენა დადგა. ყველა პატივსა სცემდა აკაკის, და რასაც, იტყოდა უჯერებდა. წარმოდგენას დიდი მოწონება ჰქონდა, და პრესაც დიდის ამბით შეხვდა. მომყავს მაშინდელი „ივერიის“ რეცენზია:

„სიამოვნებით უნდა ვთქვათ მკითხველს, რომ დასაწყისი სეზონისა, საზოგადოთ, ყოველად ჩინებული იყო. მართალია, საეჭვოდ არავის მიაჩნდა, რომ ბატონი აკაკი, დასაბამითვე მოამაგე და დიდათ დახელოვნებული ჩვენი სცენის საქმეებში, თავის მადლიან ხელს დაამჩნევდა წრევანდელ ქართულ წარმოდგენებს, მაგრამ კვირის წარმოდგენამ მაინც ყველა მოლოდინს გადააჭარბა“.

ამ წარმოდგენაში, როგორც ზევითაც აღვნიშნე, პატარა ბიჭს ვითამაშობდა ბევრჯერ მინახავს ბავშვობისას „სამშობლო“, მაგრამ არ მახსოვს, რომ ვისმეს შეენიშნოს ეს როლი. აკაკიმ ამ ორ სიტყვიან როლსაც ყურადღება მიაქცია, და ბევრი რეპეტიციაც ჩაატარა. ამიტომ იყო, რომ პრესამ ყურადღება მიაქცია და აღნიშნა კიდევ.

იმ დროს პატარა უმნიშვნელო როლებს ყურადღებას არ აქცევდნენ. მგონია, ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ პატარა ბიჭის როლის შემსრულებელი გულთბილი სიტყვებით აღნიშნა პრესამ.

აკაკის არ შეეძლო, კვირაში ორი პიესა დაედგა, და ამიტომ ძველ განხლებულ პიესებს ჩვენზე მსახიობები: კოტე მესხი, ვალერიან გუგუნიძე და კოსო აბაშიძე სდგამდნენ. მეორე პიესა, რომელიც აკაკიმ დადგა ამავე სეზონში, იყო „პატარა კახი“, მისივე საკუთარი პიესა. ამ პიესაშიც, როგორც „სამშობლოში“, დაახატვინა მხატვარ ნოვას ახალი დეკორაციები. გიორგი ჯორჯაძემ, ჩვენი თეატრის თერმმა, შეგვიყვარა მშვენიერი ტანსაცმელი. აკაკიმ ჩემთვის, — კახს ვთამაშობდი, — შეაყვარინა სურათის მიხედვით, ყურთმაჯებიანი ჩოხა. წინათ ყველანი კახს ქულაჯაში თამაშობდნენ. აკაკი ამაზე არ დათანხმდა. მახსოვს, ათი-თორმეტი რეპეტიცია გავიარეთ. როლები გაანაწილა სულ ახალგაზრდა მსახიობებ შორის, ზოგიერთ როლის გამოკლებით.

ამ წარმოდგენამაც, როგორც „სამშობლომ“, საზოგადოების დიდი ალტაცება გამოიწვია. მით უმეტეს, რომ მთელი შემადგენლობა ახალგაზრდა მსახიობებისაგან შესდგებოდა. პიესა ვიცოდით მთლად ზებირად, მოკარნახე თითქმის არ გვკარდებოდა. ჩვენი სუფლიორი ამბობდა: „დასში რომ სულ თქვენისთანა მსახიობები იყვნენ, ჩემს ბედს „ძალი არ დაჰყვდნო“. ბეგლარა თითქმის არ კითხულობდა პიესას და მოსვენებით იჯდა სუფლიორის „ბუღკაში“, მაშინ, როდესაც სხვა წარმოდგენებზე დიდი ჯაფა ადგებოდა. ამ წარმოდგენამ თუ საზოგადოების ალტაცება გამოიწვია, სამაგიეროდ დასში უკმაყოფილება შეიქმნა. ძველმა, დამსახურებულმა მსახიობებმა, საყვედურით მიმართეს აკაკის, რომ ახალგაზრდა მსახიობებს ათამაშებ და ჩვენ-კი ყურადღებას არ გვაქცევო. მიზეზი იყო ის რეცენზია, რომელიც მაშინ მოათავსა „ივერიამ“:

„... თუმცა მონაწილეობას იღებდნენ, მომეტებულ ნაწილად, ახალი არტისტები, მაგრამ წარმოდგენამ ძალიან მწყობრად ჩაიარა. ამწიარად „პატარა კახი“ დადგმული ჯერ არ გვიჩინახეს. ახალგაზრდა არტისტები სწორედ რომ ერთმანეთსა სჯობდნენ. მეტადრე თავი იჩინეს ბ-ნმა ვალიკო შალიკაშვილმა (გივი) და ბ-ნმა ნიკო გვარამიამ (პატარა კახი). ნამსახურ და დახელოვნებულთ, ხომ ქება არ უნდათ. ბ-ნმა ვიქტორ გამყრელიძემ ბრმა გელას როლი ისეთის გრძნობით შეასრულა, რომ მრავალი მაყურებელი აატირა. თეატრი საცხე იყო მაყურებლებით, რომელნიც განკვიფრებულნი იყვნენ და ახალ არტისტების თამაშობას ალტაცებაში მოჰყავდა. ყველას სასიამოვნოდ დარჩა, რომ ჩვენ სცენას ახალი ნიჭიერი არტისტები მოვმატა. თეატრის რეჟისორი, პოეტ-დრამატურგი აკაკი, საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოიხმო სცენაზე, და დიდის ალტაცებით მიიღო.“

ეს რეცენზია იყო მიზეზი, რომ დამსახურებულმა არტისტებმა საყვედურით მიმართეს აკაკის. აკაკიმაც, როგორც ფაქიზმა და ყოველგვარ სცენიურ ინტრიგებს მოკლებულმა ადამიანმა — დაუთმო, და მესამე წარმოდგენაში, თუ მეოთხეში, იმათ ვაუნაწილა როლები. სწორედ მაშინ იყო, რომ ჩვენმა საყვარელმა და უზუცესმა არტისტმა, კოტე ყიფიანმა, გივის როლში, ნაცვლად იმისა რომ ეთქვა:

თუმცა უღროოდ დაგვისნულდა
ძველი არწივი თეიმურაზი...



სიტყვა:

თუმცა უდროოდ დაგვიორსულდა
ძველი არწივი თეიმურაზი...

ჩილა თქმა უნდა, ძველმა მსახიობებმა, როლები ჩვენსავით არ იცოდნენ და გამარჯვება ახალგაზრდებს დაგვრჩა. კახის როლს ძველებთანაც მე ვთამაშობდი.

თუ როგორ სერიოზულად და გულმოდგინებით ამზადებდა აკაკი ამ პიესას, მოვიყვან ერთ პატარა მაგალითს. კახს პიესაში ასეთი ფრაზა აქვს: „უფლისწულობა“. მე რალაცნაირად როლის სწავლის დროს, თავში ჩამჩენოდა „უფლისწულება“. გამოვიდოდი სცენაზე რეპეტიციის დროს და ვიტყვოდი „უფლისწულება“. აკაკი მაშინვე უკან დამაბრუნებდა, კიდევ დავიწყებდი როლს თავიდან და ამ სიტყვასთან რომ მივიდოდი, მაინც წალებას ვამბობდი. ასე დამაბრუნა უკან მგონი თუ არა ვცდები ათჯერ, მოთმინებიდან გამოსულ აკაკის გული მოუფიქრა და გაჯავრდა. მე აღარ ვიცოდი, რა მექნა. წამსკდა ტირილი — რეპეტიცია შესწყვიტა. მთელი დასი მე შემომეყრებდა. ბოლოს მოვიდა ჩემთან მსახიობი ქალი (ებლა უზუტესი და სახალხო არტისტი) ელისაბედ ჩერქეზიშვილი, მოფერება დამიწყო და მითხრა: „ნუ სწუხარ, შვილო, სცენამ როგორც სიტკბო იცის, ისევე სიმწარეც“. ეს ეპიზოდი ჩემს ცხოვრებაში არ დამავიწყდება.

ჩვენ იმ სეზონში არაქსიანის თეატრშიც (ავლაბარში) ვდგამდით წარმოდგენებს. იქაც დავდგით „პატარა კახი“. აკაკიც მოსულიყო წარმოდგენაზე. მე ეს არ ვიცოდი. რომ გაათავდა მეორე მოქმედება, დაეინახე, სცენაზე ამოსულიყო. მსახიობთა საპირფარეოში შემოვიდა და სიცილით მითხრა: ნიკო, შენ მაინც შენსას არ იშლიო. დღესაც „უფლისწულება“ სიტყვიო!..

აკაკი მართალი იყო. შემდეგშიც ძალიან ხშირად მცდებოდა ხოლმე ეს სიტყვა.

რა იყო მიზეზი, რომ ქართული დრამატული საზოგადოების, გამგეობაში და განსაკუთრებით ნიკო ქართველიშვილმა, აკაკი მოიწვიეს რეჟისორად? მე მგონია, ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩვენი დამსახურებული მსახიობები ვერ რიგდებოდნენ ერთი-მეორეში, და ყველას იმათგანს სურდა, რომ ისეთი პიესები დადგმულიყო, სადაც თვითონ პირადად ექნებოდათ მთავარი როლი. ქართულ თეატრში სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო, როცა აკაკი მოიწვიეს რეჟისორად. ჩვენს გამგეობას ეგონა: როგორც აკაკი ყველასგან პატივსაცემი და თეატრის კარგი მცოდნე ამ არეუ-დარევეს და ინტრიგებს ბოლოს მოუღებდა, მაგრამ გამგეობა ძალიან შესცდა. აკაკი, როგორც ზევითაც ვსთქვი, ძალიან ფაქიზი და ზრდილობიანი ადამიანი იყო. თავის დღეში ხმა-მალლა სიტყვას არ იტყოდა, არავის უდიცრად არ მოექცეოდა. არ უნდოდა, დასში უკმაყოფილება ყოფილიყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასში უსიამოვნებას მაინც ჰქონდა ადგილი. მახსოვს, აკაკიმ „სამშობლო“ რომ დასდგა რამდენჯერმე, და „პატარა კახის“ მომზადება დაიწყო, უნდოდათ რაიმე ძველი ნათამაშევი პიესა განეახლებინათ. კოტე შესხმა დაასახელა „პირველი ცოლის მორჯულება“ შეჭპირისა. უნდოდა, მთავარი როლი „პეტრუჩიო“ ეთამაშნა. ვალერიან გუნისას კიდევ ველიჩკოს „პირველი ბუზის“ დადგმა სურდა, სადაც მას პირადად მთავარი როლი ჰქონდა ნათამაშევი. ამ ნიადაგზე უსიამოვნება ატყდა.



ამავე სეზონში დაიდგა პირველად ქართულ სცენაზე ალექსანდრე ბუკინის ცნობილი ისტორიული პიესა „ლალატი“. ამ პიესამ მაშინ მთელი ქუთაისის დიდი გამოხმაურება გამოიწვია. საზოგადოდ ალ. სუმბათაშვილი კოტე მესხს ძალიან შეგობრობდა და ძალიანაც უყვარდათ ერთმანეთი. ამიტომაც იყო: როგორც კი დაიდგა მოსკოვის მცირე თეატრში ეს პიესა, მაშინვე სუმბათაშვილმა რუსული ეგზემპლარი კოტეს გამოუგზავნა. კოტე მესხმაც არ დააყოვნა და სასწრაფოდ გადმოთარგმნა. შეუდგა ჩვენი დასი „ლალატის“ მზადებას. დასში ნუცა ჩხეიძე გვეყვანდა, მაგრამ, მაინც ეფემია მესხი მოიწვიეს ზეინაბის სათამაშოდ. მე მგონია, ამის მიზეზი ის იყო, რომ ნუცა ჩხეიძე მაშინ ხნოვანებით ახალგაზრდა იყო, და ზეინაბი-კი, ასე თუ ისე, უკვე ხანში შესული ქალია. ამზადებდა ამ პიესას თვითონ კოტე მესხი და დიდი შრომაც დახარჯა.

სეზონი დავამთავრეთ აკაკის ბენეფისით. დაიდგა მისივე პიესა „თამარ-ციხერი“. თამარის როლის შემსრულებლად ბაქოდან საგანგებოდ იყო მოწვეული ქეთო ანდრონიკაშვილი, რომელსაც მართლა ძალიან უზღებოდა ეს როლი. ქეთო ანდრონიკაშვილი მაშინ ახალგაზრდა და ლამაზი ქალი იყო, და ამიტომაც მოხდენილი იყო ამ როლისთვის. ვოჩას თამაშობდა სოსო ივანიძე. სოსო საერთოდ კარგად კითხულობდა აკაკის ლექსებს და ვოჩაც კარგად შეასრულა. აკაკის, როგორც მობენეფისეს, საზოგადოება დიდის აღტაცებით შეხვდა და ბევრი საჩუქარიც მიართვეს.

ილო მოსაშვილი — „ლექსები“

„ზედეკაშია“. თბილისი. 1939 წ.

ამ წიგნში მოთავსებული ლექსები მხოლოდ ნაწილია ილო მოსაშვილის პოეტური შექმედებისა, მაგრამ ისეთი ნაწილი, რომელიც მკაფიოდ წარმოგვიდგენს როგორც პოეტის მხატვრული ინდივიდუალობის ყოველ დამახასიათებელ მხარეს, ისე ამ ინდივიდუალობის ყალიბობისა და ფორმაციის ყოველ საფეხურს.

კოტეულში ვხვდებით ლექსებს, რომლებშიაც გამოხატულია ადრინდელი მოსაშვილისა-ფის დამახასიათებელი ნაღვლიანი მოტივები, ერთგვარი ესენინისებური სევდა დაღუპულ იმედებზე, ნაადრევად დამკენარ ახალგაზრდობაზე:

„გული ნაღვლიან ბერანს შეება,
და სათითაოდ იცვლის იარებს;
ახალგაზრდობის ტკილმა დღეებმა
როგორც შერცხლებმა, გადაიარეს.
ტყე დაიფურცლა და ტყის ნაცვალი
დარჩა ფოთოლი, ხეზე შემშპარი,
თა ვით ნაღვერდალს, ნაგდებს ნაცარში,
მარტო ლექსების ხმას-ღა შეეხარი“.
(„ცხოვრების ვზახე“, 1927 წ.)

შემდეგ სულიერი სიმარტოვისა და უთვისტომობის ტკივლებთან ერთად ი. მოსაშვილის პოეზიაში იზიდაება მღვლეარე რევოლუციური ეპოქის ჭარბშლიანი გაქანებისათვის იდეების სწრაფვა, და ერთერთ ლექსში პოეტა მიმართავს რევოლუციურ ეპოქას, როგორც დროებას „ჭარიშხლის თანაზიარი“ და გამოსთქვამს თავის სიყვარულს ამ წგრევის, აფეთქების, აედრიანი გზის სიმბოლოურ ასექტში დანახული და გაკებული თანამედროვეობისადმი, რომლის თანამგზავრობაც პოეტს განწირულებათ აქვს წარმოდგენილი:

„და მოგდევ,
როგორც მდოღე თუში,
და, უზანგს კლდეზე
ღაწედეს წკრიალი,
ათი ზანჯალი ეღაედეს
გულში,
ათივე —
იყოს სიკედილიანი“.

მალე პოეტისათვის უფრო ნათელი და მშობლიური ხდება თავისი განახლებული ქვეყნის ძახილი და მოწოდება ლექსით ემსახუროს თავის ხალხს, საშობლოს („მინდერები ეპაბი-ან პოეტს“, 1931 წ.) და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ილო მოსაშვილმა დიდის გულწრფელობით და ღრმა რწმენით შესწლო გამობმურებოდა მშობელი ქვეყნის ამ მოწოდებას და საბოლოოდ თავისი პოეზია ღრმად დაეკავშირებია სოციალიზმის მშენებელი ხალხის ბრძოლასა და შრომის სინამდვილესთან.

მოსაშვილის პოეტური ევოლუციის უკანასკნელი პერიოდი სრული გამართლებით მისი პოეტური ავტობიოგრაფიის, მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსის („ოქტომბრის თაობას“) სიტყვებშია:



„ამოვიდალე მკერდიდან ხორცი
და შევინახე, წმინდა რაც არი,
ორმოცი წლიდან — პირველი ოცი
ჭარს წაუღია, როგორც ნაცარი“.

აქ ჩვენ ვხედავთ იდეურ-შემოქმედებითი ევოლუციის იმ ტიპურ გზას, რომელიც განვლეს დეკადანსის პოეტურ ტრადიციებზე აღზრდილმა საუკეთესო პოეტებმა ჩვენს ქვეყანაში, ეიდრე ისინი მტკიცედ და საბოლოოდ დადგებოდნენ რეალისტური ხელოვნების ნიადაგზე, სოციალისტური პოეზიის იდეურ პოზიციებზე.

ილო მოსაშვილის შემოქმედებითი ზრდის უახლოეს და უმაღლეს საფეხურს მის მიერ დაწერილი პოლიტიკური ლირიკის შესანიშნავი ნიმუშები განსაზღვრავენ. ეს ლექსები კარგადაა ცნობილი მკითხველთა ფართო ფენებისათვის პოეტრ დიდის გატაცებით და აღმადრენით ესმაურება ჩვენი გმირულ სინამდვილის ყოველ ღირსშესანიშნავ მოვლენას, ისწრაფვის გამოხატოს თავის შემოქმედებაში საბჭოთა ხალხის უწმინდესი და უმაღლესი აზრები, გრძნობები და მისწრაფებანი. ამშორე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ დიდი სტალინი ისა დ მი მიძღვნილი ო. მოსაშვილის ლექსები, რომელთაც საბჭოთა ადგილი მოიპოვეს ამ უაღრესად დიდსა და წარმატებულ თემაზე მოწინავე ქართველი პოეტების მიერ შექმნილ ნაწარმოებთა შორის. ხალხთა უბრძნესი და უსაყვარლესი ბელადის აზრისა და საქმის შთაგონებელი ძალა, ყველაფრისა და ყველის მიმართ, რაც ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს აცოცხლებს და ამოძრავებს, მკვეთრად არის გამოხატული პოეტის სიტყვებში:

„მზე ბნელს ჩაატოხს და ათბობს შთა-ველს
მისი სხივების დიდებით მოსვლა,
როგორც შენ მიწის თვითველ მტკაველს,
ხეს, ადამიანს და საესე თაველს
შენი გენიის სინათლით მოსავ“.
(„ბელადან“)

ქართველი ხალხის სახელოვანი შეიღის ამხანაგ ლავერენტი ბერიასა დ მ მიძღვნილ ლექსში პოეტრი აყვავებულ და აღორძინებულ საქართველოს დონზე გვაძლევს იმ განუსაზღვრელი გატანების ინციატივისა და შემოქმედებითი ენერჯიის პოეტურ განსახიერებას, რომლითაც საბჭოთა ხალხს წინ მიუძღვის სახელოვანი იფანგარდი — ბოლშევიკური პარტია, ამ შემთხვევაში პოეტის მიერ პერსონიფიცირებულ ამხანაგ ლავერენტი ბერიას სახეში. მომავალი ქართველი ხალხი მიმართავს თავის საბაბყო შეიღს პოეტის სიტყვებით:

„შენ დაგვიყენე დოვლათი ზნულში,
მიწას ჩაუდგი სინდლის წენი,
შენ ხარ, რაც ნატერა გეჭონია გულში
და გამარჯვებაც შენა ხარ ჩვენი.
ჩვენ შენთან ვდგევართ კლდესავით მტკიცედ.
ღამეა, დღე, თუ დილა სისხამი,
რომ შენს ძაბილზე სამშობლოს მიესკეთ
ჩვენი სიცოცხლის ყველა მისხალი“.
(„ლავერენტი ბერიას“)

შეშობელი ქვეყნის აღორძინებითა და აყვავებით აღფრთოვანებულს, საბჭოთა პარტიოტების უწმინდესი გრძნობით შთაგონებულ ლექსებს უძღვნის ილო მოსაშვილი ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებულ მზიურ ცხოვრებას („სამშობლოს“, „ჩემო ქვეყანავ“). დიდი სტალინური კონსტიტუციის ტრიუმფის დაუვიწყარ დღეებში, — ს. ს. რ. კ. — უმაღლეს საბჭოთა

ორივენიც სახალხო-სადღესასწაულო დღეებში ილო მოსაშვილი ქმნის მღვდელთა პათოსით გამსჭვალულ ლექსს „სიკოცხლე მართლა სიხარულია“, სადაც პოეტის პარადიგანდა მართლაც საყოველთაო-სახალხო აზრსა და გრძნობასთან არის შედუღებული.

„მოვა მნათობი, ყოვლის მშობელი,
გავახელ თვალს და მღერა მონდება,
დილა, ბედნიერ ამბის მოზრობელი,
როგორც ფრინველი მახარობელი,
ჩემს ქვეყანაში შემოფრინდება“.

ღრმა ეჭპარესიით აღბეჭდილ ლექსში გამოხატავს პოეტი ჩვენი ეპოქის ბედნიერი თაობის გმირობას, მის მებრძოლ და შემოქმედ ძალას, მის განუსახლეგრელ შესაძლებლობას სამშობლოს აფრევებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში:

„სდგებარ და სადაც მარჯვენას დარგავ,
შუგ თაყის მადამს ამოალაგებს
და ხელმორედ მიწაზე ქარგავ
უღამბოვებში წაშლილ ქალაქებს.
აღებ ქვესკნულებს, ამოგაქვს ზღვები,
მდინარეები აჰყარე ქვიშას
და შესკვრიონ ბებური შთები,
თითქოს ელიან დამზობის ნიშანს“.

მეზნებარე ლექსით გამოცხადდა ილო მოსაშვილი დემოკრატიული ესპანეთის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის („მოდის დოლორეს“). პოეტმა შექმნა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ქალის საკლამერნო მინდერების სახელოვანი გმირის ღრმად პოეტური სახე („მარია დეშენკო“). ლექსების მიერ ცოცლში ი. მოსაშვილმა დახატა მოძმე ბელორუსი ხალხის გმირული რევოლუციური წარსულის სურათები, იმ ქვეყნის სპეციფიური პეიზაჟი. ყველა ეს ლექსი დაწერილია წრფელი გრძნობით და შთაგონებით. ამიტომ ისინი ღრმა ემოციურ ძალას შეიცავენ. ი. მოსაშვილი სწერს ნათელი და ხალისიანი საღებავებით, მისი პოეტური ფრაზა მკვეთრია და ყოველგვარ ბუნდოვანებას მოკლებული, ლექსი ბუნებრივად, თავისუფლად ეღერს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ყოველთვის გულმოდგინედ არის დამუშავებული და მისი ყოველი დეტალი გაზომილია აეტორის მიერ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ი. მოსაშვილი ღრმად გრძნობს ქართული ენის ბუნებას, მის სპეციფიურობას.

და თუ რაიმე საშიშროებას ვხედავთ ჩვენ ილო მოსაშვილის შემოქმედებაში, ეს პირველ ყოვლისა შეეხება მისი უკანასკნელი პერიოდის ზოგიერთი ლექსისათვის დამახასიათებელ ეროფერონებს.

სამშობლოსადმი, საბჭოთა ხალხისადმი, ჩვენი ქვეყნის ბელადებისა და ხელმძღვანელებისადმი მიძღვნილ ლექსებში ილო მოსაშვილი ყოველთვის პათეტური ტირადის მხატვრულ საშუალებებით სარგებლობს. მშობელი ქვეყნის აღორძინების ამსახველ ლექსებში იგი ბნელ წარსულსა და მზიური დღევანდულობის კონტრასტულ ზოგად სახეებს ხატავს. მერთალიდ მოსიანს მის პოეზიაში სოციალისტური ეპოქის გმირის, ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის კონკრეტული ხორცშესხმული მხატვრული სახე.

ილო მოსაშვილს მოეპოვება ყველა პირობები იმისათვის, რომ უფრო მეტის მრავალფეროვანებით და სიღრმით დაამუშაოს ჩვენი დიადი სინამდვილის თემები და მასალები.

სარეცენზო კრებულში მოთავსებული მასალაც სიკბადით გვიჩვენებს ილო მოსაშვილის, როგორც ბუნების სურათების, პეიზაჟების მხატვრულობის ძალას („თბილისის წვიმა“, „ღამე გაშობრზე“, „კოლხიდის დილა“ და სხვ.). ილო მოსაშვილს არ უშენდდება აგრეთვე დიდის უშუალობით გადმოგვეცხ და განგვაყდვიროს ადამიანის სულიერი ცხოვრებას უაღრესად ინტენსიური გრძნობები („სიყვარული უცნა“). ზოგიერთ ლექსში იგი გვაძლევს თემის

ღრმად გააზრებისა და ორიგინალურად გახსნის შესანიშნავ ნიმუშს (მაგალითად „ქალაქ ტყეში“).

თავისი პოეტური ნიჭიერების ეს თვისებები იყო მოსაშველმა ფართოდ უნდა გამოიყენოს ჩვენი სინამდვილის თემებზე და აქტუალურ საზოგადოებრივ პრინციპებზე დასყრდნულ პოეტურ ნაწარმოებებში.

შეთხვევას სრული უფლება აქვს მოელოდეს იყო მოსაშვილისაგან მეტი სიღრმის შრავალდეროვანებით და კონკრეტულობით აღბეჭდილ ფართო დიამაზონის პოეტურ კონსტრუქციებს ჩვენს დიად სინამდვილეზე, ვმირ საბჭოთა ხალხზე.

შინაარსი

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე	გვ. 3
მხატვრული ლიტერატურა	
შალვა დადიანი — ავტობიოგრაფია	7
კონსტანტინე ჭიჭინაძე — ბარაკონი (ლექსი)	13
კონსტანტინე ჭიჭინაძე — მერცხლები (ლექსი)	13
კონსტანტინე გამსახურდია — ბელადი (რომანი)	15
ალექო შენგელია — სიმღერა უსახელო ვმირებზე (ლექსი)	53
რიჩარდ ოლდინგტონ — სადგური (ლექსი, თარგმ. ინგლისურიდან გივი ვაჩეჩილაძის)	55
ი. ლისაშვილი — ძახილი მთაში (რომანი)	59
პრიტიკა	
ალექსანდრე ხულავა — ქართული საბავშვო ლიტერატურა	88
ლიტერატურის ისტორია და თეორია	
პავლე ინგოროვცა — ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმო- ხილვა	97
წარსულიდან	
დოც. კ. მძველია — 1861 წ. რევოლუციური მოძრაობა პეტერბურ- გის უნივერსიტეტში და ქართული სტუდენტები	142
ნიკო გვარამე — ნაწყვეტი მოგონებებიდან	150
ბიბლიოგრაფია	
ბ. ჭ. — ილო მოსაშვილი — ლექსები — ფედერაცია. თბილისი 1939 წ.	155

3360 2 856. 50 333.

4
РУСТ 33,35
Г.К.К. ИМЭЯ
1 12
საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ